

ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის  
უფლებამოსილების ფარგლები

The Scope of Authority of Occupying Power in Administering Occupied Territories



ფოტო: ოჯგბირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე აღმართული დამცავი ბარიერი

*Photo: Defence barrier erected in the Occupied Palestinian Territories*

2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, Institute of International Law



საბა ფიფიას სადისერტაციო ნაშრომი თემაზე:

ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის  
უფლებამოსილების ფარგლები

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თხუ იურიდიული ფაკულტეტის პროფ. დოქტორი, ქვეყვანა ხუცი შვილი

**Title of the dissertation – The Scope of Authority of Occupying Power in Administering  
Occupied Territories**

*Academic supervisor: Prof. Dr. Ketevan Khutsishvili*

## სარჩევი

აბრევიატურების ნუსხა .....	xiv
შესავალი .....	23
1. ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი .....	40
1.1. სახელშეკრულებო სამართალი .....	40
1.1.1. პააგის რეგულაციები .....	42
1.1.2. ქენევის მე-4 კონვენცია და 1-ლი დამატებითი ოქმი .....	44
1.2. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები .....	45
1.3. სხვა წყაროები .....	49
1.3.1. სამართლის ზოგადი პრინციპები .....	49
1.3.2. მეორადი წყაროები .....	50
2. ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა .....	53
2.1. ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები .....	54
2.2. შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე .....	64
2.3. სამხედრო აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპი .....	70
2.4. სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის სტანდარტი .....	74
2.4.1. დაცვის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დეფინიცია .....	74
2.4.2. დაცვის ზოგადი სტანდარტი .....	78
2.4.3. განსაკუთრებული დაცვის მქონე კატეგორიები .....	83
2.5. ოკუპირებული ტერიტორიების ხელოვნური ფრაგმენტაცია .....	85
2.5.1. დამცავი პარიერი და მისი თანმხლები რეჟიმი .....	85
2.5.2. სასამართლო პრაქტიკა .....	87
3. ოკუპირებული ტერიტორიების საკანონმდებლო და სასამართლო სისტემა .....	92
3.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი კანონმდებლობა .....	92
3.2. ოკუპირებული ტერიტორიების სასამართლო სისტემის ადმინისტრირება .....	98
4. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ადამიანის უფლებათა რეჟიმი .....	105
4.1. პასუხისმგებლობის საკითხი .....	106

4.2. გადახვევის შესაძლებლობა.....	107
4.3. <i>Lex specialis</i> წესი.....	109
4.4. არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დარღვევისათვის.....	110
4.4.1. კრიტერიუმები.....	111
4.4.2. პალესტინის მაგალითი.....	113
5. საკუთრების უფლების დაცვა სამხედრო ოკუპაციის დროს.....	119
5.1. სამხედრო ოკუპაციისას საკუთრების უფლების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა.....	120
5.1.1. ჰააგის სამართლის წინარე პერიოდი.....	120
5.1.2. ჰააგის სამართალი .....	122
5.2. ოკუპანტი მხარის მიერ კერძო საკუთრების მოპყრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების ფარგლები.....	124
5.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა .....	130
6. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბიზნეს საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება .....	134
6.1. სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი.....	136
6.1.1. სამხედრო ოკუპაციის დროს ეკონომიკური აქტივობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.....	138
6.1.2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ ტრანსნაციონალური კორპორაციების ადამიანის უფლებათა გალდებულებები.....	140
6.2. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი კომპანიების საქმიანობიათვის.....	142
6.2.1. პირდაპირი პასუხისმგებლობა.....	142
6.2.2. ირიბი პასუხისმგებლობა, “წინდახედულობის” პრინციპი .....	145
6.3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი კომერციული კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი .....	147
6.3.1. წინდახედულობა კომპანიებთან მიმართებაში .....	147
6.3.2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	149
7. ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხები.....	157
7.1. ტერიტორიის კონტროლის სხვადასხვა სტანდარტი.....	157
7.1.1. ეფექტიანი კონტროლის ტესტი და დისტანციური კონტროლი.....	157

7.1.2. დაზას სექტორიდან “გამოსვლის გეგმა” და კონტროლის საკითხი	163
7.1.3. ოკუპაცია <i>defacto</i> მარიონეტული რეჟიმების მეშვეობით	166
7.2. ოკუპანტი ძალის მიერ შექმნილი დასახლებები და მათი ბედი	171
7.2.1. დასახლებებში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი	171
7.2.2. დასახლებების დაშლის შესაძლებლობა დეოკუპაციის შემდგომ პერიოდში	179
7.2.3. დასახლებების დაშლის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდვა	183
7.2.4. დასახლებების დეოკუპაციის შემდგომი ბედი	189
7.3. ოკუპაცია გაერო-ს მანდატის ქვეშ	191
7.3.1. გაერო-ს უშიშროების საბჭოს უფლებამოსილების ფარგლები	192
7.3.2. ტრანსფორმაციული ოკუპაცია	200
7.3.3. ადამიანის უფლებათა რეჟიმი გაერო-ს მიერ სანქცირებული ოკუპაციისას	204
დასკვნა	209
ბიბლიოგრაფია	223
გამოყენებული საქმეები	254
განცხადება პლაგიატის შესახებ	263

## **Table of Contents**

**Acknowledgments**

**List of Abbreviations**

**Introduction**

### **Chapter 1. International Legal Regime for Administration of the Occupied Territories**

1.1.Treaty Law

    1.1.1. Hague Regulations

    1.1.2. Fourth Geneva Convention and Additional Protocol I

1.2.International Customary Norms

1.3.Other sources

    1.3.1. General Principles of Law

    1.3.2. Secondary Sources

### **Chapter 2. Ensuring Public Order and Security in the Occupied Territories**

2.1. Scope of Authority of the Occupying Power

2.2. Admissibility of Armed Resistance in the Occupied Territory

2.3. Principle of Military Necessity and Proportionality

2.4. Standard for Protection of Civilian Population

    2.4.1. Definition of Protected Persons

    2.4.2. General Standard of Protection

    2.4.3. Specifically Protected Categories

2.5. Artificial Fragmentation of Occupied Territories

    2.5.1. Defence Barrier and Associated Regime

    2.5.2. Case Law

### **Chapter 3. Legislative and Judicial System of the Occupied Territories**

3.1. Legislation Applicable in the Occupied Territories

3.2. Administration of Judiciary of the Occupied Territories

### **Chapter 4. Human Rights Regime Applicable in the Occupied Territories**

4.1. The Issue of Responsibility

4.2. Admissibility of Derogation

4.3. *Lex Specialis* Rule

4.4. Liability of Non-state Actor for Human Rights Violations Occurring in the Occupied Territories

    4.4.1. Criteria

    4.4.2. Palestine Example

### **Chapter 5. Protection of Private Property in the Occupied Territories**

5.1. International Legal Framework Regulating Property Rights during Belligerent Occupation

    5.1.1. Pre-Hague Rules

    5.1.2. The Hague Law

5.2. Scope of Authority of the Occupying Power for Treatment of the Private Property

5.3. Contemporary Case Law of the European Court of Human Rights

## **Chapter 6. Legal Regulation of Business Activities in the Occupied Territories**

6.1. International Economic Law of Belligerent Occupation

    6.1.1. Regulatory Norms of Economic Activities during Belligerent Occupation

    6.1.2. Human Rights Obligations of TNCs Operating in the Occupied Territories

6.2. State Responsibility for Activities of Companies Operating in the Occupied Territories

    6.2.1. Direct Responsibility

    6.2.2. Indirect Responsibility, Principle of “Due Diligence”

6.3. Liability of Commercial Companies Operating in the Occupied Territories

    6.3.1. Due Diligence of the Company

    6.3.2. Corporate Social Responsibility

## **Chapter 7. Other Problematic Issues Related to the Administration of Occupied Territories**

### **7.1. Different Standards of Territorial Control**

7.1.1. Effective Control Test and Remote Control

7.1.2. “Disengagement” from Gaza Strip and the Issue of Territorial Control

7.1.3. Occupation through Proxy Regimes

### **7.2. Settlements Established by the Occupying Power and their Fate**

7.2.1. Legal Regime Applicable in the Settlements

7.2.2. Possibility of Dismantle After Occupation Ends

7.2.3. Human Rights Based Restriction on Dismantle

7.2.4. Future Fate of Settlements in the Post-Occupation Period

### **7.3. Occupation under UN mandate**

7.3.1. Authority of the UN Security Council

7.3.2. Transformative Occupation

7.3.3. Human Rights Regime during UN Sanctioned Occupation

## **Conclusion**

## **References / Table of Cases**

## **Disclaimer**

## სამადლობელი

სადოქტორო პროგრამაზე სწავლა და დისერტაციის მომზადება ნამდვილად არ იყო ადვილი ჩემთვის. აქამდე საკმაოდ გრძელი გზა გამოვიარე, რომლის წარმატებით გავლასაც ვერ შევძლებდი რომ არა ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში და ამ გზით დამეხმარებენ აქამდე მოსვლაში.

პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის წიაღშიც ჩამოვალიბდი როგორც იურისტი. ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სწავლა ამ უნივერსიტეტში ჩემთვის როგორც დიდი პატივი, ასევე დიდი პასუხისმგებლობაც იყო. მხოლოდ სასწავლო დაწესებულების პრესტიული და მადალი აკადემიური დონე საკმარისი არ იქნებოდა, რომ არა პროფესორები, რომლებიც მასწავლიდნენ და რომლებმაც წარუშლები კვალი დატოვეს ჩემს მესსიერებაში.

ღრმა პატივისცემით მინდა გადავუხადო მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ ქეთი ხუციშვილს, რომელსაც ვუმადლი არა მხოლოდ ჩემი სადოქტორო ნაშრომის წარმატებით შესრულებას, არამედ ჩემს პროფესიულ განვითარებაში უდიდესი წვლილის შეტანას. მისი სწავლების მეთოდი, სტუდენტებთან ურთიერთობის სტილი, გამოცდილება, კარიერა ჩემთვის ყოველთვის იდეალური და სამაგალითო იყო, ამიტომ ჩემთვის უდიდესი პატივია დოქტორის ხარისხის მოპოვება პროფესორ ხუციშვილის ხელმძღვანელობით.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს: პროფესორ ლევან ალექსიძეს, რომელიც ყოველთვის დაუდალავად ზრუნავდა ჩემზე, მისი სტუდენტობა ჩემთვის იყო პრივილეგია და ამავდროულად წარმოუდგენელი სიამოვნებაც, რომლის განცდასაც კიდევ ბევრ თაობას ვუსურვებ. მისი ცოდნა და გამოცდილება ყველა საერთაშორისო სამართლის იურისტისათვის საამაყო და სამაგალითოა. ასევე პროფესორ ეკა სირაძეს, რომელსაც მადლობას ვუხდი დადებითი შეფასებისათვის. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სადისერტაციო კომისიის წევრებს პროფ. ირინე ქურდაძეს, პროფ. დავით გეფერიძეს და დოქტორ შალვა კვინიხიძეს.

გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო გრონიგენის უნივერსიტეტს, სადაც გავატარე სადოქტორო პროგრამის ნახევარი, რამაც განაპირობა ჩემი კვლევის მნიშვნელოვანი პროგრესი. ღრმა პატივისცემით მინდა მადლობა გადავუხადო პროფესორ მარსელ ბრუსს, რომლის დახმარება და უკუგება დისერტაციის შესაბამის ნაწილებზე განუზომლად ღირებული იყო ჩემთვის. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ევროკომისიის პროგრამა ერასმუს მუნდუსს, რომლის ფარგლებში მოხდა ჩემი კვლევის დაფინანსება გრონიგენის უნივერსიტეტში, რამაც მომცა საშუალება გამეფართოვებინა

კვლევის არეალი და გავცნობოდი უფრო მეტ და ღირებულ მასალას ვიდრე ეს საქართველოში იქნებოდა შესაძლებელი.

განსაკუთრებულად მადლიერი ვარ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსი, კერძოდ მის სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, რომელმაც ორჯერ დააფინანსა ჩემი საკვლევი პროექტი დოქტორანტურის კონკურსის ფარგლებში. აღნიშნული დაფინანსებით მომეცა საშუალება დისერტაციის მიზნებისათვის კვლევა ჩამეტარებინა ქ. იერუსალიმში, ისრაელში კვლევით ცენტრში “იერუსალიმის მართლმსაჯულების ინსტიტუტი”. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო აღნიშნულ ცენტრს, კერძოდ იმ დროს ცენტრის ოპერაციების დირექტორს მათი შოშანსა და კვლევით დირექტორს დორონ პერს. რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგლებში ასევე მომეცა საშუალება მოკლევადიანი კვლევა ჩამეტარებინა ქ. ჰამბურგში, გერმანიაში მაქს პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში, რომელსაც ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, კერძოდ ინსტიტუტის თანადირექტორს პროფესორ ჰოლგერ ფლეიშერსა და ინსტიტუტის სამკითხველო სამსახურის უფროსს, ქალბატონ ელკე ჰალზენ-რაფელს. ასევე რუსთაველის ფონდის დაფინანსებით მქონდა კვლევითი ვიზიტი ქ. თესალონიკში, საბერძნეთში, არისტოტელის უნივერსიტეტში, რომელსაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. აქვე განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო პროფესორი ვასილო გრამატიკასი, თრაკიის დემოკრიტეს სახელობის უნივერსიტეტიდან, რომელთანაც გავდიოდი კონსულტაციებს საბერძნეთში ვიზიტის დროს.

გამორჩეული მადლობა მინდა გადავუხადო თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორ იორამ დინშტეინს თელ-ავივში შეხვედრისათვის და ჩემს დისერტაციასთან დაკავშირებით სასარგებლო რჩევების მოცემისათვის. აგრეთვე მადლობა იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორ იაელ რონენს, რომელმაც საინტერესო და გამოსადეგი რჩევები მომცა ჩემი სადოქტორო ნაშრომისათვის. განსაკუთრებული მადლობა ასევე პროფესორ იაკუტა არაი ტაკაპაშის კენტის უნივერსიტეტიდან და პროფესორ ვაიო კოუტრულის ბრიუსელის თავისუფალი უნიერსიტეტიდან - ისინი კეთილად შემხვდნენ ბრიუსელში უკუგებისა და რჩევების მოსაცემად.

მადლობას გუხდი ასევე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და მშვიდობის სასახლის ბიბლიოთეკას ქ. ჰააგაში, ნიდერლანდების სამეფოში, სადაც მომეცა საშუალება მცირე ხნის განმავლობაში მომეძიებინა ჩემი დისერტაციისათვის განუზომლად მნიშვნელოვანი მასალები. სპეციალური მადლობა ბატონ ნილს ფონ ტოლს და ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს.

ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციას საქართველოში ბალიან მნიშვნელოვანი და ღირებული წიგნების მოწოდებისათვის. ასევე იმ დაფინანსებისთვის, რომლითაც ხშირად იფარებოდა ჩემი საერთაშორისო ღონისძიებებზე ვიზიტის ხარჯები, რამაც თავისი წვლილი შეიტანა ჩემი

თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებასა და სადოქტორო ნაშრომის მომზადებაში.

დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩემი პირველი მასწავლებლები: ნანა მამუკელაშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩემთვის გახსნილი აზროვნების ჩამოყალიბებაში, მარინა თავართქილაძე, რომელმაც ებრაული ენის საშუალებით დამაკავშირა ისრაელთან და ეს კავშირი სადოქტორო კვლევაზე მუშაობისასაც მომყვება, ასევე ჩემი ინგლისური ენის მასწავლებელი ნანა არჯევანიძე.

სრულყოფილ სპეციალისტად და განსაკუთრებით კი იურისტად ჩამოყალიბებისათვის თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც აუცილებელია. ასეთი უნარები მომცა იმ დაწესებულებებმა და ადამიანებმა, ვისთან ერთადაც მუშაობის პატივი მქონდა დოქტორანტურაზე სწავლის პარალელურად. ამიტომ განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს, კერძოდ პარლამენტის წევრებს ჩიორა თაქთაქიშვილს, აკაკი მინაშვილს, თედო ჯაფარიძეს, ასევე კომიტეტის აპარატის უფროსებს ვასილ ჭყოიძეს (†) და თამარ დვალაძეს; მათი ხელმძღვანელობით მუშაობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და პრივილეგია იყო. მადლობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტს და დეპარტამენტის მაშინდელ უფროსს თეიმურაზ ანთელავას, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე როგორც მენეჯერული უნარების კუთხით, ასევე პიროვნული ურთიერთობების თვალსაზრისითაც. ასევე დიდი მადლობა ყველა ჩემს კოლეგას, რომელთან ერთადაც ოდესმე მიმუშავია.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩემს მეგობარს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მხარში მედგნენ და მამხნევებდნენ, კერძოდ: ირაკლი ნონიკაშვილს, თაკო შუბითიძეს, ავთო ყავრელიშვილს, გიგა გიგაშვილს, ეკა ამირანაშვილს, გვანცა ხიზანიშვილს, ანუკა სტურუას, ქეთინო ერისთავს, რუსიკო ერისთავს, ირაკლი სირბილაძეს, გიორგი ქვარაიას, დავით ჯაიანს, რუსა გერგაულს, ლაშა შაყულაშვილს, დავით ასანიძეს, გიო ჯოლიას, თეოდორ კუტალიას, ნენო გაბელიას, ქეთი სარაჯიშვილს, ირაკლი ცობებიას, მაკო თირქიას, რედენ ვალენსია ლიბოს, ანა წურწუმიაზურაბაშვილს, კირილ სინეგს, ალიონა სინევას, მარიამ ასანიშვილს, გიორგი დვალაძეს, ნინი ფოფხაძეს, მარი კვერნაძეს, ნორა გიგინეიშვილს, მარიანა ნევეშს, ილჩე გეორგიევსკის, მარიტა ტაბატაძეს, ურნა დიდა კუსუმაუატის, ლუსია ბერო პიცაროსას, ტონი პრიმორაკს.

მადლობა ყველა ჩემს ნათესავს, ახლობელს, რომლებიც სულ ინტერესდებოდნენ ჩემი ბედით.

განსაკუთრებული მადლობა ორ ქალბატონს თამარ ერისთავს და ქეთევან ქუთათელაძეს.

ბოლოს, სპეციალური მადლობა ჩემს უსაყვარლეს ოჯახს: მამას (†), დედას, ბაბუას, ბებიას და დას, რომლებიც მუდამ მხარს მიჰერდნენ ყველანაირ წამოწყებაში. მათ გარეშე ჩემი წარმატება ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა.

## Acknowledgments

Pursuing doctoral degree and working on PhD dissertation has not been an easy task for me. Until now, I passed a long way, which would not be possible without those people and organizations, which significantly contributed to my professional and personal development and in this way helped me in paving my way towards here.

First of all I would like to thank my native university – Ivane Javakhishvili Tbilisi State University – where I was formed as a lawyer. Obtaining bachelor, master and doctoral degree from this University has been a great pleasure and huge responsibility at the same time. Only prestige and high academic level of the institution wouldn't be enough if not the professors, who taught me and left inerasable trail in my memory.

With huge respect and appreciation, I'd like to thank my academic supervisor, Professor Keti Khutsishvili, to which I owe not only successful completion of my dissertation, but also invaluable contribution in my professional development. Her teaching methods, interaction style with students, experience, and career always have been an exemplary for me; therefore, it's a great honor for me to obtain PhD degree under Prof. Khutsishvili's supervision.

I should definitely mention and thank distinctively members of the reading committee, who evaluated my dissertation: Professor Levan Alexidze who always tirelessly took care of me. Being a student of Prof. Alexidze has been a privilege and also unbelievable pleasure for me, which I wish many more generations could experience. His knowledge and experience is admirable and glorious for every international lawyer. Also, thanks to Prof. Eka Siradze for her positive feedback and evaluation. Hence, I would like to cordially thank members of the defence commission, Prof. Irine Kurdadze, Prof. David Geperidze and Mr. Shalva Kvinikhidze.

Besides Tbilisi State University, I also would like to specifically thank the University of Groningen, where I spent half of my PhD study, which contributed greatly in progress of my research. With huge respect, I'd like to thank Professor Marcel Brus, whose assistance and feedback on relevant parts of my dissertation appeared to be of invaluable importance for me. Also I'd like to thank European Commission's program Erasmus Mundus - This project funded my research at the University of Groningen, which gave me opportunity to extend my research area and have access to more valuable materials, than it would have been possible in Georgia.

I am exceptionally grateful to the Ministry of Education and Science of Georgia, namely its LEPL Shota Rustaveli National Scientific Foundation, which twice financed my research

projects. This funding allowed me to carry out research for my dissertation in Jerusalem, Israel, at the think-tank Jerusalem Institute of Justice. Hence, I'd like to thank this institute, namely [that time] director of operations Mati Shoshani and research director Doron Peer. Under the grant project of the Rustaveli Foundation I was given opportunity to undertake short-term research in Hamburg, Germany, at the Max Planck Institute for Comparative and Private International Law, which I also want to thank, in particular co-director of the Institute Prof. Holger Fleischer and head of the reading service Ms. Elke Halsen-Raffel. Also, Rustaveli Foundation financially supported my research visit in Thessaloniki, Greece, at the Aristotle University, which I want to thank. Exceptional thank to Prof. Vasiliios Grammatikas from the Democritus University of Thrace, with whom I had consultations during my stay in Greece.

Special thank goes to Professor Yoram Dinstein from the Tel-Aviv University, for having meeting with me in Tel-Aviv and giving useful feedback related to my dissertation. Also I'd like to thank Professor Yael Ronen from the Hebrew University of Jerusalem, who gave me interesting and helpful advices for my PhD thesis. Exceptional thank to Prof. Yakuta Arai Takahashi from the Kent University and Prof. Vaios Koutroulis from the Free University of Brussels – they kindly welcomed me in Brussels offering me feedback and advises.

I am also grateful to the International Court of Justice and the Peace Palace Library in The Hague, Netherlands, where I had opportunity to gather immeasurably important materials for my dissertation during my short-term visit there. Special thank to Mr. Niels van Tol and to the entire staff of the Library.

Moreover, I'd like to thank the International Committee of the Red Cross Delegation in Georgia for furnishing me with very important and valuable books. Also for the funding, which frequently covered my visits to various international events; those visits contributed in deepening my theoretical and practical knowledge and in preparing my doctoral dissertation.

I'd like to commemorate with a huge gratitude and appreciation my first teachers: Nana Mamukelashvili, who played an important role in shaping my open mind; Marina Tavartkiladze, who linked me to Israel via teaching Hebrew language and this link has been following me even up today through working on my dissertation, also thanks to my English language teacher Nana Arjevanidze.

For forming as a real professional and especially lawyer, it is mandatory to have practical skills together with theoretical knowledge. I've gained such skills from the entities and persons, with whom I was blessed to work parallel to my doctoral study. Therefore, I'd like to thank distinctively the Foreign Relations Committee of the Parliament of Georgia, namely members of the Parliament Chiora Taktakishvili, Akaki Minashvili, Tedo Japaridze, also heads of staff of the Committee Vasil Tchkoidze (†) and Tamar Dvaladze; Working under their supervision was a distinct honor and a huge privilege for me. Thank for the Public International Law Department of the Ministry of Justice of Georgia and its former head Teimuraz Antelava, from whom I studied a lot in terms of managerial skills as well as inter-personal relations. Also I'm grateful to all my colleagues, with whom I was delighted to work.

Furthermore, I'd like to thank all my friends, who supported and encouraged me throughout this time, namely: Irakli Nonikashvili, Tako Shubitidze, Avto Kavrelishvili, Giga Gigashvili, Eka Amiranashvili, Gvantsa Khizanishvili, Anuka Sturua, Ketino Eristavi, Rusiko Eristavi, Irakli Sirbiladze, Giorgi Kvaraia, Davit Jaiani, Rusa Gergauli, Lasha Shakulashvili, Davit Asanidze, Gio Jolia, Tedor Kutalia, Neno Gabelia, Keti Sarajishvili, Irakli Tsobekhia, Mako Tirkia, Reden Valencia Libo-on, Ana Tsurtsumia-Zurabashvili, Kiril Sinev, Aliona Sineva, Mariam Asanishvili, Giorgi Dvaladze, Nini Popkhadze, Mari Kvernadze, Nora Gigineishvili, Mariana Neves, Ilche Georgievsky, Marita Tabatadze, Erna Dya Kousumaity, Lucia Berro Pizzarossa, Toni Primorac.

Additionally, thank to all my relatives, who were always interested in my fate.

Special thanks to two ladies – Tamar Eristavi and Ketevan Kutateladze.

And lastly, exceptional thank to my beloved family - to my father (†), mother, grandfather, grandmother and my sister - who have always been standing by me and supported my every single initiative. Without them my success would be completely impossible.

**აბრევიატურების ნუსხა:**

ADL	Anti Defamation League	ანგი ცილისმწამებლური ლიგა
AJIL	American Journal of International Law	საერთაშორისო სამართლის ამერიკული ჟურნალი
AP	Additional Protocol to the Geneva Conventions	ექნევის პონვენციების დამატებითი ოქთი
app	application	განაცხადი
art	article	მუხლი
AWB	Australian Wheat Board	ავსტრალიის ხორბლის საბჭო
AYIL	African Yearbook of International Law	საერთაშორისო სამართლის აფრიკული წლიური
BYIL	British Yearbook of International Law	საერთაშორისო სამართლის ბრიტანული წლიური
CBERN	Canadian Business Ethics Research Network	ბიზნეს ეთიკის კვლევის კანადური ქსელი
CC	Circuit Court [Jerusalem]	[იერუსალიმის] საოლქო სასამართლო
ch	chapter	თავი
Co	Company	კომპანია
Corp	Corporation	კორპორაცია
CPA	Coalition Provisional Authority	კოალიციური მთავრობა

**Table of Abbreviations:**

CSR	Corporate Social Responsibility	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
D	district	ოლქი
doc	document	დოკუმენტი
DOP	Declaration of Principles [Oslo Accord]	პრინციპთა დეკლარაცია [ოსლოს შეთანხმება]
DRC	Democratic Republic of Congo	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა
e.g.	exempli gratia (for example)	მაგალითად
ECHR	Convention on Human Rights and Fundamental Freedoms	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია
ECJ	European Court of Justice	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო
ECtHR	European Court of Human Rights	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ed	edition	გამოცემა
EHRR	European Human Rights Reports	ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები
EJIL	European Journal of International Law	საერთაშორისო სამართლის ევროპული ჟურნალი
et. al	et alia (and others)	და სხვები

GA	United Nations General Assembly	გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა
GC	Grand Chamber of the European Court of Human Rights	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა
GC	Geneva Convention	ჟენევის კონვენცია
GYIL	German Yearbook of International Law	საერთაშორისო სამართლის გერმანული წლიური
HCJ	Israeli Supreme Court	ისრაელის უზენაესი სასამართლო
HR	Hague Regulations	ჰაგულაციები
HRC	United Nations Human Rights Committee	გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტი
HVO	Croatian Defence Council	ხორვატიის თავდაცვითი საბჭო
ICC	International Criminal Court	სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
ICCPR	International Covenant on Civil and Political Rights	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ
ICESCR	International Covenant on Economic Social and Cultural Rights	საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ

ICJ	United Nations International Court of Justice	გაერთიანებული ერების მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო
ICL	International Criminal Law	საერთაშორისო სისხლის სამართალი
ICLQ	International Criminal Law Quarterly	საერთაშორისო სისხლის სამართლის კვარტლური
ICRC	International Committee of the Red Cross	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
ICTY	International Criminal Tribunal for Former Yugoslavia	ყოფილი იუგოსლავიის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი
id	ibid	იქვე
IDF	Israeli Defence Forces	ისრაელის თავდაცვითი ძალები
IHL	International Humanitarian Law	საერთაშორისო პუმანიტარული სამართალი
IHRL	Human Rights	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი
ILC	International Law Commission	საერთაშორისო სამართლის კომისია
ILM	International Legal Materials	საერთაშორისო სამართლის მასალები

IMT	International Military Tribunal	საერთაშორისო სამსედრო ტრიბუნალი
IRRC	International Review of the Red Cross	წითელი ჯვრის საერთაშორისო გამოცემა
IYHR	Israel Yearbook of Human Rights	ადამიანის უფლებათა ისრაელის წლიური
LOAC	Law of Armed Conflict	შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი
LRTWC	Law Reports of Trials of War Criminals	ომის დამნაშავეთა სასამართლო პროცესების ანგარიშები
Ltd	Limited	შპს
MNE	Multi National Enterprise	მულტი ეროვნული კომპანია
n	note	სქოლით
NLC	Israeli Labour Court	ისრაელის შრომის სასამართლო
no	number	ნომერი
NSA	Non State Actor	არასახელმწიფოებრივი დაჯგუფება
NSDAP	National Socialist German Workers' Party (Nazi)	გერმანიის ნაცისტური პარტია
NYIL	Netherlands Yearbook of International Law	საერთაშორისო სამართლის ჰოლანდიური წლიური

ODIHR	[OSCE] Office of Democratic Institutions and Human Rights	[ეუთო] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი
OHCHR	United Nations Office of High Commissioner on Human Rights	გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი
OPT	Occupied Palestinian Territories	ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიები
ORD	order	ბრძანება
OSCE	Organization of Security and Cooperation in Europe	ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
OT	Occupied Territory	ოკუპირებული ტერიტორია
p	page	გვერდი
PA	Palestinian Authority	პალესტინური ავტონომია
para	paragraph	აბზაცი
PCIJ	Permanent Court of International Justice	მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლო
PD	Piskei Din (Israel)	ისრაელის სასამართლოს გამოცემები
PLC	Palestinian Legislative Council	პალესტინის საკანონდებლო საბჭო
PLO	Palestinian Liberation	პალესტინის

	Organization	განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია
RDTAM	Reports of the German-Belgian Mixed Arbitral Tribunal Awards	გერმანულ-ბელგიური ერთობლივი საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა კრებული
reg	regulation	რეგულაცია
rep	reports	ანგარიშები
res	resolution	რეზოლუცია
SC	United Nations Security Council	გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო
sec	section	ნაწილი
SRSG	Special Representative of the Secretary General of the United Nations	გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სპეციალური მომხსენებელი
SS	Schutzstaffel	ნაცისტური თავდაცვის კორპუსი
supp	supplement	დანართი
TNC	Trans National Corporation	ტრანს ნაციონალური კორპორაცია
TRNC	Turkish Republic of Northern Cyprus	ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა
UDHR	Universal Declaration of	ადამიანის უფლებათა

	Human Rights	საყოველთაო დეკლარაცია
UK	United Kingdom of Great Britain and Northern Ireland	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
UKHL	United Kingdom House of Lords	დიდი ბრიტანეთის პარალენტის ლორდთა პალატა
UN	United Nations	გაერთიანებული ერები
UNMIK	United Nations Mission in Kosovo	გაერთიანებული ერების მისია კოსოვოში
UNTAET	United Nations Transitional Administration in East Timor	გაერთიანებული ერების გარდამავალი ადმინისტრაცია აღმოსავლეთ ტიმორში
US	United States of America	ამერიკის შეერთებული შტატები
USFM	United States Field Manual	შეერთებული შტატების სავალე სახელმძღვანელო
USMT	United States Military Tribunal	ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ორიბუნალი
v	versus	წინააღმდეგ
vol	volume	ტომი
WCR	War Criminals Report [Nuremberg]	ომის დამნაშავეთა ანგარიშები [ნიურმბერგი]

Y LJ

Yale Law Journal

იქლის სამართლის ურნალი

ა.ქ.

ასე შემდეგ

აშშ

ამერიკის შეერთებული  
შტატები

გაერო

გაერთიანებული ერები

გვ.

გვერდი

დაახლ.

დაახლოებით

იხ.

იხილეთ

მაგ.

მაგალითად

მუხ.

მუხლი

სხვ.

სხვა

შეად.

შეადარეთ

## შესაგალი

საერთაშორისო სამართლის მიხედვით ოკუპაცია ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ კონცეფციის ასახავს. ერთი მათგანი ოკუპაციას განიხილავს, როგორც *terra nullius* ტერიტორიაზე უფლების მოპოვების მეთოდს, ხოლო ოკუპაციის ცნების მეორე დეფინიცია გულისხმობს ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციას.<sup>1</sup> მოცემული ნაშრომის მიზნებისათვის, ოკუპაციას ექნება მხოლოდ მეორე მნიშვნელობა, ანუ კვლევაში მოხსენიებული ტერმინი “ოკუპაცია” გულისხმობს მხოლოდ სამხედრო ოკუპაციას.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ეპოქაში ოკუპაციის სამართლი სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იღებს. მეორე მსოფლიო ომის დროს ყველაზე საშინელი დანაშაულები სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდებოდა. ომის შემდგომი პერიოდიდან დღემდე არსებული ოკუპაციის პრაქტიკა ცხადყოფს თუ რაოდენ აქტუალურია ოკუპაციის სამართლის სწორი გამოყენება თანამედროვე ეპოქაშიც.

რიგ შემთხვევაში ტერიტორიაზე უცხოელი ჯარის ყოფნას არანაირი საერთაშორისო სამართლებრივი გამართლება არ მოექენება, ზოგში კი ოკუპაცია შეიძლება კანონიერი თავდაცვის უფლების გამოყენების შედეგად მოხდეს. ხანდახან, კი შესაძლებელია უცხოური ოკუპაციის რეჟიმი დაწესდეს გაერთიანებული ერების<sup>2</sup> უშიშროების საბჭოს მანდატით.<sup>3</sup> ნებისმიერ შემთხვევაში ოკუპაციის სამართლის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს პრინციპი, რომ ოკუპაციის მოტივს არ აქვს არანაირი მნიშვნელობა ოკუპაციის სამართლის ნორმების გამოყენებასთან. შეიარაღებული კონფლიქტის სამართლი, რომლის ნაწილიცაა ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი, მოქმედებს იმის დამოუკიდებლად, ძალის გამოყენება კანონიერია თუ არა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.<sup>4</sup>

ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ვიწრო დარგია, რომელიც აწესრიგებს ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციასთან დაკავშირებულ წესების ერთობლიობას.<sup>5</sup> აღნიშნული ერთობლიობა მოიცავს ოკუპაციის დამყარების, ოკუპაციის შენარჩუნების,

<sup>1</sup>Chinkin, C. *Laws of Occupation in Botha, N., Olivier, M., van Tonder, D. (eds.) Multilateralism and International Law with Western Sahara as a Case Study* (collection of conference papers. conference held in Pretoria, South Africa 4-5 December, 2008) Pretoria, 2010, p.167.

<sup>2</sup>გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ნაშრომში შემდგომში მოხსენიებული იქნება ასევე, როგორც “გაერთიანებული ერები” ან “გაერო”, რადგან ორგანიზაციის სახელწოდება მის ოფიციალურ ენებზე სხვადასხვაგვარად ჟღერს, იხ. ორგანიზაციის ვებ-გვერდი: <http://www.un.org/> [ზოლოს ნანახია 07.04.2016].

<sup>3</sup>Gasser, H.P. *Notes on the Law on Belligerent Occupation* in The Military Law and the Law of War Review, vol.1-2, 2006, p.229.

<sup>4</sup>ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალსა და შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის ურთიერთმიმართების შესახებ დეტალურად იხ. Blank, L.R., Noone, G.P. *International Law and Armed Conflict: Fundamental Principles and Contemporary Challenges in the Law of War*, New York, 2013, pp.15-26.

<sup>5</sup>Ibid, pp.169-170.

ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისა და ოკუპაციის დასრულების შესახებ არსებულ კანონებსა და ჩვეულებებს.<sup>6</sup>

წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მხოლოდ ერთ კონკრეტულ ასპექტს – ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებას და ამ მხრივ იკვლევს ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს, როგორც ოკუპირებული ტერიტორიების მართვის ასევე ამ ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობის მოპყრობის კუთხით.

საკვლევი კითხვა შემდეგია – დღესდღეობით არსებული ოკუპაციის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა აწესრიგებს თუ არა ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს და ამ მხრივ დეტალურად განსაზღვრავს თუ არა ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს? თუკი დადგინდება, რომ დღეისათვის მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა დიად ტოვებს ოკუპირებული ტერიტორიების მართვის გარკვეულ საკითხებს, მაშინ საერთაშორისო სამართლის რომელი დარგიდან “გადმოტანილი” ნორმებით უნდა მოხდეს არსებული “ღია ხვრელების” შევსება და რა მასშტაბით? მეორეს მხრივ, ნაშრომი ასევე პასუხობს უფრო ზოგად საკვლევ შეკითხვასაც, კერძოდ, რამდენად ადექვატურია დღეს მოქმედი ოკუპაციის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა და ასახავს თუ არა არსებულ რეალობას, პასუხობს თუ არა ოკუპაციის სამართლის თანამედროვე გამოწვევებს და საჭიროებს თუ არა მოდიფიკაციას?

სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის თანამედროვე ძირითადი გამოწვევად საოკუპაციო პრაქტიკის მორგება ოკუპაციის სამართლის წყაროებთან. იმდენად რამდენადაც, ოკუპაციის სამართლის ძირითადი წყაროები მიღებულია საუკუნეზე მეტი წელის წინ, თანამედროვე საოკუპაციო პრაქტიკა მნიშვნელოვნად გასცდა ოკუპაციის იმდროინდელ გაგებას, შესაბამისად საჭირო ხდება სხვა დარგობრივი ნორმების გადმოტანა და მათი ადაპტირება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლოთან. მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ოკუპაციის შემთხვევებმა ცხადყო რომ არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა არ მიყვება თანამედროვე პრაქტიკას, რამაც განაპირობა ოკუპაციის სამართალში გარკვეული დაურეგულირებელი საკითხების წარმოშობა ან უკვე რეგულირებული საკითხების მოდიფიცირების აუცილებლობა. ვინაიდან ამჟამინდელ პერიოდამდე რაიმე საერთაშორისო ფორუმზე არ ყოფილა განცხადებული, რომ უახლოეს მომავალში იგეგმებოდეს ოკუპაციის სამართლის ძირეული გარდაქმნა და ადაპტაცია, ამიტომ გამოიყენება საერთაშორისო სამართლის სხვა მომიჯნავე დარგები (მაგ. როგორიცაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თვითგამორკვევის საერთაშორისო სამართალი ა.შ.) რათა „შეივსოს“ ის

<sup>6</sup> ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროს შესახებ დეტალურად იხ. Arai-Takahashi, Y. *The Law of Occupation: Continuity and Change of International Humanitarian Law, and its Interaction with International Human Rights Law*, Leiden, Boston, 2009, pp.4-24.

დანაკლისი რაც გამოწვეულია ოკუპაციის სამართლის ადრინდელი წყაროებისა და ოკუპაციის თანამედროვე პრაქტიკის ერთმანეთისაგან აცილებით.

მოცემული ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია რაც შეიძლება ფართოდ და დეტალურად იქნას მეცნიერულ დონეზე განხილული და გაანალიზებული ყველა ის ხარვეზი თუ სიცარიელე, რაც ოკუპაციის საერთაშორისო სამართლში არსებობს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლების კუთხით და განხილულ იქნეს ამ საკითხების მოგვარების შესაძლო გზები აკადემიურ ჰრილში.

ამ მიზნის მისაღწევად, ნაშრომის შესაბამისი თავები კონცენტრირებულია ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების კვლევაზე, რომელიც ან საერთოდ არ არის ან არასაკმარისად არის რეგულირებული ოკუპაციის თანამედროვე სამართლით.

ნაშრომში მოცემული მიგნებები ემყარება როგორც მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, ასევე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ პრაქტიკასა და მეცნიერთა მოსაზრებებს. თემის მიზნებისათვის, განსახილვები საკითხების ირგვლივ გადმოცემულია რაც შეიძლება მეტი პოზიცია და არგუმენტაცია და განსაკუთრებით სადაც საკითხებთან მიმართებით გაკეთებული მიგნებები არაა აბსოლუტური ხასიათის და ემყარება კონკრეტული პოზიციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აზრების ბალანსის შედეგად შეჯერებულ დასკვნებს.

ნაშრომი ზოგადი ხასიათისაა და მოიცავს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლების ფაქტობრივად ყველა სპეციალისტის. გარდა ამისა, თემა ეხება ისეთ საკითხებსაც, რომელიც პირდაპირ კავშირში არაა ოკუპანტი ძალის მიერ დაკავებული ტერიტორიების მართვასთან, მაგრამ ოკუპაციის საერთაშორისო სამართლებრივი პროცედურის და ასეთი საკითხების სამართლებრივი რეგულირება ოკუპირებული ტერიტორიების ჯეროვანი ადმინისტრირებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

## ნაშრომის სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან და სტრუქტურულია შემდეგნაირად:

- (1) 1-ლი თავი ეხება ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების საერთაშორისო სამართლებრივ რეჟიმს. მოცემული თავი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კვლევის მიზნებისათვის აუცილებელია პირველ რიგში განისაზღვროს ის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმატიული ბაზა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლების დადგენა და მისი შესაძლო ქმედებების კანონიერების შეფასება. ამ მხრივ, ნაშრომში გადმოცემულია მსჯელობა

რომ ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი კომპლექსური დარგია და მისი წყაროები აერთიანებს, როგორც სახელშეკრულებო ისე ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, აგრეთვე სამართლის ზოგად პრინციპებს, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და ე.წ. “რბილი სამართლის” ნორმებს. სპეციალური ხაზგასმაა გაკეთებული გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მნიშვნელობაზე ოკუპაციის სამართლის წყაროების კუთხით და მოცემულია დაშვება - არის თუ არა გაერთიანებული ერების წესდების მე-7 თავის საფუძველზე მიღებული რეზოლუციები ოკუპაციის სამართლის დამოუკიდებელი წყარო და თუ არის შესაძლებელი ამ რეზოლუციებმა გადაუხვიოს არსებული სამართლებრივი ჩარჩოდან და დაადგინოს ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების განსხვავებული ფარგლები, ვიდრე ეს იმ “მყარი სამართლის” ნორმებითაა გათვალისწინებული, რაც ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებას არეგულირებს.

(2) მე-2 თავი შეიძლება ითქვას მოცემული ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან ის დეტალურად მიმოიხილავს ოკუპანტი ძალის ყველაზე მთავარ ვალდებულებას – ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ ვალდებულების შესრულებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები საკმაოდ ფართოა, ხოლო მისთვის დაწესებული შეზღუდვები კი ბუნდოვანი, რაც ხანდახან ოკუპანტი ძალის მხრიდან ბოროტად არის ხოლმე გამოყენებული. კვლევა ფართოდ განიხილავს ოკუპირებული ტერიტორიის მართვისას საჯარო წესრიგის შენარჩუნებისათვის დაშვებულ უფლებამოსილების ფარგლებსა და დაწესებულ შეზღუდვებს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია განგრძობითი მშვიდობის შენარჩუნება, ამიტომ ნაშრომის მე-2 თავი ასევე ვრცლად იკვლევს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობისა და ამგვარი წინააღმდეგობის ძალისმიერი მეთოდით გამჭვალების შესაძლებლობის საკითხს. ამ კონტექსტში კვლევაში გაანალიზებულია სამხედრო აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპები და საკითხი – ოკუპაციის დროს, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპი იმავე შინაარსით მოქმედებს, როგორც ზოგად საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებში, თუ ოკუპაციის სპეციალური კონტექსტიდან გამომდინარე ეს პრინციპებიც განსხვავებულ კონტაციას იღებს? იმდენად რამდენადაც, ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნება ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრების მიზანს, მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს თუ ვინ არიან ამ მიზნის შედეგად მიღებული სამართლებრივი სიკეთის ბენეფიციარები და რა მასშტაბით იღებენ ისინი ამ სარგებელს, ამიტომ, ნაშრომი ცალკე ქვეთავად გამოყოფს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის სტანდარტს, კერძოდ განხილულია იმ სამოქალაქო მოსახლეობის ცნება, რომელიც ოკუპაციის სამართლის მიზნებისათვის სარგებლობენ დაცვით, ხოლო შემდგომ დეტალურადაა გაანალიზებული თუ რა სახის ზოგადი და განსაკუთრებული დაცვის სტანდარტი ვრცელდება მათზე ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების კონტექსტში. ამ მსჯელობის შემდეგ, ნაშრომის მე-2 თავი

გვთავაზობს კვლევის მიგნებების მორგებას კონკრეტულ მაგალითზე, კერძოდ ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე დამცავი ბარიერის შენების პრაქტიკაზე.

(3) მას შემდეგ რაც დგინდება ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საკითხში, კვლევა მიმოიხილავს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტს, კერძოდ ნაშრომის მე-3 თავი ეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ საკანონმდებლო და სასამართლო სისტემას. საკანონმდებლო სისტემის ნაწილში, თემა ორიენტირებულია იმ შიდა სამართლებრივი სისტემის იდენტიფიცირებაზე, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამგვარი ეროვნული სამართლებრივი სისტემის დადგენა აუცილებელია იმისათვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ სასამართლოებს ჰქონდეთ ის შიდა სამართლებრივი ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ სამართლებრივი ურთიერთობებისას წარმოშობილი ნებისმიერი დავის მოგვარებისათვის. რაც შეეხება უშუალოდ სასამართლოებს, კვლევა განიხილავს ოკუპაციის დროს მოქმედ ყველა შესაძლო სასამართლო სისტემას და ამ მხრივ წარმოაჩენს სხვადასხვა ოკუპაციის კონტექსტში არსებულ არაერთგვაროვან პრაქტიკას, რაც თავის მხრივ მიუთითებს ამ სფეროში ოკუპაციის სამართლის ერთგვარ ნაკლოვანებაზეც.

(4) ნაშრომის მეოთხე თავი იკვლევს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ ადამიანის უფლებათა რეჟიმს, რაც პირდაპირ კავშირშია ტერიტორიის ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებთან. აღსანიშნავია, რომ მოცემულ თავში ყურადღება მახვილდება არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ ზოგად რეჟიმზე, არამედ ადამიანის უფლებების იმ კონკრეტულ ასპექტზე, რაც დაკავშირებულია დარღვევის შემთხვევებში წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან. ამ მხრივ კვლევა მნიშვნელოვან მიგნებას აკეთებს ოკუპირებული ტერიტორიის “საზიარო კონტროლის” საკითხზე, კერძოდ რა ხდება მაშინ როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიას ზოგადად აკონტროლებს ოკუპანტი ძალა, ხოლო ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ეფექტიან კონტროლს ადგილობრივი ხელისუფლება ინარჩუნებს. ამ საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას არ შეიცავს ოკუპაციის სამართალი, აქედან გამომდინარე ნაშრომი მიუთითებს, რომ საკითხი მთლიანად ადამიანის უფლებათა სამართლის ჭრილში უნდა დარეგულირდეს. ოკუპირებული ტერიტორიის საზიარო კონტროლის საკითხი კვლევაში მიბმულია არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევისათვის. ამ მხრივ ნაშრომში ახლებური მიღგომებია გამოყენებული, რაც ცალსახად სცდება ოკუპაციისა და სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საერთაშორისო სამართლის ფარგლებს და მთლიანად ადამიანის უფლებათა სამართლის განზომილებაში გადადის. მე-2 თავში მოყვანილი თეორიული მსჯელობა გამყარებულია პრაქტიკული მაგალითით და განხილულია ოკუპირებულ

პალესტინურ ტერიტორიებზე მოქმედი არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შესაძლო საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დაჯგუფებების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევისათვის.

(5) ნაშრომის მიზნებისათვის ცალკე კვლევაა ჩატარებული სამხედრო ოკუპაციის დროს საკუთრების უფლების დაცვაზე. ეს პირველ რიგში გამოწვეულია ოკუპაციის სამართალში მისი განვითარების პირველივე ეტაპიდან ამ საკითხის ფართო რეგულირებით, ხოლო მეორეს მხრივ, იმის შესამოწმებლად რამდენად ადექვატურად ასახავს ოკუპაციის სამართლის საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი ნორმები დღევანდელ რეალობას და ხომ არ გამოიგვეთა მოდიფიცირების საჭიროება. ამ მხრივ, ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული იმ სამართლებრივ ჩარჩოზე, რომელიც არეგულირებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო საკუთრების დაცვის საკითხს და სწორედ ამ სამართლებრივი ბაზის განსაზღვრის შედეგად ხდება ოკუპანტი ძალის მიერ კერძო საკუთრების მოპყრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების ფარგლების დადგენა, რადგან ეს უფლებამოსილება გადმოცემულია სწორედ ზემოთ აღნიშნულ სამართლებრივ ნორმებში. მე-5 თავი ასევე მიმოიხილავს ოკუპაციის დროს კერძო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართლს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან. ნაშრომში განხილული საქმეები ეხება კერძო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსში არსებულ პრაქტიკას, რომელიც გარკვეულწილად ახალ მიდგომებს აყალიბებს, რითაც ხდება ოკუპაციისას საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი ნორმების დაზუსტება, შექსება და დეტალიზაცია.

(6) სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო ეკონომიკურ სამართალს<sup>7</sup> ეხება ნაშრომის მე-6 თავი, რომელიც ვრცლად მიმოიხილავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბიზნეს საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას. იმდენად რამდენადაც ოკუპაციის დროს კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები თითქმის სრულად და ამომწურავადაა რეგულირებული ოკუპაციის სამართლის წყაროებით, სხვა კერძო სამართლებრივი საკითხები, მაგ. როგორიცაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე კომერციული კომპანიების აქტივობები, საერთოდ არაა მოწესრიგებული არც თვალისწილის საერთაშორისო სამართლით და არც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, თუმცა თითოეული ეს დარგი მაინც შეიცავს ზოგიერთ დებულებას, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფართო მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების გასავითარებლად. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბიზნეს საქმიანობის წარმართვა არის ტერიტორიის ადმინისტრირების ისეთი საკითხი, რომელიც მთლიანად უნდა დარეგულირდეს კომპლექსური მიდგომით, კერძოდ ამ სფეროში ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლების შესამოწმებლად საჭიროა როგორც

<sup>7</sup> ტერმინს “სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი” პირველად ვხვდებით ფილჩენდერდოფთან, იხ. Feilchenfeld, E.H. *The International Economic Law of Belligerent Occupation*, Washington, 1942.

უშუალოდ ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის, ასევე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებების, საერთაშორისო სისხლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების ერთობლიობაში გამოყენება. კვლევა პირველ რიგში მიმოიხილავს იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბიზნეს საქმიანობის კანონიერებას, ამის შემდეგ მოცემული თავი დეტალურად განიხილავს სახელმწიფოთა და პირთა (როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ) შესაძლო საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას ამგვარი ბიზნეს საქმიანობით გამოწვეული ზიანისათვის და ამ მხრივ კვლევა მნიშვნელოვან მიზნებებს გვთავაზობს, რომელთა პრაქტიკაში გამოყენება გამოსადეგია როგორც უშუალოდ ოკუპანტი ძალისათვის, ასევე სხვა ბიზნეს აქტორებისა და ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობისთვისაც.

(7) ნაშრომის ბოლო, მე-7 თავი ეხება ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემურ ასპექტებს. ეს თავი კონტექსტუალურად განცალკევებულია დანარჩენი ექვსი თავისაგან და აერთიანებს სამ დამოუკიდებელ საკითხს, რომელიც მოცემული ნაშრომის ავტორის აზრით არ იფარება არც-ერთი მანამდე განხილული თემით, არც პირდაპირ შემხეობაშია ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ოკუპანტის უფლებამოსილების ფარგლებთან, მაგრამ თავისი არსითა და სამართლებრივი მნიშვნელობით აუცილებელია წინამდებარე კვლევაში ამ საკითხების განხილვა.

ნაშრომის მე-7 თავი დეტალურად განიხილავს ოკუპაციისას ტერიტორიის კონტროლის სხვადასხვა სტანდარტს. ტერიტორიული კონტროლის ხარისხი, რომელიც ოკუპაციის განუყოფელი ნაწილია,<sup>8</sup> ოკუპაციის ფაქტის დადგენისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტერიტორიის ადმინისტრირებისათვის, მაგრამ იმდენად, რამდენადაც წინამდებარე კვლევის მიზანია ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლების დადგენა, საჭიროა ამავე ნაშრომში განიხილებოდეს ტერიტორიული კონტროლის საკითხი, რადგან მკაფიოდ განისაზღვროს როდის ეძლევა ოკუპანტ ძალას ტერიტორიის ადმინისტრირების ის უფლებამოსილება, რომლის ფარგლების დადგენაც მოცემული თემის უმთავრესი მიზანია.

აღნიშნული თავის მეორე ნაწილი ეხება ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების ერთ კონკრეტულ საკითხს – ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ სამოქალაქო დასახლებებს, მათ შესაბამისობას ოკუპაციის საერთაშორისო სამართალთან და დეოკუპაციის შემდგომ ასეთი დასახლებების დაშლისა და მასში მცხოვრები პირების გაძევების საკითხს. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის გადმოსახლებისა და დასახლებების შექმნის კანონიერება საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ჭრილში, ასევე საუბარია ასეთ დასახლებებში მოქმედ

<sup>8</sup> ოკუპაციისას ტერიტორიის კონტროლის შესახებ დეტალურად იხ. Dinstein, Y. *The International Law of Belligerent Occupation*, Oxford, 2009, pp.42 et. al.

სამართლებრივ რეჟიმზე და ითვალისწინებს თუ არა საერთაშორისო სამართალი ამგვარი დასახლებების კანონიერად აღიარებას რაიმე გარემოებების არსებობისას. იმდენად რამდენადაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ამ საკითხს არ აწესრიგებს, მოცემულ ქვეთავეში ვხვდებით მსჯელობას, რომელიც დასახლებების პოსტ-ოკუპაციური პერიოდის შესაძლო ბედს იხილავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჭრილში, კერძოდ რამდენად არის გამართლებული ადგენილი სუვერენის მიერ ოკუპაციის პერიოდში შექმნილი დასახლებების დაშლა გაერო-სა და ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის მიხედვით.

მე-7 თავის ბოლო ნაწილი კი ეხება ოკუპაციის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ “ავტორიზებული” ოკუპაციის პირობებში, ტერიტორიის ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს. ვრცლად არის განხილული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილების ფარგლები თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, რის შემდეგაც საუბარია საბჭოს მიერ ე.წ. “ტრანსფორმაციული” ოკუპაციის დასაშვებობაზე და მაგალითად მოყვანილია ერაყის 2003-2004 წლის ოკუპაცია, რომელიც უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით იქნა განმტკიცებული. ქვეთავეში გაანალიზებულია ამგვარი [ტრანსფორმაციული] ოკუპაციის შესაბამისობა კლასიკური გაგების ოკუპაციასთან და მოყვანილია მსჯელობა რამდენად კანონიერია უშიშროების საბჭოს მიერ ოკუპაციის სამართალში არსებული მიდგომების ad hoc შეცვლა და მორგება კონკრეტული ოკუპაციის კონტექსტშე. ბოლოს ნაშრომი მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა საკითხს გაერო-ს მიერ სანქცირებული ოკუპაციისას, კერძოდ ერაყში არსებული პრაქტიკისა თუ ამ პრაქტიკიდან წარმოშობილი სასამართლო დავების საფუძველზე განხილულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევისათვის წარმოშობილი საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. საკვლევი შეკითხვაა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მანდატირებული ოკუპაციის დროს მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევისათვის ვინ აგებს პასუხს, გაერთიანებული ერები, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, თუ ოკუპანტი ქვეყნები, რომელთაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ დაევალათ ტერიტორიის მართვა ოკუპაციის სამართლისა და საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების ფარგლებში.

### მეთოდოლოგია:

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იყო ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თეორიული ანალიზისა და სხვადასხვა დროს მომხდარი ან მიმდინარე ოკუპაციის პრაქტიკის გაერთიანების შედეგად წარმოებული კომბინირებული კვლევა.

კვლევის მიზანი იყო როგორც სამართლებრივი ასპექტების განხილვა, ასევე ამ ასპექტების შედარება განვლილ თუ არსებულ პრაქტიკასთან. პრაქტიკის კუთხით ნაშრომში გამოყოფილია რამდენიმე ოკუპაცია, როგორც თვალსაჩინო მაგალითით. სხვადასხვა თავში, *case study*-ის სახით მოყვანილია მაგალითები როგორც პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი ოკუპაციიდან, ასევე თანამედროვე პრაქტიკიდანაც, კერძოდ, ჩრდილოეთ კვიპროსის, პალესტინის ტერიტორიების, ერაყის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე აფხაზეთის (საქართველო), სამხრეთ ოსეთის (საქართველო), მთიანი ყარაბაღისა (აზერბაიჯანი) და ყირიმის (უკრაინა) ოკუპაციიდან. ჩამოთვლილი მაგალითებიდან, ყველაზე ხშირად მითითებაა გაკეთებული პალესტინური ტერიტორიების ოკუპაციაზე, იმდენად რამდენადაც ამ ოკუპაციის პრაქტიკა ყველაზე მდიდარია სამართლებრივი ნორმებისა თუ სასამართლო გადაწყვეტილებების კუთხით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მითითება, რომელიც ნაშრომში გაკეთებულია რომელიმე ოკუპაციაზე არ გულისხმობს ამ კონკრეტულ კონტექსტზე დაყრდნობით ზოგადი მიღვომების მიღების მცდელობას, არამედ პირიქით, ნაშრომში მოცემული მაგალითების მიზანია ოკუპაციის სამართალში არსებული ზოგადი მიღვომების კონკრეტიზაცია, დაზუსტება და მკითხველისათვის უფრო გასაგებად წარმოჩენა.

### გამოყენებულ წყაროთა ტიპები:

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა შემდეგი სახის წყაროები:

- სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულები, საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებზე მეცნიერული კომენტარების სახით შექმნილი წიგნები;
- სტატიები, სამეცნიერო პუბლიკაციები, საერთაშორისო კონფერენციების მასალები, ელექტრონული რესურსები;
- სასამართლო საქმეები, რომელიც მოიცავს როგორც მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოების, ასევე *ad hoc* ტრიბუნალებისა (მათ შორის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მოკავშირეთა მიერ შექმნილი სამხედრო ტრიბუნალები) და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკას;
- სხვა საერთაშორისო სასამართლო ორგანოების ან არბიტრაჟების სასამართლო პრაქტიკა;
- ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სხვა მომიჯნავე დარგებისათვის რელევანტური საერთაშორისო დოკუმენტები (როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებები, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები);

ვ) ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ყველაზე გამოჩენილი და აღიარებული მკვლევარებისა და მეცნიერების მოსაზრებები, რომელიც მოპოვებული იქნა ავტორის მიერ სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებში განხორციელებული სამეცნიერო კიზიტების ფარგლებში.

### **მითითების სტილი:**

ნაშრომში გამოყენებული ყველა მასალა სათანადოდაა მითითებული სქოლიოს სახით. სქოლიოს საერთო გაფორმება შესაბამისობაშია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედ აკადემიური წერის სტანდარტებთან. სასამართლო გადაწყვეტილებები მითითებულია ისე, როგორც ეს უშუალოდ გადაწყვეტილებაშია მოთხოვნილი, ხოლო ისეთი განაჩენები, რომელიც თავად არ ადგენს მითითების სტილს, ნაშრომში მოცემულია მაქსიმალურად ერთნაირად, საქმის სახელწოდებისა და დამატებითი მაიდენტიფიცირებელი ნიშნის დართვით (მაგ. როგორიცაა განაცხადის ნომერი, გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და სხვ.). იმ შემთხვევაში თუ ნაშრომში გამოყენებული რომელიმე გადაწყვეტილების ორიგინალი არაა ხელმისაწვდომი, სქოლიოში შესაბამისი მითითებაა გაკეთებული თუ სად შეიძლება აღნიშნული ნაწყვეტის მოძიება. როდესაც გამეორებულია მონოგრაფია, სტატია თუ ნაშრომთა კრებული, შესაბამის სქოლიოში მითითებულია ავტორის გვარი, შემდეგ იმ სქოლიოს ნომერი, სადაც პირველად მიეთითა მოცემული ნაშრომი და შემდეგ გვერდის ნომერი; ამავე სახით არის გაკეთებული სასამართლო გადაწყვეტილებების განმეორებით მითითებაც, ხოლო ყველა სხვა სახის წყაროს განმეორებითი მითითების შემთხვევაში შესაბამის სქოლიოში კეთდება აღნიშვნა მხოლოდ იმ სქოლიოსი, რომელშიც პირველად მიეთითა მოცემული წყარო და შემდგა გვერდის ნომერი.

ნაშრომზე თანდართულია კვლევის დროს გამოყენებული ყველა მასალა, ასევე ავტორის განცხადება პლაგიატის შესახებ.

### **სამიზნე ჯგუფი:**

წინამდებარე ნაშრომის სამიზნე ჯგუფი საკმაოდ ფართოა და მოიცავს პირთა რამდენიმე წრეს: პირველ რიგში იგი გამიზნულია ოკუპაციის სამართლისა და ზოგადად საერთაშორისო სამართლის მკვლევართათვის, სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის და პრაქტიკოსი იურისტებისათვის. გარდა ამისა, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ის ასევე მნიშვნელოვანია ერთის მხრივ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობისთვისაც, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ან სცდიან უცხოური სამხედრო ოკუპაციის ტვირთს, ხოლო, მეორეს მხრივ, ნაშრომი გამოსადეგია ასევე იმ მთავრობებისათვის და სასამართლო

ორგანოებისათვის, რომელთა სახელმწიფოებიც სხვადასხვა მიზეზით ახორციელებენ უცხო ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციას.

კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყარო იქნება ამ დარგით დაინტერესებული პირებისათვის საქართველოში, რამდენადაც სასწავლო თუ სხვა სახის სამეცნიერო მასალა ქართულ ენაზე სამართლის ამ დარგში ძალზე მწირია.

## Introduction

Under international law the term “occupation” implies two dissimilar meanings. One of them considers occupation as a method of obtaining title over *terra nullius* territory, while the other definition entails belligerent occupation of the concerned territory. For the purposes of the present Thesis, occupation shall be applied only under the second meaning, namely, hereinafter the term “occupation” refers solely to the *belligerent occupation*.

In contemporary international law era, the law of occupation becomes more and more important. During the Second World War, the most severe atrocities occurred in occupied territories. State practice in the aftermath of WWII up to present demonstrates the importance of right application of occupation law in modern times.

In some instances, presence of foreign military troops in the concerned territory has no justification under international law, while in other cases, occupation may occur as a consequence of exercise of legitimate right of self-defence. Sometimes, foreign occupation may be established under the UN Security Council mandate. In any event, the standpoint of the law of occupation is the following principle – the motive of the particular occupation does not have implications on application of the norms of occupation law. The law of armed conflict, part of which is the law of occupation, is applicable notwithstanding the legality of the use of force under international law.

The international law of belligerent occupation is a specific branch of international humanitarian law, which provides set of rules dealing with the military occupation of the territory. This set fuses laws and customs related to the commencement and maintenance of occupation, administration of occupied territories and termination of occupation.

The present Thesis analyses only one aspect of the international law of belligerent occupation, namely administration of occupied territories and in this regard research is concentrated on the scope of authority of occupying power related to the governing of occupied territories as well as providing proper treatment to the civilian population living in these territories.

The research questions stand as following – does the existing normative base of the international law of occupation regulate all aspects of the administration of occupied territories and in this regard determine clear and detailed scope of authority of the occupying power? If it is found that the applicable international law leaves *lacunas* in some issues related to the administration of occupied territories, then norms of which branches of

international law should be “imported” into the law of occupation in order to fill “gaps”? From the other hand, the research also elaborates on more general question, namely to what extend applicable international law of belligerent occupation is adequate and if it reflects existing realm or responds sufficiently to the contemporary challenges of occupation law and does it need modification or improvement?

The central challenge of the international law of belligerent occupation is the adjustment of modern occupation practice to the sources of the occupation law. As far as the key sources of the occupation law were adopted more than century ago, current occupation practices significantly went beyond the meaning by which occupation was perceived at that time; therefore the need arises to transpose norms from other branches of law and adapt them to the international law of occupation. Cases of occupation emerged after the WWII clearly showed that existing law has not been pursuing the contemporary practice, which caused the materialization of unregulated issues in the occupation law and the necessity of modifications in existing norms. As long as, by far, none of the international forums addressed the issue of significant transformation or adaptation of the occupation law, other related branches of international law (such as: international human rights law, private international law, international law of self-determination and etc.) are to be applied for the purpose of “filling” the *lacunas* created as a consequence of detachment of earlier sources of occupation law from the contemporary practice.

One of the main objectives of this Thesis is to discuss scientifically as widely as possible all errors or gaps existing in the international law of occupation related to the scope of authority of occupying power in administering occupied territories and to discuss possible solutions.

To accomplish this objective, relevant chapters of the Thesis are focused on researching such issues of administration of occupied territories, which are not sufficiently regulated or are not regulated at all by the contemporary law of occupation.

The findings reached in the Thesis are based on applicable international legal norms as well as state practice and teachings of highly qualified scholars. For the purpose of the present research, all possible positions and argumentations are presented and findings are not of absolute character, especially in relation to the disputed issues, and are based on conclusions reached through balancing views of pros and against of particular positions.

The Thesis has general character and covers mostly all spectrums related to the scope of authority of the occupying power in administering occupied territories. Moreover, the research covers also topics, which are not directly linked to the government of captured territory by the occupying power, but are problematic in the international law of occupation and regulation of such issues are necessary precondition for proper administration of occupied territories.

#### *Structure:*

The Dissertation consists of seven chapters structured as follows:

(1) The first chapter covers international legal regime of administration of occupied territories. This chapter is important as long as for the purposes of the research, firstly normative data base should be identified, pursuant to which the scope of authority of occupying power is to be determined and legality of occupant's actions is to be assessed. The Author maintains that the international law of belligerent occupation is a complex branch of law and it integrates treaty and customary norms as well as general principles of law, case law and so-called "soft law" norms. Importance of the UN Security Council resolutions is specifically underlined in light of possible admission of Security Council resolutions as independent source of occupation law. Whether these resolutions may divert from the applicable legal framework and may establish scope of authority of the occupying power dissimilar from that of "hard law" norms, which regulate administration of occupied territories.

(2) The second chapter might be considered as the most important part of the Thesis, for the reason that it provides detailed overview of the primary obligation of occupying power – ensuring public order and security in the occupied territories. In fulfilling this obligation, the scope of authority of the occupying power is too broad, while imposed restrictions are too vague, which gives the way to it [occupying power] to abuse the power. The research extensively discusses the permitted margins of the scope of authority of occupying power in maintaining public order and security and imposed restrictions. For ensuring security and order in the occupied territory, it is crucial to maintain protracted peace, therefore this given chapter also widely analyses admissibility of armed resistance by the local population and possibility of military response by the occupant for such resistance movements. This latter issue is discussed in light of the principles of proportionality and military necessity. The research concentrates on the issue – whether during the occupation, principles of military necessity and proportionality apply with the same meaning as they are applied in other branches of international law or taking into account specific context of belligerent occupation, these principles are applied with diverse connotations? As long as ensuring public order and security in the occupied territory serves the legitimate objective of wellbeing of the local population, it is crucially important to define who are recipients of benefits stemming from above mentioned objective and to what extent they are entitled to these benefits? Therefore, the specific subchapter is dedicated to the standard of protection for population, namely for the purposes of the occupation law, the meaning of "protected persons" is defined and afterwards general and specific categories of protected persons are discussed. After rising these points, the chapter attempts to adjust reached findings to the case study, in particular to Israeli practice of constructing defence barrier in the Occupied Palestinian Territories.

(3) After establishing exact limits of scope of authority of occupying power in maintaining public order and security, the research switches to the not less important issue of the administration of occupied territories, namely, the third chapter of the dissertation covers legislative and judicial system of the occupied territories. The section dealing with the legislative structure is oriented on identification of domestic legal systems, which in conjunction to the international norms, are applied in the occupied territories. Identification of applicable municipal legal system is important for the courts of occupied territories in order to have the domestic legal framework which they would apply in dealing with any disputes arising from the legal relations occurred in the occupied territories. Concerning the

judiciary, the research discusses all possible judicial systems, which may be applied during the time of belligerent occupation and in this regard research demonstrates conflicting practice emerged through various occupations, which indicates existence of “gaps” in this sphere of occupation law.

(4) The fourth chapter deals with the applicable human rights regime in the occupied territories, which is directly linked to the scope of authority of occupying power in administering occupied territories. Notably, this chapter emphasizes not the general human rights regime applicable in the occupied territory, but covers the concrete aspects of the human rights related to the invocation of responsibility for violations. In this regard, important finding is reached on the issue of “shared territorial control”, in particular, what happens when the occupying power has overall control over the entire occupied territory, while in some factions of occupied territories local authorities remain in effective control. The occupation law does not regulate this issue and the Author maintains that such cases should be entirely studied in light of the human rights law. The research links “shared territorial control” to the responsibility of non-state actors for human rights violations in the occupied territories. In this regard, new findings are applied, which obviously go beyond the scope of occupation law and international law of state responsibility and inverses into the human rights domain. Theoretical argumentation is backed with practical example of non-state actors operating in the Occupied Palestinian Territories and holding factions of these territories under effective control.

(5) For the purposes of this Dissertation, separate research is carried out on protection of private property during belligerent occupation. From the one hand, this is largely influenced by extensively regulating this issue by the occupation law from its very early development and from the other hand, discussing property rights during occupation enables examination of adequacy of norms enacted more than century ago. The fifth chapter also offers the case law of the European Court of Human Rights related to the protection of property rights during occupation. Cases discussed in this section are from the practice emerged in the occupied Northern Cyprus, which to certain extend suggests new findings, allowing clarification and completion of norms related to the private property during occupation.

(6) International economic law of belligerent occupation is covered under the sixth chapter of the Dissertation, which widely overviews legal regulation of business activities in occupied territories. As far as issues related to the protection of private property during occupation are broadly and almost completely regulated by the sources of occupation law, other private law issues, such as activities of commercial companies in the occupied territories, are regulated neither by international law of occupation, nor international human rights law at all; however, each of these branches of law still contains certain provisions, which may be applied to private legal relations during occupation. Running business in the occupied territory is a matter of administration, which should be totally regulated through complex approach, namely, examination of the scope of authority of occupying power in this matter should be carried out through the lens of international law of occupation, as well as international law of state responsibility, human rights, international criminal law and private international law. The research firstly outlines principles, which should be the ground in finding legality of business activities in the occupied territory; afterwards, the chapter proceeds to discussing possible state or individual (for both legal and natural

persons) responsibility under international law for damages caused by business activities. The Dissertation provides important findings in this regard, which may be useful for occupant as well as for other business actors and for the civilian population living under foreign occupation.

(7) The last chapter of the Thesis discusses various problematic aspects of the administration of occupied territories. This chapter is split contextually from the rest six chapters and unites three independent issues, which according to the Author if the present Dissertation, are covered by neither of the above discussed topics, nor they have direct intersection point to the scope of authority of occupying power, but in light of implication and importance of these issues, it is absolutely necessary to cover them in the present study.

The seventh chapter reviews different standard of territorial control during occupation. The degree of territorial control, which is indispensable feature of belligerent occupation, is more important to establish the fact of occupation than for the administration of occupied territories; But as far as the objective of this study is to determine scope of authority of occupying power, it is crucially important to cover the issue of territorial control in order to clearly define when exactly the occupying power is granted the authority to administer occupied territories.

The second section of given chapter deals with one particular aspect of the administration of occupied territories – civilian settlements established in the occupied territories, legality of such settlements in light of the international law of belligerent occupation and fate of such settlements and their inhabitants after de-occupation. This part of the Dissertation discusses legality of transferring own civilian population by the occupant in the occupied territory through the lens of international humanitarian law; It also covers applicable legal regime in such settlements and whether international law prescribes recognition of such settlements as legal in any circumstances. As long as international humanitarian law does not regulate this issue, the Author maintains that post-occupation fate of these settlements should be decided under international human rights law. In particular, to what extend removal of the settlements established during occupation is permissible by the returned sovereign pursuant to the UN and the Council of Europe human rights protection systems.

The last part of the seventh chapter covers one of the important topics of occupation law – scope of authority of occupying power in administering occupied territory during occupation “authorized” by the UN Security Council. The thesis widely discusses the scope of authority of the Security Council in contemporary international law, the research continues on admissibility of so-called “transformative occupation” by the Council and occupation of Iraq of 2003-2004 (which was affirmed by the UN Security Council relevant resolution) is studied as a case in this matter. This subchapter analyses consistence of such [transformative] occupation to the occupation with classical meaning and if it is legitimate for the Security Council to alter applicable rules of occupation law on *ad hoc* basis and adjust them to the context of particular occupation. Finally, this section is focused on the issue of human rights during UN “sanctioned” occupation, namely, based on the practice emerged in Iraq and consequent case law, the issue of international legal responsibility for human rights abuses is broadly discussed. The research question in this matter stands as follows: who should be held responsible for human rights abuses occurred during the UN “mandated” occupation – UN as an international organization, or the occupant states, which

were assigned the task to run and administer the country [Iraq] pursuant to the occupation law and relevant Security Council resolutions.

*Methodology:*

The present Dissertation applies combined research of theoretical analysis of international legal norms applicable during administration of occupied territories in conjunction with the practice of occupations which had occurred thought various times or are still ongoing. The objective of the study was to discuss legal aspects as well as compare these aspects to the existing or past practice. With regard to practice, the Dissertation stipulates on several occupations as demonstrative examples. In various sections of the research, occupations occurred during First and Second World Wars as well as contemporary practice, such as, occupation of Northern Cyprus, Palestinian Territories, Iraq, also occupations in post-soviet space: Abkhazia (Georgia), South Ossetia (Georgia), Nagorno Karabach (Azerbaijan) and Crimea (Ukraine) are studied as cases. From the practice indicated above, occupation of Palestinian Territories are largely referred in comparing to other occupations, which is dictated by the reach practice of legislative norms and case law related to the occupation of Palestinian Territories. Hence, it should be clearly emphasized that any reference made in this Dissertation to the particular occupation does not imply the attempt to generalize this occupation and adopt common approaches based on this particular context. On the contrary, the purpose of referring to the particular cases is to specify general approaches applicable in the occupation law, to clarify them and provide their meanings in a more understandable way for potential readers.

*Types of Sources Applied:*

During the working on this Dissertation, the following types of sources have been applied:

- a) Handbooks, monographic works, collections of scientific works, commentaries;
- b) Articles, scientific publications, proceedings of international conferences, electronic resources;
- c) Case law of the permanent international courts, as well as *ad hoc* tribunals (including military tribunals established by the allied forces after the Second World War) and national courts;
- d) Case law of other judicial organs and arbitral tribunals;
- e) International documents (international treaties as well as other documents adopted under various international organizations) related to the international law of belligerent occupation, international humanitarian law, international human rights law and other relevant branches of international law;

f) Teachings and writings of highly qualified scholars of international law of occupation, which were obtained through the visits, carried out by the Author in various research institutions.

*Mode of Citation:*

All sources applied in the Dissertation are properly referred in footnotes. Overall format of footnotes is in accordance with standards of academic writing applied at the faculty of law of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Case law is cited as indicated in the cited decisions, while judgments which do not indicate mode of citation are referred in unified manner with title of the case and additional identification feature (e.g. application number, date of adoption etc.). If the original script of the case referred in the Dissertation is not available, corresponding footnote contains reference to the source, where this particular extract is accessible. Whereas books, articles or collection of works are re-cited, corresponding footnote indicates surname of the author/editor, number of the footnote where this source has been referred for the first time and the page number; the same mode of re-citation applies to case law, while in case of re-citing of all other kind of sources, corresponding footnote indicates only number of the footnote where this source has been referred for the first time and page number.

All materials applied during the research, as well as disclaimer are attached to the Dissertation.

*Targeted Groups:*

The targeted group of the present Dissertation is wide and contains several categories of persons: first and foremost the research is intended for researchers of occupation law and generally international law, as well as for students, professors and practicing lawyers. Moreover, due to the specific connotation of the research, it is interesting for population living in or displaced from the occupied territories, which are subjected or have been subjected to foreign military occupation; from the other hand, the research is useful for governments and courts of the countries, which for various reasons are holding foreign land under belligerent occupation.

The research would serve as an important source for persons interested in this subject in Georgia, as far as there is a lack of academic or scientific literature on this matter in Georgian language.

## 1. ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი

ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას გამოსაყენებელი სამართლებრივი რეჟიმი კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას. როგორც წესი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვრცელდება სამართლის სამი სისტემა: (1) ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც ოკუპაციამდე მოქმედებდა, თუკი ოკუპანტი ძალის მიერ ის არ იქნა შეცვლილი ან მოდიფიცირებული; (2) ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული კანონმდებლობა რა სახის ან ხასიათისაც არ უნდა იყოს ის (კანონი, სამხედრო ბრძანება, რეგულაცია ა.შ.); (3) ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის კონვენციური და ჩვეულებითი ნორმები.<sup>9</sup> რიგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო და ჩვეულებითი ნორმების გარდა საერთაშორისო სამართლის სხვა ინსტრუმენტებიც გამოიყენება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ასევე “რბილი სამართლის” სხვა ნორმები, როგორც სამართლის დამატებითი წყარო.

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების სამართლებრივ ნორმები დაჯგუფებულია ცალ-ცალკე საერთაშორისო და შიდა სამართლებრივ ნორმებად და თითოეულ ჯგუფს სხვადასხვა თავი ეთმობა. ეს თავი განიხილავს საერთაშორისო სახელშეკრულებო და ჩვეულებით სამართლებრივ სისტემას, ისევე როგორც უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, ხოლო მესამე თავი ეხება ოკუპაციამდე მოქმედ სამართლებრივ ნორმებსა და ოკუპანტი ძალის მიერ მიღებულ კანონმდებლობას.

მოცემული თავი მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც საჭიროა სამხედრო ოკუპაციის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების იდენტიფიკაცია. ეს ერთის მხრივ გვეხმარება ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლების მარეგულირებელ ჩარჩოს ჩამოყალიბებაში, ხოლო მეორეს მხრივ მარეგულირებელი ტერიტორიის მოსახლეობის უფლებებისა და დაცვის სტანდარტის მკაფიოდ განსაზღვრაში. ამ მიზნით, მოცემული თავი მიმოიხილავს როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო ისე ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, ასევე სხვა შესაძლო წყაროებს, რომელსაც შეიძლება შემხეობა პქნედეს ოკუპაციის საერთაშორისო სამართალთან. (მაგ. როგორიცაა რბილი სამართლის ნორმები)

### 1.1. სახელშეკრულებო სამართალი

ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი მოიცავს შემდეგ კონვენციებს: ხმელეთზე ომის კანონებისა და ჩვეულებების დაცვის შესახებ

<sup>9</sup>von Glahn, G. *Law among Nations*, New York, 1992, p.774.

1907 წლის პაგის მე-4 კონვენციაზე დართული რეგულაციები (შემდგომ ასევე “პაგის რეგულაციები”),<sup>10</sup> ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ 1949 წლის უნივერსიტეტის მე-4 კონვენცია (შემდგომ ასევე “უნივერსიტეტის მე-4 კონვენცია”),<sup>11</sup> 1949 წლის უნივერსიტეტის კონვენციების 1977 წლის 1-ლი დამატებითი ოქმი.<sup>12</sup> ჩამოთვლილი საერთაშორისო კონვენციები ასევე ასახავს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსაც. თუკი პაგის რეგულაციების ჩვეულებით სამართლებრივი ხასიათი საყოველთაოდ აღიარებულია, წინააღმდეგობრივია უნივერსიტეტისა და 1-ლი დამატებითი ოქმის ნორმების საერთაშორისო ჩვეულებად მიჩნევის იდეა. პაგის რეგულაციების შესახებ ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალმა განაცხადა:

*[პაგის] კონვენციაში გადმოცემული ხმელეთზე ომის წარმოების წესები მათი მიღების დროს ნამდვილად არსებული საერთაშორისო სამართლის გაუმჯობესება იყო. მაგრამ კონვენცია პირდაპირ აცხადებდა, რომ ეს იყო “ომის ზოგადი კანონებისა და ჩვეულებების გადახდვის” მცდელობა, როთაც ის ადასტურებდა იმ დროს ასეთი წესების არსებობას. 1939 წლისათვის კონვენციაში ჩადებული წესები აღიარებული იყო უკელი ცივილიზებული ერთს მიერ და მიიჩნეოდა რომ ასახავდა ომის კანონებსა და ჩვეულებებს.<sup>13</sup>*

სხვა კონვენციური ნორმები, რომლებიც სპეციფიკურ საკითხებს ეხება ასევე გამოიყენება ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას, კერძოდ: შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ პაგის 1954 წლის კონვენცია,<sup>14</sup> რომლის მე-5 მუხლი სპეციფიკურად ეხება ოკუპანტი ძალის ვალდებულებებს.<sup>15</sup> ხოლო კონვენციები რომელიც ომის წარმოების საშუალებებს არეგულირებს<sup>16</sup> ასევე ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზეც, მაგრამ ადმინისტრირების კუთხით არაა რელევანტური. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპაციის მდგომარეობა პერიოდულად შეიძლება გადაიზარდოს სპორადულ შეტაკებებში ერთის მხრივ საოკუპაციო ჯარსა და მეორეს მხრივ ოკუპირებული ქვეყნის დარჩენილ შეიარაღებულ ძალებს, წინააღმდეგობრივ მოძრაობებს ან პარტიზანულ დაჯგუფებებსა და არარეგულარულ მებრძოლებს შორის.

<sup>10</sup>Convention (IV) respecting the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 18 October 1907 (Hague Regulations).

<sup>11</sup>Convention (IV) relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, Geneva, 12 August 1949 (Fourth Geneva Convention).

<sup>12</sup>Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts (Protocol I), 8 June 1977.

<sup>13</sup>IMT, *The Trial against Goering, et al.*, Judgment of 1 October 1946, International Military Tribunal in Nuremberg, *The Trial of the Major War Criminals*, (1947), Vol. 1, at 64–65 in American Journal of International Law, no.41, 1947, pp. 248–249.

<sup>14</sup>Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict, The Hague, 14 May, 1954.

<sup>15</sup>*Ibid*, Art. 5.

<sup>16</sup>ომის წარმოების მარეგულირებელი კონვენციების სრული ჩამონათვალი იხ. შემდგა ბმულზე, “Methods and Means of Warfare” სექციის ქვეშ:

<https://www.icrc.org/ihl#view: id1; id2; id250:repeat1:1:labelAnchor> [ბოლოს ნახახია: 07.04.2016].

მაშინ როდესაც თუნდაც მცირე მასშტაბების ბრძოლები მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ოკუპანტმა ძალამ ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს და გაავრცელოს ომის წარმოების კანონები<sup>17</sup> და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიების აღმინისტრირების წესებით.

ჰააგის რეგულაციები ძირითადად, მაგრამ არა მხოლოდ, აწესრიგებს ოკუპანტი ძალის აღმინისტრაციულ უფლებებსა და გალდებულებებს, ხოლო ჟენევის მე-4 კონვენცია უფრო მეტად ეთმობა დაცული სამოქალაქო მოსახლეობის უფლებებს. გარდა ამისა, ჰააგის რეგულაციები ფორმულირებულია რამდენიმე მოკლე დებულებების სახით, რაც მათი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ხოლო ჟენევის მე-4 კონვენცია კი ქმნის ოკუპირებული ტერიტორიის აღმინისტრირების ყოვლისმომცველ, კონკრეტულ და დეტალურ კოდექსს, რომელიც ორიენტირებულია სამოქალაქო მოსახლეობის დაცვაზე, და ამითი ავსებს ჰააგის რეგულაციებს,<sup>18</sup> რომელიც ორი მსოფლიო ომის პერიოდამდე შეიქმნა და ძირითადად მიმართულია ისეთი აქტების პრევენციისაკენ, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ომის წესებისა და კანონების უხეში დარღვევით ჩადიოდა გერმანიისა და იაპონიის საოკუპაციო ჯარები.<sup>19</sup>

### 1.1.1. ჰააგის რეგულაციები

ჰააგის რეგულაციების ქვაკუთხედია 43-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ოკუპანტ ძალას, რომელსაც ფაქტობრივად გადაეცემა ხელისუფლება, ევალება ყველა ღონე იხმაროს, რათა მაქსიმალურად აღადგინოს და უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება, ისე რომ პატივი სცეს აღილობრივ კანონმდებლობას, თუკი მისი შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელი არაა.<sup>20</sup>

როდესაც მოწინააღმდეგის ტერიტორია თკუპირებულია, ყველა სახელისუფლებო ფუნქცია – საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ აღმინისტრაციული, ზოგად, ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე გადადის ოკუპანტი ძალის ხელში. მათ მაგივრად ოკუპანტი აფუძნებს თავის მთავრობას, რომლის ხასიათს მნიშვნელობა არ აქვს იქნება ის სამხედრო თუ სამოქალაქო; სამართლებრივი შედეგი მაინც ერთია – ამ დაფუძნებული მთავრობის ქმედებები უნდა მოექცეს ოკუპაციის საერთაშორისო

<sup>17</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.57.

<sup>18</sup>GC IV, *supra*, n.11, art.154.

<sup>19</sup>Kolb, R., Hyde, R. *An Introduction to the International Law of Armed Conflicts*, Oxford, Portland, 2008, pp. 229-230.

<sup>20</sup>რეგულაციის ინგლისურენოვანი ორიგინალი ტექსტი ასეთია:

The authority of the legitimate power having in fact passed into the hands of the occupant, the latter shall take all the measures in his power to restore, and ensure, as far as possible, public order and safety, while respecting, unless absolutely prevented, the laws in force in the country

იბ. Hague Regulations, *supra*, n.10, reg. 43.

სამართლის ფარგლებში. სამართლებრივად, ოკუპაციის დროს ოკუპანტი ძალა არის დაკავებული ტერიტორიის ერთადერთი დროებითი მფლობელი (და არა მესაკუთრე ან სუვერენი) და ეს მფლობელობა ემსახურება მის სამხედრო მიზნებს, ამიტომ მისი ძალაუფლებაც შემოიფარგლება მხოლოდ ამ მიზნითა და დამატებით საჯარო წესრიგის, უსაფრთხოების უზრუნელყოფისა და ტერიტორიის ჯეროვნად ადმინისტრირების მიზნით.<sup>21</sup> 43-ე რეგულაცია საქმაოდ ფართო უფლებამოსილების ფარგლებს აძლევს ოკუპანტი ძალას ამ მიზნების მისაღწევად, რადგან რეგულაციის ტექსტი შეიცავს დათქმას ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სამართლებრივი სისტემის<sup>22</sup> შესაძლო შეცვლის შესახებ, თუკი მისი შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელია. ეს ნიშნავს, რომ ზოგადი წესის მიხედვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძალაში მყოფი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობა უწყვეტად აგრძელებს მოქმედებას, თუკი ოკუპანტმა ის არ შეცვალა უკიდურესი სამხედრო აუცილებლობის საფუძვლით.<sup>23</sup> როგორც წესი, ოკუპირებული ტერიტორიის ჯეროვნად ადმინისტრირების მოტივით ოკუპანტი ძალა აჩერებს ან ცვლის პოლიტიკური ხასიათის კანონმდებლობას, რათა საოკუპაციო მთავრობას გაუმყარდეს პოზიციები იმ პერიოდის განმავლობაში, რა დროსაც გაგრძელდება ოკუპაცია. ასევე სამხედრო აუცილებლობის მოტივით, მეტად საგარაუდო რომ საოკუპაციო მთავრობამ გააუქმოს სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელთა წინააღმდეგაც იბრძოდა იგი აქტიური სამხედრო მოქმედებების პერიოდში (თუკი ოკუპაცია შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მოხდა). ფუნდამენტური ინსტიტუტების (მაგ. როგორიცაა საგანმანათლებლო დაწესებულებები, სასამართლო, სამედიცინო დაწესებულებები ა.შ.) ჩანაცვლება ან გაუქმება მაქსიმალურად თავიდან უნდა იქნეს აცილებული, მითუმეტეს იმის ფონზე რომ ოკუპაცია არის დროებითი და არა მუდმივი, შესაბამისად ოკუპანტმა ძალამ არ უნდა მიიღოს ზომა, რომელიც ტერიტორიაზე დეგიტიმური სუვერენის დაბრუნების შემდეგ *status quo* აღდგენას შეუძლებელს გახდის.

ზოგიერთი ავტორი<sup>24</sup> ჰაგის 43-ე რეგულაციის მიზნებისათვის განასხვავებს ოკუპაციის ორ ფაზას. პირველი ფაზა იწყება მაშინ, როდესაც შეიარაღებულ დაპირისპირებაში ერთი მხარე იღებს გარკვეულ სამხედრო უპირატესობას და წინაურდება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, მაგრამ საომარი მოქმედებები კალავ მიმდინარეობს. ასეთ დროს ოკუპანტ ძალას შესაძლოა ჰქონდეს უფლება ფუნდამენტური ინსტიტუტების გაუქმების ან შეცვლისა, რათა ომი წარმატებით დაასრულოს. ხოლო მეორე ფაზა იწყება

<sup>21</sup> რეგულაციების ფრანგულენოვანი ტექსტი სიტყვა “უსაფრთხოების” ნაცვლად იყენებს ტერმინს “საზოგადოებრივი ცხოვრება” (*vie publique*), რომელიც მხოლოდ პიროვნულ უსაფრთხოებას არ გულისხმობს, არამედ მოიცავს ასევე ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასაც (ავტ.).

<sup>22</sup> ტერმინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე “მოქმედი კანონები” გულისხმობს არა მხოლოდ საკაონმდებლო აქტებს, არამედ ოკუპირებული ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებსაც (ავტ.).

<sup>23</sup> Greenspan, M. *The Modern Law of Land Warfare*, Los Angeles, Cambridge, 1959, pp. 223-224.

<sup>24</sup> *Ibid*, pp.224-225.

აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მომენტიდანვე და გრძელდება მანამ სანამ სამშვიდობო შეთანხმება არ გაფორმდება ან ტერიტორიის სხვაგვარი გზით დეოკუპაცია არ მოხდება. ეს ფაზა შესაძლოა წლობითაც გაიწელოს. ამ ფაზის დროს ოკუპანტმა ძალამ უნდა განახორციელოს ტერიტორიის ადმინისტრირება არა საომარი მდგომარეობის გადმოსახედიდან, რაც მას უფრო ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს ფუნდამენტური ინსტიტუტებთან მოპყრობის კუთხით, არამედ როგორც მშვიდობიანი პერიოდის დროს, რაც გამორიცხავს ნებისმიერი სახის მუდმივ შედეგზე გათვლილ გადაწყვეტილებას.

გარდა ზემოთ განხილული ზოგადი დებულებისა, ჰააგის კონვენცია ასევე აწესრიგებს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების კონკრეტულ ასპექტებსაც, როგორიცაა მაგ. ეკონომიკა, საკუთრება, გადასახადები და ა.შ. ეს ასპექტები უფრო დეტალურად განხილულია ნაშრომის შემდგომ თავებში.

### 1.1.2. უენევის მე-4 კონვენცია და 1-ლი დამატებითი ოქმი

უენევის მე-4 კონვენცია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იქნა მიღებული და ოკუპაციის საერთაშორისო სამათალზე გარკვეული გავლენა მოახდინა. პირველ რიგში კონვენციამ შემოიღო ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობისათვის ადამიანის უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტი<sup>25</sup> და ამ გზით ოკუპაციის სამართლის ცენტრში მოაქცია არა ოკუპანტი მთავრობა არამედ მოსახლეობა.<sup>26</sup> ამ ცვლილებამ თავისთავად გამოიწვია ოკუპაციის სამართალში გარკვეული გადაფასებები და უფრო მეტი ფოკუსირება დაეთმო სამოქალაქო მოსახლეობას, რომელსაც ოკუპაცია შეეხო. გარდა ამისა უენევის კონვენციამ გარკვეული მასშტაბით სახელმწიფოთა პრაქტიკაც შეცვალა ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების კუთხით. თუკი კონვენციამდე პერიოდში მიიჩნევდა რომ ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრირებას ოკუპანტი ახდენდა განდევნილი მთავრობის სახელით, კონვენციის პირობებში ამგვარი ადმინისტრირება ხორციელდება ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის სახელით.<sup>27</sup> გარდა ამისა, უენევის მე-4 კონვენციამ გააფართოვა ოკუპაციის სამართლის გამოყენების არეალი და მოიცვა ყველა შემთხვევა, როდესაც ხდება კონვენციის მაღალი ხელშემქვრელი მხარის ტერიტორიის სრული ან ნაწილობრივი ოკუპაცია, მაშინაც კი თუკი ოკუპაციას შეიარაღებული წინააღმდეგობა არ ხვდება.<sup>28</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებით კი, უენევის მე-4 კონვენცია მოიცავს ყველა სახის ოკუპაციას, თუნდაც ეს არ ხდებოდეს მაღალი ხელშემქვრელი

<sup>25</sup>GC IV, *supra*, n.11, Part III, Section I.

<sup>26</sup>Benvenisti, E. *The International Law of Occupation*, Oxford, 2012, p.105-106.

<sup>27</sup>Parsons, B.C. *Moving the Law of Occupation into the Twenty-First Century* in Naval Law Review, no.57, 2009, p.12.

<sup>28</sup>GC IV, *supra*, n.11, Art. 2, para 2.

მხარის ტერიტორიაზე. კედლის საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლომ განაცხადა, რომ:

უნივერს კონკენციების მე-2 საერთო მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზანს 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული კონკენციის მოქმედების სფეროს შეზღუდვა არ წარმოადგენს. ეს დებულება კონკენციის გავრცელებას არ ხდებავს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც კონკენციის ხელ შემკვრელ სუვერენიტეტ სახელმწიფოებს არ გაუთვისთ. ის მხოლოდ აკონკრეტებს, რომ კონკენცია მაშინაც მოქმედებს, თუკი ტერიტორიის ოკუპაცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს ისე მოხდა, რომ მას წინააღმდეგობას არ უწევდნენ. კონკენციის დებულებების ასეთი ინტერპეტაცია შესაბამისობაშია უნივერს მე-4 კონკენციის შემქმედების ჩანაფიქრთან, რომ შეძლების დაგვარად დაუცვათ სამოქალაქო პირები, რომლებიც ოკუპანტი ძალის ხელში აღმოჩენდებოდნენ.<sup>29</sup>

პირველმა დამატებითმა ოქმა ასევე ფართო ყურადღება დაუთმო ადამიანის უფლებათა საკითხს და განსაკუთრებით კი ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. ამ ოქმის გამოყენება ოკუპაციის დროს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი იბრძვის უცხოელთა ოკუპაციის წინააღმდეგ საკუთარი თვითგამორკვევის უფლების რეალიზებისათვის.<sup>30</sup>

## 1.2. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების მიხედვით, საერთაშორისო ჩვეულება არის ზოგადი პრაქტიკის ნაყოფი, მიჩნეული როგორც კანონი.<sup>31</sup> ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი წესების დადგენისას სირთულეა სახელმწიფო პრაქტიკის არსებობა, რადგან აღნიშნული კრიტერიუმის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია რომ ასეთი პრაქტიკა იყოს რეალური<sup>32</sup> და უნდა ეყრდნობოდეს მყარ, თანმიმდევრულ და ერთგვაროვან ქცევას სახელმწიფოების მხრიდან.<sup>33</sup> ოკუპაციის სამართლის პრაქტიკაში გამოყენება უსისტემოა, რადგან ყველა ოკუპაცია ხასიათდება ინდივიდუალური კონტექსტით, შესაბამისად განსხვავებულია კონკრეტული წესებისა და კანონების გამოყენებაც. თუმცა “ზოგადი პრაქტიკა” ფართო ტერმინია და ასევე მოიცავს ოკუპანტი ძალის მიერ შემუშვებულ სამხედრო სახელმძღვანელოებს, შიდა კანონმდებლობას, მიღებულ რეგულაციებს, მაგრამ ეს დოკუმენტები იშვიათად თუ მოიცავენ ოკუპირებული ტერიტორიების აღმინისტრირების ისეთ დეტალებს, რომორიცაა ოკუპანტსა და ადგილობრივი მოსახლეობას შორის ყოველდღიური ურთიერთობა და ა.შ. ამას გარდა, ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული რეგულაციები

<sup>29</sup>Legal Consequences of the Construction of the Wall in the Occupied Palestinian Territories, Advisory Opinion, I.C.J. Reports 2004, p.136, para.95.

<sup>30</sup>AP I, *supra*, n.11, Art.1(3).

<sup>31</sup>Statute of the International Court of Justice, Art.38(1)(b).

<sup>32</sup>Continental Shelf (Libyan Arab Jamahiriya/Malta), Judgment, I.C.J. Reports 1985, p.13, para.27.

<sup>33</sup>Colombian-Peruvian asylum case, Judgment of November 20th 1950: I.C.J. Reports 1950, p. 266. at p.14.

ყოველთვის შეიძლება არც შეესაბამებოდეს მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს,<sup>34</sup> შესაბამისად გარდა დოკუმენტებისა, რომელიც აღიარებულია ყველა ცივილიზებული ერის მიერ (როგორიცაა მაგ. პააგის რეგულაციები) ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ცალკეული ასპექტების ჩვეულებითი ხასიათის დადგენა გარკვეულ სირთულეებს შეიძლება უკავშირდებოდეს, განსაკუთრებით სახელმწიფოთა პრაქტიკის კრიტიკულის კუთხით.

მას შემდეგ რაც ნიურნბერგის ტირბუნალმა აღიარა პააგის რეგულაცები ჩვეულებითი სამართლის ნორმად, რეგულაციების ჩვეულებით სამართლებრივ ხასიათზე დავა აღარაა, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით უენევის მე-4 კონვენციაზე, შესაბამისად ოკუპაციის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის იდენტიფიცირებისას განსაკუთრებული უურადღება სწორედ უენევის მე-4 კონვენციის ჩვეულებით სამართლებრივ ხასიათს უქცევა. უან პიქტე ემსრობოდა პოზიციას რომ 1949 წლისათვის კონვენცია ასახავდა იმ დროს არსებულ ჩვეულებით სამართალს. კონვენციის პიქტეულ კომიტეტი ვკითხულობთ:

კონვენციას არანაირი ინოვაცია არ შემოუღია საერთაშორისო სამართლის ვიწრო გაგებით მას არ წამოუწევია რაიმე ახალი იდეა, არამედ დეტალური დებულებების მეშვეობით ის ადასტურებს და ამავდროულად უზრუნველყოფს ომის დროს ადამიანის პიროვნულობის პატივისცემის პრინციპის ზოგად მიმღეობას.<sup>35</sup>

ზოგიერთ ავტორს<sup>36</sup> მიაჩნდა რომ მე-4 კონვენცია აფართოებდა და კოდიფიცირებას უკეთებდა მოწინააღმდეგე სახელმწიფოში ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო პირებისადმი მოპყრობის მანამდე არსებულ საერთაშორისო წესებსა და პრაქტიკას. უფრო შერეული მიღებობის მიხედვით კი, კონვენცია გარკვეული მასშტაბით ასახავდა იმ დროისათვის არსებულ ჩვეულებით სამართალს, მაგრამ უფრო დიდი დოზით ის აწესებდა ასალ პრინციპებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნაწილად უნდა ქცეულიყო სწორედ სახელშეკრულებო ხასიათიდან გამომდინარე.<sup>37</sup> ამ მიღებობის მომსრუების აზრით თვითონ კონვენცია ცხადად არ მიუთითებდა თავისი დებულებები ჩვეულებითი სამართლის ნორმები იყო თუ არა. კონვენცია უბრალოდ აცხადებდა რომ არის 1899 და 1907 წლის პააგის რეგულაციების შესაბამისი ნაწილების “დამატება”.<sup>38</sup> კონვენციის ზოგიერთი დებულება ნამდვილად არსებულ ჩვეულებით ნორმებს იმეორებდა, მაგ. სამოქალაქო პირებთან მოპყრობის ძირითადი სტანდარტის ნაწილში (როგორიცაა მკვლელობის, მძევლად აყვანის აკრძალვა და სხვ.) თუმცა, “ოკუპირებული ტერიტორიების” ნაწილის ზოგიერთი დებულება, რომელიც

<sup>34</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.4.

<sup>35</sup>Pictet, J.S. *The Geneva Conventions, Commentary, Vol. IV*, Geneva Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, ICRC, Geneva, 1958, p.9.

<sup>36</sup>Yingling, R.T., Ginnane, R.W. *The Geneva Convention of 1949* in AJIL, no.46, 1952, p.411.

<sup>37</sup>Gutteridge, J.A.C. *Geneva Conventions of 1949* in British Yearbook of International Law, no.26, 1949, pp.318-319.

<sup>38</sup>*Supra*, n.18.

არათუ იმეორებდა ოკუპანტი ძალის გალდებულებებს, რაც პააგის რეგულაციებშია გადმოცემული, არამედ განავრცობდა მათ და ამატებდა ახალ გალდებულებებსაც, უნდა განიხილულიყო, როგორც სახელშეკრულებო სამართლებრივ ნორმებად, რომლებიც მოქმედებდა მხოლოდ კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის.<sup>39</sup>

ოკუპაციი/ლაუზერპახტი მიიჩნევდა, რომ უენევის მე-4 კონვენცია შეიცავს ისეთ დეტალურ დებულებებს, რომლებიც რიგ შემთხვევებში საქმაოდ სცდება იმ ჩვეულებით ნორმებს, რომელიც მისი მიღების დროს არსებობდა მოწინააღმდეგე მხარის პირების მოპყრობასთან დაკავშირებით.<sup>40</sup> იმავე პოზიციას იზიარებდა ისრაელის უზენაესი სასამართლოც ალ-ნასერის (1988) საქმეში, რომელშიც სასამართლოს არგუმენტაცია დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ უენევის მე-4 კონვენციის ჩვეულებითი სამართლებრივი ხასიათი არ დადასტურებულა 1949 წლის შემდგომ მომხდარ არც-ერთი ოკუპაციისას (მაგალითად სასამართლოს მოყავდა ინდოეთ-პაკისტანი და კვიპროსი).<sup>41</sup> დინშტაინიც ვიწრო მიღგომის საფუძველზე ასკვნიდა რომ უენევის მე-4 კონვენციის მხოლოდ ზოგიერთი დებულება ასახავს ჩვეულებით სამართალს.<sup>42</sup> მიუხედავად პიქტების იდეალისტური მიღგომისა, რომლის მიხედვითაც უენევის მე-4 კონვენცია არსებული ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაციას ახდენდა, როგორც დავინახეთ უმეტესი ავტორები მიიჩნევდნენ რომ 1949 წლისათვის, უენევის მე-4 კონვენცია იყო, როგორც ჩვეულებითი, ასევე ახლად შემოღებული დებულებების ერთობლიობა.<sup>43</sup>

მეოცე საუკუნის ბოლოდან, უენევის კონვენციების უნივერსალურმა რატიფიკაციამ<sup>44</sup> და სახელმწიფოთა პრაქტიკამ გაამყარა შეხედულება იმის შესახებ რომ მე-4 კონვენცია უკვე იქცა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად. ამას მოწმობს საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებებიც. ყოფილი იუგოსლავისათვის შექმნილმა ტრიბუნალმა არაერთხელ დაადგინა რომ უენევის კონვენციები ჩვეულებით საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს ასახავს.<sup>45</sup>

<sup>39</sup>Schwarzenberger, G. *International Law as Applied by International Courts and Tribunals in The Law of Armed Conflicts*, vol.II, 1968, pp.165-166.

<sup>40</sup>Lauterpacht, H. (ed.) *Oppenheim's International Law, Volume II: Disputes, War and Neutrality*, London, New York, Toronto, 1952, p.313.

<sup>41</sup>HCJ 785/87, 845/87 827/88, *Abd al Nasser al Aziz Abd al Affo et al. v. Commander of the IDF Forces in the West Bank et al.* in *International Legal Materials*, vol.29, 1990, p.139.

<sup>42</sup>Dinstein Y. *The Israel Supreme Court and the Law of Belligerent Occupation: Deportation in Israel Yearbook of Human Rights*, no.23, 1993, p.13.

<sup>43</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, pp.61-62.

<sup>44</sup>თქმის წერის პერიოდის მონაცემით, უენევის მეოთხე კონვენციას 196 მაღალი ხელშემკვრელი მხარე ყავს. ონაცემები ხელმსიაწვდომია ICRC-ის ოფიციალურ ვებგვერდზე:

[https://www.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/States.xsp?xp\\_viewStates=XPages\\_NORMStatesParties&xp\\_treatySelected=380](https://www.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/States.xsp?xp_viewStates=XPages_NORMStatesParties&xp_treatySelected=380) [ბოლოს ნახახია 07.04.2016].

<sup>45</sup>ICTY, *Prosecutor v. Tadic*, Judgment of the trial chamber (1995) No. IT-94-I-AR72, para.126; *Prosecutor v. Tadic*, Judgment of the appeal chamber (1997) No. IT-94-1-T, para.577; *Prosecutor v. Delalic*, Judgment of the trial chamber (1998) No. IT-96-21-T 16, paras.305, 316.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ პირთვული იარაღის საკონსულტაციო დასკვნაში განაცხადა, რომ:

[...] როგორც [ამ] სასამართლომ დაადგინა კორფუს არხის საქმეში შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოსაყენებელი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ძალიან ბევრი წესი ისეთი ფუნდამენტურია ადამიანის პიროვნებისა და “ელემენტარული ადამიანური შევნების” პატივისცემის კუთხით, რომ ჰააგის და უენევის კონვენციები ფარდობ არის უკვე რატიფიცირებული. გარდა ამისა, ეს ძირითადი წესები უნდა დაიცვას უკეთი სახელმწიფო მიუხედავად იმისა მოახდინეს ოუ არა კონვენციების რატიფიციაცია, რადგან ეს წესები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დაურღვეველი პრინციპებია.<sup>46</sup>

ასევე ერთორეა-ეთიოპიის საპრეტენზიო კომისია უენევის კონვენციებს განიხილავდა, როგორც ფართოდ გამოხატულ ჩვეულებითი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნაწილად.<sup>47</sup> კომისიამ დაადგინა, რომ სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ კონვენციების დებულებების მიმართ მოქმედებს პრეზუმუცია, რომ ისინი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია და საწინააღმდეგოს მტკიცების ტვრითი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ამ საკითხს სადაცოდ გახდის.<sup>48</sup>

ჩვეულებითი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის კვლევის<sup>49</sup> მიხედვითაც, უენევის კონვენციებში გადმოცემული წესები მიიჩნევა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად, მათ შორის უენევის მე-4 კონვენციის ის დებულებებიც, რომელიც აწესრიგებს ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრირების საკითხს.

ხოლო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ კუდლის საკონსულტაციო დასკვნაში კიდევ ერთხელ დაადასტურა უენევის კონვენციებში გადმოცემული საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ფუნდამენტური წესების ჩვეულებითი სამართლებრივი ხასიათი და დამატებით ამ წესებისგან წარმოშობილი ვალდებულებები მიიჩნია *erga omnes* მოქმედ ვალდებულებად.<sup>50</sup>

<sup>46</sup> *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1996*, p.226, para.79.

<sup>47</sup> Eritrea-Ethiopia Claims Commission, *Partial Award in Eritrea's Prisoners of War Claims*, 1 July 2003, para.38 in *Partial Award, Civilians Claims, Eritrea's Claims 15, 16, 23 and 27-32, 17 December 2004, Eritrea Ethiopia Claims Commission*, ILM, vol.44, 2005, p.607.

<sup>48</sup> *Ibid*, p.626.

<sup>49</sup> Henckaerts, J.M., Doswald-Beck, L. *Customary International Humanitarian Law*, vol.I, ICRC, Cambridge, 2005.

<sup>50</sup> Wall case, *supra*, n.29, para.157.

## 1.3. სხვა წეროები

### 1.3.1. სამართლის ზოგადი პრინციპები

კონვენციური და ჩვეულებითი სამართლის წესების გარდა, ოკუპანტი ძალა ასევე უნდა დაემორჩილოს საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთ ძირითად წყაროს, კერძოდ – სამართლის ზოგად პრინციპებს, რომელიც არ უნდა აგვერიოს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებში. სამართლის ზოგადი პრინციპები ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე ჩვეულებითი ნორმებია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ის ასევე ასახავს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებსაც.<sup>51</sup>

საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის კონტექსტში ძირითადი პრინციპები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დებულებებს, როგორიცაა განსხვავებითობის პრინციპი, აუცილებლობის პრინციპი, გადამეტებული ზიანისა და არასათანადო ტანჯვის მიყენების აკრძალვის პრინციპი.<sup>52</sup> ასევე პუმანიტარული სამართლის ძირითად პრინციპად მიიჩნევა “ელემენტარული ადამიანურობის” გამოჩენის პრინციპი, ცნობილი როგორც ე.წ. “მარტენსის დათქმა”,<sup>53</sup> რომელიც ბევრი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის კონვენციის პრეამბულაში არის გადმოცემული<sup>54</sup> და ასევე დადასტურებულია ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერაც. ტრიბუნალის განცხადებით:

ომის ტყვეებს არასათანადოდ ეჭყრობოდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ  
არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებული წესების  
უხეში დარღვევით, არამედ ელემენტარული ადამიანური შეგნების  
აბსოლუტური უგულებელყოფითაც. ოკუპირებული ტერიტორიების  
სამოქალაქო მოსახლეობაც იმავე ბეჭის ქვეშ იტანჯებოდა.<sup>55</sup>

<sup>51</sup>Cassese, A. *International Law*, Oxford, 2005, p.188.

<sup>52</sup>საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ზოგადი პრინციპების შესახებ დეტალურად იხ. Abi-Saab, R. *The 'General Principles' of Humanitarian Law According to the International Court of Justice in IRRC*, no.259, 1987, pp.367–375.

<sup>53</sup>იხ. Cassese, A. *The Martens Clause: Half a Loaf or Simply Pie in the Sky?* In European Journal of International Law, no.11, 2000, p.187 et.al.; Meron, T. *The Martens Clause, Principles of Humanity, and Dictates of Public Conscience* in AJIL, no.94, 2000, p.78 et. al.; Ticehurst, R. *The Martens Clause and the Laws of Armed Conflict* in International Review of the Red Cross, no.317, 1997, p.125 et. al.

<sup>54</sup>The Martens Clause was originally stipulated as “the principles of the law of nations, as they result . . . from the laws of humanity and the dictates of the public conscience”: the preamble of the Hague Convention (IV) Respecting the Laws and Customs of War on Land 1907. This is reiterated, with a small change in the terminology, in GCI, Article 63 (4); GCII, Article 62(4); GCIII, Article 142 (4); GCIV, Article 154(4); API, Article 1(2); APII, preamble; and the Convention on Prohibition or Restrictions on the Use of Certain Conventional Weapons Which May be Deemed to be Excessively Injurious or to Have Indiscriminate Effects, preamble, see: Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.68, n.45.

<sup>55</sup>IMT, *The Trial of German Major War Criminals*, Judgment of 30 September 1946, Judgment of the International Military Tribunal, 226, at 227; in Proceedings of the International Military Tribunal Sitting at Nuremberg, Germany (1950), Part 22, at 450.

ასევე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ კორფუს არხის საქმეში ცალკე გამოყო “ელემენტარული ადამიანურობის” პრინციპი, როგორც ჰუმანიტარული სამართლის ზოგადი პრინციპი.<sup>56</sup>

აღნიშნული პრინციპის მიღმა არსებული სტანდარტის ზუსტი შინაარსი კი აუცილებლად უნდა დადგინდეს შეცვლილი გარემოებების, ტექნოლოგიური პროგრესისა და სხვა გარემოებების ფონზე<sup>57</sup>, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ომის წარმოების ან ოკუპაციის წარმართვის მეთოდებსა და საშუალებებზე. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციის აღმინისტრირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სახელშექრულებო თუ ჩვეულებითი ნორმები საქმაოდ ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს ოკუპანტ ძალას, “მარტენის დათქმა”, როგორც სამართლის ზოგადი პრინციპი გარკვეულწილად მაინც გონივრულ ჩარჩოში აქცევს ამ უფლებამოსილებას, რათა დაბალანსდეს ოკუპაციის ჯეროვანი აღმინისტრირებისა და ოკუპანტი ძალის სამხედრო ინტერესების დირექტულებები და ამ უკანასკნელს არ მიეცეს ფართო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საშუალება.

### 1.3.2. მეორადი წყაროები

ოკუპირებული ტერიტორიების აღმინისტრირებისას სამხედრო მთავრობა უნდა დაეყრდნოს ასევე საერთაშორისო თუ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებსაც, როგორც სამართლის დამატებით წყაროს.<sup>58</sup> თუმცა, როგორც წესი სასამართლოების გადაწყვეტილებები არ არის ზოგადი, არამედ კონტექსტუალური და მორგებულია იმ კონკრეტულ დავაზე და იმ კონკრეტულ სადაც საკითხებზე, რასაც ის განიხილავს, შესაბამისად ოკუპანტი ძალა დაკავებული ტერიტორიის აღმინისტრირებისას ვალდებულია მხედველობაში მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ ეს კონკრეტულად იმ ოკუპაციის კონტექსტს ეხება, რომელშიც ეს მხარე გვევლინება ოკუპანტ ძალად. ამის ფართო მაგალითები იყო როგორც ორი მსოფლიო ომის პერიოდში, ასევე მათ შემდგომაც.

სასამართლო გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც ორგანიზაციის წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე მიღებული საყველოთაო სავალდებულო ხასიათი აქვს. ასეთი რეზოლუცია, როგორც ე.წ. “რბილი სამართლის” ნაწილი, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ოკუპაციის სამართლის მეორად წყაროდ.<sup>59</sup> გაერო-ს წესდების 25-ე და 103-ე მუხლების მიხედვით უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული შესასრულებელად სავალდებულო რეზოლუცია მოქმედებს ყველა წევრ სახელმწიფოზე, მაშინაც კი, როდესაც ეს რეზოლუცია მათ

<sup>56</sup>Corfu Channel Case, Judgment of April 9th, 1949; I.C.J. Reports 1949, p.4. p.22.

<sup>57</sup>Legality of Nuclear Weapons case, supra, n.46, dissenting opinion of Judge Shahabuddeen, p.406.

<sup>58</sup>ICJ-ის წესდების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილებები საერთაშორისო სამართლის დამხმარე წყაროა. The Statute of the International Court of Justice, art.38(1-d).

<sup>59</sup>Arai-Takahashi, supra, n.6, p.72.

მიერ ადგებულ სხვა საერთაშორისო კალდებულებებს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს.<sup>60</sup> თავის მხრივ, გაერო-ს წესდება არ ითვალისწინებს არააირ მქანიზმს, რომელიც უშიშროების საბჭოს რაიმე ლიმიტს დაუწესებდა გადაწყვეტილებების მიღებაში. დოკუმენტის 39-ე მუხლის საფუძველზე უშიშროების საბჭო თავად ადგენს როდის არის ჩარევის საჭიროება და ასევე თავად განსაზღვრავს რა სახის ზომები იქნას მიღებული.<sup>61</sup> უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებაზე უფრო ვრცლად ნაშრომის ბოლო თავშია საუბარი. მოცემული ქვეთავის მიზნებისათვის კი განვიხილავთ არის თუ არა შესაძლებელი უშიშროების საბჭოს რეზოლუციით დადგინდეს ოკუპირებული ტერიტორიების აღმინისტრირების განსხვავებული რეჟიმი, ვიდრე ეს დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმებითა თუ სამართლის ზოგადი პრინციპებით. ზოგიერთი ავტორის<sup>62</sup> აზრით, უშიშროების საბჭომ შეიძლება მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება და დაადგინოს ოკუპაციის სამართლის არსებული ნორმებისაგან განსხვავებული წესები, მაგრამ მისი უფლებამოსილების ფარგლები ამ შემთხვევაში შეზღუდული იქნება საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის პრინციპებისაგან გადახვევის დაუშვებლობით. ამ მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ პირველ რიგში ეს შეზღუდვა გამომდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ელემენტებისა და მიზნებისაგან, რადგან საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები, მაგ. როგორიცაა სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის გარანტიები, ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები სწორედ გაერო-ს წესდების მიზნებს ასახავს; გარდა ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავის თავზე აიღო ამ პრინციპების დაცვის გალდებულება, რაც ქმნის სამართლებრივ მოლოდინს იმისა, რომ წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე მიღებული ზომები არ შეეწინააღმდეგება ამ პრინციპებს; ასევე საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ძირითადი ნორმები შეადგენენ საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების *jus cogens*-ის შემადგენელ ელემენტებს, რომელიც უნდა შესრულდეს როგორც ყველა სახელმწიფოს, ასევე გაერო-ს ორგანოების მიერაც.

გაერთიანებული ერების წესდების 103-ე მუხლის მიხედვით წესდებისაგან წარმოშობილ ვალდებულებებს აქვს უპირატესი ძალა სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით აღმოცენებულ ვალდებულებებთან მიმართებით, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ წესდების 103-ე მუხლი ნებას რთავს უშიშროების საბჭოს გვერდი აუაროს ასევე საერთაშორისო ჩვეულებით სამართლებრივ ნორმებს და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ამ ნორმებით დადგენილისაგან განსხვავებულ მდგომარეობას შექმნის და ასეთ გადაწყვეტილებას ექნება უპირატესი

<sup>60</sup>Charter of the United Nations, art.25, 103.

<sup>61</sup>Ibid, art.39 et. al.

<sup>62</sup>de Wet, E. *The Chapter VII Powers of the United Nations Security Council*, Oxford, 2004, p.215.

ძალა.<sup>63</sup> შესაბამისად ნებისმიერი სახის კოლიზია ზოგად ჩვეულებით სამართალსა და გაერთიანებული ერების ორგანზიაციის წესდებას შორის უნდა განიხილებოდეს წესდების 25-ე მუხლის ფონზე, რომელიც აცხადებს, რომ ორგანიზაციის ყველა წევრმა უნდა აღიაროს და შეასრულოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება მიუხედავად მისი კანონიერებისა.<sup>64</sup>

აღნიშნული ცხადყოფს, რომ უშიშროების საბჭოს ნამდვილად აქვს უფლებამოსილება, რომ წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე შეცვალოს ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის (როგორც სახელშეკრულებო ისე ჩვეულებითი) ნორმები და შეზღუდოს ან გააფართოვოს ოკუპანტი ძალის ძალაუფლება ოკუპირებული ტერიტორიის აღმინისტრირების კუთხით ან/და დაადგინოს პააგის რეგულაციებისაგან და უენევის მე-4 კონვენციისაგან განსხვავებული წესები.<sup>65</sup> თუმცა ეს არ ეხება ისეთ ცვლილებებს რომელიც წინააღმდეგობაშია საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებთან და ოკუპანტ ძალას ნებას რთავს გადაუხვიოს საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისგან. მაგალითად, თუკი უშიშროების საბჭო კონკრეტული ოკუპაციის კონტექსტში მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ოკუპანტ ძალას აეკრძალოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის კონტრიბუციის დაკისრება, რაც პააგის რეგულაციებით ნებადართულია, ამგვარი გადაწყვეტილება იქნება უპირატესი ძალის მქონე და ოკუპანტი ვალდებულია დაემორჩილოს მას, ხოლო, თუკი უშიშროების საბჭო პირობითად გადაწყვიტავს რომ ოკუპანტ ძალას მიეცეს უფლება ადგილობრივი მოსახლეობის მოპყრობის სტანდარტი შეცვალოს და შეეძლოს თვითნებურად, სასამართლოს გარეშე სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, ამგვარი რეზოლუცია ჩაითვლება საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების დარღვევად და არ შეიძლება პქონდეს უპირატესი ძალა ოკუპაციის საერთაშორისო ჩვეულებითი თუ სახელშეკრულებო ნორმებთან მიმართებით. თუმცა რეალურად რთულია უშიშროების საბჭოს რეზოლუციის კანონიერების საკითხის შემოწმება. ამ საკითხს უფრო დეტალურად ეხება ნაშრომის ბოლო თავი.

ამრიგად, ნაშრომის მოცემული თავით დადგინდა საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა, რომელიც არეგულირებს ოკუპირებული ტერიტორიების აღმინისტრირებას და ამ მხრივ ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს. გამოჩნდა, რომ გარდა ტრადიციული სახელშეკრულებო და ჩვეულებითი სამართლის ნორმებისა, ოკუპირებული ტერიტორიების აღმინისტრირებისას გამოსაყენებელი სამართალი შეიძლება

<sup>63</sup>ILC, *Fragmentation of International Law: Difficulties Arising From the Diversification and Expansion of International Law – Report of the Study Group of the International Law Commission*, Finalized by Martti Koskenniemi, UN Doc A/CN.4/L.682, 13 April 2006, p.176, para.345.

<sup>64</sup>Zwanenburg, M. *Existentialism in Iraq: Security Council Resolution 1483 and the Law of Occupation* in IRRC, no.856, 2004, p.761; Reisman, M. *The Constitutional Crisis in the United Nations* in AJIL, no.87, 1993, p.93.

<sup>65</sup>Irmscher, T.H. *The Legal Framework for the Activities of the United Nations Interim Administration Mission in Kosovo: The Charter, Human Rights, and the Law of Occupation* in German Yearbook of International Law, no.44, 2001, p.383; Sassoli, M. *Legislation and Maintenance of Public Order and Civil Life by Occupying Powers* in EJIL, no.16, 2005, pp.680-681.

იყოს ასევე სამართლის ზოგადი პრინციპები და საერთაშორისო სამართლის მეორადი წყაროები, როგორიცაა მაგ. სასამართლო გადაწყვეტილებები. დამატებით, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ასევე განიხილება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის წყაროდ, თუკი ის აწესრიგებს კონკრეტულ ოკუპაციასთან და ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

## 2. ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ჰაგის რეგულაციების 43-ე მუხლი ამბობს, რომ ლეგიტიმური სუვერენის ხელისუფლება ფაქტობრივად გადადის ოკუპანტი ძალის ხელში, რომელსაც ევალება მის ძალებში არსებული უკელა ზომის მიღება, რომ ადადგინოს და უზრუნველყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისე რომ პატივი სცეს ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედ კანონებს, თუკი ეს აბსოლუტურად შეუძლებელი არ არის.<sup>66</sup> თეორიაში ამ მუხლის განმარტება საკმაოდ როგორია და დაკავშირებულია დიდ ბუნდოვანებასთან, ხოლო პრაქტიკაში ოკუპანტი ძალის მიერ ხშირად ხდება მასზე აპელირება იმისათვის რომ გაამართლოს ფართო საკანონმდებლო ძალაუფლება ან ადგილობრივი კანონების უგულებელყოფა მათი შესრულების “აბსოლუტურად შეუძლებლობის” მოტივით.<sup>67</sup> 43-ე მუხლის ტექსტი ერთი წაკითხვით თითქოს აწესრიგებს ადგილობრივი კანონმდებლობის პატივისცემის საკითხს მას შემდეგ რაც ოკუპანტი ძალა აღადგენს და უზრუნველყოფს საჯარო წესრიგს და უსაფრთხოებას, მაგრამ მუხლის შექმნის ისტორიამ და შემდგომმა პრაქტიკამ ცხადი გახდა, რომ ეს მუხლი გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველია და ეხება ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებას დაადგინოს წესები ტერიტორიის სათანადო ადმინისტრირებისათვის.<sup>68</sup> ჰაგის რეგულაციების ამ დებულებას ოკუპაციის ადმინისტრირების “მინი კონსტიტუციასაც” კი უწოდებენ.<sup>69</sup>

მოცემული თავი დეტალურად განიხილავს ოკუპანტი ძალის უკელა შესაძლო ქმედების კანონიერებას ჰაგის რეგულაციების 43-ე მუხლის ჭრილში. ზოგადი მსჯელობის შემდეგ გაანალიზებულია ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე ბარიერის აღმართვის პრაქტიკა ოკუპირებული ტერიტორიის ხელოვნური ფრაგმენტაციის კანონიერების კუთხით.

<sup>66</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.43.

<sup>67</sup>Sassoli, *supra*, n.65, p.663.

<sup>68</sup>Schwenk, E.H. *Legislative Power of the Military Occupant under Article 43, Hague Regulations* in Yale Law Journal, no.54, 1994, p.397.

<sup>69</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.9.

## 2.1. ოკუპანტის ძალის უფლებამოხილების ფარგლები

კავის რეგულაციების 43-ე მუხლი, როგორც ზემოთ აღინიშნა ეხება “საჯარო წესრიგსა და უსაფრთხოებას”. ავთენტური ფრანგული ტექსტის ამგვარი თარგმნა ინგლისურად იმთავითვე კრიტიკის საგანი გახდა. ფრანგული ტექსტი იყენებს ტერმინს “*vie publique*” (საზოგადო ცხოვრება), რომლის მნიშვნელობაც მართლაც გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე საჯარო წესრიგი. რეგულაციების მოსამზადებელი სამუშაოები ნამდვილად ცხადყოფს რომ ამ დებულებაში ჩადებული ტერმინი მოიცავს სოციალურ ფუნქციებს, ჩვეულებრივ ტრანზაქციებს, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.<sup>70</sup> ბევრი მეცნიერი ემხრობა ამ პოზიციას და ხშირად ტერმინს “*la vie publicque*” თარგმნიან, როგორც სამოქალაქო/საზოგადო ცხოვრება (civil life).<sup>71</sup> ტერმინის ამგვარი განმარტება მართლაც შესაბამისობაშია პავის 43-ე რეგულაციის შესვალ წინადადებასთან, რომელიც ამბობს რომ ლეგიტიმური მთავრობის მთელი უფლებამოსილება ფაქტობრივად გადადის ოკუპანტი ძალის ხელში, შესაბამისად ამ უკანასკნელის ქმედებების არეალი გაცილებით ფართოა, და არ შემოიფარგლება მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით, არამედ მოიაზრებს ყოველდღიური საზოგადო ცხოვრების სხვა მრავალ ასპექტსაც.

რეგულაციების 43-ე მუხლის ტექსტის მიხედვით ოკუპანტი ძალა უფლებამოსილია გაატაროს საკანონდებლო თუ ადმინისტრაციული ზომები რომ არა მარტო ადადგინოს, არამედ გაგნგრძობითად უზრუნველყოს კიდეც საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება. თუკი ოკუპაცია დიდ ხანს გრძელდება და ომის შედეგების გამო ოკუპირებული ქვეყანა განიცდის მკვეთრ ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებს, ცხადია რომ ადრე თუ გვიან ოკუპანტი ძალის მიერ ახალი საკანონმდებლო ზომების მიღება საჭირო გახდება.<sup>72</sup> ზოგიერთ შემთხვევაში ოკუპანტი ვალდებულიც კია რომ მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და საზოგადო ცხოვრება. ამას მოწოდს ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებაც ლისტის საქმეზე, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ:

მეტის ტერიტორიის ოკუპანტი ძალის სტატუსის მიღებისთანავე, საერთაშორისო სამართლი ამ ძალის მეთაურობას აკისრებს ასეუსისმგებლობას შეინარჩუნოს წესრიგი, მიუსაჯოს საჯერდო დანაშაულისათვის და დაიცვას სიცოცხლე და საჯერდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ მიზნების მისაღვევად ოკუპანტის ძალაუფლება

<sup>70</sup> ამგვარი განმარტება ბრიუსელის 1874 წლის კონვენციის მოლაპარაკებზე შემოთავაზებულ იქნა ბელგიის დელგატის მიერ. ი. ბრიუსელის კონფერენციის მასალები ფრანგულ ენაზე: Ministère des Affaires Etrangères de Belgique, *Actes de la Conférence de Bruxelles de 1874*, p. 23.

<sup>71</sup> Sassoli, *supra*, n.65, p.664.

<sup>72</sup> Leurquin, A. *L'occupation allemande en Belgique et l'article 43 de la Convention de la Haye du 18 octobre, 1907* in International Law Notes, vol.1, 1916, pp.54–55.

იმდენად დიდია, რამდენადაც მისი პასუხისმგებლობა. მაგრამ ის რა თქმა უნდა შეზღუდულია საერთაშორისო სამართლის აღიარებული კანონებით, კერძოდ კი პააგის 1907 წლის რეგულაციებით.<sup>73</sup>

ოკუპანტი ძალის ვალდებულება, რომ აღადგინოს და შეინარჩუნოს საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება ოკუპირებულ ტერიტორიაზე აშკარაა რომ ორივე მხარის ინტერესებში შედის, კერძოდ ოკუპანტი ძალის ერთის მხრივ და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის მეორეს მხრივ.<sup>74</sup> თუმცა, როგორც ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ იქნა აღნიშნული ოკუპანტი ძალა მოქმედებს ფართო დისკრეციის, მაგრამ გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. საზოგადო ცხოვრების ბევრი ასპექტი, ასევე ზომები, რომლის მიღებაც ოკუპანტს ევალება, შეუძლია ან არ შეუძლია მიღოს იმისათვის, რომ აღადგინოს და შეინარჩუნოს ეს “საზოგადო ცხოვრება” არის დეტალურად მოცული თვითონ ჰააგის რეგულაციებში, უნივერს მე-4 კონვენციასა და პირველ დამატებით ოქმში. თუმცა ეს დებულებები არის *lex specialis* 43-ე მუხლში გადმოცემულ ზოგად წესთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც საჯარო წესრიგი და საზოგადოებრივი ცხოვრება შედეგი კი არაა, რომლის გარანტირებაც ოკუპანტმა ძალამ უნდა მოახდინოს, არამედ მიზანი, რომლისკენაც ოკუპანტი უნდა მიღიოდეს მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი და პროპორციული საშუალებით.<sup>75</sup> მაგალითად უკანონო იქნება ისეთი მეთოდები, რაც პირდაპირ აკრძალულია საერთაშორისო სამართლით, როგორიცაა კოლექტიური სასჯელის დაკისრება, დეპორტაცია, იძულება, წამება, მძევლად აყვანა და ა.შ.<sup>76</sup> 43-ე მუხლის ტექსტში ტერმინები - “მის ძალებში არსებული ყველა ზომა” და “რამდენადაც ეს შესაძლებელია” - ცხადყოფს რომ ოკუპანტი ძალის ვალდებულება გამოიხატება მის მიერ ყველა შესაძლო, საერთაშორისო სამართლით დაშვებული მეთოდის გამოყენებაში, რათა 43-ე მუხლში ჩამოთვლილი მიზნები მიღწეულ იქნას, შესაბამისად, თუკი ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგის აბსოლუტური უზრუნველყოფა ვერ ხდება ოკუპანტი ძალისგან დამოუკიდებელი მიზეზით, მაშინ ამისათვის ოკუპანტის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუკი დადასტურდა, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი ძალა იხმარა, რათა უზრუნველყოფა ოკუპირებული ტერიტორიის ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება, საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება.

43-ე მუხლში მოცემული ვალდებულებები ხასიათის მიხედვით შეიძლება გაიყოს ორად – პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებად. პირველ მათგანს ეკუთვნის ოკუპანტის ვალდებულება, რომ მის ძალებში არსებული საშუალებებით აღადგინოს და უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და ნორმალური ცხოვრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო მეორეს მისი

<sup>73</sup>US Military Tribunal, Nuremberg, 8 July 1947–19 February 1948, *Trial of Wilhelm List and Others (Hostages Trial)*, (1949) 8 LRTWC 34, at 57 (section iv “The Status of Yugoslavia, Greece and Norway, and of the Partisan Group Operating Therein, at the Relevant Time”).

<sup>74</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.98.

<sup>75</sup>Sassoli, *supra*, n.65, p.664.

<sup>76</sup>GC IV, *supra*, n.11, part III.

ვალდებულება რომ პატივი სცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ კანონებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. პირველი კატეგორიის ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს სამხედრო მთავრობის აღმასრულებელი და სასამართლო შტოების მიერ მოითხოვს ოკუპანტის პოზიტიურ ქმედებებს, მაშინ როდესაც მეორე კატეგორიის ვალდებულება ძირითადად ნეგატიურ მოვალეობაზეა დაფუძნებული და უკრძალავს ოკუპანტს ადგილობრივი კანონმდებლობის შეცვლას, თუკი ეს აბსოლუტური აუცილებლობით არ არის გამოწვეული. ორივე ვალდებულება ხასიათდება მაკვალიფიცირებელი ფრაზებით: პირველი – “რამდენადაც ეს შესაძლებელია” და მეორე – “თუკი აბსოლუტურად გამორიცხული არაა.”<sup>77</sup>

ისრაელის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით<sup>78</sup> პირველი ტიპის ვალდებულება შეიძლება დაიყოს ორ ქვეკატეგორიად; საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების ადგგენა იქნება “მყისიერი და ძირითადი ვალდებულება”, ხოლო მისი შენარჩუნება და უზრუნველყოფა კი “შემდგომი და განგრძობითი” ვალდებულება, რომელიც ოკუპანტს ეკისრება ოკუპაციის ხანგრძლივობის მთელს პერიოდში და რომელიც შეიძლება მოერგოს ოკუპირებული ტერიტორიის შეცვლილ სოციალურ საჭიროებებს, რაც დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, ეკონომიკასთან, ჯანდაცვასა და ტრანსპორტთან.

ოკუპანტი ძალის ქმედებები, რომელიც ემსახურება 43-ე მუხლში მოცემულ მიზნებს არ უნდა იყოს მიმართული მუდმივი ცვლილებებისაკენ. ზოგიერთი მეცნიერი<sup>79</sup> აღნიშნავს, რომ ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, რომ გაატაროს ინსტიტუციური რეფორმები იზღუდება მხოლოდ “მცირე” (minor) და არა “ძირეული” (fundamental) ცვლილებებით. ეს გულისხმობს ოკუპირებული ქვეყნის ფუნდამენტური ინსტიტუტების დაცვას მუდმივ ცვლილებებისაგან, მაგალითისათვის ოკუპანტი ძალა ვერ შეცვლის დაკავებული ქვეყნის საპარლამენტო მმართველობას მონარქიით იმ მოტივით რომ ეს საჯარო წესრიგის უზრუნველსაყოფადაა საჭირო. აღნიშნული მიდგომის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპაციამდე არსებული მდგომარეობის მაქსიმალურად კონსერვაცია, სანამ ლეგიტიმური სუვერენი აღიდგენს ხელისუფლებას.<sup>80</sup> თუმცა ამ მიდგომის გამოყენებისას მაინც ვხვდებით წინააღმდეგობას, კერძოდ რა შეიძლება ჩაითვალოს მცირე და რა ძირეულ ცვლილებად. მაგალითად, მუნიციპალიტეტის ფარგლების გაზრდა უფრო ფართო წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად ჩაითვლება თუ არა მცირე ცვლილებად, თუ ძირეულ ცვლილებად, რომელიც აკრძალულია ოკუპაციის სამართლით?! მეორე სახის წინააღმდეგობა შეიძლება

<sup>77</sup>Dinstein, Y. *Legislation Under Article 43 of the Hague Regulations: Belligerent Occupation and Peace Building* in Program on Humanitarian Policy and Conflict Research, Harvard University, Occasional Paper Series, no.1, fall 2004, p.3.

<sup>78</sup>HCJ 69493/81, Abu Aita et al. v. Commander of the Judea and Samaria Region et al. in Israel Yearbook on Human Rights, vol.13, 1983, pp.356–357.

<sup>79</sup>Stone, J. *Legal Controls of International Conflicts*, 1959, p.694.

<sup>80</sup>Chinkin, *supra*, n.1, p.175.

წარმოიშვას, როდესაც ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და არაგონივრულად ზღუდავს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის კანონიერ უფლებებს. მაგ. აბსურდული კანონმდებლობა, რომლითაც უნივერსიტეტში სწავლა ეკრძალებათ რომელიმე რასის ან სქესის ადამიანებს. ისმის კითხვა, უნდა შენარჩუნდეს თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპაციამდე მოქმედი სამართლებრივი და სოციალური სისტემა, რომელიც გაუმართლებლად ავიწროვებს ადგილობრივ მოსახლეობას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა სამართლს თუ პააგის რეგულაციების 43-ე მუხლის დებულება რომ ოკუპანტმა “უნდა იღონოს მის ხელო არსებული ყველა ძალა”, უნდა განიმარტოს უფრო ფართოდ, ლიბერალური მიდგომით რაც მოიაზრებს ძირეულ ცვლილებებსაც კი, თუკი ეს მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.<sup>81</sup>

ზოგადად ძალიან რთულია ოკუპანტი ძალის ქმედების კანონიერების შეფასება, როდესაც ეს ქმედება ეყრდნობა პააგის 43-ე რეგულაციას, რადგან, როგორც აღინიშნა, ეს დებულება იძლევა საკმაოდ ფართო წაკითხვის საშუალებას. იმ შემთხვევაში, თუკი ოკუპანტის რაიმე ქმედების კანონიერება, იქნება ეს აღმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ზომის მიღება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ოკუპანტმა ძალამ უნდა დაამტკიცოს რომ სადავო ქმედებით გამოწვეული ცვლილება არის მცირე მასშტაბის და მიმართულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ან გატარებული რეფორმა არის ძირეული, მაგრამ მისი მიღება განპირობებულია ნამდვილი პუმანიტარული მიზნებით.<sup>82</sup>

ოკუპანტი ძალის ქმედების კანონიერების შესამოწმებლად ისრაელის უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა ტესტი,<sup>83</sup> რომლის მიხედვითაც ოკუპაციის სამართლი უშვებს მხოლოდ ორ ლეგიტიმურ ინტერესს, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება გამართლეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე *status quo*-ს შეცვლა: (1) ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი; (2) საოკუპაციო ჯარის, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა, ვიწრო სამხედრო ინტერესი. სამხედრო მეთაურის ძალაუფლების იმგვარი გამოყენება, რომელიც ემსახურება ამ ორი ინტერესის გარდა სხვა გარეშე ინტერესს ჩაითვლება უკანონოდ. სასამართლომ განაცხადა, რომ:

სამხედრო მმართველს არ აქვს უფლება მხედვებლობაში მიიღოს თავისი ეროვნული, ეკონომიკური ან ხოციალური საჭიროებები მეტებულ ტერიტორიაზე პოლიტიკის განსაზღვრისას იმდენად რამდენადაც ამას შემხედვა არ აქვს თავის სამხედრო ინტერესებსთან ან ოკუპირებული ტერიტორიის ადგილობრივ მოსახლეობის ინტერესებთან. თავად

<sup>81</sup>Gerson, A. War, Conquered Territory, and Military Occupation in the Contemporary International Legal System in Harvard International Law Journal, vol.18, no.3, 1977, p.536.

<sup>82</sup>Lauterpacht, *supra*, n.40, p.270-278.

<sup>83</sup>HCJ 393/82 *Jamayit Iscan Almalmun Althaunia Almahduda Almesaulia v. The Commander of IDF in the Judea and Samaria Area in Piskei Din*, no.738, 1983.

სამხედრო საჭიროებაც არის მხოლოდ საოჯახაციო ჯარის სამხედრო საჭიროება და არა ეროვნული უსაფრთხოების საჭიროება ფართო გაგებით. სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მოქცეული ტერიტორია არ არის ღია მდელო ეკონომიკური ან სხვა სახის გამოყენებისათვის. შესაბამისად სამხედრო ადმინისტრაციას არ შეუძლია დაგვამოს ან განახორციელოს გზების მშენებლობა რკუპირებულ ტერიტორიაზე თუკი ეს ემსახურება თავის სახელმწიფოსათვის “მომსახურების გზის” შექმნას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე გზების მშენებლობა შეიძლება სამხედრო საჭიროების გარეშე განხორციელდებ, თუკი ეს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს. დაუშვებელია, რომ ამგვარი პროცესის დაგვამდა ან განხორციელება ემსახურებოდეს მხოლოდ ოკუპანტ სახელმწიფოს.<sup>84</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ოკუპანტ ძალას შეუძლია განახორციელოს, როგორც მცირე, ისე ძირეული ცვლილებებიც, თუკი ეს მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ, შესაბამისად დიქტატორული კანონმდებლობის და სისტემის შეცვლა, როცა ამის აუცილებელი საჭიროება არ არსებობს, მაინც გამართლებულად ჩაითვლება.<sup>85</sup> ძირეული ცვლილებებისა და ზოგადად ტრანსფორმაციული ოკუპაციის შესახებ უფრო დეტალურად საუბარია ამ ნაშრომის ბოლო თავში. ოკუპანტი ძალის ქმედებების შეფასებაში ამოსაგალი წერტილია რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებს იგი. თუკი მისი ქმედება ემსახურება ოკუპირებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირების მიზნებს და ამავდროულად შედის ან ადგილობრივი მოსახლეობის ან თავისი საოკუპაციო ჯარის ინტერესებში ამგვარი ქმედება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან ჩაითვლება კანონიერად. ყველა სხვა ქმედება, რომელიც შესაძლოა ემსახურებოდეს ოკუპანტი ძალის ქვენის ეროვნულ ინტერესს ან სხვა მესამე მხარის ინტერესს იქნება უკანონო და გამოიწვევს ოკუპანტი ძალის პასუხისმგებლობას სართაშორისო სამართლის მიხედვით.

ჟენევის მე-4 კონვენციის მთავარი მონაპოვარია ოკუპაციის სამართლის ეპიცენტრის გადატანა პოლიტიკური ელიტისგან სამოქალაქო მოსახლეობაზე, ოკუპირებული ტერიტორიების კანონიერი ადმინისტრირების საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპების შემოღების გზით.<sup>86</sup> ეს სხვაობა ცხადად ჩანს ამ ორი კონვენციის შინაარსის შედარებისასაც, პააგის რეგულაციები უმეტესად ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებებზე აკეთებს აქცენტს, მაშინ როდესაც ჟენევის მე-4 კონვენციით ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის უფლებებზე ხდება ყურადღების გამახვილება.

პააგის რეგულაციებში უფრო შემჭიდროვებული დებულებებია გადმოცემული, რომელიც ეხება კონკრეტულად მოწინააღმდეგის დაკავებულ ტერიტორიაზე სამხედრო ძალაუფლებას. რეგულაციები კრძალავს

<sup>84</sup>Ibid, para.13.

<sup>85</sup>Lauterpacht, *supra*, n.40, p.446.

<sup>86</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.105.

იძულებით ინფორმაციის მოპოვებას (44-ე რეგულაცია), ოკუპანტი ძალისათვის ერთგულების ფიცის მიცემას (45-ე რეგულაცია) და ძარცვა-მიტაცებას (47-ე რეგულაცია), ამავდროულად პააგის კონვენცია აწესებს ოჯახის, დირსების, პირთა სიცოცხლის, კერძო საკუთრებისა და რელიგიის აღმსარებლობისა და მსახურების უფლების უზრუნველყოფის ვალდებულებასაც (46-ე რეგულაცია). ოკუპანტი ძალის მიერ გადასახადების აკრეფის ვალდებულება შეზღუდულია მიზნით, კერძოდ ეს უნდა ემსახურებოდეს ან საოკუპაციო ჯარის საჭიროებას ან ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრირებას (49-ე რეგულაცია); ამავდროულად გადასახადების აკრეფი რამდენადაც ეს შესაძლებელია უნდა შეესაბამებოდეს ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო სისტემას (48-ე რეგულაცია). კონტრიბუციის აკრეფისას აუცილებელია ქვითრის გაცემაც (51-ე რეგულაცია). კოლექტიური სასჯელი აკრძალულია (50-ე რეგულაცია), ხოლო რეკვიზიცია შეზღუდული (52-ე რეგულაცია). მოძრავი სახელმწიფო ქონება შეიძლება დაყადადდეს, ასევე ზოგიერთი კატეგორიის კერძო ქონებაც, რომელიც დაკავშირებულია საომარ მოქმედებებთან, თუმცა მშეიდობის აღდგენისთანავე ასეთი ყადაღა უნდა მოიხსნას და გაიცეს შესაბამისი კომპენსაცია (53-ე რეგულაცია). პააგის კონვენციაში ასევე არის საეციალური დებულებები, რომელიც აწესრიგებს წყალქვეშ გამავალ კაბელებსა (54-ე რეგულაცია) და კულტურულ საკუთრებას (56-ე რეგულაცია),<sup>87</sup> მაგრამ ამ ყველა დებულების ქვაკუთხედია 55-ე რეგულაცია, რომელიც ამბობს, რომ:

ოკუპანტი სახელმწიფო განიხილება მოწინააღმდეგე მხარის კუთვნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე საჯარო შენობების, უძრავი ქონების, ტყეების და სასოფლო სამეურნეო სავარგულების მხოლოდ ადმინისტრატორად და უზუფრუქტურად. მან უნდა დაიცვას ამ ქონების ერთიანობა და მართოს ეს [ქონება] უზუფრუქტის წესების შესაბამისად.<sup>88</sup>

პააგის კონვენციის ეს დებულება აყალიბებს წესს, რომლის მიხედვითაც ოკუპანტი ძალა არავითარ შემთხვევაში არ ახორციელებს მის მიერ დაკავებული ტერიტორიის “სუვერენულ” კონტროლს, არამედ მისი ძალაუფლება არის დროებითი და ამ დროის განმავლობაში ის ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე,<sup>89</sup> მათ შორის იქ არსებული ქონების დაცვის კუთხითაც. ამავდროულად, რეგულაციები პირდაპირ არ მიუთითებს, თუმცა ნავარაუდევია რომ ოკუპანტ ძალას შეუძლია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებისა თუ სასოფლო სამეურნეო მოსავლის გონივრულ ფარგლებში გამოყენება, ისე რომ ამგვარ რესურსს განადგურების საფრთხე არ დაემუქროს.<sup>90</sup>

<sup>87</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, section III.

<sup>88</sup>*Ibid*, art.55.

<sup>89</sup>Watkin, K. *Maintaining Law and Order during Occupation: Breaking the Normative Chains in Israeli Law Review*, vol.41, 2008, p.179.

<sup>90</sup>*Supra*, n.81, p.540-541.

თავის მხრივ უნდავის მე-4 კონვენცია ჰააგის რეგულაციებისაგან განსხვავებით შეიცავს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების უფრო დეტალურ და პროცესუალურად გაწერილ წესებს, ადგილობრივი ოფიციალური პირების, განსაკუთრებით კი მოსამართლეების, ჩათვლით.<sup>91</sup> მიუხედავად იმისა რომ კონვენცია უფრო მეტად ორიენტირებულია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, ის მაინც აღიარებს ოკუპანტი ძალის უფლებას დაიცვას საოკუპაციო ჯარის უსაფრთხოება და ამ მიზნით დაუწესოს გარკვეული შეზღუდვები ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის თავისუფალი გადაადგილების კუთხითაც, ასევე კონვენცია ითვალისწინებს ოკუპანტის მიერ სავალდებულო საცხოვრებელი ადგილისა (assigned residence) და ინტერნირების ზომების მიღებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. (42-ე, 43-ე და 78-ე მუხლები) თუმცა ეს უკანასკნელი ზომები განიხილება როგორც გამონაკლისი და უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული, როდესაც სხვა უფრო მსუბუქი ზომის მიღებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია. სავალდებულო საცხოვრებელი ადგილისა და ინტერნირების გამოყენება ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ უნდა ხდებოდეს იმავე რეჟიმით, რითაც ეს ზომები გამოიყენება ომის ტყვების მიმართ უნდავის მე-3 კონვენციის მიხედვით.<sup>92</sup>

უნდავის მე-4 კონვენცია ასევე არგულირებს ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, როგორიცაა სკოლები (50-ე მუხლი), სამედიცინო მომსახურება (56-ე მუხლი), სამოქალაქო ჯანდაცვის ობიექტების დაცვა (57-ე მუხლი), ასევე ჰუმანიტარული ტვირთი, მისი დაცვა და განაწილება (59-ე - 61-ე მუხლები), შრომის შესახებ რეგულაციები (51-ე - 52-ე მუხლები) და საკუთრების დაცვა (53-ე მუხლი). მთლიანობაში უნდავის მე-4 კონვენცია ყოვლისმომცველ დაცვის სტანდარტს იძლევა იმ პირთამოვის, რომლებიც მოექცევიან “კონვენციის დაცვის ქვეშ” და ჰააგის რეგულაციებისგან განსხვავებით სწორედ ასეთ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული.<sup>93</sup>

საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ყველაზე ეფექტუანი გზა საპოლიციო კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ოკუპანტი ძალა უფლებამოსილია თავისი სამხედრო მიზნებისათვის გააგაროს კონკრეტული საპოლიციო ზომები, ამავდროულად ამგვარი ზომები ხელს უნდა უწყობდეს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებასაც, რადგან ყოველი კანონიერი ოკუპაციის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაცაა.<sup>94</sup>

როდესაც საქმე ეხება ოკუპანტი ძალის სამხედრო ინტერესებს, სავარაუდოა რომ იგი შეზღუდვავს ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ

<sup>91</sup>Garraway, C.H.B. *The Duties of the Occupying Power: An Overview of the Recent Developments in the Law of Occupation* in Raue, J., Sutter, P. (eds.) *Facets and Practices of State-building*, Leiden, 2009, p.185.

<sup>92</sup>GC IV, *supra*, n.11, part III, section IV.

<sup>93</sup>Garraway, *supra*, n.91, p.186.

<sup>94</sup>von Glahn, G. *The Occupation of Enemy Territory: a Commentary on the Law and Practice of Belligerent Occupation*, Minneapolis, 1957, p.97.

აქტივობასაც, რათა თავიდან იქნეს აცილებული პოლიტიკური გზით საოკუპაციო ჯარისათვის ან საოკუპაციო ადმინისტრაციისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლის ფართო განმარტება ამის უფლებას აძლევს ოკუპანტს. ზოგიერთი მეცნიერის<sup>95</sup> მოსაზრებით, უფრო მეტიც, ოკუპანტს შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შეუზღუდოს არჩევნებსა ან პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობის მიღება ქვეყნის არაოკუპირებულ ნაწილში (როდესაც სახეზეა ქვეყნის ნაწილობრივი ოკუპაცია). თუმცა ამგვარი განმარტება ალბათ მუხლის საკმაოდ ფართო წაკითხვით შეიძლება იქნეს გამართლებული, ამავდროულად ჰააგის 42-ე რეგულაცია აშკარად აცხადებს რომ ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მოწინააღმდეგე ძალამ დაამყარა კონტროლი, შესაბამისად ოკუპანტის მიერ ქვეყნის არაოკუპირებულ ტერიტორიაზე არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა შეეწინააღმდეგება თკუპაციის საერთაშორისო სამართლის სულისკვეთებას და ჩაითვლება უკანონოდ, რადგან ოკუპანტ ძალას არ აქვს უფლება ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას აუკრძალოს რაიმე ქმედების განხორციელება იმ ტერიტორიის მიღმა, რომელსაც იგი აკონტროლებს.<sup>96</sup>

ოკუპირებული ტერიტორიაზე საპოლიციო კონტროლის განხორციელება შესაძლებელია, როგორც ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურების მიერ, ასევე ოკუპანტი ძალის ადმინისტრაციის მხრიდან. ოკუპანტ ძალას არ შეუძლია შორიდან უყუროს თუ როგორ ხდება მოროდიორობა, ძარცვა თუ მკვლელობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუნდაც მის ჯარისკაცებს არანაირი საფრთხე არ ექმნებოდეთ. ოკუპანტმა უნდა შეინარჩუნოს სამართალი და წესრიგი და მას არ აქვს იმის უფლება რომ მშვიდად აიტანოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამეფებული უკანონობა და არეულობა.<sup>97</sup>

საჯარო წესრიგის აღსადგენად მიღებული საპოლიციო ზომები არ რეგულირდება საერთაშორისო პუმანიტარული სამართლით დადგენილი სამსედრო მოქმედებების წარმოების წესებით, არამედ შიდა კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, რადგან საომარი მოქმედებები მიმართულია მოწინააღმდეგის სამსედრო შესაძლებლობების დასუსტებისაკნ, ხოლო საპოლიციო ოპერაციების მიზანია კანონის აღსრულება და საჯარო წესრიგის შენარჩუნება. საპოლიციო ზომების მიღებისას უფრო მეტი შეზღუდვები მოქმედებს, ვიდრე მის წარმოებისას.<sup>98</sup>

<sup>95</sup>Ibid, p.98.

<sup>96</sup>ამ საკითხზე საინტერესოა საქართველოს მაგალითი, როდესაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეფაქტო მთავრობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს (მირითადად გაღისა და ახალგორის რაიონში მცხოვრები) უკრძალავს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

<sup>97</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.111.

<sup>98</sup>Sassoli, *supra*, n.65, p.665.

როდესაც საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხე ემუქრება ადგილობრივი ინსურგენტების მხრიდან, საპოლიციო ძალების გამოყენება ყველაზე საუკეთესო მეთოდია ამგვარი საფრთხის გასანეიტრალებლად.<sup>99</sup> თუმცა ხანდახან საპოლიციო ძალები საკმარისი არაა ოპერაციის წარმოებისათვის, როდესაც ადგილობრივი ორგანიზებული დაჯგუფებები იყენებენ პარტიზანულ ტაქტიკას, აწყობენ ტერორისტულ აქტებს და სხვა სამხედრო მოქმედებებს ახორციელებულ ოკუპირებული ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში. ამგვარი შეიარაღებული დაჯგუფებები საკმარი სერიოზული საფრთხეა არა მხოლოდ საოკუპაციო ჯარისათვის, არამედ ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისთვისაც. ასეთ დროს ხდება უკვე კონფლიქტის ესკალაცია და ვხვდებით აშკარა მსგავსებას შეიარაღებულ პარტიზანულ დაჯგუფებებთან ბრძოლასა და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს შორის.<sup>100</sup> ამგვარი სახის შეიარაღებულ დაპირისპირებას ა.შ.შ.-ის სამხედრო სახელმძღვანელოები “გარდამავალ მოზაიკურ ომად” მოიხსენიებენ.<sup>101</sup> თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების წარმოებას დეტალურად ეხება ნაშრომის შემდგომი ქვეთავი, შესაბამისად ამ ქვეთავში საუბარი გვაქვს მხოლოდ ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებზე საპოლიციო ოპერაციების წარმოებისას.

ტერიტორიის საპოლიციო კონტროლი მოიაზრებს ძალის გამოყენებასაც, რომელიც არსებითად განსხვავდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს საომარი მოქმედებებისაგან. პოლიციის მიერ ძალის გამოყენება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომელიც წინასწარ გაწერილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. ამ შეზღუდვების მიხედვით, საპოლიციო ოპერაციებისას ძალის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ აბსოლუტური საჭიროების შემთხვევებში.<sup>102</sup> სასიკვდილო ძალის გამოყენება დაიშვება ისეთ დროს, როცა მისი თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია.<sup>103</sup> ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით დაკავებას ან ეჭვმიტანილის განეიტრალების სხვა ნაკლებად მსუბუქ მეთოდს აქვს აშკარა უპირატესობა “სასიკვდილო გასროლასთან” (*shoot to kill*) მიმართებით.<sup>104</sup> როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

სასიკვდილო ძალის გამოყენება ჩაითვლება არაპროპორციულად თუკი [საპოლიციო] ძალებმა გერ შეძლებს განზრახ ან დაუდევრად, იმ ზომების მიღება, რომელიც თავიდან აირიდებდა უჭვმიტანილის სიცოცხლის მოსპობას სხვათა სიცოცხლის რისკის ქვეშ დაუკეთების გარეშე.<sup>105</sup>

<sup>99</sup>The US Army, Marine Corps, *Counterinsurgency Field Manual*, para.91.

<sup>100</sup>GC III, *infra*, n.124, commentaries, 1960, art.4.

<sup>101</sup>*Supra*, n.99, paras.1-2.

<sup>102</sup>ECtHR, *McCann and Others v. United Kingdom*, no.18984/91, 1995, para.148.

<sup>103</sup>*Ibid*, para.149.

<sup>104</sup>ECtHR, *McKerr v. United Kingdom*, no.28883/95, 2001, para.100.

<sup>105</sup>*McCann*, *supra*, n.102, para.235.

ადსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება ეხებოდა ირლანდიური ტერორისტული დაჯგუფების წევრის მოკვლას ბრიტანელი სამართალდამცავების მხრიდან. ასეთ დროს აშკარაა, რომ ადგილი ჰქონდა საპოლიციო ძალის გამოყენებას, თუმცა მოგვიანებით ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მოიშველია დამიზნებითი მკვლელობების კანონიერების საკითხის დადგენისას, როდესაც ხდება მოწინააღმდების სიცოცხლის განზრახ მოსპობა შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში. ისრაელის უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მიმოიხილავს ამ თავის შემდეგი ქვეთავი, რადგან ის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არა იმდენად საპოლიციო ძალების ქმედებებს, არამედ უფრო სამხედრო მოქმედებებს ეხება.<sup>106</sup>

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება საპოლიციო ძალით უნდა მოხდეს, როდესაც დაძაბულობას არ მიუღწევია შეიარაღებული კონფლიქტის ზღვრამდე და შესაბამისად სახეზეა შიდა არეულობა, მღელვარება, სპორადული აქტები, ჯანყი და ა.შ. ხოლო სამხედრო ძალის ჩარევა საჭირო ხდება მაშინ, როდესაც პოლიცია ვეღარ გაუქმდავდება ამგვარ არეულობას და განგრძობითი ძალადობა უკვე აშკარად შეიცავს შეიარაღებული კონფლიქტის ნიშნებს.<sup>107</sup>

ბოლოს, ადსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო სამართალი არ ახდენს განსხვავებას კანონიერ და უკანონო ოკუპანტს შორის და ოკუპაციის სამართლით გათვალისწინებული ტერიტორიის ადმინისტრირების უფლებამოსილება სრულად გადაეცემა ოკუპანტ ძალას მიუხდავად იმისა რეაბილიტირონ კანონიერი ძალის გამოყენების შედეგად მოხდა თუ უკანონო აგრესის აქტის შედეგად.<sup>108</sup> როგორც ა.შ.შ.-ის საოლქო სასამართლომ განაცხადა:

დამტკრობელი [მტერი] საუკეთესო ძალა არაა, რომელსაც შეიძლება ვანდოო რეაბილიტირებული ტერიტორიის ადმინისტრირება. თუმცა ის არის ერთადერთი ძალა ადგილზე და აქვს იმის უფლებამოსილება რომ ადასრულოს თავისი ბრძანებები. და მიუხდავად იმისა რომ მისი უფლებამოსილების აღიარება შეიძლება სახითოოც კი იყოს, მაინც უკეთესია რომ აღიარებულ-იქნება რომელიმე მთავრობა, ვიდრე არც-ერთი მთავრობა არ იყოს ადგილზე. რაიმე სახის წესრიგის გარეშე მოსახლეობის მთელი საზოგადოებრივი და კონომიკური ცხოვრება პარალიზებული იქნებოდა. ასე რომ, საერთაშორისო სამართალმა აღიარა ოკუპანტის უფლება მთილოს რეგულაციები თავისი სამხედრო ინტერესების დასაცავად და საპოლიციო კონტროლის განსახორციელებლად. თუმცა საერთაშორისო სამართალი ასევე ავალდებულებს ოკუპანტს საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების

<sup>106</sup> დამიზნებითი მკვლელობის ტაქტიკასთან დაკავშირებით ზოგადად იხ. Alkatout, J. *The Legality of Targeted Killings in View of Direct Participation in Hostilities*, Berlin, 2015.

<sup>107</sup> Watkin, *supra*, n.89, p.189.

<sup>108</sup> Chinkin, *supra*, n.1, p.171.

## უზრუნველყოფას და ოფიციალობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვას.<sup>109</sup>

აღნიშნული საქმე ეხებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის, როგორც ოკუპანტი ძალის, მიერ ოკუპირებულ ფილიპინებში განხორციელებულ კონკრეტული ფინანსური ქმედებების ანულირებას ოკუპაციის უკანონო ხასიათიდან გამომდინარე, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ ოკუპანტის ქმედებები, რომელიც განხორციელებულია საერთაშორისო სამართლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, არის კანონიერი. ნიურნბერგის ტრიბუნალმაც გამოიყენა ასეთი მიდგომა, როდესაც განიხილავდა გერმანიის, როგორც ოკუპანტი ძალის, ქმედებებს ოკუპირებულ ევროპულ ტერიტორიებში.<sup>110</sup> აღნიშნული მიდგომა ეხმიანება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სულისკვეთებასაც, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს ძალის გამოყენების კანონიერების შეფასებას. ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებაც, როგორც ფაქტობრივი მოცემულობა, არ შეიძლება გახდეს დავის საგანი, რადგან ასეთ შემთხვევაში დაზარალდება ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა დაცვის ვალდებულებაც ოკუპანტმა ძალამ უნდა აიღოს თავის თავზე, განურჩევლად იმისა ამ ტერიტორიის დაკავება მან კანონიერი ძალის გამოყენებით მოახდინა თუ უკანონოდ. განურჩევლად ოკუპაციის კანონიერებისა, ოკუპანტის მიერ მისთვის მიცემული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული ყველა კანონიერი ზომა უნდა აღიაროს ლეგიტიმურმა მთავრობამ, მას შემდეგ რაც ოკუპაცია დასრულდება და განდევნილი სუვერენი კვლავ აღადგენს თავის ძალაუფლებას ტერიტორიაზე.<sup>111</sup>

## 2.2. შეიარაღებული წინააღმდეგობის დახაშვებობა მუშაორებულ ტერიტორიაზე

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტი ძალის მიერ ეფუქტიანი კონტროლის დამყარების შემდეგ შეიძლება თავი იჩინოს ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის ან გასამხედროებული რაზმების მხრიდან საოკუპაციო ჯარისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევამ. ასეთი ფაქტები შესაძლოა იყოს, როგორც მცირემასშტაბიანი და დაუგეგმავი, ასევე საქმაოდ ფართომასშტაბიანიც და სისტემატიური, რა დროსაც მსგავსი დაპირისპირება გადაიზრდება შეიარაღებულ კონფლიქტში. ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი არ არეგულირებს ამგვარი შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობის საკითხს, თუმცა ცალსახად მიუთითებს რომ ოკუპანტ ძალას აქვს უფლებამოსილება მიიღოს ყველა კანონიერი ზომა საკუთარი სამხედრო ინტერესებისა და საოკუპაციო ჯარის დასაცავად, შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის დროს ოკუპანტ ძალას ეკისრება

<sup>109</sup>United States District Court. D. Utah, Central Division. ABOITIZ & CO. v. PRICE. F.Supp. no.99, p.602, Civ. 1650, June 16, 1951.

<sup>110</sup>Supra, n.81, p.542.

<sup>111</sup>Lauterpacht, supra, n.40, pp.436-437.

ვალდებულება მოქებნოს ბალანსი საკუთარ სამხედრო ინტერესებსა და სამოქალაქო მოსახლეობის კეთილდღეობის ღირებულებებს შორის. მან უნდა შეძლოს საკუთარი საომარი პოზიციების შენარჩუნება ისე რომ საფრთხე არ შეექმნას ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგსა და სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოებას, რადგან ოკუპანტის მიერ ტერიტორიის ადმინისტრირება უნდა ემსახურებოდეს ორივეს – საკუთარი ჯარისათვის სამხედრო უპირატესობის მიღებისა და მოსახლეობისათვის სარგებლის მოტანის მიზანს.<sup>112</sup> ამგვარი ბალანსის დაცვა წარმოუდგენელია მსგავსი სიტუაციების მარეგულირებელი კონკრეტული წესების არსებობის გარეშე.

ჰააგის რეგულაციების მიხედვით ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა არ არის ვალდებული ერთგულების ფიცი მისცეს ოკუპანტს და ასევე დაუშვებელია მოსახლეობის იძულება იბრძოლოს ოკუპანტი ძალის მხარეს.<sup>113</sup> მათ შეუძლიათ გააპროტესტონ ოკუპაცია, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერის<sup>114</sup> მოსაზრებით, მათ არ აქვთ უფლება რომ გამოიყენონ ძალა ოკუპანტის სამხედრო თუ სამოქალაქო ძალების წინააღმდეგ. დაპყრობილი ქვეყნის მაცხოვრებლების მიერ სამხედრო აჯანყებები დასაშვებია მხოლოდ იმ ტერიტორიებში, სადაც ოკუპაცია ჯერ არ განხორციელებულა და ეფექტიანი კონტროლი არ დაუმყარებია მოწინააღმდეგე ჯარს, ხოლო როდესაც ტერიტორია უკვე დაკავებულია *levee en masse* უკვე აღარაა სანქცირებული საერთაშორისო სამართლით. ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის მიერ საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ იარაღის აღების უფლებას ოკუპაციის სამართალი არ უშვებს, რადგან სამხედრო ოკუპაციის დროს ტერიტორიაზე ლეგიტიმური სუვერენის მმართველობა შეწყვეტილია და იქ მცხოვრები მოქალაქეები დროებით ემორჩილებიან საოკუპაციო ხელისუფლებას.<sup>115</sup> ამგვარი მორჩილების ვალდებულების დაკისრება განპირობებულია საოკუპაციო ჯარის უსაფრთხოებით, საჯარო და საზოგადო წესრიგის შენარჩუნებისა და დაკავებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირებისათვის.<sup>116</sup> შესაბამისად, სამოქალაქო პირების მიერ ძალისმიერი მეთოდით ოკუპაციის გაპროტესტება ან ოკუპირებული ტერიტორიის გათავისუფლების მცდელობა არ დაიშვება.<sup>117</sup>

ამის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება,<sup>118</sup> რომ ტერიტორიის სამხედრო ძალით დაკავებისას ოკუპანტი ძალის წინააღმდეგ შეიარაღებული დაპირისპირება შეიძლება კანონიერი იყოს, თუმცა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაპირისპირება მიმართულია სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ. როდესაც ამგვარი დაპირისპირება იმდენად სერიოზული ხასიათისაა, რომ ოკუპანტ ძალას აღარ ძალუბს დაკავებული

<sup>112</sup>*Ibid*, pp.433-434.

<sup>113</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.45.

<sup>114</sup>Gasser, *supra*, n.3, p.235.

<sup>115</sup>Barican, L.B. *Military Occupation: Its Legal Effects and Limitations*, Manila, 1947, p.6, 29.

<sup>116</sup>US War Department Field Manual, *Rules of Land Warfare*, 1 October, 1940, art.297.

<sup>117</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.94.

<sup>118</sup>Francoise Bouchet-Saulnier, F. *The Practical Guide to Humanitarian Law*, Plymouth, 2007, p.293.

ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი, მაშინ საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ომის წარმოებასთან დაკავშირებული ნორმები იწყებს სრულ ამოქმედებას.<sup>119</sup> ხოლო, თუკი შეიარაღებული დაპირისპირება არ უშლის ხელს ოკუპანტ ძალას განახორციელოს ოკუპირებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირება, მაშინ ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ნორმები იმოქმედებს ოკუპანტსა და ტერიტორიის მაცხოვრებელ სამოქალაქო მოსახლეობას შორის, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის ნორმები კი გამოიყენება საოკუპაციო ჯარსა და შეიარაღებულ წინააღმდეგობრივ მოძრაობებს შორის. ზოგიერთი მეცნიერი<sup>120</sup> მიიჩნევს, რომ რადგან ოკუპაცია ომის მიზანია, ტერიტორიის ოკუპირებულად შენარჩუნება ასევე ოკუპანტი ძალის სამხედრო მიზანია, შესაბამისად მას შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას დააკისროს “ნეიტრალურობის” ვალდებულება (რადგან “ერთგულების ფიცის” ვალდებულების დაკისრება ჰააგის რეგულაციებით პირდაპირ დაუშვებლად ცხადდება). ნეიტრალურობის ვალდებულება გულისხმობს საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ მტრული დამოკიდებულებისა და შეიარაღებული დაპირისპირებისაგან თავის შეკავებას და საოკუპაციო ადმინისტრაციის ლეგიტიმური ბრძანებების ნებაყოფლობით დამორჩილებას. ამგვარი ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება შესაბამისი სასჯელის დაკისრების საფუძველიც კი გახდეს.<sup>121</sup> როგორც ნიდერლანდების საეციალურმა სასამართლომ განაცხადა კრისტიანსენის საქმეში:

[ოკუპირებული ტერიტორიის] სამოქალაქო მოსახლეობა ოუკი გამართლებულად ჩათვლის წინააღმდეგობის გაწევას, მან ზოგადად უნდა იცოდეს რომ მის წინააღმდეგ შეიძლება კანონიურად იქნეს გამოყენებული სამაგიერო ზომები, როგორც ეს დაშებულია საერთაშორისო სამართლით.<sup>122</sup>

აღსანიშნავია, რომ ოკუპანტი ძალისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის უფლება უენევის კონვენციების მიღებამდე არსად გვხვდება. ჰააგის კონფერენციაზე ზოგიერთი ქვეყნის დელეგაცია აცხადებდა, რომ ოკუპაციის ქვეშ მცხოვრებ ხალხს შეეძლო ოკუპაციისათვის ძალისმიერი წინააღმდეგობის გაწევა, თუმცა ეს უფლება თავის დროზე არც 1874 წლის ბრიუსელის დეკლარაციაში ასახულა, რომელიც საფუძვლად დაედო ჰააგის კონვენციას და შესაბამისად არც 1907 წლის რეგულაციებში შესულა.<sup>123</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი მილიციის ან პარტიზანული დაჯგუფების წევრებმა მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრისას უნდა ისარგებლონ ომის ტყვიის სტატუსით თუკი ისინი აკმაყოფილებენ ოთხნაწილიან ტესტს (ყავთ მეთაური, ატარებენ განმასხვავებელ ნიშანს,

<sup>119</sup>Ibid.

<sup>120</sup>Lauterpacht, *supra*, n.40, p.437.

<sup>121</sup>Ibid, p.439.

<sup>122</sup>Netherlands, Special Court, *Christiansen trial*, 1948, 14, LRTWC 128, in Dinstein, *supra*, n.8, p.95.

<sup>123</sup>Cassese, A. *Martens Clause: Half a Loaf or Simply Pie in the Sky* in *EJIL*, no.11, 2000, p.198.

დიად ატარებენ იარაღს, სამხედრო მოქმედებებს წარმართავენ ომის კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად).<sup>124</sup>

ვინაიდან ომის ტყვის სტატუსი გვხდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში, სავარაუდოა რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტსა და ადგილობრივ წინააღმდეგობრივ მომრაობებს შორის ყველანაირი დაპირისპირება, რომელიც სისტემატიურ ხასიათს მიიღებს დაკვალიფიცირდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ-იქნა ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიერ დამიზნებითი მკვლელობების საქმეში, სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ:

ისრაელსა და [ოკუპირებულ] ტერიტორიაზე მოქმედ ტერორისტულ თრგანიზაციებს შორის კონფლიქტისას გამოსაყენებებით სამართლი კომბატენტით ხასიათისაა. მის ცენტრში არის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართლი.<sup>125</sup>

აღნიშნული დასკვნის გაცემებისას სასამართლო დაეყრდნო პროფესორ კახესებ მოსაზრებას, რომელიც ამბობს, რომ შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობს ოკუპანტ ძალასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ აჯანყებულ ჯგუფებსა ან ინსურგენტებს შორის – მიუხედავად იმისა ისინი ტერორისტული დაჯგუფებები არიან თუ არა – უთანაბრდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს.<sup>126</sup>

თუმცა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ოკუპირებულ ავდანეთში კოალიციურ ძალებსა და ტერორისტულ დაჯგუფება ალ-ყაედას შორის კონფლიქტი არ დააკვალიფიცირა საერთაშორისოდ და მიუთითა, რომ ამგვარი კონფლიქტის დროს გამოიყენებოდა უენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი, რადგან კონფლიქტი არ იყო საერთაშორისო ხასიათის<sup>127</sup> (ანუ სახელმწიფოთა შორის, როგორც ეს უენევის კონვენციების მე-2 საერთო მუხლშია მოცემული). თუმცა სასამართლოს შემდგომი განმარტება აღარ გაუკეთებია თუ რატომ გამოიყენება საერთო მე-3 მუხლი, ვინ იყვნენ კონფლიქტის მხარეები – მხოლოდ აშშ, თუ კოალიციური ძალები, როგორც ავღანეთის ახალი მთავრობის მოკავშირეები,<sup>128</sup> რადგან იმ დროისათვის ავღანეთის კონფლიქტის ოკუპაციის ფაზა ფორმალურად უკვე დასრულებული იყო.

არსებული სამართლებრივი ბაზისა და პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებლებს აქვთ უფლება

<sup>124</sup>Convention (III) relative to the Treatment of Prisoners of War. Geneva, 12 August 1949, art.4(2).

<sup>125</sup>HCJ, the Public Committee against Torture in Israel and Palestinian Society for the Protection of Human Rights and the Environment v. The Government of Israel, The Prime Minister of Israel, The Minister of Defense, The Israel Defense Forces, The Chief of the General Staff of the Israel Defense Forces, Shurat HaDin – Israel Law Center and 24 others (2005), para.18.

<sup>126</sup>Cassese, A. *International Law*, Oxford, 2005, p.420.

<sup>127</sup>Hamdan v. Rumsfeld, US Supreme Court, 548 U.S. (2006); 126 S. Ct. 2749, 2006 U.S. LEXIS 5185, p. 67.

<sup>128</sup>Milanovic, M. *Lessons for Human Rights and Humanitarian Law in the War on Terror: Comparing Hamdan and the Israeli Targeted Killings Cases in IRRC*, vol.89, no.886, 2007, p.377-378.

გააპროტესტონ ოკუპაცია და ეს შესაძლებელია შეიარაღებული მეთოდითაც მოხდეს. ამას მოწმობს უნივერსიტეტის კონფენციების 1-ლი დამატებითი ოქმი, რომელიც უშვებს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ქვეშ ერთ-ერთი ქვეყნის კონფლიქტის შესაძლებლობას, რომლის დროსაც ხალხი იბრძვის უცხოელთა ოკუპაციის წინააღმდეგ საკუთარი თვითგამორკვევის უფლების რეალიზებისათვის.<sup>129</sup> მაგრამ მეორეს მხრივ, ოკუპაცია რადგან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგია (თუმცა შეიძლება შეიარაღებული წინააღმდეგობის გარეშეც განხორციელდეს)<sup>130</sup> ნაკლებად საურველია რომ ოკუპაციის პერიოდში კვლავ ადგილი პქონდეს შეიარაღებულ დაპირისპირებას. ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრების მეტნაკლებად ჩვეულებრივი რიტმის შენარჩუნება და ამ ტერიტორიის ადმინისტრირება, ისე რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ პქონდეს იმის შეგრძნება რომ შევიწროვებული ან დევნილია უცხოელი დროებითი მმართველის ხელში; შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ოკუპაციის სამართლის სულისკვეთება არ გადაიხრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობის შესაძლებლობისკენ, პირიქით, ოკუპაციის სამართლი განმსჭვალულია მშვიდობიანობის დროს მოქმედი სამართლის მსგავსი ნორმებით, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ოკუპაცია უნდა დასრულდეს მოლაპარაკებების და არა კვლავ შეიარაღებული მოქმედებების გზით, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როცა ოკუპანტი ძალა კეთილსინდისიერად მოქმედებს საერთაშორისო სამართლით მისთვის მიცემული უფლებამოსილების ფარგლებში, იმისდა დამოუკიდებლად ოკუპაცია განხორციელდა კანონიერი ძალის გამოყენებით თუ აგრესიული აქტის შედეგად. თუმცა შეიარაღებული წინააღმდეგობის შემთხვევაში ოკუპანტი ძალა ვერ მოიხსნის საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, რადგან აჯანყებების გამო ოკუპაცია არც წყდება და არც სრულდება, ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს თუ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შედეგად ტერიტორიაზე აღსდგა ლეგიტიმური სუვერენის მმართველობა ან ოკუპანტი ძალა ვერ უმკლავდება აჯანყების მასშტაბს და ტერიტორიაზე კარგავს ეფუქტიან კონტროლს.<sup>131</sup>

თუმცა, თუკი მაინც მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ოკუპანტი ძალისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა და თუკი მივიჩნევთ, რომ ამგვარი დაპირისპირება დაკვალიფიცირდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად, მაშინ აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო მოსახლეობის მონაწილეობა სპონტანურ ან თუნდაც წინასწარ დაგეეგმილ შეიარაღებულ აჯანყებებში უკანონო იქნება,<sup>132</sup> ასევე უკანონოდ ჩაითვლება გასამხედროებული რაზმების მიერ (რომლებიც ივარაუდება რომ აკმაყოფილებენ ოთხნაწილიან ტესტს) შეიარაღებული მოქმედებების წარმართვა სამოქალაქო პირებისა ან

<sup>129</sup> AP I, *supra*, n.12, art.1.

<sup>130</sup> GC IV, *supra*, n.11, art.2.

<sup>131</sup> Barican, *supra*, n.115, p.29.

<sup>132</sup> Bouchet-Saulnier, *supra*, n.118, p.296.

ობიექტის წინააღმდეგ. შესაბამისად, ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ოკუპანტის წინააღმდეგ ბრძოლა *ipso facto* მიიჩნევა კანონგარეშედ. ტერორისტები ვერ ისარგებლებენ ომის ტყვის სტატუსით და მათი დაჭერის შემთხვევაში ისინი გასამართლდებიან შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისათვის, ასევე ომის დანაშაულებისათვის. ისრაელის უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ტერორისტები არიან სამოქალაქო პირების ქვეპატეგორია, კერძოდ “უკანონო კომბატანტები”, რომელნიც ომის ტყვის სტატუსის პრივილეგიებს ვერ მიიღებენ.<sup>133</sup>

თავის მხრივ ოკუპანტ ძალას აქვს სრული უფლება მოახდინოს სამხედრო რეაგირება ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის მხრიდან სამხედრო წინააღმდეგობაზე. თუკი საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ოკუპანტი ვალდებულია საპოლიციო ჯარები გამოიყენოს და მათი მოქმედება დაუქვემდებაროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილ შეზღუდვებს, შეიარაღებული აჯანყების ჩასახშობად ოკუპანტი, როგორც წესი, მიმართავს სამხედრო ძალის გამოყენებას. ასეთ დროს ადამიანის უფლებების მოქმედება შეზღუდულ არეალში გადადის და წინ იწევს საერთაშორისო პუმანიტარული სამართლით დადგენილი ომის წარმოების წესები. ოკუპანტ ძალას საპოლიციო ოპერაციისაგან განსხვავებით საომარ მოქმედებებში შეუძლია გამოიყენოს სასიკვდილო ძალა კანონიერი სამიზნის წინააღმდეგ. ამგვარი სამიზნე შეიძლება იყოს, როგორც გასამხედროებული რაზმები, ასევე სამოქალაქო პირებიც, რომლებიც პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ მოქმედებებში და შესაბამისად კარგავენ საერთაშორისო პუმანიტარული სამართლით მინიჭებულ დაცვას.<sup>134</sup> გარდა ასეთი სამოქალაქო პირებისა, შესაძლებელია უდანაშაულო სამოქალაქო პირებიც შეეწირონ ამგვარ შეიარაღებულ დაპირისპირებას, როგორც “თანმდევი ზიანი”, თუმცა ეს მკაცრად უნდა გაკონტროლდეს პროპორციულობის პრინციპის ჭრილში.<sup>135</sup> პროპორციულობის და სამხედრო აუცილებლობის პრინციპს დეტალურად ეხება შემდეგი ქვეთავი.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასიკვდილო გასროლის ანუ დამიზნებითი მკვლელობის ტაქტიკა. საერთაშორისო სამართლის მიხედვით ამგვარი ტაქტიკის გამოყენება არც ყოველთვისაა დაშვებული და არც ყოველთვის აკრძალული,<sup>136</sup> შესაბამისად მისი გამოყენება ექვემდებარება კონკრეტულ წესებს, რომელიც ეყრდნობა როგორც პუმანიტარული სამართლით ასევე ადამიანის უფლებათა სამართლით განმტკიცებულ პრინციპებს. აღნიშნული წესები ტესტის სახით შეიმუშავა ისარაელის

<sup>133</sup>Targeted Killings case, *supra*, n.125, para.25.

<sup>134</sup>შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირების პირდაპირი და უშაულო მონაწილეობის შესახებ დეტალურად იხ. Melzer, N. *Interpretive Guidance on the Notion of Direct Participation in Hostilities under International Humanitarian Law*, International Committee of the Red Cross, Geneva, 2009.

<sup>135</sup>Watkin, *supra*, n.89, p.190.

<sup>136</sup>Targeted Killings case, *supra*, n.125, par.60.

უზენაესმა სასამართლომ დამიზნებითი მკვლელობის საქმეში. ამ ტესტის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიარაღებული წინააღმდეგობისას ოკუპანტი ძალის მიერ ლეგიტიმური სამიზნის მიმართულებით სასიკვდილოდ გასროლა კანონიერად ჩაითვლება, თუკი (1) ოკუპანტს გააჩნია უტყუარი და გადამოწმებული ინფორმაცია რომ სამიზნე მართლაც პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას იღებს დაპირისპირებაში; (2) სამიზნე არ შეიძლება მოკლულ იქნეს თუკი იმ მომენტში უფრო ნაკლებად მსუბუქი ზომის მიღებით შესაძლებელია მისი განეიტრალება; (3) თუკი სამიზნე მართლაც მოკვდა, ამ შემთხვევის შემდეგ უნდა ჩატარდეს ყოვლისმომცველი გამოძიება, რათა დადგინდეს მოხდა თუ არა ეს დამიზნებით მკვლელობა კანონიერად და თუკი საპირისპირო დადგინდა უდანაშაულო სამოქალაქო პირებს კომპენსაცია უნდა მიეცეთ; (4) სამიზნეზე არ უნდა იქნას იერიში მიტანილი თუკი შემოგარენში მყოფი სამოქალაქო პირებისადმი მოსალოდნელი თანმდევი ზიანი არაპოპორციულია იმ სამხედრო უპირატესობისა, რასაც ოკუპანტი ამ სამიზნის განადგურებით მიიღებს.<sup>137</sup>

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები და შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გამოიკვეთა, რომ ოკუპანტი ძალის ნებისმიერი ქმედების კანონიერება შეფასდება სამხედრო აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპის მხედველობაში მიღებით, ამიტომ მნიშვნელოვანია დეტალურად მიმოვიხილოთ თითოეული ეს პრინციპი ოკუპაციის სამართლის ჭრილში.

### 2.3. სამხედრო აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპი

ოკუპანტი ძალის ქმედებების კანონიერების შეფასებისას განმსაზღვრელი როლი ენიჭება სამხედრო აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპს. აუცილებლობის პრინციპი გულისხმობს ოკუპანტი ძალის მიერ ისეთი მეთოდის გამოყენებას ან ზომის მიღებას რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის სრულ დამორჩილებას ყველაზე ნაკლები დროის, სიცოცხლისა და ფულის ხარჯზე.<sup>138</sup> სამხედრო აუცილებლობის პრინციპი ნებას რთავს ოკუპანტს განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც საჭიროა თავისი ჯარის უსაფრთხოებისათვის და სამხედრო ოპერაციების წარმატებით დასასრულებლად.<sup>139</sup> ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ოკუპანტი ძალის მიერ სამხედრო აუცილებლობის პრინციპის გამოყენების საკითხი განიხილა ნიურნბერგის ტრიბუნალმა, რომელმაც დეტალურად ჩამოთვალა ქმედებები, რაც შეიძლება გამართლდეს აუცილებლობის პრინციპით და ის პირობები, რომლის დროსაც უნდა გამოიყენებოდეს ეს პრინციპი. ტრიბუნალმა განაცხადა:

<sup>137</sup>Milanovic, *supra*, n.128, p.389.

<sup>138</sup>The Manual of the Law of Armed Conflict, UK Ministry of Defence, p.22.

<sup>139</sup>Barican, *supra*, n.115, pp.15-16.

[აუცილებლობის პრინციპი] უშვებს შეიარაღებული მოწინააღმდეგის ან სხვა პირის სიცოცხლის მოსპობასაც, თუკი ამ პირის მოკვლის თავიდან აცილება შეუძლებელია საომარი მოქმედების დროს; ის უშვებს მოწინააღმდეგის ან სხვა პირის დაკავებას, რომელიც შესაძლოა საფრთხეს უქადაგებს [ოკუპანტს], მაგრამ აუცილებლობის პრინციპი არ უშვებს უდანაშაულო მოქალაქეების მოკვლას შურისძიების მიზნით ან უბრალოდ მკვლელობის წყურების დასაკმაყოფილებლად. იმისათვის რომ ქონების განადგურება კანონიერად ჩაითვალოს ეს განპირობებული უნდა იყოს ომის იმპერატიული საჭიროებებით. განადგურება, როგორც მიზანი, საერთაშორისო სამართლის დარღვევაა; ქონების განადგურებასა და მოწინააღმდეგის დაძლევას მორის უნდა იყოს რაიმე გონიერული კაგშირი. რეინიგზის, კომუნიკაციის საშუალებების ან მოწინააღმდეგის მიერ სხვაგვარად გამოყენებადი ქონების განადგურება კანონიერია. კერძო საკუთრება და ეძლესიერიც კი შეიძლება განადგურდებს თუ ეს საჭიროა სამხედრო ოპერაციისთვის. სამხედრო აუცილებლობა არ უშვებს რაიმე რაიონის თავზეხელადებულ განადგურებას ან მის მაცხოველებლებში გაზრას ტანჯის გამოწვევას, მხოლოდ ტანჯის მიერნების მიზნით.<sup>140</sup>

ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო სახელმძღვანელოები (მაგ. UK) გამოყოფენ სამხედრო აუცილებლობის პრინციპის ოთხ ძირითად ელემენტს, რომელთა კუმულატიურად არსებობა უნდა დადგინდეს იმისათვის, რომ რომელიმე მხარის ქმედება გამართლდეს აუცილებლობის პრინციპზე მითითებით. ეს ელემენტებია: (1) გამოყენებული ძალა უნდა იყოს რეალირებული; (2) ძალა საჭირო უნდა იყოს მოწინააღმდეგის რაც შეიძლება სწრაფად დამორჩილებისათვის; (3) გამოყენებული ძალა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს ამ მიზნისთვისა საჭირო და (4) ამგვარ ძალის გამოყენება სხვა მხრივ არ უნდა იყოს აკრძალული.<sup>141</sup>

სამხედრო აუცილებლობის პრინციპს ფუნქციური თვალსაზრისით აქვს როგორც შემზღვდავი ისე დასაშვები ასპექტი. დასაშვებ ასპექტში, ეს პრინციპი ნებას რთავს ისეთ ქმედებას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციების გარდა, საერთაშორისო სამართლით აკრძალული იქნებოდა, ამასთანავე ეს ქმედება, თავის მხრივ, საერთაშორისო პუმანიტარული სამართლით დადგენილ ჩარჩოს არ უნდა გასცდეს. აუცილებლობის პრინციპის შემზღვდავი ბუნება იკვეთება იმ აბსტრაქტული ქმედებების, რაც საერთაშორისო პუმანიტარული სამართლით ზოგადად დაშვებულია, კონკრეტულ ნაბიჯებამდე შემცირებით, რაც იმ მომენტშია საჭირო.<sup>142</sup>

ექნევის მე-4 კონვენციაც ეხება აუცილებლობის პრინციპს უსაფრთხოების ღონისძიებების ჭრილში და აცხადებს, რომ კონფლიქტის მხარეებს შეუძლიათ კონტროლისა და უსაფრთხოების ისეთი ზომების მიღება, რაც საჭიროა სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად ომის შედეგებიდან

<sup>140</sup> IMT, *Trial of Wilhelm List and Others (Hostages trial)* 1947-1948. section IX in Law Reports of Trials of War Criminals, vol.VIII, London, 1949.

<sup>141</sup> Rogers, A.P.V. *Law on the Battlefield*, Manchester, 2004, p.5.

<sup>142</sup> Melzer, N. *Targeted Killing in International Law*, Oxford, 2008, p. 297.

გამოწვეული აუცილებლობით.<sup>143</sup> აღსანიშნავია, რომ მუხლი არ ჩამოთვლის თუ კონტროლის ან უსაფრთხოების რა ზომების მიღება შეიძლება იყოს გამოწვეული აუცილებლობით, შესაბამისად ოკუპანტ ძალას ენიჭება დისკრეცია თავად გადაწყვიტოს თუ რა ზომას გამოიყენებს, მაგრამ ეს არ უნდა ლახავდეს ადამიანის ძირითად უფლებებს.<sup>144</sup> ასევე თუკი ოკუპანტი ძალა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ იყენებს კონტროლისა და უსაფრთხოების ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა სავალდებულო საცხოვრებელის მიჩნა ან ინტერნირება, მან უნდა დაასაბუთოს რომ სხვა ნაკლებად მსუბუქი ზომით მისი სამხედრო ინტერესი ვერ დაკმაყოფილდებოდა, რადგან ჟენევის მე-4 კონვენციის მიხედვით სავალდებულო საცხოვრებელი ადგილის მიჩნა და ინტერნირება უნდა გამოიყენებოდეს, როგორც კონტროლისა და უსაფრთხოების ყველაზე მკაცრი ზომა.<sup>145</sup>

სამხედრო აუცილებლობის პრინციპს აქვს სამმხრივი მნიშვნელობა: პირველი და უმნიშვნელოვანესი არის იმგვარი ქმედების აკრძალვა, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით არაა საჭირო; მეორე – შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი ხანდახან უშვებს დადგენილი წესებიდან გადახვევას სამხედრო მიზნების მისაღწევად და ბოლოს პროპორციულობის პრინციპი, რომელიც ემსახურება სამხედრო მიზნის მიღწევასა და პუმანიტარულ დაცვას შორის შესაბამისი ბალანსის დადგენას.<sup>146</sup>

პროპორციულობას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ოკუპაციისას, რადგან ამ პრინციპზე დაყრდნობით შეფასდება არა მხოლოდ ოკუპანტი ძალის სამხედრო ოპერაციები, არამედ ყველა აღმინისტრაციული ზომა, რომელსაც ოკუპანტი მიიღებს ოკუპირებული ტერიტორიების აღმინისტრირებისას. პროპორციულობის პრინციპი გულისხმობს ერთის მხრივ რომელიმე მხარისათვის სამხედრო უპირატესობის მიღებას გარკვეული თანმდევი სამოქალაქო ზიანის ხარჯზე, ხოლო მეორეს მხრივ ამ ზიანის შესაბამისობას იმ სამხედრო უპირატესობასთან, რომელიც დადგა ამგვარი ზიანის ხარჯზე. იმ შემთხვევაში თუკი სამოქალაქო მსხვერპლი არაპროპორციულია მიღებული სამხედრო ინტერესისა, მაშინ ამგვარი ქმედება ჩაითვლება უკანონოდ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიარაღებული მოქმედებების დროს შეტევა პროპორციულია, თუკი შესაბამისი სამხედრო მიზნის განადგურებით მიღებული სარგებელი შესაბამისია იმ ზიანისა, რაც ამ შეტევით უდანაშაულო სამოქალაქო პირებს მიადგათ. თუმცა პროპორციულობის ზემოთ აღნიშნული ასპექტი არ არის საჭირო კომბატანტებთან მიმართებაში, ან სამოქალაქო პირებთან, რომელიც პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში. სამოქალაქო პირი, რომელიც ერთვება საბრძოლო დაპირისპირებაში რისკავს საკუთარ სიცოცხლეს და როგორც კომბატანტი

<sup>143</sup>GC IV, *supra*, n.11, art.27(4).

<sup>144</sup>Ibid, commentaries (1958).

<sup>145</sup>GC IV, *supra*, n.11, art.41(1).

<sup>146</sup>Rogers, *supra*, n.141, p.6.

შეიძლება აღმოჩნდეს მოულოდნელი თავდასხმის ობიექტი. მისი მკვლელობა დაშვებულია. ამიტომ “ვიწრო გაგებით” პროპორციულობის პრინციპი გამოყენებას იწყებს, მაშინ როდესაც ლეგიტიმურ სამიზნეზე თავდასხმას თანმდევ ზიანად გასდევს მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.<sup>147</sup>

რადგან ოკუპანტი ძალა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არის როგორც სამხედრო ასევე პოლიტიკური ხელისუფლება, მისი ვალდებულებაა ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა არა მხოლოდ სამხედრო ზიანის მიყენებისაგან, არამედ ზოგადად ნებისმიერი ქმედებისაგან, რამაც შეიძლება მოსახლეობის კანონიერ ინტერესს საფრთხე შეუქმნას.<sup>148</sup> შესაბამისად ოკუპირებულ ტერიტორიაზე პროპორციულობის პრინციპი გამოიყენება არა მხოლოდ სამხედრო მოქმედებების შედეგების კანონიერების დასადგენად. ამ მხრივ, საქმაოდ სრულყოფილი პრაქტიკა აქვს ისრაელის უზენაეს სასამართლოს. ეველაზე ფართოდ ადმინისტრაციული ზომების პროპორციულობის საკითხი განხილულია ბარიერის საქმეში, რომელიც ეხებოდა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე დამცავი ბარიერის მარშრუტს. ოკუპირებული ტერიტორიის ხელოვნურ ფრაგმენტაციას ეხება ამ თავის ბოლო ქვეთავი, შესაბამისად ამჯერად უშუალოდ დამცავი ბარიერის საკითხი არ განიხლება, არამედ მხოლოდ პროპორციულობის პრინციპის გამოყენება, როგორც ეს სასამართლომ განმარტა. გადაწყვეტილების მიხედვით, ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება კანონიერია თუკი ის საშუალებები რაც მისი მთავრობის მიზნების მისაღწევად გამოიყენება ადეკვატური პროპორციისაა. შესაბამისად პროპორციულობის პრინციპი ფოკუსირებას ახდენს მიზანსა და საშუალებას შორის ბალანსზე.<sup>149</sup> მეტი კონკრეტური კისათვის, სასამართლომ შეიმუშავა ოკუპანტი ძალის ხელისუფლების ქმედებების კანონიერების დასადგენი პროპორციულობის სამწევროვანი ტესტი, რომლის პირველი ქვეტესტის მიხედვით (1) დასახული მიზანი უნდა იყოს დაკავშირებული გამოყენებულ საშუალებასთან, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც “შესაფერის საშუალების” ან “რაციონალური საშუალების” ტესტს; (2) მეორე ქვეტესტის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებულმა საშუალებამ რაც შეიძლება მინიმალურად უნდა დააზარალოს პირი. მას “უკეთაზე ნაკლებ დამაზიანებელი საშუალების” ტესტს უწოდებენ; (3) მესამე ქვეტესტი არის პროპორციულობა ვიწრო გაგებით, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი მიზნების მისაღწევად ისეთი საშუალებების გამოყენებას, რაც შესაფერისი პროპორციის იქნება იმ

<sup>147</sup>Targeted Killings case, *supra*, n.125.

<sup>148</sup>Bazargan, S. *Proportionality, Territorial Occupation, and Enabled Terrorism* in Journal of Law and Philosophy, no.32, 2013, pp.448-454.

<sup>149</sup>HCJ 2056/04, *Beit Sourik Village Council v. The Government of Israel Commander of the IDF Forces in the West Bank* (2004), paras.36 et. al.

სარგებლისა, რასაც ამ მიზნის განხორციელება მოიტანს (ე.წ.  
“პროპორციული საშუალების” ტესტი).<sup>150</sup>

აღსანიშნავია, რომ ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი  
პროპორციულობის პრინციპს ცალკე არ არეგულირებს, შესაბამისად  
ოკუპაციის დროსაც მოქმედებს იგივე სტანდარტი, რაც ზოგადად  
საერთაშორისო პუმანიტარულ სამართალშია მოცემული.<sup>151</sup>

აღნიშნული პრინციპებიც გამოყენება ოკუპანტი ძალის ნებისმიერი  
ქმედებისას მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ოკუპანტის ქმედებამ  
უკანონოდ არ უნდა შეზღუდოს ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის  
ლეგიტიმური ინტერესები, თუმცა ამისათვის საჭიროა ზუსტად დადგინდეს  
თუ ვინ სარგებლობს ამგვარი დაცვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე და  
ზუსტად რას გულისხმობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო  
მოსახლეობის დაცვის სტანდარტი.

#### 2.4. სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის სტანდარტი

სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის სტანდარტის დასადგენად, პირველ  
რიგში კვლევა ორიენტირებულია დაცვის ქვეშ მყოფი მოსახლეობის  
დეფინიციაზე, რათა მოხდეს ზუსტი იდენტიფიცირება იმ პირებისა,  
რომელთაც შეუძლიათ მოითხოვონ და ისარგებლონ საერთაშორისო  
პუმანიტარული სამართლის დაცვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამის  
შემდეგ, კვლევა მიმოიხილავს თუ რას გულისხმობს ოკუპაციის სამართლის  
პერსპექტივიდან დანახული სამოქალაქო პირთა დაცვის სტანდარტი.

##### 2.4.1. დაცვის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დეფინიცია

ვინ არიან ოკუპაციის სამართლის ბენეფიციარები? ვის სასარგებლოდ  
ახორციელებს ოკუპანტი ძალის სამხედრო მეთაურობა თავის  
ძალაუფლებას და ვინ უნდა ისარგებლოს დაცვით ოკუპაციის დროს? ეს ის  
შეკითხვებია, რომელზე პასუხი სხვადასხვაგვარადაა მოცემული პააგისა  
და უენევის სამართალში.<sup>152</sup> პააგის რეგულაციები იყენებს ბლანკეტურ  
ტერმინს “ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლები”, რომლებიც  
სარგებლობენ რეგულაციებში მოცემული დაცვით, ხოლო უენევის  
კონვენცია კი გაცილებით უფრო კონკრეტული და დეტალურია იმ  
პირებთან დაკავშირებით ვინც უნდა ისარგებლოს კონვენციის დაცვით. მე-4  
მუხლის მიხედვით ყველა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ნებისმიერი  
ფორმით აღმოჩნდება ისეთი ოკუპანტი ძალის ხელში, რომლის მოქალაქეც

<sup>150</sup>Ibid, para.41.

<sup>151</sup>Melzer, *supra*, n.142, pp.166-167.

<sup>152</sup>Harpaz, G., Shany, Y. *The Israeli Supreme Court and the Incremental Expansion of the Scope of Discretion under Belligerent Occupation Law* in *Israeli Law Review*, no.43, 2010, pp.525-526.

თავად არაა, ისარგებლებს კონვენციით განსაზღვრული დაცვით.<sup>153</sup> კონვენციის კომენტარის მიხედვით ირკვევა, რომ დაცვით სარგებლობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი, რომელიც არაა ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ ეს არ ეხება შემდგენ კატეგორიის პირებს: (1) კონვენციის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეს; (2) თანამებრძოლი სახელმწიფოს მოქალაქეებს, იმდენად რამდენადაც ამ სახელმწიფოს აქვს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები ოკუპანტ სახელმწიფოსთან; (3) პირები, რომლებიც უკვე სარგებლობენ უნივერსიტეტის პირების სამი კონვენციიდან რომელიმეს დაცვით.<sup>154</sup> აქედან გამომდინარე, ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეები, თუკი მათ მშობელ სახელმწიფოს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ოკუპანტ სახელმწიფოსთან, ასევე მოექცევიან კონვენციის დაცვის ქვეშ.<sup>155</sup>

როგორც კონვენციის ტექსტში ვკითხულობთ, დაცული პირის იდენტიფიკაცია ხდება მისი მოქალაქეობის მიხედვით, თუმცა მოქალაქეობა არ უნდა იყოს გაგებული როგორც პირის სამართლებრივი კავშირი ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, კონვენციის გაგებით “მოქალაქეობის” დადგენისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ასევე პირის ლოიალური დამოკიდებულება (*allegiance*) ამა თუ იმ მხარისადმი. ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილმა საერთაშორისო ტრიბუნალმა ტადიჩის საქმეში დაადგინა, რომ კერძო პირის სტატუსის განსაზღვრა, როგორც “დაცული პირი” უნდა მოხდეს რომელიმე მხარის მიმართ მის ლოიალობაზე დაყრდნობით და არა მოქალაქეობის ფორმალურ კავშირზე მითითებით.<sup>156</sup> ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ განაცხადა:

სამართლებრივი მიღვომა, რომელიც არხებითი ურთიერთობებისკენ იხრება ვიდრე ფორმალური კავშირისკენ, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება დღევანდელ შეიარაღებულ კონფლიქტებში. თუკი ადრე მომები მიმდინარეობდა კარგად ჩამოყალიბებულ და შემდგარ სახელმწიფოებს შორის, თანამედროვე ეთნოსთა შორის კონფლიქტებში (როგორიც ყოფილ იუგოსლავიაშია), ახალი სახელმწიფოები ხშირად იქმნება კონფლიქტის დროს და პირის სახელმწიფოსთან მიკუთვნების საფუძველი ხდება ეთნიკურობა და არა მოქალაქეობა. ან ხხავგვარად რომ ვთქვათ, ეთნიკურობა ხდება ეროვნული მიკუთვნების გადამწყვეტი ფაქტორი. ამ პირობებში მოქალაქეობის მოთხოვნა უფრო ნაკლებად ადექტატურია დაცული პირების განსაზღვრისას. არა მხოლოდ კონვენციის მოხსამზადებელი სამუშაოები, არამედ მისი ობიექტი და მიზანიც იხრება იმისკენ, რომ მხებავს კონფლიქტებში პირის ლოიალურობა კონფლიქტის რომელიმე მხარისადმი და შესაბამისად ამ

<sup>153</sup>GC IV, *supra*, n.11, art.4(1).

<sup>154</sup>GC IV, *supra*, n.11, art.4(1) Commentary (1958).

<sup>155</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.304.

<sup>156</sup>Tadic, (appeals chamber) *supra*, n.45, paras.165–168; see also ICTY, *Prosecutor v. Delalic, Mucic, Delic and Landzo Judgment of Appeals Chamber* (2001), No. IT-96-21-A, paras.52 et. al.; *Prosecutor v. Delalic, Mucic, Delic and Landzo Judgment of Trial Chamber*, (1998), No. IT-96-21-T, paras.251–266.

მხარის მიერ მოცემულ ტერიტორიაზე პირთა კონტროლი უნდა განიხილებოდეს, როგორც განშხაზღვრული ტეხი. <sup>157</sup>

ბოსნიელი სერბების “დაცულ პირებად” აღიარების საკითხის განხილვისას, ტრიბუნალმა ასევე იხელმძღვანელა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ნოტებულის საქმეში შემუშავებული “ნამდვილი მოქალაქეობრივი კავშირის” (*genuine link of nationality*) ტესტით, რომლის მიხედვითაც მოქალაქეობა სამართლებრივი კავშირია, რომელსაც საფუძვლად პირის მიერ კონკრეტულ სახელმწიფოსთან სოციალური მიკუთვნება უდევს, ინტერესების, არსებობისა და გრძნობების ნამდვილი კავშირი, რომელსაც თან სდევს ორმხრივი უფლებები და ვალდებულებებიც. <sup>158</sup>

აქედან გამომდინარე, ოკუპაციის დროს დაცული პირების განსაზღვრა არ უნდა მოხდეს მხოლოდ მათი რომელიმე სახელმწიფოსთან მოქალაქეობრივი კავშირის საფუძველზე, არამედ გასათვალისწინებელია ასევე პირის ლოიალურობა და მიკუთვნება კონფლიქტის მხარის თუ ოკუპანტი ძალისადმი. შესაბამისად, დაცულ პირთა კატეგორიიდან პირველ რიგში გამოირიცხებიან ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ოკუპაციის დროს, <sup>159</sup> აქედან გამომდინარე ოკუპანტი ძალის მიერ უკანონოდ შექმნილი სამოქალაქო დასახლებების მაცხოვრებლები ვერ ისარგებლებენ უნევის მე-4 კონვენციის დაცვით. გარდა ამისა, დაცულ პირებად არ ჩაითვლებიან ის ინდივიდები, რომლებიც თუმცა ფორმალურად ფლობენ ოკუპირებული სახელმწიფოს მოქალაქეობას, მაგრამ ეთნიკური თუ სხვა სოციალური ნიშნით ლოიალურები არიან ოკუპანტი სახელმწიფოსადმი და თავს მიაკუთვნებენ ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქეებს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაცული პირების განსაზღვრას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის დროს ხდება ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით გადაადგილება, ხოლო მათი დაბრუნება ოკუპაციის პირობებში აღარ ხერხდება. მაგალითისთვის ისარგებლებენ თუ არა უნევის მე-4 კონვენციის დაცვით თურქი კვიპროსელები ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსში, როდესაც ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობა იძულებით გადაადგილდა კუნძულის სამხრეთ ნაწილში? ან არიან თუ არა დაცული პირები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრები პირები, როდესაც ამ რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტისას ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა იძულებით გადაადგილდა საქართველოს არაოკუპირებულ ნაწილში. საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან თვითადიარებული სახელმწიფოების (როგორიცაა TRNC, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) მოქალაქეობას არანაირი სამართლებრივი ძალა არ აქვს, შესაბამისად საერთაშორისო მასშტაბით იქ მცხოვრები

<sup>157</sup> Tadic, appeals chamber, *supra*, n.45, para.166.

<sup>158</sup> Nottebohm Case (second phase), Judgment of April 6th, 1955: I.C.J. Reports 1955, p.4.

<sup>159</sup> Harpaz, *supra*, n.152, p.526.

მოსახლეობა ითვლება მშობელი სახელმწიფოს (კვიპროსის და საქართველოსი შესაბამისად) მოქალაქეებად, თუმცა ეს ფორმალური თვალსაზრისით რეალურად, ჩრდილოეთ კვიპროსში მცხოვრები თურქები იგივებიან ოკუპანტი ძალასთან – თურქეთთან, შესაბამისად ისინი ვერ ჩაითვლებიან დაცულ პირებად ტადიჩის საქმეზე შემუშავებული ტესტის მიხედვით; ხოლო, რაც შეეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, მიუხედავად იმისა რომ ისინი არ იგივებიან ოკუპანტი ძალის – რუსეთის ფედერაციის – მოსახლეობასთან, ისინი არც საქართველოს მოქალაქეებად განიხილავენ თავს და ნოტებულის ტესტის მიხედვით, არ შეიძლება ჩაითვალონ საქართველოს მოქალაქეებად, რომელთაც უნდა ისარგებლონ უნივერსიტეტის დაცვით. აქედან გამომდინარე ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსში, აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთში კონვენციით “დაცულ პირებად” ჩაითვლებიან მხოლოდ ის პირები, რომელიც მშობელი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და ასეთად მიიჩნევენ თავს და არ არიან ლოიალურები ოკუპანტი ძალის მიმართ. ამ ტერიტორიების დანარჩენი მაცხოვრებლები კი იმდენად რამდენადაც ისინი აფილირებიან ოკუპანტ ძალასთან ვერ ისარგებლებენ მე-4 კონვენციის დაცვით. აქვე აღსანიშნავია რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის ამგვარი დაყოფა გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, კერძოდ უნივერსიტეტ-4 კონვენციის მიზნებისათვის, რადგან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი თანაბრად სარგებლობს ადამიანის უფლებათა შესაბამისი ინსტრუმენტების დაცვით.

ამასთანავე უნდა ადინიშნოს, რომ ოკუპირებული ტერიტორიიდან აღგილობრივი მოსახლეობის იძულებით გადაადგილების შემთხვევაში, ისინი ავტომატურად კარგავენ მე-4 კონვენციით გარანტირებულ დაცვას, რადგან ეს დაცვა ვრცელდება მხოლოდ ოკუპანტი ძალის ურთიერთობებზე vis-à-vis ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობისადმი. კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით დაცული პირის სტატუსი ეძლევა მხოლოდ მას, ვინც ოკუპანტი “ძალის ხელში” აღმოჩნდება, რაც გულისხმობს რომ ოკუპანტს უნდა შეეძლოს გარკვეული ხარისხის კონტროლი განახორციელოს ამ პირზე, შესაბამისად ამ მუხლის გაგებით “დაცული პირის” ცნება არაა “ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობის” ცნების იდენტური, არამედ გულისხმობს ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება.<sup>160</sup> აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვების დროსაც, სამოქალაქო პირი დაკარგავს კონვენციით გათვალისწინებულ დაცვას.

იძულებით გადაადგილებულ პირებს დაცვა აღუდგებათ მაშინ როდესაც ისინი შეძლებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაბრუნებას, თუმცა მანამდე ისინი კვლავ სარგებლობენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო

<sup>160</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.307.

სამართლის დაცვით, რაც გულისხმობს მაგ. მათი ქონების დაცვას განადგურებისაგან.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება რეალობაში მოხდეს სიტუაცია, როდესაც გარკვეული ტერიტორია არის ოკუპირებული, მაგრამ მასზე არ მოიქცნება ოკუპაციის სამართლით “დაცული პირი”; ასეთი სიტუაცია არ ამართლებს ოკუპანტი ძალის მიერ დაკავებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირების შეფერხებას. რადგან ოკუპაცია დროებითი ხასიათისაა და ოკუპანტის უფლებები ამ ტერიტორიაზე შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრირების უფლებით, დაკავებული ტერიტორიის ანექსია დაუშვებელია.<sup>161</sup> დაცული პირების გადაადგილება არაა ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსის შეცვლის საფუძველი. სამხედრო მმართველობის ხასიათი იგივეა, რაც მისი ხელისუფლების წყარო – ესაა ძალისმიერი სამხედრო მეთოდებით დამყარებული მმართველობა, რომლის ქმედებების კანონიერებაც განისაზღვრება მხოლოდ ომის სამართლით.<sup>162</sup> ოკუპანტი ძალის ვალდებულებები ორ განზომილებიანია: (1) ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებული დაკავებული ტერიტორიის სტატუსთან და (2) ოკუპანტის ვალდებულებები დაკავებული ტერიტორიის მაცხოვრებლების მიმართ,<sup>163</sup> ამიტომ ოკუპანტი ძალა ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია მოახდინოს ტერიტორიის ადმინისტრირება ოკუპაციის სამართლით დადგენილი წესების შესაბამისად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე, როგორც ოკუპანტზე, საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებები, რადგან ეს ვალდებულებები საკმაოდ ფართოა და რიგ შემთხვევებში მოიცავს ისეთ ქმედებებს, ან ქმედებებისგან თავის შეკავებას, რაც საერთოდ არაა დაკავშირებული დაცულ პირებთან, მაგ. როგორიცაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.<sup>164</sup>

#### 2.4.2. დაცვის ზოგადი სტანდარტი

ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობა დაცული უნდა იყოს გენოციდისაგან, როგორც კოლექტიური ჯგუფი, ასევე ინიდვიდუალურად თითოეული პირის სიცოცხლის უფლება ხელშეუვალია. ოკუპანტ ძალას ეკისრება გენოციდის ჩადენის აკრძალვისა და ამავდროულად პრევენციის ვალდებულებაც, რადგან ოკუპირებული ტერიტორია და მასზე მცხოვრები მოსახლეობა მისი კონტროლის ქვეშად.<sup>165</sup> ინდივიდის სიცოცლის უფლებას იცავს პააგის რეგულაციებიცა<sup>166</sup> და ენეგის მე-4 კონვენციაც,<sup>167</sup> ხოლო რომის სტატუსი დაცულ პირთა განზრას მკვლელობას ომის დანაშაულად

<sup>161</sup>Lauterpacht, *supra*, n.40, p.437.

<sup>162</sup>Barican, *supra*, n.115, p.6.

<sup>163</sup>Chinkin, *supra*, n.1, p.173.

<sup>164</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, chapter 10.

<sup>165</sup>Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro), Judgment, I.C.J. Reports 2007, p. 43, paras.428-438.

<sup>166</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.46(1).

<sup>167</sup>GC IV, *supra*, n.11, art.32.

აცხადებს.<sup>168</sup> აქვე ადსანიშნავია, რომ დაცული პირები სიცოცხლის უფლებით სარგებლობენ მანამ სანამ ისინი პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას არ მიიღებენ შეიარაღებულ მოქმედებებში. სამოქალაქო პირის ჩართვა სამხედრო მოქმედებებში ავტომატურად იწვევს მის ლეგიტიმურ სამხედრო სამიზნედ ქვევას, შესაბამისად მისი განეიტრალება სასიკვდილო მეთოდით დარღვევად არ ჩაითვლება თუ დაცულია აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპი.

1-ლი დამატებითი ოქმი კრძალავს სამოქალაქო მოსახლეობის დამშევას, როგორც ომის წარმოების მეთოდს.<sup>169</sup> ასევე კანონგარეშედაა გამოცხადებული სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისათვის საჭირო ობიექტების - როგორიცაა საკვების საწყობები, მოსავალი, სასიცოცხლო ინვენტარი, სასმელი წყლის სისტემა - დანგრევა, მოშლა, განადგურება და უვარისად გადაქცევა სამოქალაქო მოსახლეობაში შიმშილის გამოწვევის, გადაადგილების იძულებით ან სხვა მიზნით.<sup>170</sup> დამშევის, როგორც ომის წარმოების მეთოდის გაზრას გამოყენებას რომის სტატუტი მოისამართობა რიცხვს მიაკუთვნებს.<sup>171</sup>

სამოქალაქო მოსახლეობის დამშევის აკრძალვა განსაკუთრებულ კონტაციას იღებს ალყის გამოყენებისას.<sup>172</sup> ოკუპაციის დროს ალყის მეთოდის გამოყენება არც ისე ხშირია, თუმცა საქმაოდ მნიშვნელოვანი პრეცედენტი მოხდა ისრაელის პრაქტიკაში: 2002 წელს, მეორე ინტიფადას დროს, შეიძლება პირები შეიჯრნენ და გამაგრდნენ შობის ბაზელიკაში, ქალაქ ბეთლემში, ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე. ისრაელის თავდაცვითმა ძალებმა გადაწყვიტა არ მოეხდინა ტაძრის შტურმით აღება, არამედ ალყაში მოაქცია იგი. მიუხედავად იმისა რომ სამოქალაქო პირებს მიეცათ ეკლესიის დატოვების საშუალება, ზოგიერთი სასულიერო პირი ტერორისტების მიმართ სოლიდარობის მიზნით შიგნით დარჩა მათთან ერთად. ამ ალყამ გამოიწვია სამოქალაქო პირებისათვის საკვების, სასმელი წყლისა და ჰიგიენის საშუალებების მიწოდების საკითხის წამოწევა. რადგან ალყა რამდენიმე კვირას გრძელდებოდა საქმე განახილვებიდან მივიდა ისრაელის უზენაეს სასამართლომდე, რომელმაც შობის ეკლესიის საქმეზე გამოიგანა შუალედური გადაწყვეტილება და დახოცილთა გვამების გარეთ გამოტანასა და ტაძარში მყოფი სასულიერო პირებისათვის საკვების შეტანაზე ნებართვა გასცა.<sup>173</sup> შემდგომ საქმეში კი მოსარჩევები ითხოვდნენ უკვე მებრძოლთათვისაც საკვები მარაგის შეწოდებას. აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და სასამართლომ

<sup>168</sup>Rome Statute of the International Criminal Court (17 July, 1998), art.8(2)(a)(i).

<sup>169</sup>AP I, *supra*, n.12, art.54(1).

<sup>170</sup>AP I, *supra*, n.12, art.54(2).

<sup>171</sup>Rome Statute, *supra*, n.168, art.8(2)(b)(xxv).

<sup>172</sup>სამოქალაქო მოსახლეობის დამშევის მეთოდზე დეტალურად იხ. Hutter, S. *Starvation as a Weapon: Domestic Policies of Deliberate Starvation as a Means to an End under International Law*, Leiden, Boston, 2014; Rosenblad, E. *International Humanitarian Law of Armed Conflict: Some Aspects of the Principle of Distinction and Related Problems*, Geneva, 1979, pp. 103-125.

<sup>173</sup>HCJ 3436/02, *Custodia Internazionale de Terra Santa v. Government of Israel et al.* in IYHR, vol.32, 2002, p.370.

განაცხადა რომ (ა) მებრძოლების საკვეთით არ მომარაგება არ არდვევს საერთაშორისო სამართალს, რადგან მათ ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა რომ გამოვიდნენ გარეთ და დანებდნენ და (ბ) იმდენად რამდენადაც საქმე სამოქალაქო მოსახლეობასაც ეხებოდა, რომლებიც ტაძრში რჩებოდნენ; ვინაიდან და რადგანაც IDF სთავაზობდა მათ არჩევანს რომ გამოსულიყვნენ, მიეღოთ საჭირო საკვები და სასმელი და შებრუნებულიყვნენ უკან, ამიტომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი არ დარღვეულა.<sup>174</sup>

ოკუპაციის დროს სამოქალაქო მოსახლეობა დაცულია იძულებითი დეპორტაციისა ან ტრანსფერისაგან.<sup>175</sup> ამ ქმედების აკრძალვას ჯერ კიდევ ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებაში ვხვდებით, რომლის მიხედვითაც იძულებითი შრომის ან სხვა ნებისმიერი მიზნით ოკუპირებული ტერიტორიიდან ან ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის დეპორტაცია ომის დანაშაულად ცხადდებოდა.<sup>176</sup> უკანონი მიზნის არსებობა აღარაა ამ ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება უნდა მე-4 კონვენციის მიხედვით, რომელიც ყოველგვარი მიზეზის გარეშე დეპორტაციას და იძულებით ტრანსფერსაც ომის სამართლის დარღვევად მიიჩნევს.<sup>177</sup> რაც შეეხება ამ ამკრძალავი წესის სპეციალურ ელემენტებს, უპირველეს ყოვლისა ესაა დეპორტაციის ან ტრანსფერის მეთოდი, რომელიც არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ფიზიკური ძალით, არამედ მოიაზრებს ასევე ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც, რომლის შედეგადაც სამოქალაქო მოსახლეობა ტოვებს ოკუპირებულ ტერიტორიას;<sup>178</sup> ასევე დეპორტაციის დანიშნულების ადგილი არაა კავშირში ქმედების კანონიერება-უკანონობის შეფასებასთან. როგორც ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილმა საერთაშორისო ტრიბუნალმა განაცხადა კრძოულასის საქმეში “დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას წარმოშობს სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილების და ამოძირკვის იძულებითი ხასიათი და არა დანიშნულების ადგილი, სადაც ხდება ამ მოსახლეობის გადაადგილება.”<sup>179</sup>

ადსანიშნავია, რომ კონვენციის 49(1) მუხლიდან გადახვევა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამოქალაქო პირები ეჭვმიტანილები არიან ოკუპანტი ძალის წინააღმდეგ შპიონაჟსა ან საბოტაჟში.<sup>180</sup> ასეთი პირებისადმი უსაფრთხოების ყველაზე მაქსიმალური ზომა, რაც ოკუპანტმა შეიძლება გამოიყენოს არის სავალდებულო საცხოვრებელი ადგილისა ან ინტერნირების ზომები.<sup>181</sup>

<sup>174</sup>HCJ 3451/02, *Almadni et al. v. Minister of Defence of Israel et al.* in IYHR, vol.32, 2002, p.373.

<sup>175</sup>GC IV, *supra*, n.11, art.49(1).

<sup>176</sup>Charter of the International Military Tribunal (IMT Nuremberg), art.6(b).

<sup>177</sup>GC IV, *supra*, n.11, art.49(1).

<sup>178</sup>Rome Statute, *supra*, n.168, elements of crime in respect of art.7(1)(e).

<sup>179</sup>ICTY, *Prosecutor v. Krnojelac*, Judgment of appeals chamber (2003), no.IT-97-25A, para.218.

<sup>180</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.277.

<sup>181</sup>GC IV, *supra*, n.11, art.78.

კამათს იწვევს 49(1)-ე მუხლის ტექსტის განმარტების საკითხი. დებულება კრძალავს “[ოკუპირებული ტერიტორიიდან] დაცულ პირთა ინდივიდუალურ ან მასობრივ იძულებით ტრანსფერს, ასევე დეპორტაციას...”. არსებობს მოსაზრება<sup>182</sup> რომ ამ მუხლით არ ხდება ინდივიდუალური დეპორტაციის აკრძალვა, რადგან ტერმინი “ინდივიდუალური ან მასობრივი” მხოლოდ იძულებითი ტრანსფერის მაკვალიფიცირებელია. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია,<sup>183</sup> რომ 49(1) მუხლის მიზანია ისეთი მასობრივი დეპორტაციების პრევენცია, როგორიც პოლოკოსტის დროს ხდებოდა ნაცისტური რეჟიმის მიერ. სასამართლომ ერთდროულად გაცემული ოთხასზე მეტი დეპორტაციის ბრძანება კანონიერად სცნო და განაცხადა, რომ სადაცო ბრძანებები არსებითად ინდივიდუალური ბუნებისა იყო და არა კოლექტური, და ეს ოთხას თხუთმეტი ბრძანება იყო პერსონალური ბრძანებების ერთობლიობა.<sup>184</sup> თუმცა სასამართლოს ამგვარ მიღვომას დიდი კრიტიკა მოყვა. ავტორთა ნაწილი<sup>185</sup> არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ 49(1) მუხლი ფართოდ უნდა იყოს გაგებული და მოიცავდეს, ოკუპირებული ტერიტორიიდან დაცულ სამოქალაქო პირთა როგორც მასობრივ, ნაცისტურის მსგავს, ასევე ინდივიდუალურ დეპორტაციასაც.

ასევე კამათს იწვევს საკითხი 49(1) მუხლი კრძალავს თუ არა დაცულ პირთა ტრანსფერს ოკუპირებული ტერიტორიის ერთი ნაწილიდან მეორეში თუ მხოლოდ სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებული ტერიტორიის გარეთ გადასახლებაა აკრძალული. ისრაელის უზენაეს სასამართლოს პოზიცია მდგომარეობდა შემდეგში რომ კონვენცია ამ კუთხით არაფერს ამბობს,<sup>186</sup> ხოლო იუგოსლავის ტრიბუნალმა კი მიიჩნია რომ დაცულ პირთა არა ნებაყოფლობითი და უკანონო ევაკუაცია მათი საცხოვრებელი ტერიტორიიდან თუნდაც ოკუპირებული ტერიტორიის სხვა ნაწილში გადაყვანის მიზნით იძულებითი ტრანსფერის ტოლფასია, მაგრამ არა დეპორტაციისა,<sup>187</sup> რომელიც ეროვნული საზღვრიდან გარეთ გადასახლებას გულისხმობს,<sup>188</sup> ხოლო იძულებით ტრანსფერად კი შეიძლება ჩაითვალოს დაცულ პირთა დაკავებული ტერიტორიის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში იძულებით გადაყვანა.<sup>189</sup>

იძულებითი ტრანსფერისა და დეპორტაციისაგან განსხვავებით, უნივერს მე-4 კონვენცია უშვებს დაცულ პირთა ევაკუაციის შესაძლებლობას თუცი ეს საჭიროა (1) სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის ან (2)

<sup>182</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.338.

<sup>183</sup>HCJ 97/79 *Abu Awad v. Commander of the Judea and Samaria Region* in IYHR, vol.9, 1979, p.345.

<sup>184</sup>HCJ 5973/92 *The Association of Civil Rights in Israel et al. v. The Minister of Defence et al.* in IYHR, vol.23, 1993, p.356.

<sup>185</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.164-166.

<sup>186</sup>HCJ 302/72 *Sheikh Suleiman Abu Hilu et al. v. State of Israel et al.* in IYHR, vol.5, 1975, p.387.

<sup>187</sup>ICTY, *Prosecutor v. Krstic*, judgment of trial chamber (2001), no.IT-98-33-T, para.521.

<sup>188</sup>ICTY, *Prosecutor v. Naletilic and Martinovic*, judgment of trial chamber (2003), no.IT-98-34-T, paras.516-521, 670.

<sup>189</sup>ICTY, *Prosecutor v. Blagoje Simic, Miroslav Tadic and Simo Zaric*, judgment of trial chamber (2003), no.IT-95-9-T, para.122.

საოკუპაციო ჯარის სამხედრო მიზნებისათვის. ევაკუაცია ხდება კონკრეტული რეგიონიდან და არა კონკრეტული პირებისა. ევაკუაცია შეიძლება განხორციელდეს ოკუპირებული ტერიტორიის გარეთაც, თუკი ამის საჭიროება არსებობს.<sup>190</sup> აღსანიშნავია, რომ ევაკუაცია დროებითი ბუნებისაა და შესაბამისად ოკუპანტი ძალა ვალდებულია ევაკუირებული მოსახლეობა დააბრუნოს ადგილზე როგორც კი ევაკუაციის გამომწვევი მიზეზები აღმოიფხვრება.<sup>191</sup> 1-ლი დამატებითი ოქმი უფრო შორს მიდის და ოკუპანტ ძალას პირდაპირ აკისრებს სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციის ვალდებულებას როგორც კი კონკრეტული რეგიონი კანონიერ სამხედრო სამიზნედ იქცევა.<sup>192</sup>

დაცულ პირებს აქვთ უფლება, რომ იძულებით არ იმსახურონ ოკუპანტის შეიარაღებულ თუ დამხმარე ძალებში. ასეთ ძალებში ნებაყოფლობითი ჩაწერის არათუ იძულება, არამედ პროპაგანდაც კი იკრძალება ოკუპაციის სამართლით.<sup>193</sup> ოკუპანტ ძალას ერთადერთი რისი შესრულების მოთხოვნაც შეუძლია დაცულ პირებისაგან არის რეკვიზირებული სამუშაოს გაწევა თუკი პირი თვრამებზე წელს მიღწეულია და თუკი ამგვარი სამუშაოს გაწევა მიმართულია (1) საოკუპაციო ჯარის საჭიროებების; (2) საზოგადოებრივი გამოყენების მომსახურების ან (3) ზოგადად ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ.<sup>194</sup> აუცილებელია, რომ ამგვარად რეკვიზირებული სამუშაო ბუნებით არ იყოს სამხედრო ოპერაცია.<sup>195</sup> საოკუპაციო ჯარის საჭიროებებისათვის სამსახურის გაწევა შეიძლება მოიცავდეს საკმარის ფართო სპექტრს, მაგ. როგორიცაა საჯარო ტრანსპორტის, გზების, ხიდების, ხავსადგურების ან რკინიგზის შეკეთება ან კომუნიკაციის ხაზების გაყვანა.<sup>196</sup> თავის მხრივ ცხადია, რომ ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობას არ შეიძლება მოეთხოვოს სტრატეგიული სიმაღლეების, სამხედრო აეროდრომების, სანგრების მშენებლობა ან შეკეთება, რაც პირდაპირ სამხედრო მოქმედებებთანაა დაკავშირებული.<sup>197</sup> ამ წესების დარღვევა განიხილება ომის დახაშაულად, კერძოდ იძულებით შრომად,<sup>198</sup> რაც დაადასტურა როგორც ნიურნბერგის,<sup>199</sup> ასევე ყოფილი იუგოსლავისათვის შექმნილმა ტრიბუნალმა<sup>200</sup>

<sup>190</sup>GC IV, *supra*, n.11, art.49(2).

<sup>191</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.172.

<sup>192</sup>AP I, *supra*, n.12, art.58(a).

<sup>193</sup>GC IV, *supra*, n.11, art.51.

<sup>194</sup>*Ibid*, art.51(2).

<sup>195</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.351.

<sup>196</sup>GC IV, *supra*, n.11, art.51, commentary (1958).

<sup>197</sup>Gasser, H.P. *Protection of Civilian Population* chapter in Fleck, D. *Handbook of International Humanitarian Law*, Oxford, 2008, p.296.

<sup>198</sup>Rome Statute, *supra*, n.168, art.8(2)(a)(v).

<sup>199</sup>IMT, *Trial of Carl Krauch and Twenty-Two Others (the I.G. Farben Trial)* 29 July 1948; IMT, *Von Leeb and Others*, 28 October 1948 in Substantive and Procedural Aspects of International Criminal Law: The Experience of International and National Courts, vol.2-2, 2000.

<sup>200</sup>ICTY, *Prosecutor v. Milorad Krnojelac*, Judgment of appeals chamber (2003), no.IT-97-25-A, paras.199-203.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აკრძალული ქმედებებისა, ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ზოგადი სტანდარტი ვრცელდება ასევე ისეთ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე, როგორიცაა ადგენერატური შრომითი პირობების უფლება, ჰუმანიტარული დახმარების მიღების უფლება, ჰუმანიტარული ტვირთის თავისუფალი გატარების უფლება და სხვა.<sup>201</sup>

ოკუპანტ ძალას ასევე ეკისრება ვალდებულება დაიცვას სამოქალაქო მოსახლეობის რელიგიური გრძნობები და მსახურებები. ეს ვრცელდება ყველა კლასისა თუ კუთვნილების სამოქალაქო პირზე, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაცული პირის სტატუსით სარგებლობს.<sup>202</sup> ეს ჩვეულებითი სამართლის ნორმა ჯერ კიდევ ლიბერის კოდექსში, ბრიუსელის დეკლარაციასა და ოქსფორდის სახელმძღვანელოში იყო გადმოცემული<sup>203</sup> და ასახვა პპოვა ასევე პაგის რეგულაციებშიც.<sup>204</sup> უენევის კონვენციით კი ოკუპანტი ძალის ზოგად ვალდებულებებს დაემატა ისეთი სპეციფიკური ასპექტები, როგორიცაა მზურებელის გარეშე დარჩენილი ბავშვების რელიგიური აღზრდის უფლება,<sup>205</sup> დაცული პირის, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე სასჯელს იხდის, სულიერი დახმარების უფლება,<sup>206</sup> რელიგიური მსახურებებისა და წესების დაცვა,<sup>207</sup> ინტერნირებულ პირთა რელიგიური აქტივობების უფლება<sup>208</sup> და გარდაცვლილი პირის მისი რელიგიის შესაბამისი რიტუალების შესრულებით დაკრძალვის უფლება.<sup>209</sup>

#### 2.4.3. განსაკუთრებული დაცვის მქონე კატეგორიები

ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსაკუთრებული დაცვა ენიჭება კონკრეტული კატეგორიის პირებს მათი მოწყვლადობიდან გამომდინარე, ეს კატეგორიებია: ლტოლვილები, ქალები და ბავშვები. აღსანიშნავია რომ განსაკუთრებული დაცვა მხოლოდ ამატებს ელემენტებს და არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს დაცვის ზოგად სტანდარტს.<sup>210</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტი ძალის მოქალაქეები არ არიან დაცული პირები უენევის მე-4 კონვენციის გაგებით, ლტოლვილების შემთხვევაში

<sup>201</sup> დეტალურად იხ. Arai-Takahashi, *supra*, n.6, Chapter 14: Economic, Social and Cultural Rights in Occupied Territory, pp. 355 et al.

<sup>202</sup> Henckaerts, J.M., Doswald-Beck, L. *The ICRC Study on Customary IHL in Customary International Law* (2005), vol.I, pp.375-376.

<sup>203</sup> Instructions for the Government of Armies of the United States in the Field (Lieber Code). 24 April 1863, art.37; Project of an International Declaration concerning the Laws and Customs of War. Brussels, 27 August 1874 (Brussels Declaration), art.38; The Laws of War on Land. Oxford, 9 September 1880 (Oxford Manual), art.49.

<sup>204</sup> Hague Regulations, *supra*, n.10, art.46(1).

<sup>205</sup> GC IV, *supra*, n.11, art.50(3).

<sup>206</sup> *Ibid*, art.76(3).

<sup>207</sup> *Ibid*, art.86.

<sup>208</sup> *Ibid*, art.93.

<sup>209</sup> *Ibid*, art.130.

<sup>210</sup> Dinstein, *supra*, n.8, p.180.

დაწესებულია *sui generis* გამონაკლისი. კონვენციის მიხედვით, ოკუპანტის მოქალაქეები, რომლებმაც საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე მიიღეს ლტოლვილის სტატუსი ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაცული არიან დაკავების, სისხლის სამართლებრივი დევნის, მსჯავრდების ან დეპორტაციისაგან, გარდა იმ დანაშაულების გამო, რომელიც ლტოლვილმა ჩაიდინა საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ ან ზოგადი სამართლით დასჯადი ისეთი ქმედებისათვისაც, რომელიც თუნდაც შეიარაღებული მოქმედებების დაწყებამდე პქონდეს ჩადენილი.<sup>211</sup> ამ დებულების მიზანია, რომ თუკი პირს მიღებული აქვს ლტოლვილის სტატუსი რომელიმე ქვეყანაში, ამ ქვეყნის ოკუპირება თავისი მოქალაქეობის სახელმწიფოს მიერ არ უნდა გახდეს ლტოლვილის სტატუსით მისთვის გარანტირებული დაცვის შეწყვეტის მიზეზი.<sup>212</sup> ლტოლვილთა სპეციალური დაცვის სტანდარტი პირობითად შეიძლება სამ ასპექტად დაიყოს: (1) უნევის მე-4 კონვენციის 70-ე მუხლი იცავს მხოლოდ ისეთ ლტოლვილებს, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლები ომის პერიოდამდე იყვნენ, შესაბამისად თუკი პირმა დატოვა თავისი ქვეყანა შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგ (თუნდაც ოკუპაციამდე), ის ვერ მოექცევა კონვენციის დაცვის ქვეშ; (2) დაცული ლტოლვილი შეიძლება დააკავონ და გაასამართლონ თუკი მან ჩაიდინა სახელმწიფო დალატი ან მსგავსი დანაშაული თავისი წარმოშობის ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას. რადგან საბრძოლო მოქმედებების ან ოკუპაციის პერიოდში, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებად გვევლინებიან ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანა და ის სახელმწიფო, რომელმაც თავშესაფარი მისცა, მისი პოლიტიკური აქტივობა გარკვეულწილად იზღუდება; (3) ომის წინა პერიოდის ლტოლვილის დაკავება, გასამართლება ან დეპორტაცია ასევე დაიშვება ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილია ომის დაწყებამდე და რომელიც ოკუპირებული ტერიტორიის კანონმდებლობით დასჯადია და დაექვემდებარებოდა ექსტრადიციას. ამ დებულების მიზანია, რომ ლტოლვილმა ბოროტად არ ისარგებლოს უნევის კონვენციის დაცვით და ამითი არ მოხდეს მისი დაუსჯელობა რეალურად ჩადენილი დანაშაულისათვის.<sup>213</sup>

ქალების სპეციალური დაცვის კატეგორიად გამოყოფა გამოწვეულია იმ მოზღვავებული ძალადობით, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალების წინააღმდეგ ხორციელდება. უნევის მე-4 კონვენციით ქალები დაცული არიან განსაკუთრებულად ღირსების შემლახავი ქმედებისაგან, გაუპატიურებისაგან, იძულებითი პროსტიტუციისაგან და სხვა შეურაცხმელი თავდასხმისაგან.<sup>214</sup> იმავეს იმეორებს 1-ლი დამატებითი

<sup>211</sup>GC IV, *supra*, n.11, art.70.

<sup>212</sup>Kunz, J.L. *The Geneva Conventions of August 12, 1949* in Lipsky, G.A. (ed.) *Law and Politics in the World Community*, Berkley, Los-Angeles, 1953, p.310.

<sup>213</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.181.

<sup>214</sup>GC IV, *supra*, n.11, art.27(2).

ოქმი,<sup>215</sup> რომელიც უფრო აფართოვებს ქალთა დაცვას და ჩამოთვლის კატეგორიებსაც, როგორიცაა მაგ. ორსული ქალები.<sup>216</sup>

ბავშვები უპირველეს ყოვლისა დაცულნი არიან საოპერაციო ჯარში მსახურებისაგან. აღნიშნული დაცვა ორმაგად ძლიერია, რადგან როგორც წინა ქვეთავში ითქვა დაცვის ზოგადი სტანდარტი ისედაც კრძალავს ოკუპანტის სამსედრო სამსახურში იძულებით ჩაბმას, ხოლო ბავშვების შემთხვევაში 15 წლამდე პირის თუნდაც ნებაყოფლობითი ჩართვა სამსედრო მოქმედებებში ომის დანაშაულია.<sup>217</sup> ბავშვები ასევე განსაკუთრებული დაცვით სარგებლობები ადექვატური განათლების მიღების უფლების კუთხით.<sup>218</sup> თუმცა ოკუპანტ ძალას მაინც შეუძლია ამ უფლების გარკვეულწილად შეზღუდვა უსაფრთხოების მოტივებზე მითითებით. მაგ. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ კანონიერად სცნო ბრძანება, რომლის მიხედვითაც დროებით დაიხურა სასკოლო დაწესებულებები, რომელშიც სავარაუდოდ ხდებოდა ოკუპანტი ძალის წინააღმდეგ ძალადობისაკენ წაქეზება მეორე ინტიფადას დროს.<sup>219</sup>

გარდა მოწყვლადი ჯგუფებისა ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს სამედიცინო პერსონალი, სამაშველო სამსახურები, პუმანიტარული და დამსმარე მისიების პერსონალი და ტგირთი.<sup>220</sup>

მას შემდეგ რაც წინა ქვეთავებში მიმოვიხილეთ ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის დაცვის სტანდარტი, შემდეგი ქვეთავი პრაქტიკიდან აანალიზებს ერთ კონკრეტულ შემთხვევას, ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე დამცავი ბარიერის მშენებლობას, როგორც ზემოთ განხილული საკითხების ნათელ მაგალითს. ქვეთავი მოიცავს საკითხს - ოკუპირებული ტერიტორიების ხელოვნური ფრაგმენტაცია ჯდება თუ არა ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებში და რა დაცვით შეიძლება ისარგებლოს “ფრაგმენტირებული” ტერიტორიის მოსახლეობამ.

## 2.5. ოკუპირებული ტერიტორიების ხელოვნური ფრაგმენტაცია

### 2.5.1. დამცავი ბარიერი და მისი თანმხლები რეჟიმი

1967 წლიდან მეორე ინტიფადას დასრულებამდე ისრაელსა და პალესტინურ ტერიტორიებს შორის საზღვარი გადიოდა ე.წ. მწვანე ზოლზე, რომელიც ნეიტრალურ ზონას წარმოადგენდა და ძირითადად აღინიშნებოდა მხოლოდ

<sup>215</sup>AP I, *supra*, n.12, art.76.

<sup>216</sup>Ibid, Commentaries (1987).

<sup>217</sup>AP I, *supra*, n.12, art.77(2); Rome Statute, *supra*, n.168, art.8(2)(b)(XXVI).

<sup>218</sup>GC IV, *supra*, n.11, art.50.

<sup>219</sup>HCJ 660/88 *Insh El Usra Association et al. v. IDF Commander in Judea and Samaria*, in IYHR, vol.23, 1993, p.307.

<sup>220</sup>Dinstein, *supra*, n.8, pp.187-194.

რუკებზე და არა რეალობაში. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარზე განთავსებული იყო რამდენიმე გამშვები პუნქტი, ამ ორ ტერიტორიას შორის გადასვლა საკმაოდ მარტივად შეიძლებოდა. თუმცა პალესტინის ტერიტორიებიდან ისრაელის მიმართულებით თვითმკვლელი ტერორისტების მრავლად შემოდინებამ ისრაელის მთავრობას გადააწყვეტინა უსაფრთხოების ბარიერის აღმართვა 2002 წელს, რომელიც სხვა შეზღუდვებთან ერთად საზღვრის ერთი მხრიდან მეორეზე პირთა გადასვლა-გადმოსვლასაც კონტროლს დაუქვემდებარებდა.

უსაფრთხოების ბარიერი წარმოადგენს “სარტ-დობეს”, რომელიც შედგება ელექტრონული სენსორებისაგან, საპატრულო არეალისაგან, ქვიშის სექტორებისაგან ფეხის ანაბეჭდების გამოსავლენად, თხრილებისაგან და მავთულ-ხლართებისაგან. ზოგიერთ აღგილას დობის ნაცვლად ვხვდებით უშუალოდ ქვისგან აღმართულ კედელს. ბარიერში მოწყობილია სასაზღვრო გამშვები პუნქტები; თითოეულ მათგანზე განხსნავებული რეჟიმი ვრცელდება: მაგ. ავტოტრანსპორტით მოსიარულეთათვის ცალკე გამშვები პუნქტია, ფეხით გადამსვლელთათვის ცალკე, ტურისტებისათვის ცალკე და ა.შ. მიწა, რომელზეც ბარიერი აშენდა წარმოადგენდა როგორც სახელმწიფოს კუთვნილებას ისე კერძო პირებისას, ასეთ შემთხვევებში მესაკუთრეებს მიეცათ შესაბამისი კომპენსაცია.

მსოფლიოში უამრავი საზღვარია, რომელიც რაიმე სახის ბარიერისაგან შედგება და ისრაელსაც თავისთავად პქონდა უფლება საკუთარ ტერიტორიაზე აღემართა კედლის საზღვარი, თუმცა აღნიშნულ უსაფრთხოების ბარიერთან დაკავშირებით ვნებათა დელვა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ კონსტრუქციის მარშრუტის უმეტესი ნაწილი გადიოდა მწვანე ზოლის გადაღმა უშუალოდ დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე, რიგ შემთხვევებში ზიგზაგისებურადაც და იზოლირებას უკეთებდა რამდენიმე დასახლებას პალესტინურ ტერიტორიებზე. ამან გამოიწვია პროექტის მიმართ დიდი წინააღმდეგობა: (1) პოლიტიკური თვალსაზრისით ბარიერის მშენებლობა აღიქმებოდა როგორც ისრაელის მხრიდან ცალმხრივი ქმედება რომელიც მიზნად ისახავდა პალესტინის საზღვრის საბოლოო სტატუსის განსაზღვრას; (2) ბარიერის ნაწილის მშენებლობისათვის საჭირო კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ექსპროპრიაციის საკითხი (მიუხედავად შესაბამისი კომპენსაციის გაცემისა) კითხვის ნიშნებს ბადებდა; (3) ბარიერმა გაყო კერძო პირთა ნაკვეთები, რის შედეგადაც ზოგიერთი პალესტინელი ფერმერის სახლი ბარიერის ერთ მხარეს აღმოჩნდა, ხოლო ნაკვეთი კი მის მეორე მხარეს რაც გლეხებს სირთულეებს უქმნიდა ნაკვეთთან მისვლაში მიუხედავად იმისა, რომ ბარიერის კონსტრუქცია შეიცავს ათობით სასაზღვრო გამშვებ ტერმინალს, რომლის საშუალებითაც გლეხებს შეუძლიათ ბარიერის მეორე მხარეს აღმოჩნდნენ.<sup>221</sup>

<sup>221</sup>Ibid, p.248.

## 2.5.2. სასამართლო პრაქტიკა

უსაფრთხოების ბარიერის მშენებლობის დაწყებიდან ცოტა ხანში ისრაელის უზენაეს სასამართლოში შევიდა დიდი რაოდენობით პეტიციები (ბარიერის სხვადასხვა ზონასთან დაკავშირებით), რომელთაგან უმთავრესი ეხებოდა 40 კილომეტრიან ზონას და სასამართლოს პრაქტიკაში ცნობილია, როგორც ბეით-სურიკის, იგივე ბარიერის საქმე.<sup>222</sup>

აღნიშნულ საქმეში სასამართლო მისივე ტერმინი რომ ვიხმაროთ ე.წ. “გამყოფ დობესთან” დაკავშირებით მივიდა შემდეგ დასკვნამდე: (ა) დობე არ შეიძლება აშენებულიყო ისე რომ განესაზღვრა მომავალი საზღვრის სტატუსი: სამხედრო მთავრობის ძალაუფლება თავისთავად დროებითია (რადგან სამხედრო ოკუპაციის ფაქტიც დროებითია), შესაბამისად საბოლოო სტატუსის შესახებ შეთანხმება მითუმეტეს რაიმე ცალმხრივი ქმედება არ ექცევა სამხედრო მთავრობის ლეგიტიმური ძალაუფლების ქვეშ,<sup>223</sup> თუმცა პეტიციის ავტორებმა ვერ დაარწმუნეს სასამართლო რომ (1) დობის მშენებლობა მოტივირებული იყო არა უსაფრთხოების არამედ პოლიტიკური მიზნებით და (2) დობის აშენება ატარებდა მუდმივ ხასიათს.<sup>224</sup> (ბ) სამხედრო მთავრობა ჰააგის რეგულაციებისა და უნევის მე-4 კონვენციის მიხედვით<sup>225</sup> უფლებამოსილია მოახდინოს კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ჩამორთმევა შესაბამისი კომპენსაციის პირობებით, თუკი ეს განპირობებულია სამხედრო საჭიროებებით. იმდენად რამდენადაც, დობის მშენებლობა ექცევა სამხედრო საჭიროებების ცნების ქვეშ ის უკვე გამორიცხავს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ დავას.<sup>226</sup> (გ) განსახილველ საქმეში ძირითადი საკითხი იყო არა უშუალოდ დობის მშენებლობა, როგორც ასეთი, არამედ მისი კონკრეტული ზონები და მარშრუტი, რომლის მიხედვითაც უნდა აშენებულიყო დობის დარჩენილი ნაწილი. სასამართლოს შეფასებით, თითოეული ზონა უნდა განიხილებოდეს პროპორციულობის პრინციპის ჭრილში, რაც გულისხმობს რომ სამხედრო საჭიროებები ისე უნდა დაგმაყოფილდეს რომ მაქსიმალურად შემცირდეს ადგილობრივი მოსახლეობისადმი ზიანი და ეს უნდა ეყრდნობოდეს ადამიანურ შეგნებას.<sup>227</sup> (დ) ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სათითაოდ განიხილა დობის ყველა სადაცო ზონის მშენებლობის შესაბამისობა პროპორციულობის პრინციპთან და დაადგინა რომ სადაცოდ ქცეული შვიდი ბრძანებიდან, რომელიც ეხებოდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ჩამორთმევას, ექვსი არაპოპორციული იყო და დაავალა მთავრობას დობის მშენებლობის მარშრუტის შეცვლა, ისე რომ ამ ექვსი ზონის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების უფლებები მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო.<sup>228</sup>

<sup>222</sup>Barrier case, *supra*, n.149.

<sup>223</sup>Ibid, para.27.

<sup>224</sup>Ibid.

<sup>225</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.23(g) and art.52, *see also*: GC IV, *supra*, n.11, art.53.

<sup>226</sup>Barrier case, *supra*, n.149, para.32.

<sup>227</sup>Ibid, para.82.

<sup>228</sup>Ibid, para.86.

იმავე მოტივაციას გაყვა ისრაელის უზენაესი სასამართლო აღფეი-ძენაშეს საქმეში,<sup>229</sup> რომელშიც დავა ეხებოდა დამცავი ბარიერის იმ მონაკვეთს, რომელიც გამოყოფდა ებრაულ დასახლებებს დასავლეთ სანაპიროსაგან. სასამართლომ განმარტა, რომ ოკუპანტი ძალის ვალდებულება, რომ დაიცვას საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება, არ ვრცელდება მხოლოდ დაცულ პირებზე, არამედ ყველა პირზე, ვინც წარმოდგენილია ოკუპირებულ ტერიტორიაზე, შესაბამისად ებრაული დასახლებების მცხოვრებლებსაც ისევე ჰქონდათ სიცოცხლის უფლება, როგორც ოკუპირებული ტერიტორიების მოქალაქეებს, ამიტომაც სასამართლომ მიიჩნია რომ დობით აღნიშნული დასახლებების გამოყოფა ემსახურებოდა მათი დაცვის კანონიერ მიზანს, მიუხედავად იმისა *arguendo* აღნიშნული დასახლებები კანონიერი იყო თუ უკანონო.<sup>230</sup> აღნიშნული მიდგომა სასამართლომ შემდგომ პრაქტიკაშიც არაერთხელ დაადასტურა.<sup>231</sup>

2004 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალურ სესიაზე მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მიმართავდა საერთაშორისო სასამართლოს კითხვით, რათა ამ უკანასკნელს მიეღო საკონსულტაციო დასკვნა საკითხზე: „პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის აღმოსავლეთი იურუსალიმსა და მის შემოგარენში, კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგები.“ სასამართლომ შეიმუშავა საქმაოდ ვრცელი საკონსულტაციო დასკვნა, რომელიც სამართლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ბევრი საკითხის ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. სასამართლომ მიიჩნია, რომ „ხალხთა თვითგამორკვევის უფლების თვალსაზრისით „პალესტინელი ხალხის“ არსებობის საკითხი ეჭვგარეშეა და ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების შექმნა ამ უფლების აშკარა და უხეშ დარღვევას წარმოადგენს.<sup>232</sup> სასამართლომ გაავრცელა საერთაშორისო პუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კონვენციური და ჩვეულებითი ნორმები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და განაცხადა, რომ:

„არსებობს სამომავლო რისკი ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიების დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლისა, რადგან კედლის მშენებლობის გაგრძელება მოითხოვს კონკრეტული ტერიტორიებიდან იქ მცხოვრები პალესტინელების იძულებით გასახლებას. მშენებლობა, სხვა მიღებულ ზომებთან ერთად, წარმოადგენს პალესტინელი ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ხელის შემსლელ პირობას და

<sup>229</sup>HCJ 7957/04 Zaharan Yunis Muhammad Mara'abe, Morad Ahmed Muhammad Ahmed, MuhammadJamil Mas'ud Shuhani, Adnan Abd el Rahman Daud Uduh, Abd el Rahim Ismail Daud Uduh, Bassem Salah Abd el Rahman Uduh, *The Association for Civil Rights in Israel v. The Prime Minister of Israel, The Minister of Defense, The Commander of IDF Forces in the Judea and Samaria Area, The Separation Fence Authority, The Alfei Menashe Local Council*, (2005).

<sup>230</sup>Ibid, para.19.

<sup>231</sup>HCJ 834/07 Tekatka et al. v. Government of Israel et al. para.8; HCJ 8414 Yassin v. Government of Israel et al. para.28.

<sup>232</sup>Wall case, *supra*, n.29, paras.118-120.

შესაბამისად არის ისრაელის კალდებულების დარღვევა, რომ  
პატივი ხცეს ამ უფლებას.<sup>233</sup>

სასამართლომ დასკვნის სახით განაცხადა, რომ გაერო-ს ყველა წევრი  
სახელმწიფო კალდებულია არათუ თავი შეიკავოს ისრაელის  
დახმარებისაგან კედლის მშენებლობაში, არამედ დიად დააფიქსიროს  
პოზიცია რომ აღნიშნული მშენებლობა ხელს უშლის პალესტინელი  
ხალხის თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას, რაც პირდაპირ  
არღვევს ორგანიზაციის წესდებას.<sup>234</sup>

აღნიშნული საქმე ეხება რამდენიმე საკითხს, რომელიც რელევანტურია  
მოცემულ ნაშრომთან, კერძოდ, საქმეში საუბარია ოკუპაციის დროს მოქმედ  
სამართლის ნორმებზე, აღმოსავლეთ იერუსალიმის სტატუსზე და ისრაელის  
პასუხისმგებლობაზე. ამ კუთხით საკონსულტაციო დასკვნა კრიტიკას  
ნამდვილად ვერ უძლებს რამდენიმე მიზეზის გამო: პირველ რიგში,  
სასამართლოსათვის გადაცემული იყო შეკითხვა კედლის მშენებლობის  
სამართლებრივი შედეგების შესახებ და არა ზოგადად ისრაელის მიერ  
პალესტინური ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ, თუმცა სასამართლო  
გასცდა დასმული შეკითხვის ფარგლებს და საკონსულტაციო დასკვნაშივე  
ასხენა, რომ სანამ უშუალოდ დასმულ შეკითხვას გასცემდა პასუხს ის ჯერ  
განსაზღვრავდა ოკუპაციის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის  
ნორმებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენებას  
ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების სტატუსს.<sup>235</sup>  
ტერიტორიების სტატუსის განსაზღვრისას სასამართლო ტენდენციურად  
დაეყრდნო მხოლოდ ბრიტანეთის მანდატის მოქმედების პრინციპს, რომლის  
მიხედვითაც მანდატი უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივ მოსახლეობას და  
იგნორირება გაუკეთა ბრიტანული მანდატის ძირითად მიზანს, რომ  
პალესტინური ტერიტორია გამხდარიყო ებრაელთა საცხოვრებელი სახლი.

გარდა ამისა, დავის საგანი გახდა ასევე სასამართლოს არგუმენტაცია  
საკითხზე თუ რატომ უნდა გავრცელდეს ჟენევის მე-4 კონვენციის  
მოქმედება ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე.<sup>236</sup> სასამართლომ  
პირდაპირი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის პირობებში ფართოდ  
განმარტა ჟენევის მე-4 კონვენციის მე-2 მუხლი და აღნიშნა, რომ [მკაფიოდ  
ჩაწერილი] ტერმინი „მადალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორია“ ასევე  
მოიაზრებს ისეთ ტერიტორიებს როგორიც პალესტინა.<sup>237</sup> ამ მანევრით  
სასამართლომ აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით, მთელი დასავლეთ  
სანაპიროს ტერიტორია მიიჩნია სამხედრო ოკუპაციის ქვეშ არსებულ

<sup>233</sup>Ibid, para.122.

<sup>234</sup>Ibid, para.159.

<sup>235</sup>Ibid, para.69.

<sup>236</sup>ჟენევის მე-4 კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით კონვენციის მოქმედება ვრცელდება ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის სრული ან ნაწილობრივი ოკუპაციის შემთხვევაში. პალესტინა კი გადაწყვეტილების გამოტანის დროს ჟენევის კონვენციის მაღალი ხელშემკვრელი მხარე არ ყოფილა.

<sup>237</sup>Wall case, *supra*, n.29, paras.90 et. al.

ტერიტორიად, ხოლო ისრაელი ოკუპანტი მხარედ, რომელზეც კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა გავრცელებულიყო.<sup>238</sup>

სასამართლო ასევე არასწორად იყენებს ტერმინ “კედელს”, რადგან საკონსულტაციო დასკვნის გამოტანის დროს უკვე აშენებული 180-კილომეტრიანი ბარიერის მხოლოდ 8 კილომეტრი (დაახლ. 4%). წარმოადგენდა უშუალოდ კედელს, ხოლო დანარჩენი ნაწილი მავთულს ხლართი ან სხვაგარად კონსტრუირებული “სმარტ-ლობე” იყო.<sup>239</sup> სასამართლომ ასევე არადამაჯერებლად მიიჩნია ისრაელის მხრიდან უსაფრთხოების მოტივებზე მითითება და განაცხადა:

“მიუხედავად იმისა რომ ისრაელი დაბეჭითებით ირწმუნება რომ კედლის აშენება არ წარმოადგენს ანგქისას და რომ კედელი დროებითი ხასიათისაა [...] ხასამართლო ვერ დარჩება ინდივიდუალური იმ შემცირების მიმართ, რომელიც გამოითქავა კედლის გავლებით პალესტინის მომავალი ხაზღვრის ხტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით და იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელმა შესაძლოა ებრაული დასახლებების და მათთან მისასვლელი გზების საკუთარ ტერიტორიაში ინტეგრაცია განახორციელოს. ხასამართლო მიიჩნევს რომ კედლის შემცირება და მისი თანმდევი რეჟიმი ქმნის “fait accompli” საფუძვლის იმისა, რომ კედელი შეიძლება მუდმივად დარჩეს ამ მდგომარეობაში, ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად ისრაელის მიერ კედლის ხასიათის ფორმალური განსაზღვრისა, ეს მიიჩნევა დაფაქტო ანგქისად.”<sup>240</sup>

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მხედველობაში საერთოდ არ მიიღო ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის ისრაელს უკვე შეცვლილი პქონდა დობის მარშრუტი 8 კილომეტრიან მონაკვეთზე, რომელიც ისრაელის უზენაესმა სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია და მთავრობამ ასევე გამოოქვა მზადყოფნა შემდგომი მოდიფიკაციებისათვის.<sup>241</sup> სასამართლომ ასევე გაურკვევლად მიუთითა, რომ კედლის შემცირება მწვანე ზოლის დასავლეთ ნაწილში პირდაპირ არღვევდა პალესტინელთა უფლებას იმ წმინდა ადგილების მოლოცვისა, რომლებიც მდებარეობდა სიონის მთაზე.<sup>242</sup> თუმცა რეალურად, თუკი კედელი მწვანე ზოლის აღმოსავლეთით აღიმართებოდა, მომლოცველებს სიონის მთაზე მოსახვედრად მაინც მოუწევდათ კედლის გავლა, შესაბამისად გაუგებარია რას ემსახურება ხაზგასმა იმისა, რომ

<sup>238</sup> ისრაელის უზენაესმა სასამართლომ აღფეი მენაშეს საქმეში (იხ. სქოლიო 229) აღნიშნა რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ არასწორი ინტერპრეტაციით მოხდა უნდა მე-4 კონვენციის გავრცელება ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, რადგან ისრაელს მანამდე ნებაყოფლობით ისედაც პქონდა განცხადებული რომ იგი უნდა მე-4 კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს აიღებდა საკუთარ თავზე, როგორც პალესტინის ტერიტორიების ოკუპანტი ძალა.

<sup>239</sup> Dinstein, *supra*, n.8, p.251.

<sup>240</sup> Wall case, *supra*, n.29, para.121.

<sup>241</sup> Dinstein, *supra*, n.8, p.252.

<sup>242</sup> Wall case, *supra*, n.29, para.129.

ბარიერი თკუპირებულ ტერიტორიაზე აღიმართა და ამითი შეიზღუდა პალესტინელთა ხელმისაწვდომობა წმინდა ადგილებზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ რეალურად შეზღუდვას დაექვემდებარა მხოლოდ მოქალაქეთა გადაადგილება კონკრეტული მარშრუტით, რადგან მათ თავისუფლად აღარ შეეძლოთ ნებისმიერ მონაკვეთზე გადმოეკვეთოთ მწვანე ზოლი, არამედ მხოლოდ ბარიერში გახსნილი სასაზღვრო გამშვები პუნქტების მეშვეობით.

საკონსულტაციო დასკვნაში ასევე ვხვდებით საკმაოდ უცნაურ მითითებას ფართოდ განმარტებად შრომის, ცხოვრების ადექვატური პირობების, ჯანმრთელობის, განათლებისა და ბავშვთა დაცვის უფლებებზე.<sup>243</sup> ყოველივე ამ უფლებების შეზღუდვის ფაქტზე დაყრდნობით სასამართლომ დაასკვნა, რომ კედლის მშენებლობით იცვლებოდა პალესტინის დემოგრაფიული შემადგენლობა და შესაბამისად ამითი ირდვეოდა პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება.<sup>244</sup> მოსამართლე კოიმანსმა თავის განცალკევებულ აზრში აღნიშნა, რომ თვითგამორკვევის უფლების საჯითხი სასამართლოს სამართლებრივ ჭრილში საერთოდ არ უნდა განეხილა და პოლიტიკური პროცესების იარაღად დაეტოვებინა,<sup>245</sup> ხოლო მოსამართლე პიგინსმა კი მიიჩნია რომ სასამართლოს მიერ უშუალოდ კედლის მშენებლობის გაიგივება თვითგამორკვევის უფლების დარღვევასთან იყო არარეალური და ამავდროულად დაუბალანსებელიც.<sup>246</sup>

სასამართლო ირიბად შეეხო პროპორციულობის საკითხსაც, თუმცა მასზე მსჯელობისას სასამართლო მთელ ბარიერს განიხილავს ერთიან კონსტრუქციად და არა ცალ-ცალკე სექტორებად, შესაბამისად თუკი ერთი სექტორიც კი არაპოპორციულად იქნებოდა მიჩნეული, სასამართლო დასკვნიდა რომ მთლიანად დამცავი კედლის მშენებლობა არღვევდა პროპორციულობის პრინციპს და რეალურად ასეც მოიქცა. მან ასევე გვერდი აუარა იმ ფაქტების განხილვას, რაც წინ უსწრებდა ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებას აეშენებინა დამცავი ბარიერი რათა გამკლავებოდა პალესტინური ტერიტორიებიდან თვითმკვლელი ტერორისტების შემოდინების საფრთხეს.<sup>247</sup> როგორც მოსამართლე ბურგენტალმა დააფიქსირა თავის განსხვავებულ მოსაზრებაში:

“...ქვეყლაფერი რაც სასამართლოს მიერ ითქვა ეხება ზიანს რასაც კედელი აყენებს ადგილობრივ მოსახლეობას და ასევე აღწერას კონკრეტული საერთაშორისო პუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და დასკვნას რომ აღნიშნული ნორმები დაირღვა. ის რაც აკლია სასამართლოს გადაწყვეტილებას არის იმ ფაქტების გამოკვლევა, რომლებმაც შესაძლოა დაამტკიცოს

<sup>243</sup> სასამართლოს მიერ აღნიშნულ უფლებებზე მითითება მოსამართლე როზალინ პიგინსმა თავის განსხვავებულ აზრში მოიხსენია ტერმინით “უცნაური”.

<sup>244</sup> *Wall case, supra*, n.29, para.133.

<sup>245</sup> *Ibid. Separate opinion of Judge P.H. Kooimans.*

<sup>246</sup> *Wall case, supra*, n.29. Dissenting opinion of Judge R. Higgins.

<sup>247</sup> *Dinstein, supra*, n.8, p.254.

თუ რატომ არ უნდა გამოიყენებოდეს თავდაცეის, სამხედრო აუცილებლობის, ეროვნული უსაფრთხოებისა ან საჯარო წესრიგის დაცვის არგუმენტაცია მთლიანად კედლის ან მის რომელიმე სეგმენტთან მიმართებაში. სასამართლო ამბობს რომ “ის ვერ დარწმუნდა”, თუმცა ის არ ასაბუთებს რატომ ვერ დარწმუნდა და ზუსტად ამიტომაცაა რომ ზემოთ აღნიშნული დასკვნები არადამაჯერებელია.”<sup>248</sup>

საერთო ჯამში, საკონსულტაციო დასკვნა მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე არ არის სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილება, შესაბამისად სავარაუდოა, რომ სასამართლო უფრო მეტად თავისუფალი იქნებოდა კონკრეტული მოსაზრებების განვითარებაში, ვიდრე სადაც საქმეების განხილვისას, შესაბამისად ამ დასკვნაში მოცემული მსჯელობები და მათგან გამომდინარე გაკეთებული დასკვნები არ შეიძლება მივიჩნიოთ ფორმალურ სამართლებრივ საფუძვლად პალესტინაში მოქმედ რეჟიმის განსაზღვრისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მოსამართლეები, რომლებიც კედლის საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო სამართლის კვალიფიციურ იურისტები არიან და მათი აზრი ნამდვილად არის ანგარიშგასაწევი და განსახილველი როგორც პოზიცია, რომელსაც არსებობის უფლება ნამდვილად აქვს.

ამრიგად, მოცემულ თავში განხილული თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოკუპაციის სამართალი განმსჭვალულია ოკუპანტი ძალისადმი დათმობითი (permissive) მიღებით, რაც მას აძლევს უფლებამოსილების ფართო არეალს. ამგვარი დათმობითი მიღები გამოწვეულია ისევ და ისევ ადგილობრივი მოსახლეობისა და ოკუპირებული ტერიტორიების საუკეთესო ინტერესებისათვის და არ მოიცავს დევნილი სუვერენის პოლიტიკურ, სამხედრო თუ სხვა სახის ინტერესებს. ამავდროულად, ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპაციის სამართალი ითვალისწინებს გარკვეულ მბოჭავ ნორმებსაც, რომელიც უკრძალავს ოკუპანტ ძალას საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და *ultra vires* მოქმედებას.

### 3. ოკუპირებული ტერიტორიების საკანონმდებლო და სასამართლო სისტემა

#### 3.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი კანონმდებლობა

ნაშრომის პირველი თავი ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა<sup>249</sup> ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას

<sup>248</sup>Wall case, *supra*, n.29. Dissenting opinion of Judge Buergenthal.

<sup>249</sup>იხ. ნაშრომის პირველი თავი.

გამოსაყენებელი სამართლებრივი რეჟიმი კომპლექსური ხასიათისაა და საერთაშორისო ნორმებთან ერთად მოიცავს, ასევე შიდა სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, კერძოდ (1) ადგილობრივ კანონმდებლობას, რომელიც ოკუპაციამდე მოქმედებდა, თუკი ოკუპანტი ძალის მიერ ის არ იქნა შეცვლილი ან მოდიფიცირებული და (2) ოკუპანტი ძალის მიერ მიღებულ კანონმდებლობას რა სახის ან ბუნებისაც არ უნდა იყოს ის (კანონი, სამხედრო ბრძანება, რეგულაცია ა.შ.). ეს თავი განიხილავს სწორედ იმ შიდა სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციისას. აქვე ადსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მოქმედება არამც და არამც არ წყდება ან არ იცვლება შიდა სამართლებრივი ნორმების მიღებით ან მოდიფიცირებით, ეს განსაკუთრებით ეხება დაცულ პირებთან მიმართებით არსებულ ნორმებს, რადგან შენევის მე-4 კონვენცია პირდაპირ აცხადებს, რომ სამოქალაქო პირთა დაცვის გარანტიები არ შეიძლება ოკუპანტი ძალის ცალმხრივი ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ზომის მიღებით შეიცვალოს.<sup>250</sup> საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს მაშინაც უპირატესობა მიენიჭება, როდესაც ოკუპანტი ძალა არ ცვლის ადგილობრივ კანონმდებლობას, მაგრამ სწორედ ეს მოქმედი კანონები მოდის წინააღმდეგობაში ოკუპაციის სამართლის ნორმებთან.<sup>251</sup>

ჰააგის რეგულაციების მიხედვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპაციამდე მოქმედი კანონმდებლობა ავტომატურად ვრცელდება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისი შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელია.<sup>252</sup> თუმცა არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ოკუპანტი ძალა ყოველთვის გარკვეულწილად ცვლის არსებულ კანონმდებლობას, რათა გაუმარტივდეს დაკავებული ტერიტორიის ადმინისტრირება. აქვე ადსანიშნავია, რომ ჰააგის 43-ე რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ადგილობრივ კანონებზე, რომელიც ოკუპაციის დაწყებისას უკვე მოქმედებდა ტერიტორიაზე, შესაბამისად დევნილი სუვერენის მიერ ოკუპაციის პერიოდში მიღებული კანონები ავტომატურად არ გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე.<sup>253</sup> თუკი ოკუპანტი ძალა გადმოიტანს დევნილი სუვერენის მიერ მიღებულ ახალ კანონებს თავის სამხედრო ბრძანებებსა ან დეკრეტებში, მხოლოდ მაშინ ადსრულდება ახალი კანონები ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს მთლიანად ოკუპანტის დისკრეციაა და მას ამგვარი კანონების გადმოტანის ვალდებულება არ აქვს.<sup>254</sup> თავის მხრივ განდევნილ სუვერენის სრული უფლება აქვს მიიღოს კანონები ოკუპირებული ტერიტორიებისათვის და ქვეყნის არაოკუპირებულ ნაწილში აღასრულოს ისინი. ეს უფლება მომდინარეობს მისი უწყვეტი სუვერენიტეტის პრინციპიდან, რადგან

<sup>250</sup>GC IV, *supra*, n.11, art.47.

<sup>251</sup>Boon, K.E. *The Future of the Law of Occupation* in Canadian Yearbook of International Law, no.46, 2008, p.125.

<sup>252</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.43.

<sup>253</sup>Stein, E. *Application of the Law of the Absent Sovereign in Territory under Belligerent Occupation: the Schio Massacre* in Michigan Law Review, vol.46, no.3, 1948, p.349.

<sup>254</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, pp.101-102.

ოკუპაცია არ იწვევს კანონიერი მმართველის სუვერენიტეტის დაკარგვას.<sup>255</sup> მაგრამ საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან, თუკი ადგილი ექნება კონფლიქტს ოკუპანტი ძალის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებსა და განდევნილი სუვერენის მიერ მიღებულ ახალ კანონებს შორის, უპირატესობა ოკუპანტის მიერ შექმნილ კანონმდებლობას მიენიჭება.<sup>256</sup> ოკუპანტი, როგორც წესი, შეცვლის, გააქტიურებს ან შეაჩერებს ისეთი ადგილობრივი კანონების მოქმედებას, რომელიც პოლიტიკური ბუნებისაა, ასევე პოლიტიკურ პრივილეგიებს ანიჭებს ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა უზრუნველყოს თავისი სამხედრო ინტერესებისა და ჯარის უსაფრთხოების დაცვა. სამართლებრივად ამგვარი ცვლილებები ყოველთვის დროებითი ხასიათისაა, რადგან ოკუპაცია იმთავითვე ოკუპანტი ძალის დროებით მმართველობას მოიაზრებს.<sup>257</sup> ოკუპანტი სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე დიდი ალბათობით შეაჩერებს სამხედრო გაწვევასთან, იარაღის ტარებასთან, შეკრების თავისუფლებასთან, არჩევნების უფლებასთან, პრესის თავისუფლებასთან, ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა ან ამ ტერიტორიის დატოვებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ნორმებსაც.<sup>258</sup>

ზოგადად, უფრო მართებულია ოკუპანტი ძალის კანონშემოქმედებითი საქმიანობის კანონიერების შეფასება ნებატიურ ასპექტში, რადგან პარაგვა 43-ე რეგულაციაც ამ სტილშია ფორმულირებული, შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ ძირითადი წესის მიხედვით, ოკუპანტს ეკრძალება ადგილობრივი კანონების შეცვლა, მაგრამ საჭიროა განისაზღვროს ის საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც მას ეძლევა უფლება შეაჩეროს ან შეცვალოს ადგილობრივი კანონმდებლობა და მიიღოს ახალი კანონი. მეცნიერები ამგვარ გამონაკლისებად მიიჩნევენ შემდეგ გარემოებებს: (1) ოკუპანტ ძალას შეუძლია კანონშემოქმდებითი საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ოკუპაციის პერიოდში – ოკუპანტის ვალდებულება აღადგინოს და შეინარჩუნოს საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება შეზღუდულია *ratione temporis* მხოლოდ ოკუპაციის პერიოდით.<sup>259</sup> ამავდროულად, რაც უფრო დიდ ხანს გრძელდება ოკუპაცია, სავარაუდოა რომ ოკუპანტი ძალა შეცვლის უფრო მეტ კანონს, რათა მოქმედი საკანონმდებლო სივრცე მოერგოს შეცვლილ სოციალურ საჭიროებებს;<sup>260</sup> (2) ოკუპანტს სამხედრო აუცილებლობის გარდა სხვა მიზნითაც შეუძლია კანონშემოქმდება – “აბსოლუტურად შეუძლებლობის” მნიშვნელობა ბუნდოვანია, ზოგი მიიჩნევს რომ ეს მხოლოდ სამხედრო აუცილებლობით გამოწვეულ “შეუძლებლობას” გულისხმობს, ხოლო სხვების აზრით “აბსოლუტური შეუძლებლობა” ნებისმიერი სახის აუცილებლობაზე მიუთითებს. პრაქტიკაშიც სასამართლოები ხშირად აღიარებენ ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული

<sup>255</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.108.

<sup>256</sup>Feilchenfeld, *supra*, n.7, pp.135-136.

<sup>257</sup>von Glahn, *supra*, n.94, p.98.

<sup>258</sup>Greenspan, *supra*, n.23, p.223.

<sup>259</sup>Lauterpacht, *supra*, n.40, pp.436-437.

<sup>260</sup>HCJ 337/71 *Christian Association for the Holy Places v. Minister of Defense et al.*, in IYHR, vol.2, 1972, p.354.

საკანონმდებლო აქტების ფართო სპექტრის კანონიერებას, თუნდაც ამგვარი კანონების მიღება სამხედრო აუცილებლობით არ იყოს გამოწვეული;<sup>261</sup> (3) ოკუპანტს შეუძლია კანონშემოქმედება თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად – ამ მიზნით ადგილობრივი კანონების შეცვლა დავის საგანი არაა არც ჰააგის რეგულაციების 43-ე და არც უენევის მე-4 კონვენციის 64(2) მუხლის მიხედვით, რადგან თავად ოკუპაციის სამართლის სულისკვეთება ემსახურება ოკუპანტი ჯარის უსაფრთხოების ინტერესებს. თუმცა ამ მიზნით მიღებულმა კანონმა არაფრით არ შეიძლება ოკუპანტს ისეთი ზომების მიღების ნება დართოს, რაც სპეციფიკურად აკრძალულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით (მაგ. კოლექტიური სასჯელი, მასობრივი დეპორტაცია ა.შ.); (4) ოკუპანტს შეუძლია მიიღოს კანონები, რაც საჭიროა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლიმენტაციისათვის – ეს საჭიროა იმისათვის რომ მან ჯეროვნად მოახდინოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირება და სრულად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები თუკი ადგილობრივი კანონმდებლობით ეს შეუძლებელია. ამგვარი ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს ბავშვთა კეთილდღეობას, შრომას, საკვებს, ჰიგიენას და საზოგადო ჯანდაცვის უზრუნველყოფას;<sup>262</sup> ასევე რასობრივი ან რელიგიური უმცირესობების პირობების გაუმჯობესებას;<sup>263</sup> (5) ოკუპანტს შეუძლია კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება როდესაც ეს საჭიროა საჯარო წესრიგისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დასაცავად, რადგან ამ მიზნის მიღწევა ოკუპანტის ნებისმიერი ქმედების კანონიერების საფუძველია.<sup>264</sup>

უენევის მე-4 კონვენციის 64-ე მუხლი მართალია სისხლის სამართლის კანონმდებლობას ეხება, მაგრამ კონვენციის კომენტარებიდან ირკვევა რომ ეს მუხლი ფართოდ უნდა იყოს გაგებული და მოიცავს ყველა სახის კანონს. შესაბამისად ის საფუძვლები, რომელთა არსებობის დროსაც ოკუპანტს შეუძლია სისხლის სამართლის ნორმები შეცვალოს, ანალოგიურად უნდა გამოიყენებოდეს სხვა კანონების შეცვლის პროცესში.<sup>265</sup> ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი კანონმდებლობის შეცვლის დამატებით საფუძვლად შეიძლება მოგვევლინოს მისი შეუსაბამობა ზოგად საერთაშორისო სამართლთან ან გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ ოკუპანტისათვის მიცემული უფლებამოსილება რომ შეცვალოს კონკრეტული კანონი.<sup>266</sup>

ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში მოქმედებს პრეზუმეცია, რომ ოკუპაცია დროებითია, თუმცა ამ პერიოდში ოკუპირებული ქვეყნის სუვერენიტეტი ხდება დომინანტი, მაგრამ ოკუპანტი სახელმწიფო ახორციელებს *defacto*

<sup>261</sup>Sassoli, *supra*, n.65, p.674.

<sup>262</sup>Final Record of the Geneva Conference, working document of the 3<sup>rd</sup> committee working on GC IV, pp. 672, 833.

<sup>263</sup>GC IV, *supra*, n.11, art.64(2), commentary (1958).

<sup>264</sup>Sassoli, *supra*, n.65, p.678.

<sup>265</sup>Boon, *supra*, n.251, p.125.

<sup>266</sup>UK *Manual on the Law of Armed Conflict* (Oxford and New York: Oxford University Press, 2004) para.11.11.

მმართველობას აღნიშნული სუვერენიტეტის განგრძობითობის აღიარების კვალდაკვალ<sup>267</sup> აქედან გამომდინარე ოკუპანტ ძალას არ შეუძლია გაავრცელოს თავისი შიდა კანონმდებლობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.<sup>268</sup> ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტი ძალის მიერ შექმნილ დასახლებებში საკუთარი კანონმდებლობის პერსონალური იურისდიქციის საფუძველზე გავრცელების შემთხვევას ვხვდებით ისრაელის მაგალითზე, რომელზეც ვრცლადა საუბარი ამ ნაშრომის ბოლო თავში.

ზოგადად მიჩნეულია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ყველაზე ნაკლებად საგარაუდოა რომ შეიცვალოს, რადგან ის არეგულირებს კერძო ურთიერთობებს.<sup>269</sup> თუმცა როგორც ამ ნაშრომის მექქესე თავშია ახსნილი, გარკვეულწილად კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებიც შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას, თუკი ეს ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შეცვლას – ამგვარი ცვლილება აუცილებელი საჭიროებით უნდა იყოს განპირობებული და აკმაყოფილებებს უველა იმ პრინციპს, რაც სისხლის სამართლში არსებობს (კანონის რეტროაქტიული ძალის აკრძალვა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და ა.შ.)<sup>270</sup>

ოკუპანტი ძალის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შეცვლის უფლებამოსილებაზე მსჯელობისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ის სისხლის სამართლებრივი ნორმები, რომელიც ახდენს საოკუპაციო ჯარის ან მისი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების კრიმინალიზაციას და ის ნორმები, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებლებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებში აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. 64-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე ოკუპანტს უნდა შეეძლოს არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმგვარად შეცვლა, რომ დასჯადი გახდეს პირველი კატეგორიის ქმედებები და ქმედებები, რომელთა კრიმინალიზაციაც აუცილებელია ტერიტორიის კონტროლისა და საოკუპაციო ჯარის დაცვისათვის. ზოგადად, სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის ის ნაწილი, რაც არაა დაკავშირებული ოკუპანტის სამხედრო მიზნებთან უცვლელად უნდა დარჩეს, მისი მოდიფიკაცია დაიშვება მხოლოდ საჯარო წესრიგის და უსაფრთხოების შენარჩუნების მოტივით, მაგრამ ამის მტკიცების სტანდარტი საკმაოდ მაღალია.<sup>271</sup>

ვინაიდან ოკუპანტის მიერ კანონმდებლობის შეცვლის უფლებამოსილება ომის სამართლიდან მომდინარეობს და არა დაკავებული ტერიტორიის

<sup>267</sup>Shraga, D. *Military Occupation and UN Transitional Administrations: The Analogy and Its Limitations* in Kohen, M.G. (ed.) *Promoting Justice, Human Rights and Conflict Resolution through International Law*, Leiden, 2007, p.481.

<sup>268</sup>Boon, *supra*, n.251, p.123.

<sup>269</sup>von Glahn, *supra*, n.94, p.99.

<sup>270</sup>Green, L.C. *The Contemporary Law of Armed Conflict*, Manchester, 2008, pp.290-291.

<sup>271</sup>Barican, *supra*, n.115, p.15.

სუვერენიტეტისგან, ამიტომ იგი არაა ვალდებული ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილებისას იხელმდგვანელოს კანონშემოქმედების არსებული პროცედურებით, შესაბამისად პარლამენტის მიერ კანონის მიღების პროცედურები, როგორც წესი, უგულებელყოფილი იქნება ოკუპანტის მიერ. ამის საპირისპიროდ, ოკუპანტი ძალის მიერ საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება სპეციალური ბრძანებების ან დაკრეტების გამოცემით, ან ოკუპირებული ტერიტორიის სამართლებრივ სისტემაში ახალი პრინციპებისა თუ ჩვეულებების დამკვიდრებით.<sup>272</sup>

რეალურად, პააგის 43-ე რეგულაცია ჟენევის მე-4 კონვენციის 64-ე მუხლთან ერთად ოკუპანტი ძალის ხელში შესანიშნავი კონვენციური იარაღია, რომელსაც ეს უკანასკნელი ისე გამოიყენებს როგორც უნდა, რადგან ის მოქმედებს საკმაოდ ფართო დისკრეციის ფარგლებში. თუკი ოკუპანტი მოისურვებს მას შეუძლია გაამართლოს მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა ყველა ასპექტში, ხოლო თუკი იგი რაიმე ზომებს არ იღებს, შეუძლია ეს ზემოთ ხსენებული დებულებებით დადგენილი “ზღვრით” ასენას.<sup>273</sup>

თუმცა პააგის 43-ე რეგულაციისა და ჟენევის მე-4 კონვენციის 64-ე მუხლის ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაშიც მაინც დგება მომენტი, როდესაც ოკუპანტის მიერ მიღებული კანონმდებლობის მოქმედება უნდა შემოწმდეს. როგორც წესი, ეს ხდება ტერიტორიის დეოკუპაციის და მასზე პირვანდელი სუვერენის მმართველობის აღდგენის შემდეგ. ზოგადად, ოკუპანტის მიერ ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული/გამოცემული ხელშეკრულება თუ სამოქალაქო აქტი ითვლება კანონიერად და დაბრუნებული სუვერენის მიერ უნდა იქნას აღიარებული, როგორც მოქმედი. მაგრამ, როდესაც ოკუპანტი ცვლის შიდა კანონმდებლობას, რის საფუძველზეც ეს აქტები გამოიცა, მათი ნამდვილობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ასეთ დროს მაგ. აშშ-ის უზენაესი სასამართლო იყენებს მიდგომას,<sup>274</sup> რომლის მიხედვითაც ოკუპანტი ძალის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, რომელიც საჭიროა საჯარო წესრიგის და საზოგადოებრივი ცხოვრების გამართულად წარმართვისათვის არის ნამდვილი და დაბრუნებული სუვერენის მიერ უნდა იყოს აღიარებული მათი ნამდვილობა, მანამ სანამ ის არ შეცვლის ან გააუქმებს ამ აქტებს. ნებისმიერი ასეთი ცვლილება უნდა იყოს მხოლოდ პროსპექტურული და არავითარ შემთხვევაში რეტროაქტიული. თავის მხრივ, ოკუპანტის მიერ მიღებული ის სამართლებრივი აქტები, რომელიც აშკარად პოლიტიკური ხასიათისაა და ემსახურება მხოლოდ მისთვის საომარ ან ხსენაგვარი უპირატესობის მიღებას ბათილია და დაბრუნებული სუვერენიც არ სცნობს მათ ნამდვილობას.

<sup>272</sup>Halleck, H.W. *Halleck's International Law or Rules Regulating the Intercourse of States in Peace and War*, vol. II, London, 1878, p.482.

<sup>273</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.77.

<sup>274</sup>ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული კანონმდებლობის შეცვლის აშშ-ის უზენაესი სასამართლოს საქმის შესახებ დეტალურად იხ. Shanker, M.G. *The Law of Belligerent Occupation in the American Courts* in Michigan Law Review, vol.50, no.7, 1952, section III, pp.1076 et al.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი საკანონმდებლო სისტემის ნებისმიერი ცვლილების კანონიერება უნდა შემოწმდეს სწორედ იმ ტესტის მიხედვით, რითაც მოწმდება ოკუპანტის ქმედება სამოქალაქო მოსახლეობასთან მოპყრობის თვალსაზრისით, რადგან ორივე შემთხვევაში ოკუპანტის უფლებამოსილება მომდინარეობს ერთი და იმავე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმიდან, კერძოდ პაგის 43-ე რეგულაციიდან და უენევის მე-4 კონვენციის 64-ე მუხლიდან, შესაბამისად შეფასების ზღვარი, რომელიც ოკუპანტს აქვს ადგილობრივი კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით იდენტურია იმ დისკრეციისა, რასაც ის ფლობს სამოქალაქო მოსახლეობასთან მოპყრობის კუთხით ქმედებების თავისუფლებაში. ორივე შემთხვევაში ოკუპანტ ძალას აქვს მოქმედების საკმაოდ ფართო არეალი და მისი ნებისმიერი ნაბიჯის კანონიერება ეფუძნება რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებს იგი და რა მიზანი ამოძრავებს – ოკუპირებული ტერიტორიის ჯერვანი ადმინისტრირება და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა თუ თავისი ქვეყნის პირადი პოლიტიკური მისწრაფებები.

მას შემდეგ, რაც დადგინდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სამართლებრივი ნორმების ადგილობრივი სისტემა, საჭიროა განისაზღვროს თუ როგორ ხდება აღნიშნული ნორმების გამოყენება ეროვნულ იურისდიქციებში და ვინ ახდენს ოკუპანტი ძალის მიერ საერთასორისო თუ შიდა სამართლებრივი ნორმების შესრულების კონტროლს. ამისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ ოკუპირებული ტერიტორიების სასამართლო სისტემაც.

### 3.2. ოკუპირებული ტერიტორიების სასამართლო სისტემის ადმინისტრირება

უენევის კონვენციაში გადმოცემული ზოგადი წესის მიხედვით, ოკუპანტი ძალა ვალდებულია შეინარჩუნოს ადგილობრივი მართლმსაჯულების ორგანოები და არ შეცვალოს მოქმედი მოსამართლეების სტატუსი.<sup>275</sup> თუკი ადგილობრივი მოსამართლე გადაწყვიტავს რომ დარჩეს სამსახურში, მის მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა იყოს აღიარებული ოკუპანტის მიერ, მასვე კკრძალება რაიმე სახის იძულება ან ზეწოლა მოსამართლეზე რათა განაჩენი გამოიტანოს ოკუპანტი სახელმწიფოს სახელით.<sup>276</sup> მიუხედავად ამ ზოგადი წესისა, უენევის მე-4 კონვენცია უშვებს ოკუპანტი ძალის მიერ საჯარო პირთა დათხოვნის შესაძლებლობას, თუმცა დებულება პირდაპირ მოსამართლეებს არ ასახელებს.<sup>277</sup> მუხლის კომენტარიდან ირკევა რომ ოკუპანტის ეს უფლება მოსამართლეებზეც ვრცელდება.<sup>278</sup> უფრო მეტიც, ოკუპანტ ძალას მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების მოტივით

<sup>275</sup>GC IV, *supra*, n.11, art.54, 64(1).

<sup>276</sup>Schwenk, *supra*, n.68, p.406.

<sup>277</sup>GC IV, *supra*, n.11, art.54.

<sup>278</sup>*Ibid*, art.54(2), *commentaries* (1958).

შეუძლია ახალი სასამართლო სტრუქტურაც კი შექმნას,<sup>279</sup> ზოგიერთი მეცნიერი<sup>280</sup> მიიჩნევს რომ ასეთ ახალ სასამართლო ორგანოში ოკუპანტს შეუძლია თავისი ქვეყნიდანაც კი დანიშნოს მოსამართლეები, თუმცა ამის სამართლებრივი საფუძველი არ გვხვდება არც უნივერსიტეტის მე-4 კონვენციაში და არც პარაგვას რეგულაციებში. ოკუპანტის მიერ თავისი მოქალაქის მოსამართლედ დანიშვნის კიდევ ერთ შემთხვევას განიხილავენ მეცნიერები, კერძოდ როდესაც ხანგრძლივი ოკუპაციისას ადგილობრივი მოსამართლეები გადადგებიან დაკავებული თანამდებობიდან, დატოვებენ ოკუპირებულ ტერიტორიას ან გარდაიცვლებიან, ან უფლებამოსილების ვადა ამოეწურებათ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფიზიკურად არ მოიძებნება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე იმდენი პირი, რომელთაც სურვილი ექნებათ სრულად შეავსონ არსებული ვაკანტური მოსამართლის პოზიციები.<sup>281</sup> როგორც სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, ასეთ დროს მართლმსაჯულების უწყვეტი ადსრულების მიზნით, ოკუპანტმა ძალაშ შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობის შეცვლის გზით შეიძლება თავისი ქვეყნიდან ჩამოიყენოს მოსამართლეები, ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო მეთაურობიდან დანიშნოს ისინი.<sup>282</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქის ოკუპირებული ტერიტორიის საერთო სასამართლოში მოსამართლედ დანიშნის შესაძლებლობა არაა კონვენციური ნორმა, თუმცა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამართლდეს, თუკი ოკუპანტი ძალა დაასაბუთებს რომ ადგილობრივ მოსახლეობაში არ მოიპოვებოდა შესაბამისი პირი, ვინც დაიკავებდა ვაკანტურ პოზიციას. აქ მეორე პრობლემაც იჩენს თავს, ადგილობრივი იურისტებისაგან მოსამართლეთა შერჩევა, თუკი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, ეს, როგორც წესი, მოიაზრებს დევნილი სუვერენის ცენტრალური ორგანოების გარკვეულ ჩართულობას შერჩევის პროცესში, რაც ოკუპაციის პირობებში გამორიცხულია. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა როდოპეს სასამართლომ საბერძნეთში, რომელმაც განიხილა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბულგარული ოკუპაციის დროს ოკუპირებულ თრაკიის რეგიონში ბულგარული სასამართლების მოქმედების კანონიერება; სასამართლომ კომოტინის საქმეში საკმაოდ წინააღმდეგობრივი მსჯელობა განავითარა და განაცხადა რომ:

მართალია, ბერძენი მოსამართლეების მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დატოვების შემდეგ ოკუპანტ ძალას უვალებოდა გარდამავალი ბერძნული მართლმსაჯულების მოგანერება დაარსება (ბერძენი მაგისტრატი მოსამართლეებით დაკომპლექტებული, რომლებიც განაჩენს

<sup>279</sup>Dinstein, Y. *The International Law of Belligerent Occupation and Human Rights* in Israel Yearbook of Human Rights, no.8, 1978, pp.114-115.

<sup>280</sup>Greenwood, C. *The Administration of Occupied Territory in International Law* in Playfair, E. (ed.) *International Law and the Administration of Occupied Territories – Two Decades of Israeli Occupation of the West Bank and Gaza Strip*, Oxford, 1992, p.261.

<sup>281</sup>Dinstein, *supra*, n.8, pp.133-134.

<sup>282</sup>Freeman, A.V. *War Crimes by Enemy Nationals Administering Justice in Occupied Territory* in AJIL, vol.41, 1947, p.589.

გამოიტანდნებ ბერძნული კანონმდებლობის საფუძველზე). თუმცა ეს შეუძლებელი იყო უკედა განათლებული ბერძნის დეპნის გამო. ამ defacto სიტუაციამ გამორიცხა სხვაგვარი მოქმედება, გარდა იმისა რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გავრცელებულიყო ბულგარული მართლმსაჯულება. რადგან ბერძნული კანონმდებლობის გამოყენება არა პრაქტიკული იქნებოდა, ბულგარული მართლმსაჯულების სისტემის გამოყენება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მოხდა.<sup>283</sup>

ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო სახელმძღვანელო<sup>284</sup> ოკუპირებული ტერიტორიის საერთო სასამართლოების სისტემის შეჩერების შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ შემდგენი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში: (1) თუკი მოსამართლეები და მაგისტრატი მოსამართლეები თავს იკავებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან; (2) თუკი სასამართლოები კორუმპირებული და უკანონოდ დაფუძნებულია; (3) თუკი ადგილობრივი სასამართლო სისტემა მოიშალა ოკუპაციამდე შეიარაღებული მოქმედებების პერიოდში და ოკუპანტი ვალდებულია შექმნას ახალი სასამართლო სისტემა ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ დარღვევებზე მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

ქვეყნის ტერიტორიის ნაწილობრივი ოკუპაციის შემთხვევაში, შესაძლოა ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლოების გადაწყვეტილებების გასაჩივრებას სააპელაციო წესით ქვეყნის არაოკუპირებულ ნაწილში. ამ უფლების რეალიზებას, დიდი ალბათობით დაბრკოლებს ოკუპანტი ძალა.<sup>285</sup> ამის ასანაზღაურებლად უენევის მე-4 კონვენცია უშვებს ოკუპანტი ძალის მიერ სპეციალური სააპელაციო (და სამხედრო) სასამართლოების დაფუძნებას უთავრესად ოკუპირებულ ტერიტორიაზე,<sup>286</sup> რითაც გამოირიცხება ოკუპანტი ძალის მიერ საკუთარი სასამართლო სისტემის სააპელაციო იურისდიქციის გადმოტანა თავის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.<sup>287</sup>

ადგილობრივი სასამართლოების rationae personae იურისდიქციასთან დაკავშირებით არსებობს ზოგადი წესი, რომ ეს სასამართლოები ვერ განიხილავენ ოკუპანტი ძალის სამხედრო დანაყოფების და ადმინისტრაციის წევრთა ქმედებების კანონიერებას.<sup>288</sup> თუმცა იმდენად, რამდენადაც არც ჰააგის რეგულაციები და არც უენევის მე-4 კონვენცია ამ საკითხს პირდაპირ და მკაფიოდ არ აწესრიგებს, პრაქტიკაში ვხვდებით აღნიშნული ზოგადი წესიდან გადახვევის შემთხვევებსაც. ორ მსოფლიო ომამდევლ პერიოდში ჰააგის რეგულაციების სულისკვეთებიდან გამომდინარე არსებობდა მოსაზრება რომ ოკუპანტი ძალის ქმედებების მართლზომიერების დადგენა, კერძოდ მოქმედებდა თუ არა ის სამხედრო აუცილებლობის პრინციპით

<sup>283</sup>In re P. (*Komotini Case*). Greece Court of First Instance of Rhodope, Judgment No. 67 of 1948.

<sup>284</sup>The US Field Manual, US FM 27-10, 1956, para.373.

<sup>285</sup>Fairman, C. Asserted Jurisdiction of the Italian Court of Cassation over the Court of Appeal of the Free Territory of Trieste in AJIL, no.45, 1951, p.548.

<sup>286</sup>GC IV, *supra*, n.11, art.66.

<sup>287</sup>von Glahn, *supra*, n.94, p.116.

<sup>288</sup>*Ibid*, p.108.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თავად ოკუპანტის უფლებამოსილებაა და არამც და არამც არ შეიძლება ამის ადგილობრივი ტრიბუნალებისათვის გადაცემა.<sup>289</sup> ბელგიის საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ოკუპაირებული ტერიტორიის სასამართლოების მიერ ოკუპანტის მიერ სავარაუდო დარღვევის ფაქტების განხილვა ადგილობრივი სასამართლოების მხრიდან *ultra vires* ქმედება იქნებოდა.<sup>290</sup> აღნიშნული მიდგომის საპირისპიროდ, მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ოკუპაციის პერიოდში ადგილობრივი სასამართლოები ხანდახან უარს ამბობდნენ თკუპანტი ძალის მიერ მიღებული კანონების გამოყენებაზე რითაც ერთის მხრივ ხაზს უსვამდნენ თკუპანტის მიერ განხორციელებული კანონშემოქმედებითი საქმიანობის უკანონო ხასიათს, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარ უფლებამოსილებას - განეხილა ოკუპანტის ქმედებების კანონიერება. მაგ. ნორვეგიის საოლქო სასამართლომ განაცხადა რომ ოკუპანტის მიერ შეცვლილი კანონმდებლობა არ იყო შესრულებადი, ის არ გამოიყენებდა მოდიფიცირებულ კანონს, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ჰააგის 43-ე რეგულაციას.<sup>291</sup> ასევე საბერძნეთის საკასაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია გერმანიის საოკუპაციო ადმინისტრაციის მიერ ზოგიერთი ტრიბუნალის შექმნა, რაც ეწინააღმდეგებოდა ჰააგის 43-ე რეგულაციას და უკანონო იყო.<sup>292</sup> კრეტის სისხლის სამართლის სასამართლომ კი პირდაპირ განაცხადა რომ ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპაციის სამართლით დადგენილი ზღვარის გადაბიჯების შეფასება სწორედ თავისი [სასამართლოს] კომპეტენცია იყო.<sup>293</sup>

უშუალოდ ოკუპაციის პერიოდისაგან განსხვავებით, პოსტ-ოკუპაციის დროს ადგილობრივი სასამართლოები უფრო თავისუფლად განიხილავდნენ ოკუპანტი ძალის ქმედებების კანონიერებას. პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც ოკუპანტის კონკრეტული აქტები გააუქმა გათავისუფლებული ქვეყნის სასამართლომ, ასევე გხვდება სიტუაციები, როდესაც სასამართლომ ნამდილად მიიჩნია ოკუპანტის ქმედება, რადგან დაადგინა რომ ის მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.<sup>294</sup>

საინტერესოა, ქვეყნის ნაწილობრივი ოკუპაციისას, არაოკუპაირებული ტერიტორიის ადგილობრივი სასამართლოების მიერ ოკუპანტი ძალის მიერ განხორციელებული ქმედებების სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობა. იმდენად რამდენადაც ეს სასამართლოები მოქმედებენ ოკუპაირებული

<sup>289</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.148.

<sup>290</sup>Decision of the Court of Cassation of Belgium, May 18, 1916 in International Law Notes, no.1, 1916, p.136.

<sup>291</sup>District Court of Aker, Norway, *Overland case*, 25 August 1943, (1943-5\_ 12 AD 446, Case No. 156, p. 447).

<sup>292</sup>Greece, Areopagus Court of Cassation, *In re S.* Judgment No. 255 of 1944 (1943-1945) 12 AD 436, Case No. 150, p. 437.

<sup>293</sup>Greece, Criminal Court of Heraklion (Crete), *Re A.* Judgment No. 106 of 1945 (1943-1945) 12 AD 454, Case no. 162, p. 455.

<sup>294</sup>Benvenisti, E., Saliternik, M. *The Treatment of Occupation Legislation by Courts in Liberated Territories*, in Kristjansdottir E., Nollkaemper A., Ryngaert C. (eds.) *International Law in Domestic Courts: Rule of Law Reform in Post-Conflict States*, Cambridge, 2012, pp.274-276.

ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე და ამ ქვეყნის სუვერენი ინარჩუნებს მმართველობას არაოცაპირებულ ტერიტორიაზე, სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპით ცალსახაა, რომ ქვეყნის არაოცაპირებულ ტერიტორიაზე არსებული სასამართლოები უფლებამოსილი იქნება ოკუპანტი ძალის ქმედებები შეაფასოს, როგორც ადგილობრივი კანონების, ასევე საერთაშორისო სამართლის მიხედვით. მეორე საკითხია რამდენად შეიძლება ასეთი გადაწყვეტილებები აღსრულდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ექნება თუ არა საერთაშორისო აღიარება ამგვარ გადაწყვეტილებებს.

ამ მხრივ საინტერესო შემთხვევა მოხდა კვიპროსში, რომლის საოლქო (და შემდგომში უზენესმა) სასამართლომ გააუქმა ჩრდილოეთ კვიპროსის *de facto* ხელისუფლების (რომელიც იგივება საოკუპაციო ძალის მარიონეტულ რეჟიმად) ნასყიდობის ხელშეკრულება ბრიტანელ წყვილთან, რომელთაც ამ კონტრაქტის საფუძველზე შეიძინეს მიწა კუნძულის ოკუპირებულ ჩრდილოეთ ნაწილში და იქ ააშენეს სახლი. ამ გადაწყვეტილების ნამდგილობის და აღსრულებადობის საკითხი საბოლოოდ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განსჯადი გახდა, რომელმაც საქმის წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურით განხილვისას განაცხადა რომ სამხრეთ კვიპროსის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება ჩრდილოეთ ნაწილში მომხდარ სამართლებრივ ურთიერთობებს, სადაც ევროკავშირის სამართალი *de facto* არ ვრცელდება,<sup>295</sup> აღსრულებადია ევროკავშირის სხვა ქვეყნების (ამ შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის) სასამართლოების მიერ.<sup>296</sup> მიუხედავად იმისა, რომ აპოსტოლიდები თრამების წინააღმდეგ საქმის ამგვარი შედეგი მხოლოდ ევროკავშირის სამართლის და არა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე დადგა,<sup>297</sup> მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მინიმუმ ევროკავშირის მასშტაბით, რადგან კვიპროსის ოკუპირებულ ნაწილში საოკუპაციო ძალასთან დადებული ნებისმიერი საინვესტიციო კონტრაქტი შესაძლოა გაუქმდეს კვიპროსის რესპუბლიკის სასამართლოების მიერ და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ექნებათ ვალდებულება სცნონ ეს გადაწყვეტილებები, თუნდაც ამ საინვესტიციო დავის მონაწილეები მათი მოქალაქეები იყვნენ.<sup>298</sup>

ჩრდილოეთ კვიპროსზე მოქმედ სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით საინტერესო პრეცედენტი იყო ასევე დემოკულობის საქმე, რომელიც

<sup>295</sup>Treaty concerning the accession of the Czech Republic, the Republic of Estonia, the Republic of Cyprus, the Republic of Latvia, the Republic of Lithuania, the Republic of Hungary, the Republic of Malta, the Republic of Poland, the Republic of Slovenia and the Slovak Republic to the European Union, Protocol No.10, art.1(1).

<sup>296</sup>Sanger, A. *Property Rights in an Occupied Territory* in The Cambridge Law Journal, vol.70, no.1, 2011, pp.8-9.

<sup>297</sup>ECJ, Judgment of the Court (Grand Chamber) 28 April 2009, In Case C-420/07, REFERENCE for a preliminary ruling under Article 234 EC from the Court of Appeal (England and Wales) (Civil Division) (United Kingdom), made by decision of 28 June 2007, received at the Court on 13 September 2007, in the proceedings *Meletis Apostolides v David Charles Orams, Linda Elizabeth Orams*, para.82.

<sup>298</sup>Hakki, M.M. *Property Wars in Cyprus: the Turkish Position According to International Law* in The International Journal of Human Rights, vol.15, no.16, 2011, p.855.

განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და დაუშვებლად გამოაცხადა, რადგან ამოწურული არ იყო უფლების დაცვის ყველა შიდა სამართლებრივი გზა.<sup>299</sup> ამგვარ გზად კი სასამართლომ მიუთითა საოკუპაციო ძალის მიერ შექმნილი კომპენსაციის კომისია (ერთგვარი სასამართლო ორგანო), რომლის კანონიერებასაც კვიპროსი არ აღიარებს, რადგან ის დაფუძნებულია უკანონო ოკუპაციის შედეგად. მართალია სასამართლოს უშუალოდ არ უმსჯელია კომპენსაციის კომისია, როგორც მართლმსაჯულების ორგანო კანონიერია თუ არა ოკუპაციის სამართლის მნიშვნელობით, მაგრამ მან არაპირდაპირ აღიარა ამ კვაზი-სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა, როცა მიიჩნია ის “უფლების დაცვის შიდა სამართლებრივ მექანიზმად”. აღნიშნული მიღეოდა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა განსაკუთრებით ისეთ ნაწილობრივი ოკუპაციის დროს, როდესაც ლეგიტიმური სუვერენი ოკუპანტის ყველა ქმედებას *ipso facto* უკანონოდ მიიჩნევს და საერთაშორისო არენაზეც ოკუპანტის ხებისმიერი ქმედება კარგავს ლეგიტიმაციას. მაგალითად როგორიცაა აფხაზეთის, სამხრეთ ისეთის ან მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში.

გარდა ადგილობრივი სასამართლოებისა, რომლებმაც, ზოგადი წესის მიხედვით, ჩვეულებრივად უნდა გააგრძელოს ფუნქციონირება, ოკუპანტი ძალა უფლებამოსილია დაკავებულ ტერიტორიაზე შექმნას სამხედრო საოკუპაციო სასამართლოები რომელთაც შეეძლება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საოკუპაციო ძალების ან ადმინისტრაციის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების განხილვა. ამ სასამართლოების იურისდიქცია გავრცელდება საოკუპაციო ჯარისა და ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ქმედებაზე, ასევე ომის სამართლის წესებისა და ჩვეულებების სავარაუდო დარღვევებზე, ხოლო ადგილობრივი სასამართლოების განსჯადი დარჩება დავები, რომელიც წარმოიშობა ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შორის სამოქალაქო ან ქონებრივ ურთიერთობებში.<sup>300</sup> ომის დანაშაულების განხილვა შეიძლება შევიდეს ამ საოკუპაციო სასამართლოების იურისდიქციაში ან ადგილობრივი სასამართლოების განსჯადი დარჩეს, შესაბამისად ოკუპანტს ეძლევა მოქმედების თავისუფლება თუ რომელ იურისდიქციას დაუქვემდებარებს ომის დანაშაულების განხილვას.<sup>301</sup> აღსანიშნავია, რომ სამხედრო საოკუპაციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს ის დამახასიათებელი ნიშნები, რაც საჭიროა ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის (დამოუკიდებლობა, მიუკერძოებობა, სამართლებრივი საფუძველი, აპოლიტიკურობა)<sup>302</sup> და ამითი განსხვავდება ის სტატუსის განმსაზღვრელი

<sup>299</sup> ECtHR, *Demopoulos and Others v. Turkey*, nos. 46113/99, 3843/02, 13751/02, 13466/03, 10200/04, 14163/04, 19993/04, 21819/04. Grand Chamber decision on admissibility, (2010), paras.99-103.

<sup>300</sup> Arai-Takahashi, *supra*, n.6, pp.157-159.

<sup>301</sup> Sassoli, *supra*, n.65, p.675.

<sup>302</sup> Dinstein, *supra*, n.8, p.137.

კომპეტენტური ტრიბუნალისაგან, რომელიც იქმნება უნივერს მე-3 კონვენციის საფუძველზე.<sup>303</sup>

ასევე დასაშვებია ცალკე ტრიბუნალის შექმნა, რომელიც განიხილავს საოკუპაციო ჯარის წევრების მიერ შესაძლო დანაშაულის ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევებს.<sup>304</sup> ამგვარი სპეციალური ტრიბუნალის შექმნას ითვალისწინებს ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო სახელმძღვანელო.<sup>305</sup> თუმცა საოკუპაციო ჯარის წევრების გადაცდომებს შეიძლება განიხილავდეს ოკუპანტი ქვეყნის ეროვნული სასამართლოებიც ან საომარი ტრიბუნალები.<sup>306</sup>

ოკუპანტი ძალის ქმედებების კანონიერებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმეტეს შემთხვევაში არ განიხილავს ოკუპირებული ქვეყნის ადგილობრივი სასამართლო, არამედ თავად ოკუპანტი ქვეყნის სასამართლო. ისრაელის პრაქტიკიდან გამომდინარე, სამხედრო მეთაურობის ქმედებების და სამართლებრივი აქტების კანონიერების დადგენა შეუძლია უზენაეს სასამართლოს, რომელიც ამგვარი დავების განხილვისას წარმოდგენილია მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სახით და განხილვაც სპეციალური პროცედურით მიმდინარეობს. ამ სასამართლოს წინაშე მომჩინეანი შეიძლება იყოს ოკუპირებული ტერიტორიის დაცული მოსახლეობა და ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს გაუუქმებია სამხედრო მეთაურობის ბრძანებები ან დაუვალებია დაგეგმილი მისაღები ზომების შეცვლა.<sup>307</sup> აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს შეფასებით, თავისი უფლებამოსილება რომ განიხილოს საოკუპაციო მთავრობის ქმედებების კანონიერება, მომდინარეობს ისრაელის კანონმდებლობიდან და არაა დამოკიდებული სამხედრო მთავრობის ნებართვაზე.<sup>308</sup>

ისრაელის პრაქტიკიდან ასევე საინტერესოა ეროვნული სასამართლოების იურისდიქციის გავრცელება ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროში მცხოვრებ ისრაელის მოქალაქეებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე.<sup>309</sup> თავდაპირველად ისრაელის ეროვნულ სასამართლოებს პქონდათ მცდელობა პერსონალობის საფუძველზე საკუთარი განსჯადობის ქვეშ მოექცია სამოქალაქო დავები, რომელშიც ორივე მხარე დასავლეთ სანაპიროში მცხოვრები ისრაელის მოქალაქე იყო, თუმცა მოგვიანებით ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე მოიცვა საქმეები, რომელშიც ერთი მხარე ისრაელის მოქალაქე იყო, ხოლო მეორე კი ოკუპაციის სამართლით დაცული პირი.<sup>310</sup>

<sup>303</sup>GC III, *supra*, n.124, art.5.

<sup>304</sup>Schwenk, *supra*, n.68, p.405.

<sup>305</sup>US Field Manual (1956), para.374, UK Military Manual (1958), para.522.

<sup>306</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.137.

<sup>307</sup>ძაგ. ბარიერის საქმე, იხ. სქოლით 149.

<sup>308</sup>დეტალურად იხ. Benvenisti, *supra*, n.26, Chapter: 8.2.5. pp.217-224.

<sup>309</sup>დეტალურად იხ. ამ ნაშრომის 7.2.1.2. ქვეთავი.

<sup>310</sup>Benvenisti, *supra*, n.26, Chapter: 8.3.2. pp. 228-233.

ისრაელის საერთო სასამართლოების იურისდიქციის გავრცელება ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე ამ დრომდე სამართლებრივი დავის საგანი პირდაპირ არ გამხდარა, მაგრამ ისრაელის უზენაეს სასამართლოს (როგორც მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოს) მაინც მოუწია ამ საკითხზე მსჯელობა და საერთო სასამართლოების განხჯადობის გავრცელება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიჩნია კანონიერად საერთაშორისო სამართლის მიხედვით. სასამართლო დაეყრდნო ზოგად საერთაშორისო სამართალში არსებულ სახელმწიფოთა უფლებას რომ გამოიყენონ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის პრინციპი. სასამართლოს აზრით, ამგვარი იურისდიქციის გავრცელება არ ლახავს სხვა ქვეყნის სუვერენიტეტს, რადგან იურისდიქცია ვრცელდება ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც არაა ისრაელის ნაწილი მაგრამ ადმინისტრირდება ისრაელის მიერ.<sup>311</sup> ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ:

ვაქტობრივად ისრაელი ახორციელებს [ოკუპირებულ] ტერიტორიებზე სუვერენის შეჩერებულ ძალაუფლებას საერთაშორისო სამართლის წესებით დადგენილი ოკუპაციის სამართლის საფუძველზე. ისრაელის სასამართლო მხოლოდ თეორიულად მოქმედებს სხვა სუვერენის ტერიტორიაზე. რეალურად, იმდენად რაძეენადაც ეს ტერიტორია დაკავებული აქს IDF-ს, ხელისუფლებაც ისრაელის ხელშია და ამიტომ არაა საფრთხე იმისა რომ სხვა ძალის მმართველობაში ხდება ჩარევა.<sup>312</sup>

ოკუპირებული ტერიტორიების სასამართლო სისტემის ადმინისტრირებისას მთავარი პრინციპია რომ არ დარჩეს რაიმე დია ხვრელი, რომლის მეშვეობითაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამართლებრივი დავა არ გადაწყვდება სასამართლო ორგანოების მიერ. ზოგადი წესის მიხედვით, ადგილობრივი სასამართლოები აგრძელებენ მოქმედებას, ოკუპანტი კი დამატებით აფუძნებს სამხედრო სასამართლოებს სპეციფიკური *ratione materiae* იურისდიქციით, ოკუპანტი ძალის ქმედებების კანონიერების განხილვა კი შეიძლება მოხდეს როგორც ადგილობრივი სასამართლოების, ისე ოკუპანტის ეროვნული მართლმსაჯულების სისტემის ან საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ.

#### 4. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ადამიანის უფლებათა რეჟიმი

ნაშრომის მოცემული თავი განიხილავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ადამიანის უფლებათა რეჟიმის კონკრეტულ ასპექტებს. კვლევის ეს ნაწილი მოკლედ ეხება საერთაშორისო პუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების ვრცელ თემას, თუმცა ძირითადად ფოკუსირებულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევისათვის პაუხისმგებლობის საკითხზე. ამ კუთხით, კვლევა საინტერესო მიგნებას გვთავაზობს,

<sup>311</sup>HCJ 179/77 *Bank Leumi Le-Israel B.M. v. Hirschberg* (1978).

<sup>312</sup>HCJ 211/73 *Shurpa v. Wechsler* (1973).

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევისათვის არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების საკითხის ფართო მიმოხილვის გზით. ამ საკითხზე ზოგად მსჯელობას მოსდევს *case study*, პალესტინაში მოქმედ არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების პასუხისმგებლობის მაგალითზე.

#### 4.1. პასუხისმგებლობის საკითხი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი უპირველესად მშვიდობის დროს მოქმედებით ხასიათდება, თუმცა ეჭვგარეშეა რომ გარკვეული ხარისხით ის შეიძლებული კონფლიქტის დროსაც აგრძელებს მოქმედებას. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განმარტა ბირთვული იარაღის საქმეზე:

*“სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის დაცვა არ წყდება ომიანობის დროსაც, გარდა მე-4 მუხლით გათვალისწინებული გადახვევის შემთხვევებისა, რაც დაშებულია საგანგებო ძღვომარტობის დროს.”<sup>313</sup>*

კედლის საქმეშიც სასამართლო იგივე მსჯელობის ხაზს გაჰყვა, როდესაც განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა კონვენციებით გარანტირებული დაცვა არ წყდება შეიძლებული კონფლიქტის დროს, გარდა პაქტის მე-4 მუხლით დაშებული გადახვევის შემთხვევებისათ.<sup>314</sup>

ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი უშვებს ომიანობის დროს კონკრეტული უფლებებიდან გადახვევის შესაძლებლობას განაპირობებს იმას, რომ რომელი უფლებებიდანაც გადახვევა დაუშვებელია, ადამიანის უფლებათა სამართალი მხოლოდ ამ უფლებებით აგრძელებს მოქმედებას შეიძლებული კონფლიქტის დროს. ქენევის კონვენციების 1-ლი დამატებითი ოქმის 72-ე მუხლი აცხადებს, რომ მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრიდი პირების დაცვის სტანდარტი რაც ამ მუხლშია მოცემული არის დამატებითი “საერთაშორისო კონფლიქტის დროს მოქმედი სხვა ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური სტანდარტებისა”.<sup>315</sup> სავარაუდოდ ამ “ფუნდამენტურ სტანდარტებში” იგულისხმება სწორედ ისეთი უფლებები, რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია ომიანობის დროსაც კი.<sup>316</sup>

ICCPR-ის 2(1) მუხლი ამბობს, რომ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პაქტში მოცემული უფლებების დაცვა პირებისათვის საკუთარ ტერიტორიაზე და თავის იურისდიქციის ქვეშ.<sup>317</sup> ერთ-ერთი განმარტებით, აღნიშნული გულისხმობს რომ სახელმწიფოებს ევალებათ

<sup>313</sup> *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1996*, p. 226, para.25.

<sup>314</sup> *Wall case, supra*, n.29, para.105.

<sup>315</sup> AP I, *supra*, n.12, art.72.

<sup>316</sup> *Ibid*, commentary.

<sup>317</sup> International Covenant on Civil and Political Rights, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966, art.2(1).

უზრუნველყონ იმ პირთა უფლებების დაცვა, რომლებიც იმყოფებიან ამ სახელმწიფოების ტერიტორიაზე და ამავდროულად ამ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არიან.<sup>318</sup> ამის საწინააღმდეგო პოზიციას მიემსრო ICJ კადლის საქმეში, სადაც მან განაცხადა, რომ აღნიშნული დებულების სწორი განმარტება გულისხმობდა სახელმწიფოების ვალდებულებას უზრუნველყონ უფლებების დაცვა პირებისათვის, რომლებიც მის ტერიტორიის გარეთ არიან, მაგრამ ამ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ ექცევიან, მაგ. როგორიცაა ოკუპირებული ტერიტორიები.<sup>319</sup> აღსანიშნავია რომ აღვევ მენაშეს საქმეში ისრაელის უზენაეს სასამართლოსაც არ დაუფიქსირებია ICJ-საგან განსხვავებული პოზიცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ადამიანის უფლებათა რეჟიმის შესახებ.<sup>320</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც დაადასტურა რომ ადამიანის უფლებათა რეჟიმი შეიძლება ექსტრა-ტერიტორიულადაც გრცელდებოდეს<sup>321</sup> და რომ ამგვარი რეჟიმი მოქმედებს ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზეც.<sup>322</sup>

მართალია, ICCPR და ECHR-იც სავალდებულოა მხოლოდ ამ სელშეკრულებების მხარეთათვის, მაგრამ ამ კონვენციებში გადმოცემული უფლებების უმეტესობა ჩვეულებითი სამართლის ნორმებია, შესაბამისად მათი მოქმედება ჩვეულებითი სახით გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რადგან ამგვარ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობს ადამიანის უფლებათა სამართლის, როგორც სახელშეკრულებო ისე ჩვეულებით ნორმებში მოცემული დაცვით იკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ადამიანის უფლებათა სამართლის რეეიმთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ზოგადად განაცხადა, რომ როგორც საერთაშორისო პუმანიტარული სამართალი, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალიც მოქმედებს ასეთ ტერიტორიებზე.<sup>323</sup> რადგან სასამართლომ კონკრეტული ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები არ მიმოიხილა, სავარაუდოა რომ იგი გულისხმობდა ადამიანის უფლებათა მთელს *corpus*, მოცემულს როგორც სახელშეკრულებო ისე ჩვეულებითი სამართლის ნორმებში.

#### 4.2. გადახვევის შესაძლებლობა

ICCP-ის მე-4(1) მუხლი ითვალისწინებს რომ საგანგებო მდგომარეობის დროს, როდესაც მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება შესაძლებელია პაქტით დაცული კონკრეტული უფლებებისაგან გადახვევა.<sup>324</sup>

<sup>318</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.369.

<sup>319</sup>Wall case, *supra*, n.29, para.111.

<sup>320</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.71.

<sup>321</sup>ECtHR, *Bankovic, Stojanovic, Stoimedovski, Joksimovic and Sukovic v. Belgium, the Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, the Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey, and the United Kingdom*, No. 52207/99 (2001).

<sup>322</sup>ECtHR, *Loizidou v. Turkey*, no.15318/89, judgment on merits (1996), paras.49 et. al.

<sup>323</sup>Case concerning Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), Judgment, *ICJ Reports 2005*, para.216.

<sup>324</sup>ICCP, *supra* n.317, art.4(1).

სიტყვა “ომი” პირდაპირ არაა პაქტში ნახსენები, თუმცა ეს არამც და არამც არ უნდა ნიშნავდეს რომ მე-4 მუხლის შემთხვევებში საომარი მდგომარეობა ან ოკუპაცია არ მოიაზრება, რადგან ომი არის საგანგებო მდგომარეობის ის უკიდურესი და დრამატული მაგალითი, რომელიც მართლაც რომ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს.<sup>325</sup> პაქტის *travaux préparatoires* ამოწმებს იმ მოსაზრებას, რომ ავტორები ომს ნამდვილად მიიჩნევდნენ გადახვევის დებულების ქვეშ.<sup>326</sup> პაქტის წევრ სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული გადახვევის დებულება გაააქტიუროს როგორც თავის ტერიტორიაზე ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზეც და შესაბამისად საგანგებო მდგომარეობის მოტივით გამორიცხოს გარკვეული უფლებებით სარგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე.<sup>327</sup> კედლის საქმის განხილვის დროს ისრაელის წერილობით პოზიციაშიც გაჟღერებული იყო ეს არგუმენტი, თუმცა სასამართლომ ის მხედველობაში არ მიიღო ძირითადად პროცედურული უზუსტობების გამო.<sup>328</sup>

პაქტის მიხედვით შემდეგი უფლებები არ ექვემდებარება გადახვევას ომიანობის დროს და შესაბამისად ოკუპირებულ ტერიტორიებზეც: სიცოცხლის უფლება, წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, მონობის აკრძალვა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეტროაქტიული გამოყენების აკრძალვა, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, კანონის წინაშე პიროვნებად აღიარების უფლება, საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობის გამო პატიმრობის გამოყენების აკრძალვა.<sup>329</sup>

მაშინ როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი უფლებებისაგან უმეტესობა პირდაპირ კავშირში არაა საომარ მდგომარეობასთან, სიცოცხლის უფლება არის ის ლირებულება, რომელიც ხშირად სამიზნე ხდება ხოლმე ომის დროს, შესაბამისად სიცოცხლის უფლება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც აბსოლუტური უფლება, უფრო ზუსტად კი სიცოცხლის უფლებისგან გადახვევის დაუშვებლობა ომის დროს ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სიცოცხლის მოსპობა ხდება უკანონო საომარი მოქმედების შედეგად, შესაბამისად სიცოცხლის უფლების შეზღუდვა, რომელიც თან სდევს კანონიერ სამხედრო მოქმედებებს არ ჩაითვლება პაქტის მე-4(1) მუხლის დარღვევად. თავის მხრივ კონკრეტული სამხედრო მოქმედებების კანონიერების საკითხის შეფასებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არ გვაძლევს, შესაბამისად აღნიშნული

<sup>325</sup> Henkin, L. *The International Bill of Rights: The Covenant on Civil and Political Rights*, New York, 1981, pp.72, 79.

<sup>326</sup> Svensson-McCarthy, A.L. *The International Law of Human Rights and States of Exception with Special Reference to the Travaux Préparatoires and Case Law of the International Monitoring Organs*, Hague, 1998, p.214.

<sup>327</sup> Dinstein, *supra*, n.8, pp.72-73.

<sup>328</sup> Wall case, *supra*, n.29, para.127.

<sup>329</sup> ICCPR, *supra*, n.317, art.4.

კანონიერების დასადგენად საჭიროა საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმებში ძიება.<sup>330</sup>

მოცემული მსჯელობიდან დგინდება, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გრცელდება ოკუპაციის დროს მოქმედი ადამიანის უფლებათა რეჟიმი, კერძოდ ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს ICCPR-ით დაცული უფლებებით მანამ სანამ ოკუპანტი ძალა არ შეზღუდავს კონკრეტული უფლებების მოქმედებას გადახვევის დებულებაზე დაყრდნობით; ხოლო ის უფლებები, რომლებიც არ ექვემდებარებიან გადახვევას ყოველგვარი ლიმიტაციის გარეშე განაგრძობენ მოქმედებას.

#### 4..3. *Lex specialis* წესი

ძირითად შემთხვევებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი ერთდროულად მოქმედებენ, თუმცა, ხანდახან სამართლის ეს ორი დარგი ერთი და იგივე საკითხებს განსხვავებულად, ხშირად კი ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებებით აწესრიგებენ. როდესაც ამ ორ დარგს შორის ერთიანობის მოქმედნა ვერ ხერხდება იბადება შეკითხვა: ასეთ კონფლიქტურ სიტუაციებში რომელი მათგანი იმოქმედებს. პასუხი ნათელია: სპეციალური ოკუპაციის სამართალი გადაწონის ზოგად ადამიანის უფლებათა სამართალს *lex specialis derogat*<sup>331</sup> *lex generali* პრინციპის საფუძველზე. ოკუპაციის სამართალს უპირატესობა ენიჭება, როგორც *lex specialis* სამართალს, რადგან ის წარმოადგენს პრიზმას, რომელშიც იფილტრება ადამიანის უფლებათა სამართლის ნორმები ამ ორ სფეროს შორის კონფლიქტის შემთხვევაში.<sup>332</sup> მართალია ადამიანის უფლებათა სამართლის სახელშეკრულებო (კონვენციური) თუ ჩვეულებითი ნორმები მაინც აგრძელებენ მოქმედებას ოკუპაციის პირობებში, მაგრამ უენევის მე-4 კონვენციის დებულებებს ენიჭებათ უპირატესობა იმ ქმედებების შეფასებისას, რომლებიც ამ დებულებების საფუძველზე ხორციელდება.<sup>333</sup> ICTY-მ კუნარაჩის საქმეში განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა სამართალში მოცემული დებულებები შესაძლოა გადმოვიდეს საერთაშორისო პუმანიტარულ სამართალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მხედველობაში იქნება მიღებული ამ უკანასკნელის სპეციფიკური ნიშნები.<sup>334</sup> კუდლის საკონსულტაციო დასკვნაში ICJ-მ დაადასტურა ოკუპირებულ ტერიტორიებზე LOAC-ის *lex specialis* წესით მოქმედება და განაცხადა, რომ:

<sup>330</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.76.

<sup>331</sup>The term *derogat* in this connection must not be construed as a total exclusion of the law of human rights. See Gaggioli, G., Kolb, R, *A Right to Life in Armed Conflicts? The Contribution of the European Court of Human Rights in Israel Yearbook of Human Rights*, no.37, 2007, p.120.

<sup>332</sup>Dinstein, *supra*, n.8, pp.85-86.

<sup>333</sup>Frowein, J.A. *The Relationship between Human Rights Regime and Regimes of Belligerent Occupation* in *Israel Yearbook of Human Rights*, vol.28, 1998, p.11.

<sup>334</sup>ICTY, *Prosecutor v. Kunarac et al.* judgment of trial chamber (2001), para.471.

“ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით არსებობს სამი შესაძლო სიტუაცია: ზოგიერთი უფლება ექსკლუსიურად მოწესრიგებულია საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმებით; ზოგიერთი მხოლოდ ადამიანის უფლებათა სამართლით წესრიგდება, ხოლო ნაწილი უფლებებისა შეიძლება განეკუთვნებოდეს სამართლის ამ ორივე დარგს ერთდროულად. იმისათვის რომ მის წინაშე დასტულ შეკითხვაზე გასცეს პასუხი, სასამართლო მხედველობაში მიიღებს სამართლის ამ ორივე დარგს, კერძოდ ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო პუმანიტარულ სამართალს, როგორც *lex specialis*.<sup>335</sup>

საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის *lex specialis* წესით გავრცელება ოკუპირებულ ტერიტორიებზე კიდევ ერთხელ დადასტურდა ICJ-ის მიერ შეიარაღებული მოქმედებების საქმეში, როდესაც სასამართლომ დაადგინა რომ უგანდამ, როგორც ოკუპანტმა ძალამ, ოკუპირებულ DRC-ში დაარღვია როგორც ადამიანის უფლებათა სამართალი, ასევე საერთაშორისო პუმანიტარული სამართალიც.<sup>336</sup>

#### 4.4. არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დაღვეულისათვის

დღევანდელ რეალობაში, როდესაც არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნები (შემდგომში ასევე NSA) სულ უფრო და უფრო მზარდ როლს იქნება საერთაშორისო ურთიერთობებში, მათ მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე უნდა ხდებოდეს რეალისტური და პრინციპული რეაგირება, ისე რომ მათი *status quo*-ს ცვლილება დდის წესრიგში არც დადგეს. ასეთი ჯგუფების დაგმობა და მოთხოვნა რომ მათ დაიცვან ადამიანის უფლებათა სამართლის მოთხოვნები არ უნდა განიხილებოდეს ისე რომ თითქოს მათ სახელმწიფოებად მიიჩნევდნენ.<sup>337</sup> გარდა ამისა, დღესდღეობით მოქმედ ტერორისტულ თუ სხვა სახის დაჯგუფებებს ზოგიერთ სახელმწიფოზე გაცილებით მაღალი დონის სამხედრო შესაძლებლობები გააჩნიათ, რაც მათ პასუხისმგებლობასაც ზრდის.<sup>338</sup>

საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომ კონკრეტული NSA-ს მიერ ფიზიკურ პირთა კონტროლი იმგვარად რომ ეს დაჯგუფება ახორციელებდეს გარკვეული სახის სამთავრობო ფუნქციებს, საკმარისია იმისათვის რომ დადგეს ამ ორგანიზაციის პასუხისმგებლობის საკითხი.<sup>339</sup> თუმცა ამავდროულად

<sup>335</sup> *Wall case, supra*, n.29, para.106.

<sup>336</sup> *Armed Activities case, supra*, n.323, para.220.

<sup>337</sup> Special Rapporteur on Extrajudicial, Summary or Arbitrary Executions, Civil and Political rights, Including the Questions of Disappearances and Summary Executions, UN Doc. E/CN.4/2005/7 (2004). p.76.

<sup>338</sup> *Targeted Killings case, supra*, n.125, para.22.

<sup>339</sup> Human rights Committee, *Lopez Burgos v. Uruguay*, Communication No. r 12/52; *Montero v. Uruguay*, communication no. 106/1981. უკავიარებული *Bankovic case, supra*, n.321.

სიტუაცია მწიფდება კონსენსუსისათვის, რომ ნებისმიერი სახისა და ხარისხის კონტროლი, იქნება ეს ტერიტორიული თუ არა, წარმოშობს შესაბამისი ხარისხის პასუხისმგებლობასაც.<sup>340</sup> საქმე უფრო მარტივდება, როდესაც ისეთი არასახელმწიფოებრივ წარმონაქმნისაგან მოითხოვენ ადამიანის უფლებების პატივისცემას, რომელიც მნიშვნელოვან კონტროლს ახორციელებს კონკრეტულ ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე და აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სტრუქტურა.<sup>341</sup> შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს ზუსტი კრიტერიუმები, რომელთა დადგენის შემთხვევაშიც შეიძლება დადგეს არასახელმწიფოებრივი დაჯგუფების საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის. ტერიტორიული კონტროლის კრიტერიუმი მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

#### **4.4.1. კრიტერიუმები**

NSA-ის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე საუბრისას რონენზე<sup>342</sup> გვთავაზობს სამ ელემენტიან ტესტს, რომლის დადგენის შემთხვევაში ასეთი დაჯგუფებების საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა რეალურად განხორციელებადი იქნება. ეს ელემენტებია:

(1) **ტერიტორიული კონტროლი** – რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების დაკისრებისათვის რამდენიმე გარემოებათა გამო: პირველ რიგში, ეს ამტკიცებს ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს კონტროლის არქონას რითაც გამართლდება სიტუაციის მართვა საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოთი. გარდა ამისა, ტერიტორიული კონტროლი არის აუცილებელი პირობა იმისათვის რომ ადამიანის უფლებათა სამართალი არა ფრაგმენტულად, არამედ სრული მოცულობით გავრცელდეს ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე. ადამიანის უფლებათა სამართლებრივი ვალდებულებების, როგორც ყოვლისმომცველი სამართლის დარგის, სრული მოცულობით გავრცელება მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთ NSA-ებზე, რომლებიც ეფუქტიან ტერიტორიულ კონტროლს ახორციელებენ.

(2) არასახელმწიფოებრივ წარმონაქმნებზე ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების გავრცელების მეორე რეკვიზიტი თრგანიზებული მანქანის

<sup>340</sup>ECtHR, *Al-Skeini v. UK*, No.55721/07 (2011).

<sup>341</sup>Special Rapporteur on Extrajudicial, Summary or Arbitrary Executions, Special Rapporteur on the Rights of Everyone to the Enjoyment of the Highest Attainable Standard of Physical and Mental Health, Representative of the Secretary General on Human rights of Internally Displaced Persons, and Special Rapporteur on Adequate Housing as a Component of the Right to an Adequate Standard of Living, Mission to Lebanon and Israel, Human Rights Council, UN Doc. A/HRC/2/7 (2006).

<sup>342</sup>Ronen ,Y. *Human Rights Obligations of Territorial Non-State Actors* in Cornell International Law Journal, vol.49, No.1, 2013.

არსებობაა, რომლითაც ეს დაჯგუფება ახორციელებს საჯარო ფუნქციებს და შესაბამისად აქვს შესაძლებლობა რომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა. NSA-ს, რომელიც ეფექტიან ტერიტორიულ კონტროლს ახორციელებს, დიდი აღბათობით გააჩნია ამგვარი ორგანიზებული აპარატი. პრინციპში წარმოუდგენელიცაა რომელიმე დაჯგუფებას დაეკისროს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება მაშინ როდესაც იგი მოკლებულია პოლიტიკის განსაზღვრისა და აღსრულების შესაძლებლობას.

(3) მესამე კრიტერიუმი არის **ტერიტორიული NSA-ის დამოუკიდებელი მოქმედება**. რადგანაც ვალდებულებები ძალაუფლების განხორციელების შედეგად წარმოიშობა, აასუხისმგებლობაც მხოლოდ ისეთ აქტორებს უნდა დაეკისროთ, რომლებსაც შეუძლიათ აღნიშნული ძალაუფლება დამოუკიდებლად განახორციელონ და რომლებსაც შესწევთ უნარი დამოუკიდებლად შეცვალონ თავიანთი ქმედებები სადაც საჭიროა. NSA-ების შემთხვევაში დამოუკიდებლობის კრიტერიუმი უფრო ფაქტობრივი ხასიათისაა ვიდრე ნორმატიული და ამ მხრივ განსხვავდება ეს სახელმწიფოებრიობისაგან, რომელსაც დამოუკიდებლობის კრიტერიუმი თანდაყოლილად სამართლებრივად აქვს მინიჭებული.<sup>343</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ ის NSA-ები, რომლებიც სახელმწიფოს კონსტიტუციური წეობილების ქვეშ მოქმედებენ, მაგ. როგორიცაა ავტონომიური რეგიონები, *prima facie* განიხილებიან, როგორც სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ და შესაბამისად მათ ნებისმიერ ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.<sup>344</sup> ხოლო პასუხისმგებლობა ისეთი NSA-ების ქმედებებისთვის, რომლებიც სხვა სახელმწიფოების ან ინდივიდების ეფექტიანი ან ზოგადი კონტროლის ქვეშ არიან, ეკისრებათ სწორედ ამ სახელმწიფოებს/ინდივიდებს და შესაბამისად NSA-ების პირდაპირი პასუხისმგებლობა გამოირიცხება.<sup>345</sup>

სამხედრო ოკუპაციის დროს, ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ოკუპანტ ძალას არ შეუძლია გამორიცხოს საკუთარი პასუხისმგებლობა უენევის მე-4 კონვენციის დაცვით მოსარგებლე პირების მიმართ ოკუპირებული ტერიტორიების ადგილობრივ ხელისუფლებასთან რაიმე სახის შეთანხმების დადების გზით,<sup>346</sup> თუმცა პრაქტიკაში, თუკი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შესწევთ უნარი განახორციელონ ძალაუფლება საკუთარი დისკრეციით, ოკუპანტი ძალისგან ჩაურევლად, მაშინ ამ უკანასკნელისათვის ადამიანის უფლებათა სფეროში პასუხისმგებლობის დაკისრება აზრს მოკლებული იქნება. ეფექტიანი

<sup>343</sup>Ibid, pp.25-27.

<sup>344</sup>Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, with commentaries, 2001.Text adopted by the ILC at its fifty-third session, in 2001, and submitted to the General Assembly as a part of the Commission's report covering the work of that session (A/56/10). The report, which also contains commentaries on the draft articles, appears in the *Yearbook of the International Law Commission*, 2001, vol.II, Part Two. pp.84-92.

<sup>345</sup>“ეფექტიანი კონტროლის” ტესტის შესახებ იხ. *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), Merits, Judgment, I.C.J. Reports, 1986, p.14*, para.115 et. al., *Genocide case*, n.165, paras. 402 et. al. “ზოგადი კონტროლის” ტესტის შესახებ იხ.: *Tadic (I)* judgment of trial chamber, *supra*, n.45.

<sup>346</sup>GC IV, *supra*, n.11, art.47.

კონტროლი შეიძლება გაზიარებული იყოს რამდენიმე ძალას შორის და შესაბამისად ამ კონტროლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები და თანმდევი პასუხისმგებლობაც იმგვარადვე უნდა იყოს გაზიარებული. ასე რომ, ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება ოკუპანტი ძალას ავტომატურად არ უნდა დაეკისროს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტის გამო რომ ის ახდენს სამხედრო ოკუპაციას, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ კონტროლის ხარისხი, რომელსაც ეს ძალა ახორციელებს კონკრეტულ ტერიტორიაზე და თუკი დადგინდება რომ ოკუპანტი ძალა ვერ ახორციელებს სამთავრობო ფუნქციურ კონტროლს ამ ტერიტორიაზე, მაშინ იქ ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლობა დაეკისრება ოკუპირებული ტერიტორიების ადგილობრივ ხელისუფლებას.

#### 4.4.2. პალესტინის მაგალითი

დასავლეთ სანაპიროზე მოქმედი პალესტინური ავტონომია და დაზას სექტორიდან ოპერირებადი პამასი განეკუთვნებიან ტერიტორიულ NSA-ებს. პალესტინური ავტონომია მოქმედებს არასუვერენულ ტერიტორიაზე, რომელიც ისრაელის ზოგადი ოკუპაციის ქვეშ იმყოფება, თუმცა ძირითად შემთხვევებში ავტონომიის მმართველობა ისრაელისაგან აბსოლუტურად გამიჯნული და დამოუკიდებელია, ხოლო პამასი კი ეფექტიანი ტერიტორიული კონტროლის მეშვეობით დაზას სექტორში მოქმედებს ავტონომიურად არათუ ისრაელისაგან არამედ PA-გან დამოუკიდებლადაც კი, რომელიც პალესტინელი ხალხის წარმომადგენლად მიიჩნევა.<sup>347</sup>

პალესტინელ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება და ისინი იღწვიან ამ უფლების რეალიზაციის კულმინაციისაკენ, რაც სახელმწიფოებრიობას გულისხმობს, პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების არსებობა სადაც ისრაელის მხრიდანაც არ გამხდარა.<sup>348</sup> თუმცა მოსაზრება იმის შესახებ რომ თვითგამორკვევის უფლების მქონე არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნები არ უნდა იზღუდებოდნენ ადამიანის უფლებათა სამართლის ვალდებულებებით მანამ სანამ ისინი არ მიაღწევენ თავიანთ უმთავრეს მიზანს – სახელმწიფოებრიობას, გაუმართლებელია, შესაბამისად NSA-ის მიერ თავისი თვითგამორკვევის უფლების სრული რეალიზაციის წარუმატებელი მცდელობა (რაც პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და სახელმწიფოს შექმნაში მდგომარეობს) არ ნიშნავს რომ ეს წარმონაქმნი ავტომატურად გათავისუფლებულია ადამიანის უფლებათა სამართლიდან მომდინარე ვალდებულებისაგან.<sup>349</sup>

იმისათვის რომ დადგინდეს არიან თუ არა პალესტინური ავტონომია და პამასი პასუხისმგებელი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საჭიროა ამ წარმონაქმნების ბუნება გაანალიზებული იქნეს ზემოთ მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე.

<sup>347</sup> Declaration of Principles on Interim Self-Government Arrangements ‘Oslo Accords’ (1993), Preamble.

<sup>348</sup> Wall case, *supra*, n.29, paras.1-5.

<sup>349</sup> Ronen, *supra*, n.342, p.30.

## ტეროისტობის კონტროლი:

პირველი ინტიფადას დასრულების შემდეგ ოსლოს შეთანხმების საფუძველზე პალესტინური განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია (შემდგომში ასევე PLO) აღიარებულ იქნა პალესტინური ხალხის წარმომადგენლად და დაარსდა პალესტინური ნახევრად ავტონომია, რომელსაც სამართავად გადაეცა დასავლეთ სანაპირო და დაზას სექტორი. ისრაელმა პალესტინის მმართველ ძალას, ფათქის პარტიას, მისცა უფლება რომ მოეხდინა პალესტინის მოსახლეობის სამოქალაქო ცხოვრების მართვა და ადმინისტრირება. ოსლოს შეთანხმებით ასევე პალესტინური ტრიტორიები დაიყო სამ ქვე-არეალად, A, B და C.<sup>350</sup> მეორე ინტიფადას შემდეგ ისრაელის მიერ ტერიტორიაზე კონტროლის პალესტინისათვის გადაცემის პროცესი შეჩერდა და დღესდღეობით A და B არეალი ერთობლივად შეადგენს პალესტინის ტერიტორიის 38%, ხოლო დანარჩენი 62% კი C არეალს მიეკუთვნება.<sup>351</sup> დასავლეთ სანაპიროს განაპირა რეგიონებში მაინც იგრძნობა IDF-ის სამხედრო ყოფნა ამ ტერიტორიაზე.

2005 წელს ისრაელი ცალმხრივად გამოვიდა დაზას სექტორიდან და დააცარიელდა იქ არსებული ყველა ებრაული დასახლებაც. ამ მომენტიდან დღემდე ისრაელი ირწმუნება რომ დაზას სექტორის სამხედრო ოკუპაცია დასრულდა.<sup>352</sup> როგორც განმარტებული აქვს ისრაელის უზენაეს სასამართლოს:

“2005 წლის სექტემბრის შემდეგ ისრაელს აღარ აქვს ევექტიური კონტროლი დაზაში მიმდინარე მოვლენებზე. სამხედრო მმართველობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე არსებობდა წარსულში, დასრულდა მთავრობის გადაწყვეტილებით; ისრაელის ჯარისკაცები აღარ არიან დაზას ტერიტორიაზე განაწილებული მუდმივად და ისინი აღარც განაგებენ იქ მიმდინარე სიტუაციას.”<sup>353</sup>

როგორც ჩანს ისრაელმა სრულად გადასცა პალესტინურ ავტონომიას სუვერენიტეტი A არეალში ხოლო ნაწილობრივ კი B არეალში, ისრაელი

<sup>350</sup> ოსლოს შეთანხმებით დასავლეთ სანაპიროს ტერიტორია დაიყო სამ ზონად; ადნიშნული დაყოფა ისრაელის თავდაცვითი ძალების მიერ პალესტინური ავტონომიისათვის ძალაუფლების ეტაპობრივად გადაცემის პირველ ნაბიჯი იყო. ზონა “A” ხვდებოდა პალესტინური ავტონომიის სრული კონტროლის ქვეშ როგორც სამოქალაქო ისე უშიშროების ადმინისტრირების კუთხით, ზონა “B”-ზე პალესტინა სამოქალაქო კონტროლს ავრცელებდა, ხოლო უშიშროების საკითხი ისრაელ-პალესტინის ერთობლივი კონტროლის ქვეშ ექცეოდა, ხოლო ზონა “C” კი სრულად ისრაელის კონტროლს დაქვემდებარებულად რჩებოდა. იხ. Gvirtzman, H. *Maps of Israeli Interests in Judea and Samaria Determining the Extent of the Additional Withdrawals*, Begin-Sadat Center for Strategic Studies, 1998.

<sup>351</sup> *Area C Humanitarian Response Plan Fact Sheet*, August 2010, UN Office for the Coordination of Humanitarian Affairs.

<sup>352</sup> Dinstein, *supra*, n.8, pp.14-15.

<sup>353</sup> HCJ 9132/07 *JaberAl-Bassiouni Ahmed and others v. Prime Minister of Israel and Minister of Defence of Israel* (2008), para.12.

ასევე მთლიანად გამოვიდა დაზას სექტორიდან<sup>354</sup> და აღნიშნული ტერიტორიები სამართავად დაუტოვა შესაბამისად PA-სა და ჰამასს. ის ფაქტი რომ ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიებზე ისრაელი არ ახორციელებს არც სამხედრო და არც სამოქალაქო სამთავრობო ფუნქციებს მიანიშნებს იმაზე, რომ PA და ჰამასი, როგორც არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ნამდვილად აკმაყოფილებებს NSA-თა პასუხისმგებლობის ტესტის პირველ კრიტერიუმს. (ტერიტორიის ეფექტური კონტროლი) თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევისათვის PA-ს პასუხისმგებლობა არ შეიძლება გავრცელდეს მის სრული კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მიღმა და შემოიფარგლება მხოლოდ A არეალით, მაშინ როდესაც ჰამასს დაეკისრება პასუხისმგებლობა დაზას სექტორის მთელს ტერიტორიაზე მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევებისათვის.

#### **სტრუქტურა და ორგანიზებულობა:**

პალესტინურ ავტონომიას ჰყავს არჩეული პრეზიდენტი და საკანონმდებლო საბჭო. ავტონომია დასავლეთ სანაპიროს სხევდასხვა ნაწილებში განსხვავებული ხარისხის მმართველობას ახორციელებს. მიუხედავად იმისა რომ პალესტინური კანონმდებლობა ფორმალურად დაზას სექტორშიც ვრცელდება, რეალურად PA-ს არ გააჩნია არანაირი კონტროლი დაზაზე. 2006 წელს, პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებში ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასის წარმომადგენლებმა უმრავლესობა მოიპოვეს. ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩატარებულად შეფასდა. 2007 წელს ჰამასმა ძალადობრივი მეთოდებით პალესტინური ავტონომიის მმართველობა განდევნა დაზადან და მას შემდეგ ინარჩუნებს სექტორში უსაფრთხოების ძალებზე სრულ კონტროლს, ხოლო პალესტინური ავტონომია განლაგდა დასავლეთ სანაპიროში და მას 2005 წლიდან მოყოლებული პრეზიდენტი აბუ მაზენი მართავს.<sup>355</sup>

ჰამასსა და პალესტინურ ავტონომიას შორის ორჯერ იყო ერთიანი მთავრობის ფორმირების მცდელობა, თუმცა ორივე ასეთი მცდელობა უშედეგოდ სრულდებოდა 2006 და 2007 წელს. 2006 წელს დაპირისპირებამ შეიარაღებული და ძალადობრივი სახეც კი მიიღო. აბუ მაზენმა პრემიერ მინისტრად თავისი პარტიის წარმომადგენელი დანიშნა, რასაც ჰამასი არ დაეთანხმა რადგან სახეზე არ იყო PLC-ის თანხმობა, თუმცა მსოფლიომ აღიარა აბუ მაზენის ეს სვლა და პალესტინური ავტონომია მიიჩნია პალესტინის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად.<sup>356</sup> 2014 წელს

<sup>354</sup> ი. დეტალურად ნაშრომის 7.1.2. ქვეთავი.

<sup>355</sup> U.S. Department of State, Bureau of Democracy, Human rights and Labor – Country Reports on Human Rights Practices for 2013, Israel and the Occupied Territories, Part: Occupied Territories. Available at: [http://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm?dynamic\\_load\\_id=220358&year=2013#wrappper](http://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm?dynamic_load_id=220358&year=2013#wrappper) [ბოლოს ნახათ 07.04.2016].

<sup>356</sup> *Hidden Injustices: A Review of PA and Hamas Human Rights Violations in the West Bank and Gaza*, Report Presented by: Jerusalem Institute of Justice, November, 2012, pp.13-14.

პალესტინის მმართველობაზე პრეტენზიის მქონე ორივე ძალას კვლავ ჰქონდა მცდელობა ერთიანი მთავრობა ჩამოყეალიბებინათ, რასაც მიესალმა გაერო,<sup>357</sup> თუმცა საბოლოოდ ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა.

დასავლეთ სანაპიროზე PA აკონტროლებს შეზღუდულ ტერიტორიას და ამ ტერიტორიაზე არსებულ სამთავრობო ინსტიტუტებს, როგორიცაა სასამართლო, ციხეები, საჯარო ადმინისტრაციის სამსახურები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების დაწესებულებები და უსაფრთხოების ძალები. დაახლოებით 120 ქვეყანა PA-ს აღიარებს როგორც სახელმწიფოს, თუმცა გაერო-ს ფარგლებში პალესტინა მიიჩნევა ე.წ. “კაზი-სახელმწიფოდ” საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან. ბოლო დროინდელი მცდელობის წარუმატებლად დასრულების შემდეგ, რაც გულისხმობდა გაერო-ში სრული წევრის სტატუსის მიღებას, პალესტინის პრეზიდენტმა აბუ მაჰენდა მოახერხა პალესტინისათვის “არაწევრი დამკვირვებელი სახელმწიფოს” სტატუსის მოპოვება, თუმცა ამ სტატუსის სამართლებრივი მხარე ბუნდოვანია, რადგან გაერო-ს წესდება მსგავს სტატუსს არ ითვალისწინებს.<sup>358</sup>

კამასი წარმოადგენს ტერორისტულ ორგანიზაციას და ამავდროულად მასობრივ სოციალურ, პოლიტიკურ და რელიგიურ მოძრაობასაც. დაჯგუფებას აქვს საეჭარი წესდება და სტრუქტურა, რომლის საფუძველზეც დაფუძნებულია ორგანიზაციის სამხედრო და პოლიტიკური ფრთა. კამასის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები საქმიანობას ძირითადად დაზადან ეწევიან, თუმცა ორგანიზაციას წარმომადგენლობები აქვს დასავლეთ სანაპიროში, თეირანში, დამასკოსა და ამანში. პოლიტიკურ და სამხედრო ფრთებს შორის კავშირის ხარისხი ბუნდოვანია.<sup>359</sup>

მიუხედავად იმისა, რომ PA-სა და კამასის ერთობლივი მთავრობის ფორმირების საკითხი ჯერ კიდევ ბოლომდე ნათელი არაა, ცალ-ცალკე ამ წარმონაქმნების ორგანიზებული სტრუქტურა მიანიშნებს რომ ორივე NSA-მა მიაღწია იმ ზღვარს, რაც საჭიროა მეორე კრიტერიუმისათვის (ფუნქციური აპარატის არსებობა) და შესაბამისად შესაძლებელია მათი კასუებისმგებლობის დაყენება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევისათვის. 2009 წელს ე.წ. გოლდსტოუნის კომისიამ დაადგინა, რომ NSA-ებს, რომლებიც ახორციელებენ სამთავრობო ფუნქციების მსგავს მმართველობას ტერიტორიულ ერთეულზე, ეკისრებათ ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება; ეს დებულება ზუსტად შეესაბამება როგორც კამასს, ისე პალესტინურ ავტონომიას. კომისიამ შემდეგ უფრო დეტალური განმარტება გააკეთა და დაადგინა, რომ:

<sup>357</sup> Press release: United Nations chief welcomes formation of Palestinian unity government available at: <http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=47947#.U5FtzGdBb64> [ბოლოს ნანახია 07.04.2016].

<sup>358</sup> McMahon, R., Masters, J. Palestinian statehood at the UN, 2012, available at: <http://www.cfr.org/palestine/palestinian-statehood-un/p25954> [ბოლოს ნანახია 07.04.2016].

<sup>359</sup> ADL Archive Hamas Fact Sheet, Available at:

[http://archive.adl.org/main\\_israel/hamas\\_facts.html#.Uz0uJPmSzQt](http://archive.adl.org/main_israel/hamas_facts.html#.Uz0uJPmSzQt) [ბოლოს ნანახია 07.04.2016].

“შეიარაღებული კონფლიქტის უველა მხარეს აქვთ გალდებულება რომ უზრუნველყოს უველას მიმართ ადამიანის უფლებების მოქმედება. [...] დაზას მმართველობას აქვთ გალდებულება პატივის ცეკვების ადამიანის უფლებების და უზრუნველყოს მათი რეალიზება დაზას მოსახლეობის მიერ, იმდენად რამდენადაც, დაზას მმართველობა ახორციელებს ტერიტორიის უფლებისა კონტროლს, მათ შორის აღმასრულებელ და მართლმხარეულების აღმინისტრირების სფეროშიც.”<sup>360</sup>

#### დამოუკიდებლად მოქმედება:

დაზადან გამოსვლის შემდეგ, დაზას მმართველობის ისრაელზე დამოკიდებულება შემოიფარგლება მხოლოდ ამ უკანასკნელის გალდებულებით რომ მიაწოდოს დაზას ძირითადი საჭიროებები. როგორც ისრაელის უზენაესი სასამარლოს მიერ დადგინდა:

“ისრაელსა და დაზას სექტორის ტერიტორიას შორის სამხედრო მმართველობის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობებობის შედეგად დაზას სექტორი ამჟამად სრულად დამოკიდებულია ისრაელისაგან ელკეტროენერგიის მოწყდებაზე.”<sup>361</sup>

დაზა არც ეგვიპტეზე არაა დამოკიდებული. 1967 წლამდეც კი, მანამ სანამ ისრაელი დაზას სექტორს დაიკავებდა, ეგვიპტე დაზას განიხილავდა როგორც განცალკევებულ ანკლავს და მისი ანექსია არასოდეს განუხორციელებია; დაზას მოსახლეობისათვის ეგვიპტური მოქალაქეობის მიღების შეთავაზება არ მომხდარა და მეტიც, ეგვიპტესა და ისრაელს შორის მიღწეული სამშინეულო შეთანხმებით ეგვიპტე ისრაელისაგან მოითხოვდა მხოლოდ სინას ნახევარკუნძულის გათავისუფლებას და არა დაზას სექტორის, რაც არაპირდაპირ მიანიშნებდა იმაზე რომ ეგვიპტე დაზაზე დომინანტობის პრეტენზიას აღარ აცხადებდა.<sup>362</sup>

ოსლოს შეთანხმების დადების შემდეგ ისრაელმა საკმაოდ ფართო ავტონომია გადასცა PA-ს რითაც გამორიცხავდა პალესტინური მმართველობის შიდა საქმეებში თავის სამომავლო ჩართულობას. ამჟამადაც პალესტინური ავტონომია იმართება ისეთი მთავრობის მიერ, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად. 1988 წელს მოსახლეობისადმი მიმართვაში<sup>363</sup>

<sup>360</sup>Human Rights Council, Human Rights in Palestine and Other Occupied Arab Territories, 12<sup>th</sup> session, 2009. UN Doc. A/HRC/12/48, pp.305-307; Human Rights Council, Human Rights in Palestine and Other Occupied Arab Territories, 12<sup>th</sup> session, 2009. UN Doc. A/HRC/10/22, p.22.

<sup>361</sup>Supra, n.353.

<sup>362</sup>Dinstein, *supra*, n.8, pp.13-14.

<sup>363</sup>იორდანის ეს დეკლარაცია მიიჩნევა ცალმხრივ მავალდებულებელ აქტად, რომელიც წარმოშობს მისი შესრულების საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას. ცალმხრივი დეკლარაციების სავალდებულობის შესახებ იხ. International Law Commission's Guiding Principles applicable to unilateral declarations of States capable of creating legal obligations, with commentaries thereto. Text adopted by the International Law Commission at its Fifty-eighth session, in 2006, and submitted to the General Assembly as a part of the Commission's report covering the work of that session

იორდანიის მეფე ჰუსეინმა განაცხადა სამეფოს ცალმხრივი გადაწყვეტილების შესახებ, რომ გაეწყვიტა სამართლებრივი და ადმინისტრაციული კავშირი მდინარე იორდანიის ორ სანაპიროს შორის და ამ გზით ედიარებინა პალესტინელი ხალხის ნება, რომ თვითგამორკვევის უფლებაზე მითითებით გამოყოფოდნენ იორდანიას და შეექმნათ თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფო. აღნიშნული განაცხადება შეიძლება მოყვანილ იქნეს იმის დასტურად, რომ მას შემდეგ იორდანია აღარ ახორციელებს პალესტინის არც ეფექტიან და არც ზოგად კონტროლს და რომ მან უარი განაცხადა ყველა უფლებასა და უპირატესობაზე პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების რეალიზების სასარგებლოდ.

მას შემდეგ რაც გაანალიზებულ იქნა ისრაელის, ეგვიპტის ან იორდანიის სავარაუდო ჩარევა ჰამასის და პალესტინური ავტონომიის ფუნქციებში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც-ერთი ეს ქვეყანა დღევანდელი მდგრმარეობით არ არის არც ეფექტიანად და არც ზოგადად ჩართული სსენებული NSA-ების მმართველობაში, ასე რომ მათი ქმედებები უნდა განიხილებოდეს დამოუკიდებლად განხორციელებულად და შესაბამისად არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების პასუხისმგებლობის ტესტის ეს ბოლო კრიტერიუმიც დაკმაყოფილებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მოცემულ თავში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობის საკითხი პირდაპირაა მიბმული ტერიტორიის კონტროლთან. ლოგიკურია, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრება მას, ვინც აკონტროლებს კონკრეტულ ტერიტორიას და ვისაც ევალება ამ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვა და დაცვის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, როდესაც ოკუპანტი ძალა ეფექტიანად აკონტროლებს მთელს ოკუპირებულ ტერიტორიას პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მარტივია, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო სამართლის დონეზე, მაგრამ როდესაც ადგილი აქვს არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მიერ ტერიტორიულ კონტროლს საერთო ოკუპაციის კონტექსტში, მაშინ ამ წარმონაქმნის პასუხისმგებლობა დადგინდება სამ ნაწილიანი ტესტით, რომელიც მოცემულ თავშია განხილული. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ თეორიულად არის შესაძლებელი, რადგან პრაქტიკაში არ არსებობს ფორუმი, რომელიც არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის (როგორც ერთიანი ინსტიტუციის და არა ცალკეულ ინდივიდთა ერთობის) საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას განიხილავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევისათვის. მიუხედავად ამისა, თეორიულ დონეზე მაინც მნიშვნელოვანია მკაფიოდ იქნას გამიჯნული პასუხისმგებლობა, რომელიც ოკუპანტ ძალას ეკისრება ოკუპირებული ტერიტორიის აღმინისტრირებისას და პასუხისმგებლობა, რომელიც

(A/61/10). The report, which also contains commentaries on the draft articles, appeared in Yearbook of the International Law Commission, 2006, vol. II, Part Two. p.370 et.al.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ NSA-ს ეკისრება ადამიანის უფლებების დარღვევისათვის.

## 5. საკუთრების უფლების დაცვა სამხედრო ოკუპაციის დროს

საკუთრების დაცვამ ადამიანის უფლების სტატუსი მიიღო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებში ასახვის შედეგად. საკუთრების უფლებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა როგორც ინდივიდის თავისუფლებისა და ეკონომიკური ავტონომიის ნაწილმა და, ზოგადად, პიროვნების თავისუფალი განვითარების ერთ-ერთმა ძირითადმა ელემენტმა.<sup>364</sup> ამასთანავე, მეოცე საუკუნის შუა პერიოდამდე გაცილებით ადრე კერძო საკუთრება საერთაშორისო სამართლის დაცვის ობიექტი იყო. ეს დაცვა განსაკუთრებულად წარმოჩნდა სამხედრო მოქმედებებისას და მის შემდგომ პერიოდში ტერიტორიის ოკუპაციისას საკუთრების უფლების სპეციალური გარანტიების შემოღებით.

ძველად, საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმების მიხედვით, მეომარ მხარეს შეეძლო მთელი კერძო საკუთრების ჩამორთმევა, რასაც კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნახვდა. საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის ამჟამინდელი კონცეფცია კი სახელმწიფოთა პრაქტიკის ნაწილი უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან გახდა.<sup>365</sup> მაშინ, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების უფლების შეზღუდვის ბლანკებზე აკრძალვამ დამკვიდრებული პრაქტიკის სახე მიღო, კვლავაც სადაც რჩებოდა საკითხი, თუ რა შემთხვევებში შეეძლო ოკუპანტ ძალას, გამონაკლისის სახით, კერძო საკუთრების ჩამორთმევა.<sup>366</sup> ოკუპანტი ძალის მიერ საკუთრების უფლების შეზღუდვის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით თანამედროვე საერთაშორისო სამართლი იცნობს ორ ძირითად პრინციპს: ა) ოკუპანტს არ შეუძლია საკუთარი გამდიდრების მიზნით კერძო საკუთრების ჩამორთმევა; და ბ) ოკუპანტი ძალის მიერ საკუთრების უფლების ნებისმიერ შეზღუდვას უნდა მოსდევდეს ადეკვატური კომპენსირება.<sup>367</sup>

წინამდებარე თავში განხილულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწერიგებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლების დაცვის გარანტიებს; ასევე განხილულია იმ უფლებამოსილების ფარგლები, რაც ოკუპანტ ძალას აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ქონებასთან მოპყრობის კუთხით და, ბოლოს, გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ოკუპირებულ

<sup>364</sup>Loucaides, L.G. *The Protection of the Rights to Property in Occupied Territories* in International and Comparative Law Quarterly, no.53, 2004, p.677.

<sup>365</sup>von Glahn, G. *supra*, n.94, p.185.

<sup>366</sup>ი. მაგ. სქოლით 203, Oxford Manual, art.54; Brussels Declaration, art.6; Lieber Code, art.37-38.

<sup>367</sup>Jessup, P.C. *A Belligerent Occupant's Power over Property* in AJIL, no.38, 1944, p.458.

ტერიტორიაზე კონვენციით დაცული საკუთრების უფლების გავრცელებასთან მიმართებით.

## 5.1. სამხედრო ოკუპაციისას საკუთრების უფლების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი პაზა

### 5.1.1. პაზის სამართლის წინარე პერიოდი

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსაკენ ომის სამართალში უკვე განმტკიცებული იყო პრინციპი, რომ შეუიარაღებელი მოქალაქის პიროვნება, საკუთრება და დირსება, სამხედრო ოკუპილებლობის გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად უნდა ყოფილიყო დაცული.<sup>368</sup> ეს იმხანად უკვე ერთგვარი ტენდენცია იყო, რასაც ყველა მეომარი მხარე იზიარებდა მოწინაადმდევე მხარის სამოქალაქო მოსახლეობის პიროვნულ და ქონებრივ უფლებებთან მიმართებით როგორც ოკუპირებულ, ისე არაოკუპირებულ ტერიტორიებზე.<sup>369</sup> ამ აღნიშნული პრინციპი შესაბამისად აისახა ლიბერის კოდექსშიც.<sup>370</sup> ამ პრინციპის რეალიზების სირთულე „სამხედრო ოკუპილებლობის“ გათვალისწინებაა. გარდა ზემოთ დასახელებული დებულებისა, ლიბერის კოდექსში კიდევ შვიდი სხვა მუხლი ეხება პიროვნული და ქონებრივი უფლებების დაცვას. ამ რვა მუხლიდან ოთხი უშუალოდ პიროვნულ უფლებებს ეხება, სამი პიროვნულსა და ქონებრივს ერთდროულად, მხოლოდ ერთი მუხლია, რომელიც ექსკლუზიურად საკუთრების უფლებას ეხება. პიროვნული უფლებების კონტექსტში კოდექსი არ ითვალისწინებს სამხედრო ოკუპილებლობის გამო მათი შეზღუდვის შესაძლებლობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. საკუთრების უფლების შესახებ დოკუმენტი ადგენს, რომ სამხედრო ოკუპაციის დროს მშვიდობიანი მოქალაქეების საკუთრების უფლება ხელშეუხებელია და დაუშვებელია საკუთრების რაიმე სახით განადგურება, გაძარცვა, მიტაცება ან აოხრება, თუმცა კერძო საკუთრება შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს მესაკუთრის მიერ ჩადენილი დანაშაულის სასჯელის სახით, ან გადასახადის, იმულებითი სესხის, სამხედრო მიზნებისათვის რეკვიზიციის ფორმით, ან საოკუპაციო ჯარის კერძო საკუთრებაში განთავსების მიზნით.<sup>371</sup>

იმ პერიოდის მეცნიერები მეტწილად იზიარებდნენ ლიბერის პოზიციას იმის შესახებ, რომ ოკუპანტი ძალის მიერ კერძო საკუთრების ჩამორთმევა არ უნდა მოხდეს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როგორადაც სახელდებოდა: რეკვიზიცია, კონტრიბუცია, გადასახადები, ჯარიმები, კერძო საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების,

<sup>368</sup>United States War Department, General Orders Affecting the Volunteer Force, Washington 1863, 1864, pp.64-68.

<sup>369</sup>ob. მაგ. Hall, E. A Treatise on International Law, Oxford, 1904, pp.441-442.

<sup>370</sup>Lieber Code, *supra*, n.203, section I.

<sup>371</sup>Graber, D.A. The Development of the Law of Belligerent Occupation 1864-1914 A Historical Survey, New York, 1949, p.193.

ასევე იარაღისა და საბრძოლო მასალის ჩამორთმევა.<sup>372</sup> ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, იმდოროინდელი საერთაშორისო სამართალი არაორაზროვნად აღიარებდა ოკუპაციის დროს კერძო საკუთრების აბსოლუტურ ხელშეუხებლობას, რადგან საკუთრების უფლება ბუნებით ხელშეუხებელი უფლებაა და ომს, როგორც ფაქტობრივ მოცემულობას, მისი ამ ხასიათის შეცვლა არ შეეძლო. ამ მოსაზრების მომხრეები ასევე ასაბუთებდნენ, რომ კერძო საკუთრების ხელყოფა გაუმართლებელია, რადგან კერძო პირები ომზე პასუხისმგებელი არიან არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად, როგორც საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეები და, შესაბამისად, მათვის ზიანის მიუენებაც მხოლოდ კოლექტიურად უნდა მოხდეს და არა ინდივიდუალურად;<sup>373</sup> მეორე მხრივ, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ოკუპაციის დროს ოკუპანტი ძალის მხრიდან კერძო საკუთრების დაცვა ამ უკანასკნელის მხრიდან კეთილშობილების გამოხატულებაა, იმდენად, რამდენადაც მას კერძო საკუთრების ჩამორთმევის უფლება აქვს რეკვიზიციის, კონტრიბუციის, გადასახადების, ჯარიმებისა თუ სხვა მისთვის სასურველი ფორმით.<sup>374</sup>

ოკუპაციის დროს საკუთრების უფლების დაცვა ასევე აისახა ბრიუსელის დეკლარაციაშიც, რომლის პროექტზე მუშაობისასაც პრინციპი - ჯარებმა პატივი უნდა სცენ ოკუპირებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებას და არასოდეს გაანადგურონ საკუთრება გადაუდებელი საჭიროების გარეშე - მთავარ ქვაკუთხედად იქცა.<sup>375</sup> ბრიუსელის დეკლარაციის კრიტიკოსები, ლიბერტის კოდექსის მსგავსად, იმეორებდნენ იმავე პოზიციას, რომ ოკუპანტი ძალა არ იძენს არანაირ უფლებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ კერძო საკუთრებაზე, თუმცა, სამხედრო აუცილებლობიდან გამომდინარე, მას შეუძლია კერძო საკუთრების ჩამორთმევა, დაყადაღება და განადგურებაც კი.<sup>376</sup> ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამგვარი გადაუდებელი აუცილებლობის დონისძიებები უნდა შეფასდეს უშუალოდ ომის მიმდინარეობისას არსებული გარემოებების მხედველობაში მიღებით და არა მის შემდგომ პერიოდში.<sup>377</sup>

ლიბერტის კოდექსის მსგავსად, ოქსფორდის სამხედრო სახელმძღვანელოც<sup>378</sup> აწესრიგებს ოკუპაციისას საკუთრების უფლების დაცვას. სახელმძღვანელოს 54-ე მუხლი აცხადებს, რომ ინდივიდუალური თუ კოლექტიური კერძო საკუთრება დაცული უნდა იყოს და დაუშვებელია მისი კონფისკაცია, თუმცა ამ ზოგადი წესიდან გამონაჯლისს ეხება შემდგომი მუხლები, რომლებშიც ჩამოთვლილია კერძო საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები, იარაღი და საბრძოლო მასალები, როგორც კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონება, ასევე საკითხი ეხება

<sup>372</sup> Ibid, p.196.

<sup>373</sup> Fiore, P. *Nouveau Droit International Public*, Paris, 1869, pp.302-304.

<sup>374</sup> Halleck, H.W. *Halleck's International Law*, London, 1861, pp.456-466.

<sup>375</sup> Brussels Declaration, *supra*, n.203, section I – on Military Authority over Hostile Territory.

<sup>376</sup> Funck, T., Sorel, B.A. *Precis du Droit des Gens*, Paris, 1877, pp.282-283.

<sup>377</sup> Gathii, J.T. *War, Commerce and International Law*, Oxford, 2010, p.46.

<sup>378</sup> Oxford Manual, *supra*, n.203.

ოკუპანტი ძალის მიერ რეკვიზიციისა და კონტრიბუციის დაკისრების უფლებასაც.<sup>379</sup>

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს უკვე აშკარად იყო ჩამოყალიბებული პრინციპი, რომ ოკუპაციის დროს საკუთრების უფლება დაცულია, გარდა სამხედრო აუცილებლობით გამოწვეული საჭიროებისა, ამავდროულად უკვე ვითარდებოდა მოსაზრება, რომ ასეთი საჭიროებისას საკუთრების უფლების შეზღუდვა უნდა ყოფილიყო პროპორციული იმ უპირატესობისა, რასაც საოკუპაციო ჯარი ამგვარი შეზღუდვით მიიღებდა.<sup>380</sup>

### 5.1.2. პააგის სამართლი

პააგის რეგულაციები ხმელეთზე ომის კანონებისა და ჩვეულებების დაცვის კონვენციის განუყოფელი ნაწილია.<sup>381</sup> რეგულაციების მესამე სექცია შეიცავს თხეოთმეტ მუხლს, რომლებიც ეხება მოწინააღმდეგის ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციას.<sup>382</sup> ამ დებულებების მთავარი ქვაკუთხედია 43-ე მუხლი, რომელიც ავალდებულებს ოკუპანტ ძალას, რომ მის ხელთ არსებული ყველანაირი საშუალებით მაქსიმალურად უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა; ასევე ოკუპანტი მხარე ვალდებულია, დაკავებულ ტერიტორიაზე მოქმედ კანონმდებლობას პატივი სცეს, თუ ეს აბსოლუტურად გამორიცხული არ არის სამხედრო თვალსაზრისით.<sup>383</sup> რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლებას, პააგის რეგულაციები ერთმანეთისაგან განასხვავებს საჯარო და კერძო საკუთრებას. პირველთან დაკავშირებით, რეგულაციების დებულებები ნებას რთავს ოკუპანტს, თავისუფლად ისარგებლოს საჯარო საკუთრებით როგორც უზუფრუქტურმა ისე, რომ მასზე საკუთრების უფლება არ მიიღოს,<sup>384</sup> ხოლო კერძო საკუთრების მოპყრობასთან დაკავშირებით, შესაბამისი მუხლები ავალდებულებს ოკუპანტ ძალას საკუთრების უფლების დაცვას. ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა კონტრიბუციის, რეკვიზიციის თუ ყადაღის ფორმით მხოლოდ და მხოლოდ დაშვებულია შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში და ამისათვის დადგენილი პროცედურის სრული დაცვით. ამასთანავე, მოწინააღმდეგ მხარის კერძო საკუთრების კონფისკაცია, ისევე როგორც მიზანება კანონგარეშედაა გამოცხადებული.<sup>385</sup> აღსანიშნავია, რომ პააგის რეგულაციების მიხედვით, რელიგიური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სამხატვრო და

<sup>379</sup>Ibid, art.54 et. al.

<sup>380</sup>Graber, *supra*, n.371, p.206.

<sup>381</sup>Hague Regulations, *supra*, n.10.

<sup>382</sup>Ibid, art.42-56.

<sup>383</sup>43-ე მუხლის დედანი ინგლისურ ენაზე ასე იკითხება: The authority of the legitimate power having in fact passed into the hands of the occupant, the latter shall take all the measures in his power to restore, and ensure, as far as possible, public order and safety, while respecting, unless absolutely prevented, the laws in force in the country.

<sup>384</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.42-56.

<sup>385</sup>Ibid, art.46-51, 56.

სამეცნიერო ორგანიზაციების ქონება, თუნდაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ოკუპაციის მიზნებისათვის კერძო საკუთრებად განიხილება.<sup>386</sup> პააგის რეგულაციების მესამე სექცია მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს მეცნიერების მიერ განვითარებული ომისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების იდეის გამოძახილია, რომლის მიხედვითაც ომი მიმართული იყო მხოლოდ სუვერენ სახელმწიფოსა და მისი არმიის წინააღმდეგ და არა კერძო პირებისა და მოქალაქეებისადმი.<sup>387</sup> გარდა ამისა, ამ პერიოდისათვის უკვე ნათლად იყო ჩამოყალიბებული განსხვავება დაპყრობასა და ოკუპაციას შორის: თუკი ადრე ტერიტორიის ყველანაირი დაკავება დაპყრობად მიიჩნეოდა, რაც დამპყრობელს აძლევდა უფლებას, დაკავებულ ტერიტორიას, მასზე მცხოვრებ მოსახლეობასა და მათ საკუთრებას მოპყრობოდა როგორც საკუთარს, ოკუპაცია განიხილებოდა ომის ერთ-ერთ ფაზად, რომლის დროსაც ოკუპანტი ძალა არ იღებს არანაირ მუდმივ უფლებას დაკავებულ ტერიტორიაზე, არამედ გვევლინება როგორც ამ ტერიტორიის დროებითი ადმინისტრატორი.<sup>388</sup> შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი კანონების დაცვაც უკვე ოკუპანტი მხარის სამართლებრივი ვალდებულება გახდა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საკუთრების უფლებაც ხელშეუხებლად გამოცხადდა,<sup>389</sup> რადგან ოკუპაციის დროს მოქმედი სამართლებრივი რეჟიმის მთავარი არსი არის საჯარო წესრიგის შენარჩუნება და ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმის განგრძობითობა,<sup>390</sup> რათა ტერიტორიის ადმინისტრირების ცვლილება უარყოფითად არ აისახოს სამოქალაქო მოსახლეობაზე და მათ უფლებებზე, მათ შორის საკუთრების უფლებაზე.

პააგის რეგულაციების ძირითადი პრინციპებია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა და დევნილი სუვერენის ინტერესების დაცვა. საკუთრების უფლების უზრუნველყოფა კი პირველი პრინციპის ნაწილად ითვლება.<sup>391</sup> როგორც ადინიშნა, პააგის რეგულაციები მაინც უშვებს გამონაკლისს, თუ რა შემთხვევაში შეუძლია ოკუპანტი ძალას, ჩაერიოს კერძო საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში. თითოეული ეს შემთხვევა დეტალურად არის განხილული მომდევნო ქვეთავში. ზოგადად კი, ოკუპანტს ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევა მხოლოდ რამდენიმე მიზეზით შეუძლია გაამართლოს: ა) რომ დაიკმაყოფილოს თავისი სამხედრო და უსაფრთხოების საჭიროებები; ბ) რომ აანაზღაუროს სამხედრო ოკუპაციასთან დაკავშირებული ხარჯები და გ) რომ დაიცვას ოკუპირებული ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები და კეთილდღეობა.<sup>392</sup>

<sup>386</sup> Robinson, J. *Transfer of Property in Enemy Occupied Territory* in AJIL, no.39, 1945, p.217.

<sup>387</sup> Feilchenfeld, *supra*, n.7, p.12.

<sup>388</sup> Graber, *supra*, n.371, chapter II.

<sup>389</sup> Borchard, E. *The Treatment of Enemy Property in The Georgetown Law Journal*, no.34, 1946, p.403.

<sup>390</sup> Bradandere, E.D. *Post-Conflict Administrations in International Law: International Territorial Administration, Transitional Authority and Foreign Occupation in Theory and Practice*, Leiden, Boston, 2009, pp.119-121.

<sup>391</sup> Ando, N. *Surrender, Occupation and Private Property in International Law*, Oxford, 1991, p.36.

<sup>392</sup> Playfair, *supra*, n.280, p.422.

პირველი მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების უფლების დაცვა მეტ-ნაკლებად ჯდებოდა პააგის რეგულაციების ჩარჩოში,<sup>393</sup> თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარების პრაქტიკა უმეტესად უხეშად არღვევდა პააგის რეგულაციებით განსაზღვრულ საკუთრების უფლების დაცვის ფარგლებს. ნიურნბერგის ტრიბუნალის დროს განსასჯელების მთავარი არგუმენტი იყო, რომ პააგის რეგულაციები მოძველებული იყო გამოსაყენებლად, მითუმეტეს, საყოველთაო ომიანობის პერიოდში. ბრლადებულების ეს არგუმენტი ტრიბუნალმა არ გაიზიარა და პააგის სამართალი საერთაშორისო წვეულებითი სამართლის ნაწილად მიიჩნია, რაც ვრცელდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე.<sup>394</sup>

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო საზოგადოების მცდელობა, რომ შეევსოთ და განევრცოთ პააგის სამართალი, 1949 წლის ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ უწევის თთხი კონვენციის მიღებით დასრულდა. მათგან ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ უწევის მე-4 კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებების დაცვას.<sup>395</sup> ვინაიდან კონვენციის დებულებები ფართოდ აწესრიგებს უცხოელთა ოკუპაციის რეჟიმის ქვეშ მცხოვრები მოქალაქეების პიროვნულ უფლებებს, მათი საკუთრების უფლების დაცვის ფარგლები პააგის ჩარჩოს არ გასცდენია. იმავეს მტკიცება შეიძლება უწევის კონვენციების 1977 წლის პირველ დამატებით ოქმზეც, რომელიც ასევე ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.<sup>396</sup> აქედან გამომდინარე, პააგის რეგულაციების მესამე სექციის დებულებები დღესდღეობითაც რჩება საერთაშორისო სამართლის ერთადერთ მოქმედ წყაროდ, რომელიც აწესრიგებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლების სამართლებრივ ასაკეტებს და, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კონვენცია მიღებულია საუკუნეზე მეტი წნის წინ, ის დღესაც სრულად ვრცელდება მსოფლიოში არსებულ ყველა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

## 5.2. ოკუპანტი მხარის მიერ კერძო საკუთრების მოპყრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების ფარგლები

ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო საკუთრების შეზღუდვისას ოკუპანტ ძალას აქვს საკმაოდ ფართო უფლებამოსილება, რომელსაც იღებს იმ ფაქტის გამო, რომ იგი დროებით ადგილობრივი მმართველის როლში ანაცვლებს დაგიტიმურ სუვერენის. პააგის რეგულაციების 43-ე მუხლის მიხედვით, მას ევალება ადგილობრივი კანონმდებლობის პატივისცემა, თუ ეს აბსოლუტურად გამორიცხული არ არის. ადგილობრივ კანონმდებლობაში კი იგულისხმება დაკავებულ ტერიტორიაზე ოკუპაციამდე მოქმედი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც

<sup>393</sup> Feilchenfeld, *supra*, n.7, p.22.

<sup>394</sup> IMT, *Trial of the Major War Criminals*, *supra*, n.13.

<sup>395</sup> GC IV, *supra*, n.11, Section III – Occupied Territories.

<sup>396</sup> AP I, *supra*, n.12, art.1(4).

აწესრიგებს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უოველდღიურ ურთიერთობას. როგორც წესი, უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს საკუთრების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ გარემოებებში. ძირითადად, კერძო პირის საკუთრების ჩამორთმევისას სახელმწიფოს ეკისრება კომპენსაციის ვალდებულება, მაგრამ თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობა ასეთ დეტალებს არ აწესრიგებს, მაშინ ოკუპანტ ძალას ეძლევა უფლებამოსილება, თავად მოახდინოს ამგვარი ურთიერთობების რეგულირება.<sup>397</sup>

კერძო საკუთრებისადმი მოპყრობა ოკუპანტ ძალას რამდენიმე გზით შეუძლია, როგორც ეს პაგის რეგულაციებშია მოცემული: ზოგიერთი მათგანი სრულად აკრძალულია, ზოგიერთი კი დაშვებული კონკრეტულ გარემოებებში.<sup>398</sup> მიზანშეწონილია თითოეული მათგანის განხილვა.

### განადგურება

ქონების განადგურებით ცალსახაა, რომ ოკუპანტი ძალა კი არ იღებს ქონებას საკუთრებაში, არამედ კერძო პირი კარგავს საკუთრებას. განადგურება შეიძლება კანონიერად მოხდეს სამსედრო მოქმედების წარმართვისას, მაგ., როდესაც კერძო საკუთრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, მას თკუპანტი მხარის მოწინააღმდეგები აკონტროლებენ და, შესაბამისად, სამსედრო სამიზნეა.<sup>399</sup> კერძო საკუთრების განადგურება ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიძლება მხოლოდ სამსედრო მიზნებით გამართლდეს.<sup>400</sup> ამავდროულად, თკუპანტ ძალას მაინც აქვს ვალდებულება, დაიცვას ხელოვნების ნიმუშები, ისტორიული მონუმენტები ან არტეფაქტები, რომლებიც ამ კერძო საკუთრებაში ინახება. თუ კერძო საკუთრება ბრძოლის ხაზზე აღმოჩნდება და გამოიყენება სამსედრო ობიექტად, მისი განადგურების შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ მესაკუთრეს ზარალი აუნაზღაურდეს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო საკუთრების განადგურება განპირობებული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურესი სამსედრო საჭიროებით, რომლის მტკიცების ტვირთი ოკუპანტ მხარეს ეკისრება. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ კედლის საკონსულტაციო დასკვნაში მიიჩნია, რომ სამსედრო საჭიროება შეიძლება გამამართლებელი არგუმენტი იყოს არა მხოლოდ უშუალოდ სამსედრო მოქმედებების დროს, არამედ ოკუპაციის პერიოდშიც, როდესაც აქტიური სამსედრო მოქმედებები აღარ მიმდინარეობს.<sup>401</sup> ამასთანავე, სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში ვერ დაადგინა სამსედრო საჭიროება და განაცხადა, რომ ოკუპანტი მხარე

<sup>397</sup>Jessup, *supra*, n.367, p.460.

<sup>398</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.226.

<sup>399</sup>სამსედრო სამიზნის დეფინიცია იხ. AP I, *supra*, n.12, art.52(2).

<sup>400</sup>The Judge Advocate General's School Text no. 11, Law of Belligerent Occupation, Michigan, 1945, p.128.

<sup>401</sup>Wall case, *supra*, n.29, para.135.

(ისრაელი) ვალდებული იყო, გადაეხადა კომპენსაცია იმ პირებისათვის, რომელიც საკუთრების უფლება უკანონოდ შეელახათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.<sup>402</sup>

ისრაელის უზენაესი სასამართლოც იზიარებს პოზიციას, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო საკუთრების განადგურება შეიძლება განპირობებული იყოს სამხედრო და უსაფრთხოების მიზნებით.<sup>403</sup> ბარიერის საქმეში განსახილველ შემთხვევაზე სასამართლომ სწორედ რომ დაადგინა ამგვარი მიზნის არსებობა, მაგრამ მან დამატებით კრიტერიუმად შემოიტანა პროპორციულობის პრინციპი, რომელიც ასევე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო საკუთრების განადგურების დროს. შესაბამისად, თუკი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საკუთრების უფლების (ასევე სხვა უფლებების) შედახვა უფრო მეტი ზიანის მომტანია მათვის, ვიდრე ის სამხედრო უპირატესობა, რასაც მათი ქონების განადგურებით საოკუპაციო ჯარი იღებს, მაშინ ამგვარი პრაქტიკა შეუთავსებელია სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლოთან.<sup>404</sup>

### ძარცვა (მიზანება)

ჰაგის 47-ე რეგულაციის მიხედვით, „ძარცვა ფორმალურად იქრძალება“.<sup>405</sup> ამ წესის აბსოლუტურ ხასიათზე მიუთითებს სიტყვა „ფორმალურად“, რომელიც გულისხმობს, რომ ოკუპანტი ჯარისათვის ამ წესის დაცვა ოფიციალურად უნდა იყოს მოთხოვნილი. საოკუპაციო ჯარის წევრებმა არ უნდა მიიჩაცონ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ქონება, პირიქით, მათ პრევენციის ვალდებულებაც კი აქვთ და, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ოკუპანტ ძალას ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა, თუკი მესამე პირები, როგორიცაა, მაგალითად, არასახელმწიფოებრივი შეიარაღებული დაჯგუფება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო საკუთრებას იზაცებენ და მოსახლეობის საკუთრების უფლებას უკანონოდ ლახავენ. მაგალითისათვის, საქმის - კონგრეს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ - მიხედვით, სასამართლომ უგანდას, როგორც ოკუპანტ ძალას, დააკისრა პასუხისმგებლობა იმ ქმედებებისათვის, რომელთაც არასახელმწიფოებრივი დაჯგუფება ჩადიოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობის ძარცვისა და ქონების უკანონო დაუფლებისათვის.<sup>406</sup>

### რეკვიზიტია

<sup>402</sup> *Ibid*, paras.152-153.

<sup>403</sup> *Barrier case*, *supra*, n.149, paras.27,32.

<sup>404</sup> *Ibid*, para.60.

<sup>405</sup> Hague Regulations, *supra*, n.10, art.47.

<sup>406</sup> *Armed Activities case*, *supra*, n.323, paras.178, 180, 219-220.

კერძო საკუთრება, რომელიც რეკვიზიციით შეიძლება მიიღოს ოკუპანტმა ძალამ, შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი კატეგორიის ქონებით, რაც საჭიროა საოკუპაციო ჯარის საჭიროებისათვის. ეს შეიძლება მოიცავდეს: საკვებს, საწვავს, ნაგებობებს ჯარისკაცების განსათავსებლად, ტანსაცმელს ან ქსოვილს და ზოგიერთ შემთხვევაში თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელსაც კი.<sup>407</sup> პააგის რეგულაციებით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით, რეკვიზიციის შესახებ სამხედრო ბრძანება უნდა გასცეს საოკუპაციო ჯარის ადგილობრივმა მეთაურმა.<sup>408</sup> იგი შეიძლება არც იყოს მაღალი რანგის სამხედრო პირი, მაგრამ ამ დებულების მიზანია პასუხისმგებლობის აღება ოფიციალური პირის მიერ, რათა თავიდან იქნეს აცილებული თითოეული ჯარისკაციის მიერ კერძო საკუთრების თვითნებური მიტაცება.

ტერმინ „საოკუპაციო ჯარის საჭიროების“ განმარტებისას ზოგიერთმა ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ რეკვიზიცია უნდა ემსახურებოდეს საოკუპაციო ჯარის ყოველდღიურ საჭიროებებს. ის არ უნდა იყოს გამოუყენებელი, არასაჭირო, რომელიც ოკუპანტი ქვეყნის გამდიდრების მიზნით ხდება ან ოკუპანტი ძალის იმ საჯარისო დანაყოფებს ხმარდება, რომლებიც სხვა ადგილას არის დისლოცირებული, ან გადაყიდვისა და ოკუპირებული ტერიტორიის და მასზე მცხოვრები მოსახლეობის გაღარიბების მიზნითაა ნაკარნახევი. ოკუპანტი ძალის მიერ რეკვიზირებული ქონების საკუთარ ქვეყანაში გატანაც უკანონოდ არის მიჩნეული.<sup>409</sup>

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რეკვიზიცია შეიძლება შეეხოს მხოლოდ ისეთ ქონებას, რომელიც პროპორციულია ოკუპირებული ტერიტორიის რესურსებისა, ისე, რომ ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობა ამითი არ დაზარალდეს. რეკვიზიციით ქონების ჩამორთმევისას მესაკუთრეს უნდა მიეცეს ქონების შესაბამისი საფასური ნაღდი ანგარიშსწორებით, ან, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ქვითრის მეშვეობით, რომლის განადებაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა იყოს შესაძლებელი.<sup>410</sup> ამ დებულების მიზანია კერძო მესაკუთრის ინტერესების დაცვა, რომ მას დაუყოვნებლივ მიეცეს ანაზღაურება, ან პქონდეს რაიმე საბუთი ხელთ, რომლითაც მოგვიანებით შეძლებს კუთვნილი თანხის მიღებას. შესაბამისად, თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორება ან ქვითარი არ უნდა მივიჩნიოთ ანაზღაურების უალტერნატივი მეთოდად, იმდენად, რამდენადაც მუხლის მიზანი მიღწეული შეიძლება იყოს სხვა გზითაც (მაგ. საბანკო გადარიცხვა და სხვ.).

### კონფისკაცია

კააგის რეგულაციების 46-ე მუხლი კრძალავს კერძო საკუთრების კონფისკაციას. ეს მუხლი იცავს საკუთრების უფლებას პირდაპირი

<sup>407</sup> Jessup, *supra*, n.367, p.459.

<sup>408</sup> Hague Regulations, *supra*, n.10, art.52.

<sup>409</sup> Feilchenfeld, *supra*, n.7, pp.34-36.

<sup>410</sup> Hague Regulations, *supra*, n.10, art.52(3).

კონფისკაციისაგან. დებულების მიზანია, ოკუპანტი ძალის მიერ არ მოხდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სამოქალაქო პირებისათვის კერძო საკუთრების ჩამორთმევა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეები არიან. ოუმცა 46-ე მუხლი არ იცავს საკუთრების ჩამორთმევას იმ ფორმებით, რაც პირდაპირ დაშვებულია ჰაგის რეგულაციებით. კონფისკაცია, როგორც სასჯელი, ჯარიმა ან გადასახადის აკრების ფორმა, დაშვებულია.<sup>411</sup> კონფისკაციის ამკრძალავი ნორმა ნაკლებადაა პრაქტიკული მნიშვნელობის, ის იმეორებს ჩვეულებითსამართლებრივ ნორმას ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო საკუთრებასთან მოპყრობის შესახებ.

## უადალა

ჰაგის სამართალი ოკუპანტ ძალას ნებას რთავს, მოახდინოს ზოგიერთი კატეგორიის ქონების დაყადაღება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება შეიძლება კერძო საკუთრებაში იყოს. ამ კატეგორიის ქონების ამომწურავი ჩამონათვალია 53-ე რეგულაციაში, რომლის მიხედვით, კერძო საკუთრებაში არსებული ყველა სახმელეთო, საპატიო თუ საზღვაო ხელსაწყო, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის გადასაცემად, პირთა ან ნივთების ტრანსპორტირებისათვის, საზღვაო სამართლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, იარაღის საწყობები და სადგურები და, ზოგადად, ყველა სახის საბრძოლო მასალა შეიძლება დაყადაღდეს ოკუპანტის მიერ. ამავდროულად, მუხლი შეიცავს დათქმას, რომ მშეგიდობის აღდგენის შემდეგ ეს ქონება უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მესაკუთრეს და დადგინდეს კომპენსაცია.<sup>412</sup>

ამ დებულებიდან ნათლად ჩანს, რომ ოკუპანტ ძალას უფლება აქვს, დააყადაღოს ჩამოთვლილი ქონება ყოველგვარი სამხედრო საჭიროებების გარეშეც. მას ასევე არ მოუწეს იმის მტკიცება, რომ ასეთი კატეგორიის ქონების დაყადაღება ემსახურება საოკუპაციო ჯარის ყოველდღიურ მიზნებს, როგორც ეს რეკვიზიციის შემთხვევაშია, და, რაც ყველაზე მთავარია, ოკუპანტ ძალას არ აქვს ვალდებულება, მხედველობაში მიიღოს ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკური პოტენციალი, როდესაც კერძო საკუთრებაში არსებულ სპეციალური კატეგორიის ქონებას დააყადაღებს. ამ დებულების მიზანია, რომ საოკუპაციო ჯარის უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული ყოველგვარი სამხედრო შემოტევისაგან, რადგან ჩამოთვლილი ქონება ყოველგვარი ადაპტირების გარეშე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო დანიშნულებით, რამაც შეიძლება ახალი საბრძოლო მოქმედებების წამოწყება გამოიწვიოს.<sup>413</sup> ჰაგის რეგულაციები არ უკრძალავს ოკუპანტს ამგვარად დაყადაღებული ქონების გამოყენებას, თუმცა რა დანიშნულებითაც არ უნდა გამოიყენოს საოკუპაციო ჯარმა

<sup>411</sup>Supra, n.400, p.133.

<sup>412</sup>Hague Regulations, supra, n.10, art.53(2).

<sup>413</sup>Supra, n.400, p.164.

ზემოთ ჩამოთვლილი ქონება, ოკუპანტი მხარე მასზე საკუთრების უფლებას მაინც არ იღებს.<sup>414</sup>

### კონტრიბუცია

კონტრიბუცია ეწოდება ოკუპანტი ძალის მიერ მოსახლეობისაგან აკრებილ არასაგადასახადო თანხას. ჰააგის რეგულაციები ერთმანეთისაგან განასხვავებს კონტრიბუციასა და რეკვიზიციას. რეკვიზიციისას ხდება მატერიალური ქონების მიღება ოკუპანტის მიერ, ხოლო კონტრიბუცია მხოლოდ ფულადი მოსაკრებლით შეიძლება გამოიხატოს. როგორც რეკვიზიცია, ისე კონტრიბუციაც კანონიერია, თუკი ის ემსახურება საოკუპაციო ჯარის საჭიროებებს, თუმცა კონტრიბუციის შემთხვევაში ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრირებაც დამატებულია როგორც გამამართლებელი მოტივი.<sup>415</sup> ადსანიშნავია, რომ კონტრიბუციის დაკისრების უფლება ჰააგის სამართლით არ დაწესებულა, პირიქით, ჰააგის კონვენციამ გარკვეულწილად შეზღუდა კიდეც ჩვეულებითსამართლებრივი ნორმა, რომელიც ოკუპანტს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ყოველგვარი მიზეზის გარეშე მოეთხოვა მოსახლეობისაგან კონტრიბუცია. რეგულაციების მიხედვით, კონტრიბუცია განსაზღვრულია როგორც გადასახადების დაკისრების შემდგომი დონისძიება, რომელიც მხოლოდ მიმართული უნდა იყოს ან საოკუპაციო ჯარის საჭიროებისათვის, ან ოკუპირებული ტერიტორიის სათანადო ადმინისტრირებისათვის.<sup>416</sup> რეკვიზიციისაგან განსხვავებით, კონტრიბუცია არ გულისხმობს რაიმე სახის კომპენსაციას.

ვინაიდან კონტრიბუცია შეიძლება დაკისრებულ იქნეს მხოლოდ ჯარის ან ტერიტორიის საჭიროებისათვის, უკანონოა ისეთი კონტრიბუცია, რომელსაც ოკუპანტი ძალა აწესებს საკუთარი წარმოებული ომის ხარჯების დასაფარავად, ოკუპირებული ტერიტორიის ან მისი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის განზრახ გაუარესებისათვის, საკუთარი სახელმწიფოს გამდიდრების ან მოსახლეობის კოლექტიური დასჯისათვის.<sup>417</sup>

### გადასახადი

ჰააგის რეგულაციების 48-ე მუხლის მიხედვით, თუ ოკუპანტი ძალა ოკუპირებული ტერიტორიისათვის საჭირო გადასახადებს აგროვებს, მან ეს უნდა განახორციელოს, რამდენადაც შესაძლებელია ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემის შესაბამისად. ასევე ოკუპანტი მხარე ვალდებულია, ტერიტორიის მართვის ხარჯებიც ისევე გაიღოს, როგორც ამას ლეგიტიმური სუვერენი აკეთებდა.<sup>418</sup> 48-ე მუხლი 49-ე მუხლისაგან იმით განსხვავდება,

<sup>414</sup>Proceedings of the Hague Peace Conference, Translation of the Official Texts, Carnegie Endowment for International Peace, Washington, 1920: Conference of 1899, p.558.

<sup>415</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.49.

<sup>416</sup>Supra, n.400, pp.175-176.

<sup>417</sup>Feilchenfeld, *supra*, n.7, p.41.

<sup>418</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.48.

რომ ის გადასახადის აკრების მიზნად პირდაპირ მიუთითებს მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიის კეთილდღეობასა და საჭიროებას. თავად მუხლი არც ავალდებულებს და არც უკრძალავს ოკუპანტ ძალას გადასახადების აკრებას, არამედ აწესებს კონკრეტულ პროცედურას, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა დაიცვას ოკუპანტმა, თუკი ის გადასახადების დაკისრებას გადაწყვეტს.<sup>419</sup>

ეს დებულება არ გამორიცხავს სამხედრო მმართველობის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული საგადასახადო განაკვეთების გაზრდას ან სხვანაირ ცვლილებას, მითუმეტეს, თუ ასეთი მოდიფიკაცია გამოწვეულია ეკონომიკური ცვლილებებით ან საომარი მდგომარეობით. ნათელი არაა და განსახილველი ნორმიდანაც არ იკვეთება, რამდენად არის უფლებამოსილი ოკუპანტი ძალა, შემოიღოს ახალი სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.<sup>420</sup> მართალია, 48-ე მუხლი ამგვარ პრაქტიკას პირდაპირ არ ადგენს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევებში ეს გამართლებული შეიძლება იყოს, რადგან ახალი საჭიროებები ახალ სახსრებს მოითხოვს, განსაკუთრებით განგრძობითი ოკუპაციის დროს. ასეთ შემთხვევაში ლეგიტიმური სუვერენიც შეიძლება დამდგარიყო საგადასახადო კანონმდებლობისა და სისტემის მოდიფიკირების საჭიროების წინაშე. შესაბამისად, ასეთი ფაქტების უარყოფამ და იმის მტკიცებამ, რომ, რადგან ოკუპაცია დროებითი ხასიათისაა, ამიტომ ოკუპანტ ძალას არ აქვს უფლება, საგადასახადო სისტემა შეცვალოს, შეიძლება ხელყოს ოკუპირებული ტერიტორიისა და მასზე მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისა და საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანი, რომლის დაცვის უპირველესი ვალდებულება სწორედ ოკუპანტ ძალას აქვს, 43-ე მუხლის მიხედვით.

### 5.3. ადამიანის უფლებათა უკროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა უკროპული კონვენცია რამდენჯერმე იქნა გამოყენებული ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლების გავრცელების საკითხთან მიმართებით. ყველა შემთხვევაში განსახილველი საქმეები ეხებოდა კვიპროსელ ბერძენთა უძრავ ქონებას, რომელიც მდებარეობდა თურქეთის მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსში.<sup>421</sup> განმცხადებელთა ძირითადი არგუმენტი ის იყო, რომ მათ 1974 წლიდან შეეზღუდათ თავიანთ საკუთრებაზე წვდომის, კონტროლის, გამოყენებისა და სარგებლობის შესაძლებლობა მოპასუხე მთავრობის მიერ.

კვიპროსის მიერ თურქეთის წინააღმდეგ წამოწყებული თავდაპირველი სამი სახელმწიფოთაშორისი დაგა ადამიანის უფლებათა უკროპულ კომისიაში დასრულდა ამ უკანასკნელის მიერ მოხსენების მიღებით, რომლის მიხედვით,

<sup>419</sup>Supra, n.400, p.185.

<sup>420</sup>Feilchenfeld, supra, n.7, p.49.

<sup>421</sup>ECtHR, *Cyprus v. Turkey*, no.25781/94 (2001); *Loizidou v Turkey*, supra, n.322; *Demades v. Turkey*, no.16219/90 (2003); *Eugenia Michaelidou Developments Ltd and Michael Tymvios v. Turkey*, no.16163/90 (2003).

თურქეთს პასუხისმგებლობა დაეკისრა, *inter alia*, ჩრდილოეთ კვიპროსში კვიპროსელი ბერძნების საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვისათვის.<sup>422</sup> ამ პერიოდისათვის თურქეთს არ ჰქონდა აღიარებული კომისიის იურისდიქცია და, შესაბამისად, ეს პროცესი არაეფექტიანი აღმოჩნდა, რაც დასრულდა მხოლოდ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ პოლიტიკურად მოტივირებული რეზოლუციის მიღებით, რომელიც მხარეებს მოლაპარაკებების განახლებისაკენ მოუწოდებდა.<sup>423</sup>

მეოთხე სახელმწიფოთაშორისი საქმე, ისევე როგორც ინდივიდუალურ საქმეთა - ლოიზიდუს, დემადესისა და შ.პ.ს. მიკელაიდუს - გადაწყვეტილებები საკმაოდ მაღალი სამართლებრივი მნიშვნელობის დოკუმენტებია, რადგან ისინი მიღებულ იქნა სასამართლოს მიერ, მას შემდეგ, რაც თურქეთმა ცნო სასამართლოს იურისდიქცია. შესაბამისად, მათი შესრულება სავალდებულოა მხარეთათვის.<sup>424</sup>

ლოიზიდუს საქმის გადაწყვეტილებაში, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი საჩივრებიდან ყველაზე ადრე იქნა გამოტანილი, სასამართლომ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები დაადგინა:

ა) თურქეთი საკუთარი სამხედროების მეშვეობით ახდენდა ჩრდილოეთ კვირპოსის ტერიტორიის სამხედრო ოკუპირებას, სადაც მდებარეობდა განმცხადებლის უძრავი ქონება.<sup>425</sup> შესაბამისად, თურქეთს ჰქონდა დე ფაქტო კონტროლი აღნიშნულ ტერიტორიაზე და კონვენციის 1-ლი მუხლის მიხედვით, ადამიანის უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობაც მას ეკისრებოდა;

ბ) ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაფუძნებული ადმინისტრაცია, ე.წ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული სახელმწიფო, უკანონო იყო და წარმოადგენდა თურქეთის, როგორც ოკუპანტი ძალის, დაქვემდებარებულ ორგანოს და ამ „სახელმწიფოს“ კონსტიტუციის საფუძველზე განმცხადებლის ქონების ექსპორტიაცია სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობდა. ამგვარად, განმცხადებლის მიერ ქონებაზე უფლების დაკარგება დე ფაქტო კანონმდებლობის გზით ბათილი იყო.<sup>426</sup>

გ) საოკუპაციო ჯარის მიერ განმცხადებლისათვის საკუთარ ქონებაზე წვდომის შეზღუდვის შედეგად მან დაკარგა ყოველგვარი კონტროლი და ასევე შესაძლებლობა, ესარგებლა ან განეკარგა საკუთარი ქონება.<sup>427</sup> ამ მიდგომის მიხედვით, ოკუპანტი ძალის მიერ კერძო მესაკუთრისათვის ქონების გამოყენების აკრძალვა, თუნდაც ამ ქონებას თავად საოკუპაციო ჯარიც არ იყენებდეს, უკვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების

<sup>422</sup>Commission's Report of the European Commission of Human Rights on *Cyprus v. Turkey* applications 6780/74 and 6950/75, adopted on 10 July, 1976, pp.151, 166.

<sup>423</sup>Committee of Ministers of the Council of Europe, res. DH (79), 21 August, 1979.

<sup>424</sup>Loucaides, *supra*, n.364, p.683.

<sup>425</sup>ECtHR, *Loizidou v. Turkey*, no.15318/89, preliminary objections (1995), para.63.

<sup>426</sup>*Loizidou v. Turkey*, *supra*, n.322, para.64.

<sup>427</sup>*Ibid*, para.63.

უფლების დარღვევაა, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ისე სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსში საოკუპაციო ჯარის ქმედებებით დაირღვა და განგრძობითად ირღვევა კონვენციით დაცული საკუთრების უფლება.<sup>428</sup>

იმავე მიდგომას გაჰყვა სასამართლო მეოთხე სახელმწიფოთაშორის საქმეში და ასევე დემადებისა და „მიკელაიდუს“ ინდივიდუალურ საჩივრების განხილვისას. ყველა შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ სამხედრო საოკუპაციო ძალის მიერ დაირღვა საკუთრების უფლება. საქმის - კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ - მიხედვით, სასამართლომ დაადგინა, რომ:

[...] კონვენციის 1-ლი თქმის 1-ლი მუხლი დაირღვა და განგრძობითად ირღვევა იმ ფაქტის გამო, რომ ჩრდილოეთ კვიპროსში მდებარე ქონების ძერძებ კვიპროსელ მესაკუთრებებს უკრძალებათ საკუთრების ქონებასთან მიხვდა, კონტროლი, განკარგვა და სარგებლობა, ასევე რაიმე სახის კომპენსაციის მიღება საკუთრების უფლების ხელყოფისათვის.<sup>429</sup>

ადამიანის უფლებათა ეპროპული სასამართლოს ეს პრაქტიკა სრულად მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლების დაცვის საკითხს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან, რომლის მიხედვით, საკუთრების უფლება არ წყდება ტერიტორიის ოკუპაციისას. კერძო მესაკუთრე ინარჩუნებს ამ უფლებას, მიუხედავად იმისა, მას შეუძლია თუ არა ამ ქონების ფლობა, მისით სარგებლობა და განკარგვა, მიუხედავად იმ ფაქტისა, ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული სამართლებრივად ბათილი ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ღონისძიებები ართმევს თუ არა მესაკუთრეს ამ უფლებას.<sup>430</sup> აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ასევე იმსჯელა ოკუპაციისას საკუთრების უფლებიდან დეროგაციის საკითხზეც,<sup>431</sup> რადგან კონვენცია უშვებს აღნიშნული მუხლიდან გადახვევის შესაძლებლობას. შესაბამისად, თუ კონვენციით გათვალისწინებული გადახვევის საფუძვლები სახეზეა, მაშინ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლების შეზღუდვა დარღვევად არ ჩაითვლება.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლების დარღვევა ასევე ერთ-ერთი სადაც საკითხია სახელმწიფოთაშორის საქმეში - საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II), რომელშიც განმცხადებელი სახელმწიფო დავობს, რომ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტისას და მის შემდეგ პერიოდშიც რუსეთის ფედერაციამ ვერ უზრუნველყო, მოქმედინა ძარცვისა და მიტაცების

<sup>428</sup>Supra, n.426.

<sup>429</sup>Cyprus v. Turkey, supra, n.421, paras.183-184.

<sup>430</sup> კერძო საკუთრების ხელყოფასთან დაკავშირებით ოკუპანტი ძალის ქმედებების ნამდვილობის შესახებ დეტალურად იხ. Fraleigh, C.A. *The Validity of Acts of Enemy Occupation Authorities Affecting Property Rights* in Cornell Law Quarterly, no.35, 1949, pp.89-117.

<sup>431</sup>Cyprus v. Turkey, supra, n.421, paras.180-182.

გზით საკუთრების უფლების მასობრივი დარღვევის ფაქტების პრევენცია, რომელსაც სამხედრო თხეთის ტერიტორიაზე ჩადიოდნენ საოკუპაციო ჯარი და გასამხედროებული დაჯგუფებები.<sup>432</sup>

ამ საქმის არსებით ნაწილზე სასამართლოს ჯერ განაჩენი არ გამოუტანია, თუმცა საქმე დასაშვებად გამოცხადდა.<sup>433</sup>

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლების დაცვა საკმაოდ რთული და კომპლექსური საკითხია. ერთი მხრივ, დაცვის ობიექტია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სამოქალაქო მოსახლეობის ქონება, ხოლო, მეორე მხრივ, ოკუპანტი ძალის სამხედრო ინტერესი და, ზოგადად, ოკუპირებული ტერიტორიის ჯეროვანი მართვის საჭიროება. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ამ საკითხს აწესრიგებენ, სწორედ ამ ორ სიკეთეს შორის ბალანსის მოძებნას ემსახურება.

საოკუპაციო ჯარის სამხედრო საჭიროება ის გარემოებაა, რომელსაც იგნორირებას ვერ გაუწევს ოკუპაციის საკითხების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები. შესაბამისად, არ არის მართებული კონკრეტული ტერიტორიის ოკუპაციის კანონიერების შეფასება ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ოკუპაცია არის ფაქტობრივი მოცემულობა და არა სამართლებრივი შეფასების კატეგორია და როგორც კი ეს ფაქტი დგება, მაშინვე იწყებს ამოქმედებას ოკუპაციის წესები და ჩვეულებები, მათ შორის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით.

სამხედრო ოკუპაციის დროს კერძო საკუთრება დაცვის საკმაოდ მაღალი სტანდარტით სარგებლობს, რაც მარტივად შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით - საკუთრების უფლება დაცულია თვითხებური ჩარევისაგან, მისი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ ოკუპანტი ძალის სამხედრო საჭიროებებიდან გამომდინარე და შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ.

მოწინააღმდეგე მხარის კერძო უძრავი ქონების უმიზეზოდ ჩამორთმევა არანაირ შემთხვევაში არ დაიშვება. თუ ოკუპანტი ძალა კერძო მიწის ნაკვეთის ან შენობა-ნაგებობის კონფისკაციას მოახდენს და გაყიდის მას, მყიდველს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება არ წარმოეშობა, რადგან ოკუპანტი ძალის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ ჩადენილი ქმედების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი ვალდებულებები ბათილია და არ შეიძლება ძალაში დარჩეს მას შემდეგ, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე კანონიერი სუვერენის მმართველობა აღდგება.<sup>434</sup>

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთრების უფლების დარღვევა იმდენად გაუმართლებელი ქმედებაა, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალის პრაქტიკაში ის ომის დანაშაულად იქნა გამოცხადებული და ტრიბუნალმა ინდივიდუალური

<sup>432</sup> ECtHR, *Georgia v. Russia (II)*, no.38263/08, decision on admissibility, (2011), paras.31-33.

<sup>433</sup> *Ibid*, para.102.

<sup>434</sup> Fraleigh, *supra*, n.430, p.96.

პასუხისმგებლობა დააკისრა გერმანელებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების მიტაცებით იყვნენ დაკავებულნი.<sup>435</sup>

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საკუთრების უფლების შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ საკუთრების დაკარგვით, არამედ მესაკუთრის მიერ საკუთარი ქონებრივი უფლებების აღსრულების ხელის შეშლითაც.<sup>436</sup> ეს მიდგომა საქმაოდ პროგრესულია და არის ადამიანის უფლებათა სამართლიდან ტრანსფორმირებული ნორმა.

ოკუპაციის დროს კერძო საკუთრებასთან მიმართებით ოკუპანტის ძალაუფლება შეიძლება ბოროტადაც იქნეს გამოყენებული და არსებული სამართლებრივი საფუძველი ამის საშუალებას იძლევა, თუმცა, თუ ოკუპანტი მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებს დაკავებული ტერიტორიის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, და არა საკუთარი გამდიდრების მიზნით და თუ კერძო მესაკუთრის უფლებები სათანადოდაა დაცული ადგილობრივი კანონმდებლობით, მაშინ საოკუპაციო ჯარის ქმედებები თავისუფლად შეიძლება მოქმედ სამართლებრივ ნორმებს შეესაბამებოდეს და, ამავდროულად, ჯარის სამხედრო ინტერესებიც დაცული იყოს.<sup>437</sup>

## 6. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბიზნეს საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება

ოკუპაცია სახეზეა, როდესაც ტერიტორიის კონკრეტული ნაწილი გადავა მოწინააღმდეგე ჯარის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ. ასეთ დროს ლეგიტიმური სუვერენი განდევნილია და სამხედრო მეთაურობის მმართველობა ვრცელდება მთელს დაკავებულ ტერიტორიაზე.<sup>438</sup> საერთაშორისო საჯარო სამართალი (კერძოდ კი მისი ნაწილი საერთაშორისო პუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი) არეგულირებს სამხედრო ოკუპანტის ქმედებებსა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სამოქალაქო პირთა დაცვის საკითხებს,<sup>439</sup> თუმცა ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი არ აწესრიგებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბიზნეს საქმიანობის საკითხებს, კერძოდ უცხოური კომპანიის ქმედებების კანონიერება, სამართლებრივ ჩარჩოს, რომელშიც ასეთმა კომპანიებმა უნდა განახორციელონ თავისი ქმედებები და მათ მიერ სამართლებრივი ნორმების დარღვევების შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხებს. ამ თავის მიზანია დადგინდეს

<sup>435</sup>Loucaides, *supra*, n.364, p.680.

<sup>436</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.225.

<sup>437</sup>Jessup, *supra*, n.367, p.461.

<sup>438</sup>Hague Regulations, *supra*, n.10, art.42.

<sup>439</sup>GC IV, *supra*, n.11, Section III – Occupied Territories.

არეგულირებს თუ არა აღნიშნულ საკითხს საერთაშორისო კერძო სამართლი და თუ კი, მაშინ რა მასშტაბთ უნდა მოხდეს საერთაშორისო კერძო სამართლის წესების გადმოტანა ოკუპაციის საერთაშორისო სამართლში.

როგორც წესი, ოკუპაციის დამყარების შემდეგ, ოკუპანტი ძალა ცდილობს დაკავებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამართლებრივი რეჟიმის შეცვლას. ამგვარი ცვლილება, დიდი ალბათობით ეკონომიკურ რეფორმაციასაც გულისხმობს ხოლმე. ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმის ძირითადი სფეროებია უცხოური ინვესტიციები, ფინანსური ბაზარი, საგადასახადო სისტემა, საჯარო სექტორის რეფორმა და პრივატიზაცია.<sup>440</sup> იბადება კითხვა, არის თუ არა შესაძლებელი ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკის რეფორმირების შეთავსება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ჭრილში მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებთან. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ეკონომიკური ცვლილებები მუდმივობის ელემენტს მოიაზრებს თავის თავში, რომლის გარდაქმნა და პირვანდელი სახის მიცემა ძალაუფლებაში დაბრუნებულ განდევნილ სუვერენის უკვე ადარ შეეძლება.<sup>441</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში ოკუპანტი ძალა დროებით ცვლის მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოს სამხედრო ბრძანებების გამოცემის გზით, მაგრამ, ამის პარალელურად, ლეგიტიმური მთავრობაც (სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილობრივი ოკუპაციის დროს) ასევე ავრცელებს თავის კანონებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელზეც ის *de facto* კონტროლს ვერ ახორციელებს.<sup>442</sup> ასეთ დროს საკითხავი ხდება კომერციული კომპანიების ეკონომიკური საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ოკუპანტი ძალის მიერ დადგენილ წესებს თუ დევნილი სუვერენის მიერ მიღებულ კანონებს. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც კონკრეტული ოკუპაცია ფართოდ არის დაგმობილი საერთაშორისო დონეზე და ყველა სახელმწიფოს აქვს *erga omnes* ვალდებულება არ აღიაროს ამგვარად შექმნილი უკანონო სიტუაცია.<sup>443</sup> ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მოცემული ქვეთავი ადგენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო კომპანიების ქმედებების შესაბამისობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითან და სახელმწიფოთა შესაძლო პასუხისმგებლობას ტრანსნაციონალური კორპორაციების უკანონო ქმედებებისათვის.<sup>444</sup> ამ

<sup>440</sup> McCarthy, C. *The Paradox of the International Law of Military Occupation: Sovereignty and the Reformation of Iraq* in Journal of Conflict and Security Law, no.10, 2005, p.53.

<sup>441</sup> იმდენად რამდენადაც სამხედრო ოკუპაცია დროებითი ხასიათისაა მუდმივ შედეგებზე გათვლილი ცვლილებები ოკუპაციის სამართლის სულისკვეთების წინააღმდეგ იქნება. (ავტ.)

<sup>442</sup> მაგ. “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ” საქართველოს კანონი (23.10.2008 – 431 – IIს) მუხ. 6, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?impose=translateEn> [ბოლოს ნანახია 07.04.2016].

<sup>443</sup> *Wall case, supra*, n.29, para.159.

<sup>444</sup> სახელმწიფოთა პასუხისმგებლობაზე დეტალურად იხ. მუხლები სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, სქოლით 344.

კონტრექსტი განხილულია როგორც უშუალოდ ოკუპანტი ძალის, ასევე კორპორაციის დაფუძნების სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობაც.

სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მოქმედი ზოგადი პრინციპი ნათელია და ის აცხადებს, რომ სახელმწიფო არაა პასუხისმგებელი იმ ქმედებისათვის, რასაც კერძო პირი ჩაიდენს დამოუკიდებლად სახელმწიფოს კონტროლის გარეშე.<sup>445</sup> აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, კერძო პირთა ქმედებები სახელმწიფოს ვერ მიეწერება და ამ ქმედებების სამართლებრივ შედეგებზეც პასუხისმგებელი თავად ეს პირები იქნებიან. თუმცა ამ ზოგადი წესიდან შესაძლოა არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო პასუხისმგებელი იქნება ინდივიდების (იურიდიული პირების) მიერ მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული უკანონო ქმედებისათვის რადგან მან არ მიიღო პრევენციული ზომები თავისი იურისდიქციის ფარგლებში, რათა თავიდან აეცილებინა ასეთი უკანონო ქმედებები. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევებში დგება სიფრთხილის ზომების მიუღებლობის გამო, რომელთა მიღების ვალდებულებაც მას საერთაშორისო სამართლის მიხედვით აქვს.<sup>446</sup>

#### 6.1. სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი

ეკონომიკური ასპექტის მნიშვნელობა და შესაბამისად ეკონომიკური სამართლის კავშირი ოკუპაციის სამართალთან გამოიხატება იმ ფაქტით, რომ ჰააგის რეგულაციების თხუთმეტი მუხლიდან, რომელიც სამხედრო ოკუპაციის საკითხებს აწესრიგებს, თერთმეტი მხრივ ეკონომიკასთან დაკავშირებულ თემებს ეხება.<sup>447</sup>

რადგანაც ოკუპაცია ფაქტობრივი მდგომარეობაა და არა ნორმატიული კატეგორია, ამიტომ როგორც კი ტერიტორია უცხოელთა სამხედრო კონტროლის ქვეშ მოქალაქევა ოკუპაცია დამყარებულია და ოკუპანტი იქნება სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლით ოკუპანტი ძალისათვის განკუთვნილ უფლებებსა და მოვალეობებს. ამ უფლებამოსილების გამოყენება მოიცავს ფაქტობრივად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს, მათ შორის ეკონომიკისა და ფინანსების დარგებსაც. ფაქტობრივად ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული კანონები გავლენას ახდენს საკანონმდებლო სისტემის ყველა მიმართულებაზე, ეკონომიკური პროცესის, წარმოების, განაწილების, ფინანსებისა და მოხმარების სფეროების ჩათვლით და ამ სფეროებში მოქმედი წესები ავტომატურად ექვემდებარება

<sup>445</sup>Ibid, art.8.

<sup>446</sup>Mendes, M.F. *The Jerusalem Light Rail System: Symbolic Issue or International Responsibility of the French State?* in Guild Practitioner, vol.63,2006, p.222.

<sup>447</sup>Feilchenfeld, *supra*, n.7, p.9.

ოკუპანტის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებებს.<sup>448</sup>

ოკუპანტი ძალის საკანონმდებლო უფლებამოსილება კონკრეტულ შეზღუდვებს ექვემდებარება. ზოგიერთი მათგანი გამომდინარეობს პოზიტიური წესებიდან, რომელიც ავალდებულებს ოკუპანტს ადგილობრივი კანონების პატივისცემას, ფუნდამენტური ინსტიტუტების გარდაქმნის დაუშვებლობას, კერძო საკუთრების ხელყოფისაგან დაცვას და ა.შ.<sup>449</sup> ხოლო სხვა სახის შეზღუდვები კი ნებატიური წესის მიხედვით ყალიბდება, რომელიც ამტკიცებს, რომ ოკუპანტი ძალის ზოგიერთი ქმედება შესაძლოა არ იყოს დაკავშირებული მისი ლეგიტიმური ფუნქციების შესრულებასთან. ოკუპანტი არაა დაკავებული ტერიტორიის სუვერენი, ამიტომაც პააგის რეგულაციების მესამე ნაწილი საუბრობს ოკუპანტის “ძალაუფლებაზე” და არა “სუვერენიტეტზე”.<sup>450</sup> ეს საკითხი უფრო ვრცლად განხილულია ნაშრომის მეორე და მესამე თავებში.

იმდენად რამდენადაც ოკუპანტი ძალის უფლებამოსილება ემყარება მის უფლებას დაიცვას საკუთარი სამხედრო ინტერესები და ასევე ვალდებულებას უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება, ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოკუპანტი ვერ ჩაერევა წმინდა კერძო ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებში.<sup>451</sup> თუმცა საჯარო წესრიგის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულება შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში მოიაზრებდეს ასევე ოკუპანტი ძალის მიერ ეკონომიკის სფეროში (რომელიც კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს) რაიმე სახის სამართლებრივი რეგულაციებისა თუ ადმინისტრაციული პრაქტიკის შემოღებას იმისათვის, რომ შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება.

პააგის რეგულაციები პირდაპირ არ ეხება ტრანსნაციონალური კომპანიების კომერციულ საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე. პააგის სამართალი აწესრიგებს მხოლოდ ოკუპანტ ძალასა და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შორის წარმოშობილ ყველა შესაძლო ეკონომიკურ ურთიერთობის საკითხს. ამიტომაც საჭირო ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე კომერციული კომპანიების ბიზნეს საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს დასადგენად საერთაშორისო სამართლის სხვა დარგების წესების გამოყენება.

<sup>448</sup>Ibid, p.86-87.

<sup>449</sup>Hague regulations, *supra*. n.10. articles 43 et. al.

<sup>450</sup>ი. დეტალურად: Greenwood, C. (ed.) *Essays on War in International Law*, London, 2006, p.357.

<sup>451</sup>Feilchenfeld, *supra*, n.7, p.92.

### 6.1.1. სამხედრო ოკუპაციის დროს ეკონომიკური აქტივობის მომწესრიგებული სამართლებრივი ნორმები

საერთაშორისო სამართალი მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავებისას ოკუპანტ სახელმწიფოს აძლევს ამ ტერიტორიის აღმინისტრირების უფლებას და შესაბამისად აღიარებს, რომ ოკუპანტ ძალას აქვს დაკავებული ტერიტორიის მართვისათვის საჭირო უფლებამოსილებაც.<sup>452</sup> კონვენციური წესების არარსებობის პირობებში, არსებული პრაქტიკა და სამხედრო სახელმძღვანელოებიც მიუთითებს რომ ბიზნეს საქმიანობის რეგულირებაში ოკუპანტ ძალას საკმაოდ ფართომასშტაბიანი როლი აკისრია. ზოგადი წესის თანახმად დამკვიდრებულია შეხედულება, რომ ოკუპანტ ძალას შეუძლია კერძო ბიზნესის სფეროს ხელმძღვანელობა და რეგულირება მისთვის სასურველი ნებისმიერი ფორმით (კანონის ფარგლებში) საკუთარი სამხედრო საჭიროებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების სასიკეთოდ.<sup>453</sup> თუკი ოკუპანტი რომელიმე სამეწარმეო დაწესებულების საქმიანობას საჭიროდ მიიჩნევს, იგი როგორც წესი ნებას რთავს ასეთ დაწესებულებას გააგრძელოს თავისი აქტივობები, ხოლო თუკი მეორეს მხრივ ასეთი აქტივობა მოსახლეობის ან ოკუპანტი ძალის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, ოკუპანტს შეუძლია შეაჩეროს ამ კომპანიის საქმიანობა.<sup>454</sup>

თუკი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო პოტენციალი არ იქნა საკმარისი ადგილობრივი მოსახლეობის ან ოკუპანტი ჯარის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ამ უკანასკნელს ეძლევა უფლება გაზარდოს წარმოება სპეციალური ზომების მიღების გზით, რაც შესაძლოა მოიცავდეს ადგილობრივ ბაზარზე უცხოური კომპანიების შემოყვანის ნებართვის გაცემასაც. ასეთი ქმედების კანონიერება დადგინდება ოკუპანტი ძალის იმ ვალდებულების მხედველობაში მიღებით, რომლის მიხედვითაც იგი მოვალეა ადადგინოს ხორმალური ცხოვრების პირობები თკუპირებულ ტერიტორიაზე და უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და ზოგადად ბიზნეს აქტივობების ხორმალურ მდგომარეობაში დაბრუნება რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში.

საერთაშორისო სამართალი ოკუპანტი ძალისაგან მოითხოვს ისეთი აღმინისტრაციის დაფუძნებას, რომელიც ლეგიტიმური მთავრობის ზოგიერთ ფუნქციას სრულად შეითავსებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი აღმინისტრაციის ჩამოყალიბებისას, უენევის მე-4 კონვენცია და პააგის რეგულაციებიც ოკუპანტ ძალას უდერნენ გარკვეულ შეზღუდვებს, რომელთა ძირითადი მიზანია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისათვის მინიმალური პუმანიტარული დაცვის გარანტიების შექმნა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამგვარი მინიმალური დაცვა არ უტოლდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებში მოცემულ დაცვის სტანდარტს. უენევის მე-4 კონვენცია და პააგის რეგულაციებიც კრძალავენ

<sup>452</sup> Greenwood, *supra*, n.450, p.358.

<sup>453</sup> von Glahn, *supra*, n.94, p.207.

<sup>454</sup> *Ibid.*

ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკის იმგვარ გამოყენებას, რომელიც გამიზნულია ოკუპანტი ძალის ქვეყნის მოგებისაკენ. გაცვლითი კურსის, ბრუნვაში ჩასაშვები ფულის ოდენობის, ვაჭრობის პირობების და სხვა მსგავსი საკითხების დადგენისას ოკუპანტი ძალა უნდა ცდილობდეს ოკუპირებული ტერიტორიის კარგი ეკონომიკური მმართველობის უზრუნველყოფას და არა საკუთარი “ბუდის მოთბობას.“<sup>455</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში, ოკუპანტი ძალის უფლებამოსილება შეცვალოს არსებული ეკონომიკური სისტემა ისე რომ უზრუნველყოს უცხოური კომპანიების ადგილობრივ ბაზარზე დაშვება, შესაძლოა გამომდინარეობდეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციიდან. მაგალითად, ერაყის კოალიციური მთავრობა (CPA) აცხადებდა, რომ ტრანსფორმაციული ეკონომიკური რეფორმების უფლებამოსილება მიღებული პქონდა უშიშროების საბჭოს №1483 რეზოლუციით, რომელიც, *inter alia*, ნებას რთავდა CPA-ს მიეღო ყველა საჭირო ზომა, რათა „უზრუნველეულ ერაყის ხალხის კეთილდღეობა ტერიტორიის ეფექტური ადმინისტრირების გზით, მათ შორის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების გაუმჯობესების ჩათვალით.“<sup>456</sup>

დასაწყისშივე CPA-მ გამოაცხადა რომ ერაყის ეკონომიკის გარდაქმნა კოალიციის უპირველესი პრიორიტეტი იყო.<sup>457</sup> გატარებულმა ცვლილებებმა მართლაც რადიკალურად შეცვალა ერაყის ცენტრალური დაგეგმარებითი ეკონომიკა. CPA-მ მიიღო უცხოური ინვესტიციების კანონი, რითაც უცხოელ კომპანიებს მიეცათ უფლება შეეძინათ ნებისმიერი ერაყული საწარმოს 100%-მდე წილი, გარდა ბუნებრივი რესურსების, საბანკო და სადაზღვეო სფეროში მოქმედი დაწესებულებებისა.<sup>458</sup> ერაყის საკორპორაციო კანონმდებლობა საფუძვლიანად შეიცვალა, ზოგიერთი დებულების მოქმედება საერთოდ შეჩერდა და კანონს დაემატა ახალი ნორმები.<sup>459</sup> ამის შედეგად უცხოელ პირებსა და კორპორაციებს მიეცათ ერაყში კომპანიის დაფუძნების, წილის ფლობისა და პარტნიორად მუშაობის უფლება.<sup>460</sup>

რაც შეეხბა სახელმწიფოსა და კომპანიას შორის ოკუპაციამდე არსებული ურთიერთობის განვითარებითობას, ოკუპანტი ძალა არაა მოვალე ავტომატურად აიღოს ის ვალდებულებები, რაც განდევნილ სუვერენის პქონდა კონკრეტულ კომპანიასთან მიმართებით. ყოფილი სუვერენის მიერ კომპანიისათვის მიცემული კონცესიის (დათმობის) საკითხთან დაკავშირებით, უმეტესი წყაროები იშველიებენ მნიშვნელოვან საქმეს *Societe Anonyme du Canal de Blaton a Ath c. Etat Allemand*, რომელიც გერმანულ-

<sup>455</sup>HCJ 393/82 *A Teachers' Housing Cooperative v. The Military Commander of the Judea and Samaria Region* in IYHR, vol.14, 1984, p.301.

<sup>456</sup>UN SC res. 1483 (2003) para.4.

<sup>457</sup>Fox, G.H. *Humanitarian Occupation*, Cambridge, 2008, p.262.

<sup>458</sup>Foreign Investment – Coalition Provisional Authority Order No. 39 CPA/ORD/19September2003/39 (September 19, 2003), paras.4(2), 6(1).

<sup>459</sup>Amendment to the Company Law No.21 of 1997 - Coalition Provisional Authority Order No. 64 CPA/ORD/29February2004/39 (February 29, 2004), paras. 4(2), 6(1).

<sup>460</sup>Ibid, para. 1(14).

ბელგიურმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განიხილა 1926 წელს. საქმე ეხებოდა ბელგიის მიერ კომპანიისათვის მიცემულ კონცესიას, რომლის მიხედვითაც ამ კომპანიას მართვაში გადაეცემოდა კონკრეტული არხი სპეციალური სატარიფო პირობებით, რომელიც მთავრობას უნდა გადაეხადა ამ არხის გამოყენებისათვის. საოკუპაციო რეჟიმმა კომპანიას შეთანხმებული ტარიფის მხოლოდ 40% გადაუხადა და ტრიბუნალმაც უარყო კომპანიის მოთხოვნა დარჩენილ 60%-ზე იმ მოტივით, რომ ოკუპანტი ძალა არც რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესულა კომპანიასთან, არც ბელგიის მთავრობა ჩაუნაცვლებია ომის წინანდელ ხელშეკრულებებში.<sup>461</sup>

ლოგიკურად, ოკუპანტ ძალას აქვს უფლება დაარეგულიროს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გარე სამყაროს შორის მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობები. ეს უფლებამოსილება ასევე მოიცავს, საჭიროების შემთხვევაში, უცხოური ვაჭრობის სრულ შეზღუდვასაც. როგორც წესი, ოკუპირებულ არეალსა და მის მოკავშირე ქვეყნებთან ან სახელმწიფოს ნაწილობრივი ოკუპაციის შემთხვევაში, მის დარჩენილ ნაწილთან ყველანაირი კომერციული ურთიერთობა წყდება ოკუპაციის დაწყებისთანავე, თუმცა ეს მხოლოდ სახელმწიფოთა პრაქტიკის საფუძველზე ხდება და კონკრეტული სამართლებრივი წესი, რომელიც ამგარ ურთიერთობას დაარეგულირებდა არ არსებობს.

#### **6.12. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ ტრანსაციონალური კორპორაციების ადამიანის უფლებათა ვალდებულებები**

ზოგადი წესის მიხედვით, ოკუპირებული ტერიტორიის ფართომასშტაბიანი სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია, თუკი ეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით არაა დეტრმინირებული, ჰაგის რეგულაციების 43-ე მუხლის მიღმა რჩება. თუმცა, ზოგჯერ, მასიური ცვლილებები აკრძალულია ოკუპირებული სახელმწიფოს სრული დაშლის თავიდან ასაცილებლად, რადგან ოკუპაცია ხომ დროებითი ხასიათის ფაქტობრივი მოცემულობაა.<sup>462</sup> პრაქტიკაში, ძლიერი ოკუპანტი სახელმწიფოები ცდილობენ ოკუპირებული ტერიტორიის გარდაქმნას ისე რომ ადგილობრივ ინსტიტუტებს თავს მოახვიონ ოკუპანტისთვის სასურველი ეკონომიკური და პოლიტიკური ნორმები. ამგარი ქმედებების გამართლება, როგორც წესი, ხდება ჰუმანიგარულობის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნებზე მითითებით.<sup>463</sup> თუმცა ხანდახან ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით განხორციელებული ქმედებები თავად იქცევა ხოლმე ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის წყაროდ. მაგალითისთვის, რა შეიძლება მოხდეს, როდესაც ოკუპანტი ძალა გარდაქმნის ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკას ისე რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს ოკუპირებული ტერიტორიის ბაზარზე

<sup>461</sup> German-Belgian Mixed Arbitral Tribunal Award on Sosiete Anonime du Canal de Blaton a Ath c. Etat Allemand in RDTAM, no.5, 1926, p.712.

<sup>462</sup> Benvenisti, *supra*, n.26, pp.57-58.

<sup>463</sup> Thuo Gathii, J. War, *Commerce and International Law*, Oxford, 2010, p.87.

უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაციების დაშვება ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის მოტივით, ხოლო აღნიშნული კომპანიები კი თავად არდვევენ ადამიანის უფლებებს, როგორიცაა მაგალითად თვითგამორკვევა, ეკოლოგიური უფლებები, შრომითი უფლებები და სხვ.

მიუხედავად დოკუმენტების, ანგარიშებისა თუ აკადემიური ლიტერატურის სიმრავლისა, რომელიც მიუთითებს რომ კორპორაციებს უნდა დაეკისროთ პირდაპირი სამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დარღვევისათვის, საერთაშორისო სამართალში მსგავსი პასუხისმგებლობის ნორმებს პირდაპირ არ ვხვდებით. ეს გარკვეულწილად განპირობებულია იმითაც, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი განვითარდა პირთა სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო ჩარევისაგან დასაცავად. შესაბამისად, ის ადამიანის უფლებათა დაცვას ავალდებულებს მხოლოდ სახელმწიფოებს და კორპორაციების თუ სხვა არასახელმწიფოებრივი აქტორების ექსტრატერიტორიული ქმედებებით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე პასუხისმგებლობის დაწესება ადამიანის უფლებათა სამართლის მიღმა რჩება.<sup>464</sup>

ადამიანის უფლებებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა ბიზნეს ერთეულების დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა შეადგინა კორპორაციების ადამიანის უფლებათა ვალდებულებების საბაზისო წესები, ეწ. "გაეროს ნორმები", რომელშიც სპეციალურმა წარმომადგენელმა დააწესა კორპორაციების "ვალდებულება რომ პატივი სცენ" ადამიანის უფლებებს.<sup>465</sup> ამ კუთხით, ნორმები კომპანიების ეკონომიკურ ფუნქციას მიიჩნევს, როგორც "ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულების" საწყის წერტილად.<sup>466</sup>

შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტანდარტი ვრცელდება ბიზნეს ერთეულებზე, ისევე როგორც სხვა ყველაზე.<sup>467</sup> საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს ბიზნეს პერსონალის დაცვას იმდენად, რამდენადაც ისინი არ იღებენ პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტში, ასევე სამართალი იცავს ფინანსურ აქტივებსა და ინვესტიციებს. ამავდროულად ის ბიზნეს პერსონალს აკისრებს

<sup>464</sup>Bianchi, A. (ed.) *Non-State Actors and International Law*, England/USA, 2009, p.506.

<sup>465</sup>On 16 June 2011 the Human Rights Council in its resolution 17/4 unanimously endorsed the Guiding Principles on Business and Human Rights for implementing the United Nations "Protect, Respect and Remedy" Framework. The Guiding Principles were prepared by the former Special Representative of the Secretary General on human rights and transnational corporations and other business enterprises, Professor John Ruggie.

<sup>466</sup>Weiler, T., Baetens, F. (ed.) *New Directions in International Economic Law: In Memoriam Thomas Walde*, Leiden/Boston, 2011, p.239.

<sup>467</sup>The Corporate Responsibility to Respect Human Rights, an interpretive guide. United Nation's Office of High Commissioner on Human Rights, New York and Geneva, 2012, available at:

[www.ohchr.org/Documents/Issues/Business/RtRInterpretativeGuide.pdf](http://www.ohchr.org/Documents/Issues/Business/RtRInterpretativeGuide.pdf) [ბოლოს ნანახია 07.04.2016] p.12.

ვალდებულებას არ დაარღვიონ საერთაშორისო პუმანიტარული სამართალი წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გათვალისწინებული იქნება სამოქალაქო თუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ მხრივ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნეს კომპანიების საერთაშორისო პუმანიტარული სამართლიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.<sup>468</sup>

როგორც დგინდება, კონვენციური ნორმების არარსებობის პირობებში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული კომპანიების ქმედებებზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ “რბილი სამართლის” ნორმებით ან სხვადასხვა ფართო ინტერპრეტაციისა და კონსტრუქციების გზით ოკუპაციის საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში მოქმედ ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით.

## 6.2. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ოჯაზირუებულ ტერიტორიებზე მოქმედი კომპანიების საქმიანობიათვის

### 6.2.1. პირდაპირი პასუხისმგებლობა

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს კორპორაციის მიერ საერთაშორისო სამართადამრღვევი ქმედების სახელმწიფოსადმი მიკუთვნებას თუ შემთხვევაში: (1) როდესაც სახელმწიფო გადასცემს კორპორაციას საჯარო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილებას ან (2) როდესაც კორპორაცია მოქმედებს სახელმწიფოს ინსტრუქციით, მითითებითა ან მისი კონტროლის ქვეშ. ორივე შემთხვევაში, კორპორაციის ქმედება მიეწერება სახელმწიფოს, თუნდაც ის ეროვნული იურისდიქციის ტერიტორიის გარეთ იყოს ჩადენილი.

თუმცა კორპორაციის ქმედება სახელმწიფოს არ მიეწერება *prima facie* მაშინაც კი, როდესაც ეს კორპორაცია სახელმწიფოს სრულ საკუთრებაშია ან ამ სახელმწიფოს გააჩნია მისი კონტროლის ინტერესი.<sup>469</sup> მხოლოდ ისეთი კორპორაციების ქმედება განიხილება სახელმწიფოს ქმედებად, რომელიც საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილებას ახორციელებს. საერთაშორისო სამართლის კომისიის მუხლები სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ ამბობს, რომ:

ისეთი ფიზიკური ან იურიდიული პირის ქმედება, რომელიც სახელმწიფო ორგანო არაა მე-4 მუხლის გაგებით, მაგრამ ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე დაღვევირებული აქვთ

<sup>468</sup>Business and International Humanitarian Law: An Introduction to the Rights and Obligations of Business Enterprises under International Humanitarian Law (International Committee of the Red Cross, 2006). *ob. alegge Mongelard, E. Corporate Civil Liability for Violations of International Humanitarian Law in IRRC*, vol.88, no.863, 2006.

<sup>469</sup>Articles on State Responsibility, *supra*, n.344, p.43.

სამთავრობო ხელისუფლების ელემენტები, საერთაშორისო სამართლის მიხედვით განიხილება სახელმწიფოს ქმედებად იმ დათქმით, რომ ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი კონკრეტულ განსახილვებს შემთხვევაში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედდება.<sup>470</sup>

იმისათვის, რომ კორპორაციის ქმედება სახელმწიფოს მიეწეროს სადაც ქმედება ჩადენილი უნდა იყოს კომპანიის “სამთავრობო ფუნქციების” განხორციელების ფარგლებში და არა რამე სხვა კომერციული აქტივობის დროს.<sup>471</sup> სამთავრობო ფუნქციები მოიაზრებს ფართო წრეს დაწყებული ციხეების, ჯანდაცვისა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვით,<sup>472</sup> დამთავრებული კერძო ავიაკომპანიებით, რომელთაც გადაეცემათ იმიგრაციის ან კარანტინის განხორციელების უფლებამოსილება,<sup>473</sup> და კორპორაციებით, რომელთაც სახელმწიფომ დაავალა საექსპორტიაციო ქონების იდენტიფიცირება.<sup>474</sup> ქმედების სახელმწიფოსათვის მიკუთვნების დასადგენად მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია სამთავრობო ფუნქციების შესრულება კომპანიის მიერ და არა სახელმწიფოს მიერ ამ კომპანიის საკუთრების მასშტაბით.<sup>475</sup>

ზემოთ აღწერილი სიტუაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ავსტრალიური კომპანიის AWB Ltd ოპერირება ოკუპირებულ ერაყში. აღნიშნული კორპორაცია, რომელიც ავსტრალიის სამთავრობო სააგენტო იყო, პრივატიზაციის შემდეგაც ინარჩუნებდა სამთავრობო ფუნქციებს, როგორიცაა ავსტრალიური ხორბლის მარკეტინგი და ექსპორტი საზღვარგარეთ. AWB აქტიურად იყო ჩართული გაერო-ს მიერ მართული “ერაყის ნავობი საკვებისათვის” პროგრამაში,<sup>476</sup> როგორც საკვების ყველაზე მსხვილი მომმარაგებელი. ამ პროგრამის მონიტორინგისას ჩატარებული გამოძიებით, *inter alia*, დგინდებოდა AWB-ს მიერ ერაყის ოფიციალური პირების სავარაუდო მოქრთამვის ფაქტები გაერო-ს რეზოლუციების საწინააღმდეგოდ ავსტრალიური ხორბლისათვის შესყიდვებში უპირატესობის მიცემის მიზნით, რაც პირდაპირ არღვევდა ერაყელი ხალხის უფლებებს, მაგ. როგორიცაა საკვების უფლება. აღნიშნული ბრალდებები დაადასტურა როგორც სამუფო კომისიამ, ასევე ავსტრალიის სასამართლომაც, მაგრამ საკითხი – მიეწერებოდა თუ არა კორპორაციის ქმედებები ავსტრალიის მთავრობას – გადაუწყვეტელი დარჩა.<sup>477</sup>

<sup>470</sup>Ibid, art.5.

<sup>471</sup>Supra, n.469.

<sup>472</sup>McBeth, A. *Privatising Human Rights: What Happens to the State's Human Rights Duties when Services are Privatised?* in Melbourne Journal of International Law, no.5, 2004, p.133.

<sup>473</sup>Supra, n.469.

<sup>474</sup>Hyatt International Corporation v. Islamic Republic of Iran (1985) in Awards of Iran-US Claims Tribunal, vol.9, pp.88-94.

<sup>475</sup>Supra, n.469.

<sup>476</sup>ეს პროგრამა შეიქმნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე. UN SC res. 986 (14 April 1995).

<sup>477</sup>Bianchi, supra, n.464, p.514.

მეორე შემთხვევაა, როდესაც კორპორაცია არ ახორციელებს სამთავრობო ფუნქციებს, ან ვერ დგინდება მის მიერ ამგვარი ფუნქციების განხორციელება, მაგრამ ის მოქმედებს სახელმწიფოს ინსტრუქტაჟის, მითითებებისა და კონტროლის ქვეშ. ასეთ დროს განხორციელებული ნებისმიერი ქმედება მიეწერება სახელმწიფოს თუკი ეს სადაც ქმედება პირდაპირ სახელმწიფოს მითითებით იყო განხორციელებული და არ ყოფილა ინციდენტური ხასიათის.<sup>478</sup> სადაც ქმედების სახელმწიფოსადმი მიკუთვნების დასადგენად მხედველობაში მიიღება სახელმწიფოს მიერ კორპორაციის ექსტრატერიტორიულ ქმედებებზე კონტროლის ხარისხი. ამ მხრივ უვალაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ICJ-ის მიერ განხილული ნიკარაგუას საქმე, რომელშიც სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ უფასვიანი კონტროლის შემთხვევაში წარმოიშობა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არასახელმწიფოებრივი აქტორების ქმედებისათვის.<sup>479</sup>

როდესაც კორპორაცია მოქმედებს მშობელი სახელმწიფოს ინსტრუქციების მიხედვით, საჭირო აღარა ეს ქმედება სამთავრობო ფუნქციების შესრულებასთან იყოს დაკავშირებული, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ის სახელმწიფოს მიეწერება. საერთაშორისო სამართლის კომისიას მოჰყავს მაგალითი დამხმარე და მოხალისეობრივი გასამხედროებული რაზმებისა, რომელიც იგზავნება მეზობელ სახელმწიფოში რაიმე მისიის შესრულების მიზნით და მოქმედებს გამგზავნი სახელმწიფოს ინსტრუქციებით და მის კონტროლს ქვეშ.<sup>480</sup> ეს საკითხი საკმაოდ თვალსაჩინოდ იქცა ერაყში საოკუპაციო ძალების უკანონო ქმედებების გამუდავნებისას, როდესაც საოკუპაციო ჯარების მიერ დაქირავებული კერძო კომპანიები სხვადასხვა სახის მომსახურების უზრუნველყოფას ახორციელებდნენ.<sup>481</sup> აბუ გრეიიბის ინციდენტის გახმაურების შემდეგ უკვე ნათელი გახდა, რომ ოკუპაციის სამართლით აკრძალულ უკანონო ქმედებებს რიგ შემთხვევებში სწორედ კერძო კომპანიები ახორციელებდნენ.<sup>482</sup> ამგვარი კორპორაციებისათვის ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესრულების დავალდებულება ეროვნული კანონმდებლობით არაეფექტური აღმოჩნდა. თუმცა ადამიანის უფლებათა სამართლის კუთხით გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია კორპორაციების მხრიდან ჩადენილი მასობრივი დარღვევებისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დადგეს. როგორც სასამართლომ განაცხადა შეიარაღებული მოქმედებების საქმეში, ადამიანის უფლებათა კონვენციების მოქმედება ვრცელდება სახელმწიფოთა ქმედებებზე მაშინაც კი, როდესაც ამ სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო აქტორების კონტროლის ხარისხი ოკუპანტ ძალაზე დაბალიცა.<sup>483</sup>

<sup>478</sup> *Articles on State Responsibility*, supra, n.344, pp.47-49.

<sup>479</sup> *Nicaragua case*, supra, n.345, paras. 109-115.

<sup>480</sup> *Articles on State Responsibility*, supra, n.344, part II.

<sup>481</sup> Schmitt, M. *Humanitarian Law and Direct Participation in Hostilities by Private Corporations or Civilian Employees* in Chicago Journal of International Law, 2005, p.511.

<sup>482</sup> Bina, M. *Private Military Contractor Liability and Accountability after Abu Ghraib* in John Marshall Law Review, no.39, 2005, p.1237.

<sup>483</sup> *Armed Activities case*, supra, n.323, paras.178-180.

ზემოთ აღნიშნულ ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს დაეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა კერძო კორპორაციებისა და კომერციული კომპანიების ქმედებებისათვის თუკი ისინი აღჭურვილნი არიან სამთავრობო ფუნქციებით ან მოქმედებენ სახელმწიფოს პირდაპირი კონტროლის ქვეშ ან მისი ინსტრუქციებითა და მითითებებით და მათი ქმედებები არღვევს საერთაშორისო პუმანიტარულ სამართალს ან ადამიანის უფლებათა სამართალს. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაშიც დაეკისრება, თუკი კერძო კორპორაცია გასცდა სახელმწიფოსაგან მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებს ან განსხვავებულად შეასრულა სახელმწიფოს ინსტრუქციები.<sup>484</sup>

## 6.2.2. ირიბი პასუხისმგებლობა, “წინდახედულობის” პრინციპი

საერთაშორისო სამართალში ყველა სახელმწიფო ვალდებულია იმოქმედოს ისე, რომ თავისი მოქმედებით არ გამოიწვიოს ზიანი საკუთარი ტერიტორიის გარეთ (*Rainbow Warrior*-ის საქმე). არსებობს მოსაზრება, რომ როდესაც სახელმწიფოსათვის ცნობილია მისი მოქალაქეების (ფიზიკური და იურიდიული პირების) ქმედებების საზიანო ხასიათი სხვა ქვეყნებისა თუ ხალხებისათვის, სახელმწიფოს აქვს ზოგადი ვალდებულება რომ მოახდინოს ამგვარი ზიანის პრევენცია, როდესაც მას შეუძლია სადაც ქმედების გაკონტროლება.<sup>485</sup>

წინდახედულობის ვალდებულება ექსტრატერიტორიული განზომილებისაცაა. სახელმწიფო შესაძლოა პასუხისმგებელი იყოს თავისი ორგანოების ქმედებისათვის, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს თავისი ეროვნული ტერიტორიის მიღმა. კორპორაციების ექსტრატერიტორიულ ქმედებებზე სახელმწიფოს მხრიდან წინდახედულობის გამოქენა მისი ზოგადი ვალდებულების განუყოფელი ნაწილია, რადგან დაფუძნების სახელმწიფოსგან ეროვნულ იურისდიქციის მიღმა განხორციელებული ქმედებების გარკვეული მასშტაბით რეგულირების არარსებობის პირობებში, ასეთი კორპორაციები ადვილად აარიდებენ თავს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს თავიანთი ბიზნეს აქტივობების ოფშორულ ან კონფლიქტურ ზონებში გადატანით (მაგ. როგორიცაა ოკუპირებული ტერიტორიები), სადაც ადამიანის უფლებათა ვალდებულებები ნაკლებად სრულდება.

გარდა ამისა, ყველა სახელმწიფო, რომელთაც რატიფიცირებული აქვს საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, ვალდებულია გარკვეულ გარემოებებში დაარეგულიროს თავისი კერძო კორპორაციების ექსტრატერიტორიული ქმედებები. მაგალითად, თუკი კორპორაცია არღვევს ICESCR-ით დაცულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას ეროვნული ტერიტორიის მიღმა, ამ კორპორაციის დაფუძნების

<sup>484</sup> Articles on State Responsibility, *supra*, n.344, art.7.

<sup>485</sup> Bianchi, *supra*, n.464, p.524-25.

სახელმწიფო ვალდებულია დაარეგულიროს, გამოიძიოს და თუ საჭირო გახდა აღასრულოს მართლმსაჯულებაც ტრანსნაციონალური კომპანიის ასეთი ქმედებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებების დარღვევის სიმძიმის ზღვარი (*threshold of gravity*) სახეზეა.

მართლაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმდენად რამდენადაც კომპანიის რეგისტრაციის სახელმწიფოს აქვს თავისი კორპორაციის ექსტრატერიტორიული ქმედებების გაკონტროლების გარკვეული მექანიზმები და საშუალებები, როდესაც ამ სახელმწიფოს აქვს საკმარისი ინფორმაცია კომპანიების ქმედებებით გამოწვეული შესაძლო ზიანის შესახებ, იგი ვალდებულია მოახდინოს ამ ზიანის პრევენცია და რისკის შემცირება მაგ. შიდა კანონმდებლობის მიღების გზით. პრევენციული ზომების მიუღებლობა კი ჩაითვლება წინდახედულობის პრინციპის დარღვევად, რაც სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენების მიზეზი შეიძლება გახდეს.<sup>486</sup>

ზემოთ მოყვანილი სიტუაციის ამსახველი შემთხვევა შეიძლება იყოს რომელიმე სახელმწიფოში დაფუძნებული კორპორაციის მიერ კონფლიქტურ ზონაში, შეუმდგარ სახელმწიფოში, დიქტატორული რეჟიმის ქვეყანაში ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე ინვესტიციის განხორციელება და ამ მიზნით მასპინძელი სახელმწიფოს ან ოკუპანტ რეჟიმთან ბიზნეს და სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა. ასეთ დროს ტერიტორიული სახელმწიფო (სადაც ხორციელდება ბიზნეს აქტივობები) შესაძლოა უძლური აღმოჩნდეს ან არ სურდეს ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენცია ან თავად იყოს ამგვარ დარღვევებზე პასუხისმგებელი, შესაბამისად ამგვარი დარღვევების უკან მოიაზრება ტრანსნაციონალური კომპანიის ჩართულობაც, რომელიც სამთავრობო რეჟიმთან არის შეთანხმებული.

ზოგადი წესის მიხედვით, სახელმწიფოში დაფუძნებული კორპორაცია კვლავ რჩება ამ სახელმწიფოს იურისდიქციული კონტროლის ქვეშ მაშინაც კი როდესაც ის შედის უცხო სახელმწიფოს ან ოკუპირებული ტერიტორიის ბაზარზე, თუმცა ამავდროულად ის ექცევა მიმღები სახელმწიფოს ან ოკუპანტი ბალის იურისდიქციის ქვეშაც. აქედან გამომდინარე, როგორც მინიმუმ *jus cogens* ნორმებთან მიმართებით, დაფუძნების სახელმწიფომ უნდა განახორციელოს იმ მასშტაბის კონტროლი, რაც საჭიროა მისი კორპორაციების მიერ საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების დარღვევის პრევენციისათვის. *Erga omnes* ვალდებულების მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა წარმოიშობა ნებისმიერი ისეთი ქმედებისათვის, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ სახელმწიფოს ქმედებასთან ან ქმედებისაგან თავის შეკავებასთან გაიგივდება.<sup>487</sup> აქედან გამომდინარე კორპორაციის ქმედება განიხილება სახელმწიფოს ქმედებად, თუკი ეს უკანასკნელი არ მოახდენს

<sup>486</sup>Ibid, p.525-26.

<sup>487</sup>Scott, C. (ed.) *Torture as Tort: Comparative Perspectives on the Development of Transnational Human Rights Litigation*, Oxford/Portland, 2001, chapter 18.

სადავო ქმედების პრევენციას, მაშინ როდესაც მისთვის ცნობილია ამ ქმედების საზიანო ხასიათი.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ადამიანის უფლებათა გალდებულებების შესახებ ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს ფორმულას “დაცვა, აატივისცემა, ანაზღაურება”. დაცვის ელემენტი ძირითადად მოიაზრებს სახელმწიფოთა უპირველეს ვალდებულებას დაიცვან ადამიანის უფლებები, მეორე “პატივისცემის” კომპონენტი მოქმედებს კერძო კორპორაციებზე, რომელთაც ევალებათ ადამიანის უფლებათა პატივისცემა, ხოლო “ანაზღაურება” გულისხმობს შელახული უფლებებისათვის რაიმე სამართლებრივი დაკმაყოფილების მიღებას, ეს შეიძლება მოხდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო კორპორაციის მხრიდანაც.<sup>488</sup>

სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება რომ დაიცვან, შეასრულონ და პატივი სცენ ადამიანის უფლებებს. დაცვის ვალდებულება ასევე მოიცავს ხალხის დაცვას კერძო აქტორების მხრიდან მათი უფლებების სავარაუდო დარღვევისაგან. კორპორაციების ქმედებებისათვის სახელმწიფოებზე ირიბი პასუხისმგებლობის დაკისრება ავალდებულებს მათ, რომ შესაბამისი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ზომების მიღების გზით უზრუნველყონ თავიანთ ტერიტორიაზე დარგისტრირებული კომპანიების ქმედებების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლოთან შესაბამისობაში მოყვანა, მაშინ როდესაც ეს კომპანიები ოპერირებენ ეროვნული ტერიტორიის მიღმა (მაგ. სხვა სახელმწიფოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე). სწორედ ამ გზით შეასრულებს სახელმწიფო თავისზე დაკისრებულ დაცვის ვალდებულებას.<sup>489</sup>

### 6.3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი კომუნიული კომპანიების პასუხისმგებლობის ხაյտხო

#### 6.3.1. წინდახედულობა კომპანიებთან მიმართებაში

კონფლიქტურ რეგიონებში ბიზნესის ოპერირებისას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკი საკმაოდ მაღალია და შესაბამისად სახელმწიფოებმა თავიდანვე უნდა გააფრთხილონ კომპანიები ბიზნეს საქმიანობის შედეგად ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევისა და მათი სამართლებრივი შედეგების შესახებ. სახელმწიფოებმა ასევე უნდა შეამოწმონ აქვთ თუ სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირების ეფექტური პოლიტიკა, კანონმდებლობა და აღსრულების მქანიზმი, მათ შორის ბიზნეს აქტორებისათვის წინდახედულობის პრინციპის გამოყენების ვალდებულების დაკისრება იმისათვის რომ ამ უკანასკნელმა თავად მოახდინოს რისკ-ფაქტორების შეფასება. სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკა ასევე შეიძლება მოიაზრებდეს მის იურისდიქციაში დაფუძნებული კომპანიისათვის სამოქალაქო,

<sup>488</sup>Supra, n.466, pp.400-403.

<sup>489</sup>Dine, J. *Companies, International Trade and Human Rights*, Cambridge, 2005, p.179-180.

ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ეროვნულ ტერიტორიას გარეთ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევისა ან ამგვარ დარღვევაში მონაწილეობისათვის.<sup>490</sup>

კომანიების მიერ საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის დარღვევის ფასი შეიძლება საქმაოდ მნშიშვნელოვანიც კი იყოს. ეს გამოიხატება კომპანიის საჯარო იმიჯისათვის ზიანის მიუნებაში, კომპანიის აქციების ფასის კლებასა და ოიგ შემთხვევებში მის თანამშრომელთა და ხელმძღვანელ პირთა ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში. ოოგორც ICRC-ის კვლევა მიუთითებს ომის დანაშაულების ჩადენისათვის უნდა დაისაჯონ არა მხოლოდ უშუალოდ შემსრულებლები და მათი ხელმძღვანელობა, არამედ ასევე თანამონაწილეც, ოოგელიც შესაძლოა ბიზნეს დაწესებულებაც კი იყოს.<sup>491</sup> აღნიშნული კვლევის თანახმად:

ბიზნეს კომპანიებმა არ უნდა გამორიცხონ მათ წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურების განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ იმიტომ რომ ქვეყანაში, რომელშიც ისინი ოპერირებენ ნაკლებად ხავარაულოა ან არ ძალუდს სისხლის სამართლებრივ დეპნის განხორციელება. აქედან გამომდინარე ბიზნეს კომპანიების მიერ შეიარაღებული კონფლიქტისას განხორციელებული ხაჭიანობის რისკების შეფასებისას ამ კონფლიქტის კონტექსტში ჩადენილი დანაშაულებისათვის კორპორაციული თუ ინდივიდუალური ასუხისმგებლობის რისკი ფართო მნიშვნელობის ელემენტია.<sup>492</sup>

კორპორაციების მიერ ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის დარღვევით შელახული უფლების აღსადგენად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებაც გამოიყენება.<sup>493</sup> სოფელ ბილ'ინის საქმე, ოოგელიც კანადის სასამართლო განიხილა, ამ მხრივ მნიშვნელოვანია. მომჩინანი დავობდა, რომ კანადური კომპანია *Green Park International* ჩართული იყო და ახალისებდა დასახლებების მშენებლობას სოფელ ბილ'ინში, ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე. კანადის სასამართლომ დაადგინა, რომ კორპორაციებს აქვთ ვალდებულება რომ აირიდონ თუნდაც ირიბი მონაწილეობა ოკუპანტი ძალის მიერ მე-4 კონვენციის დარღვევაში და რომ ამ კონვენციაში მოცემული ვალდებულებები მხოლოდ მაღალ ხელშემკვრელ მხარეებზე არ ვრცელდება.<sup>494</sup>

<sup>490</sup>UN HRC, Report of the Special Rapporteur on the situation of human rights in the Palestinian territories occupied since 1967, A/67/379 (2012) para.32.

<sup>491</sup>Business and International Humanitarian Law: An Introduction to the rights and obligations of business enterprises under international humanitarian law. International Committee of the Red Cross (2006). Available at: [www.icrc.org/eng/assets/files/other/icrc\\_002\\_0882.pdf](http://www.icrc.org/eng/assets/files/other/icrc_002_0882.pdf), p. 26 [ბოლოს ნანახია 07.04.2016].

<sup>492</sup>*Ibid.*

<sup>493</sup>Supra, n.490, para.35.

<sup>494</sup>*Bil'in v. Green Park International and Green Mount International*, Québec Superior Court, Canada, Judgment of 18 September 2009, no. 500-17-044030-081.

სადავო პერძო კომპანიებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვაზე წინდახედულობის ნორმების სავალდებულო ხასიათის აღიარება. წინდახედულობის პრინციპის არსი ეფუძნება სამართლებრივი და ფინანსური პასუხისმგებლობის რისკის გამორიცხვას, რომელიც ჩრდილს მიაყენებს ბიზნეს საქმიანობას.<sup>495</sup> ანალოგიურად ადამიანის უფლებათა დაცვაზე წინდახედულობის პრინციპის გამოყენება კომპანიის საერთაშორისო სამართლის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის რისკს ამცირებს.<sup>496</sup> თუმცა სახელმწიფოსგან განსხვავებით კორპორაციებს ამგარი წინდახედულობის ნორმების გათვალისწინების ვალდებულება არ გააჩნიათ, არამედ ეს მათ ნებაზეა დამოკიდებული.

### 6.3.2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ომის დანაშაულებისათვის კორპორაციული პასუხისმგებლობა პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ნიურნბერგის ტრიბუნალზე იქნა აღიარებული. გერმანიის ცნობილი კორპორაციების დირექტორები, მმართველები და გაყიდვებში ჩართული პირები იქნენ დასჯილი ომში მათ მიერ შეტანილი წვლილის გამო. ინდუსტრიის წარმომადგენლების გასამართლების ერთ-ერთი მოტივი იყო ნაციისტური რეჟიმის კოლექტიური სახის ნათლად წარმოჩენა, რადგან პოლოკოსტიც და სხვა დანაშაულებიც ჩადენილი იყო ნაციისტური ლიდერების მიერ მიღებული პოლიტიკის კვალდაკვალ სამხედროების, ბიუროკრატიული აპარატისა და საწარმოების მიერ. ტრიბუნალის მიერ რამდენიმე ასეთი საწარმო და ორგანიზაცია “დანაშაულებრივ ორგანიზაციად” გამოცხადდა და მისი წევრობისათვის გამოყენებულ-იქნა სასიკვდილო განაჩენი.<sup>497</sup> ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება ტერმინი “კომპანიის მიერ ჩადენილი დანაშაული”, რაც მიუთითებს რომ ინდივიდები (როგორც წესი კომპანიების დირექტორები) განიხილებოდნენ, როგორც “*pars pro toto*” კომპანიისათვის.<sup>498</sup>

<sup>495</sup> *Supra*, n.466, p.241.

<sup>496</sup> Muchlinski, P. *The Corporate Responsibility to Respect Human Rights: Implications for Corporate Regulations and Governance*, paper presented at the CBERN on Business and Human Rights Symposium, Toronto 25-28 February, 2010.

<sup>497</sup> Baars, G. *Corrie et al. v. Caterpillar: Litigating Corporate Complicity in Israeli Violations of International Law in the U.S. Courts* in Yearbook of Islamic and Middle East Law, no.11, 2004-2005, p.114.

<sup>498</sup> Clapham, commenting specifically on the Krupp trial, notes: "The language and reasoning of the tribunal indicates that it was the Krupp firm that was essentially at the heart of this set of convictions. A careful examination of the judgment reveals an acceptance of the notion that in some cases the corporation itself committed the war crime and its directors were being convicted for belonging to the organization that had committed a criminal act." (Clapham, A. *The complexity of international criminal law: Looking beyond individual responsibility to the responsibility of organizations, corporations and states*, in Thakur, R., Malcontent, P. (eds) *From Sovereign Impunity to International Accountability: The Search for justice in a World of States*, UNU Press, 2004, p.238). Indeed, it is argued that the selection of "representative" individuals for prosecution, and the attempted substitution of the Krupp director by his son, suggests that it was the organisations, rather than the individuals, that were the real target of the allies (*The Nuremberg trials: international law in the making*, in Sands, P., Booth, C. (eds.) *From Nuremberg to The Hague: The Future of international Criminal Justice*, Cambridge, 2001, pp.109-156).

პროკურორები გამიზნულად ცდილობდნენ კომპანიების დირექტორების გასამართლებას რათა ნათელი გაეხადათ ის როლი, რომელიც ამ დაწესებულებებმა ითამაშეს ომისა და ოკუპაციის პერიოდში და წარმოებინათ ის თანაგრძნობა, რომელსაც ეს კომპანიები ჰიტლერის რეჟიმის მიმართ ამჟღავნებდნენ. ინდუსტრიების სასამართლო პროცესებმა (*Flick*,<sup>499</sup> *IG Farben* და *Krupp*<sup>500</sup>) მიუთითა რომ კორპორაციები და პირები, რომლებიც ამ კორპორაციების სახელით მოქმედებდნენ “ომის მანქანის” ნაწილად და “ნაციზმის რეალურ ბოროტ ძალად” მიიჩნეოდნენ.

*IG Farben*-ის საქმეზე ტრიბუნალმა დაადგინა რომ კომპანიამ ჩაიდინა ომის დანაშაულები (ძარცვა, იძულებითი შრომის გამოყენება, აგრესიულ ომში მონაწილეობა) და დასაჯა მისი დირექტორები ინდივიდუალურად და კოლექტიურად. ოცდაოთხი დირექტორი დამნაშავედ იქნა ცნობილი ერთ ან რამდენიმე შემდგომ ბრალდებაში: ოკუპირებული ტერიტორიის ძარცვის, ფაბრიკა ქარხნების დაკავების გზით ჩადენილი ომის დანაშაულები და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ასევე მონობის, მონური შრომის მიზნით ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის და ომის ტყვეების საკონცენტრაციო ბანაკებში ფართომასშტაბიანი იძულებითი დეპორტაციის, “დამონებული” პირების არასათანადო მოპყრობის, დატერორების, წამებისა და მკვლელობის, SS-ის დანაშაულებრივ თრგანიზაციის წევრობის გზით ჩადენილი ომის დანაშაულები და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. იმავე საქმეში ტრიბუნალმა დაადგინა მოგების მოტივი, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის *mens rea* – ს ნაწილი, რაც უხეშად არდვევდა პააგის 1907 წლის რეგულაციებს.<sup>501</sup>

დიდი ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალმაც, საქმეში *The Zyklon B., შეიძუშავა საერთაშორისო დანაშაულებში კორპორაციის თანამონაწილეობის კონცეფცია*. მსჯავრდების შედეგად კომპანიის რამდენიმე დირექტორი სიკვდილით დასაჯეს იმ გაზის მიწოდებისათვის, რომლითაც ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკების გაზის კამერებში გუდავნენ დატევევებულ პირებს. ბრალდება მტკრებოდა პააგის რეგულაციების 46-ე მუხლს, რომელიც იცავს ინდივიდის ოჯახის, დირსებისა და სიცოცხლის უფლებას, ასევე კერძო საკუთრებისა და რელიგიური მსახურების უფლებას. განსახილველ საქმეში კი ტრიბუნალმა მუხლი განმარტა ისე, რომ მისი მოქმედება გავრცელდა ბრალდებულთა

<sup>499</sup>IMT, *The United States of America v. Friedrich Flick, et al. ('Flick')* in Substantive and Procedural Aspects of International Criminal Law: The Experience of International and National Courts, vol.2-2, 2000. Flick, owner of the Flick KG group of companies, was found guilty of war crimes and crimes against humanity by participating in the deportation and enslavement of the civilian populations of countries and territories under the belligerent occupation of or otherwise controlled by Germany, and of concentration camp inmates, for use in slave labour in Flick mines and factories, crimes and crimes against humanity through the plundering and spoliation of occupied territories, and the seizure of plants both in the west (France) and the east (Poland, Russia), and membership in the NSDAP and the "Circle of Friends of Himmier".

<sup>500</sup>IMT, *Trial of the Major War Criminals*, *supra*, n.13.

<sup>501</sup>*Supra*, n.497, p.116.

კომპანიების მიერ საქონლის (ამ შემთხვევაში გაზი) მიწოდებაზე, რომელიც გამოიყენებოდა დატვივებული პირების მოსაკლავად.<sup>502</sup>

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროპასა და შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს პოლოკოსტის მსხვერპლთა კომპანიას იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ნაცისტური ოკუპაციის დროს გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ომის დანაშაულებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის სხვა სერიოზულ დარღვევებში. ამ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რამდენიმე საქმეზე პოლოკოსტის გადარჩენილმა მსხვერპლებმა უჩივლეს კომპანიებს ოკუპაციის დროს მონური შრომის, ებრაელთა საკუთრების უკანონო ჩამორთმევისა და ისეთი პროდუქციის წარმოებისათვის, რომლის ერთადერთი მიზანიც ებრაელთა ფიზიკური განადგურება იყო.<sup>503</sup> ასეთი ეროვნული კანონმდებლობა ცხადყოფს, რომ ოკუპაციის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს კორპორაციების მხრიდან ზოგიერთი ადამიანის უფლების უხეში დარღვევა თავად ამ კომპანიებისთვისაა რისკის შემცველი და შეიძლება წამოშვას კომპანიისა და მისი ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი.<sup>504</sup> ასეთი რისკის თავიდან არიდების მიზნით, კომპანიები მოწოდებულნი არიან, რომ დაიცვან საერთაშორისო სტანდარტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მეშვეობით, რომელიც კორპორაციებს ავალდებულებს სოციალური ნორმების შესაბამისად ოპერირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შესაბამისი სამართლებრივი შედეგების დადგომას.<sup>505</sup>

კორპორაციები არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, შესაბამისად მათზე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები პირდაპირ არ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებს ეკისრებათ კერძო კომპანიების ქმედებების რეგულირების უპირველესი ვალდებულება, თუმცა ბოლოდროინდელი განვითარებები ცხადყოფს ამგვარი მიღვომის შეცვლის შესაძლებლობას.<sup>506</sup> ერთ-ერთი ასეთი მცდელობაა ე.წ. “გაეროს ნორმების” მიღება, რომელიც ვრცლადაა განხილული წინა ქვეთავში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კერძო კომპანიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება არ

<sup>502</sup>Trial of Bruno Tesch and Two Others ("The Zykion B Case"). British Military Court in Hamburg 1946, in United Nations War Crimes Commission, Law Reports of Trials of War Criminals, no.1, 1947, p.93.

<sup>503</sup>პოლოკოსტის მსხვერპლთა რესტიტუციასთან დაკავშირებული დავები აშშ-ში ob. *Deutsch v. Turner Corporation*, US Federal Appeal Court for 9th circuit, 2003, in Haberstroh, J. In re World War II Era Japanese Forced Labor Litigation and Obstacles to International Human Rights Claims in U.S. Courts in Academia.edu, p.3; *Bodner v. Banque Paribas*, nos. 97 CV 7433(SJ), 98 CV 7851(SJ), US District Court for the Eastern District of New York - 114 F. Supp. 2d 117 (2000); *Burger-Fischer v. Degussa*, Civil Action nos. 98-3958(DRD), 98-5019(DRD), 98-4252(DRD), 98-4468(DRD), US District Court for the District of New Jersey - 65 F. Supp. 2d 248 (1999).

<sup>504</sup>Alston, P. (ed.) *Non-State Actors and Human Rights*, Oxford, 2005, pp.192-193.

<sup>505</sup>Clapham, A. *Human Rights Obligations of Non-State Actors*, Oxford, 2006, p.195.

<sup>506</sup>McBarnet, D., Voiculescu, A., Campbell, T. (eds.) *The New Corporate Accountability: Corporate Social Responsibility and the Law*, Cambridge, 2007, p.433.

გულისხმობს ამ სფეროში მთავრობების ვალდებულებების „პრივატიზაციას”.<sup>507</sup> თავად „გაეროს ნორმებიც“ აცხადებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის, შესრულების და წახალისების უპირველესი ვალდებულება სახელმწიფო ორგანიზაციების აქვთ, რომლებმაც ეს ვალდებულება სხვადასხვა გზით უნდა შეასრულონ, *inter alia*, ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის ადამიანის უფლებების შესრულების უზრუნველყოფით.<sup>508</sup>

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია უნდა განვასხვავოთ კორპორაციული მართვის ცნებისაგან. პირველი მათგანი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს კორპორაციის ფართო ურთიერთობებს სხვადასხვა სოციალურ აქტორებთან.<sup>509</sup> CSR ასევე მოიცავს კომპანიების პასუხისმგებლობას *vis-à-vis* ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის მიმართ. ამგვარი პასუხისმგებლობის სულისკვეთება მიუთითებს, რომ კომპანიებმა პასუხი უნდა აგონ არა მხოლოდ თავიანთი ფინანსური ვალდებულებებისათვის, არამედ საზოგადოებაზე (სოციუმზე) მათი გავლენით გამოწვეული შედეგების გამოც.<sup>510</sup> როგორც მინიმუმ, ეს მიუთითებს, რომ კომპანიების ინტერესების მის წინააღმდეგ ნებისმიერი სახის ბრალდებაზე მოახდინოს სწრაფი რეაგირება. დროული რეაგირება გამორიცხავს შემდგომში კომპანიის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაყენების რისკს.<sup>511</sup>

ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა და მულტიეროვნულმა საწარმოებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს იმ ქვეყნებსა და ტერიტორიებზე, სადაც ისინი ოპერირებენ, მაგრამ ვინაიდან ისინი არიან სპეციალიზირებული ეკონომიკური ორგანოები და არა დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები, მათი ვალდებულებები ვერ გაუტოლდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აღებულ ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე კომპანიების კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლების დასადგენად ამ კომპანიების ეკონომიკური ფუნქციები უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.<sup>512</sup> უპირველეს ყოვლისა, ეს ფარგლები მოიცავს დასაქმებულ პირთა შრომით და სოციალურ ეკონომიკური უფლებების პატივისცემას, გარდა ამისა, ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა, რომლებიც ოპერირებენ დაფუძნების სახელმწიფოს გარეთ, განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, პასუხი უნდა აგონ ასევე მკვიდრი მოსახლეობის

<sup>507</sup> Cottier, T., Pauwelyn, J., Bonanomi, E.B. (eds.) *Human Rights and International Trade*, Oxford, 2005, p.158.

<sup>508</sup> Guiding Principles on Business and Human Rights, UN (2011) Principle A(1).

<sup>509</sup> *Supra*, n.466, p. 226.

<sup>510</sup> Tricker, B. *Corporate Governance: Principles, Policies, and Practices*, Oxford, 2015, p.219.

<sup>511</sup> Report of the Special Representative of the Secretary General on the issue of human rights and transnational corporations and other business enterprises Addendum “Corporations and Human Rights: a survey of the scope and patterns of alleged corporate-related human rights abuse” /HRC/8/5/ Add. 2, 23 May 2008, para.100.

<sup>512</sup> Dunning, J.H., Lundan, S.M. *Multinational Enterprises and the Global Economy*, Cheltenham/Northhampton, 2008, pp.357-374.

კოლექტიური უფლებების დარღვევისათვის, მაგ. როგორიცაა ეკოლოგიური უფლებები, თვითგამორკევის უფლება, ლტოლვილთა უფლებები და სხვ.

### 6.3.3. სამხაწილიანი პასუხისმგებლობის გამოყენება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ ტრანსნაციონალურ კომპანიებთან მიმართებით

ოკუპაციის თანამედროვე პრაქტიკა ცხადყოფს,<sup>513</sup> რომ ოკუპანტ ძალას უფრო დომინატი როლი აქვს, ვიდრე ეს ადრე იყო, და იგი ჩართულია ოკუპირებული ტერიტორიის საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტობრივად ყველა ასპექტში. მისი ნებისმიერი ქმედების კანონიერება უნდა შეფასდეს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისა ან საკუთარი სამხედრო ინტერესების მიზანთან ერთობლიობაში.<sup>514</sup> სამხედრო ოკუპაციის საეთაშორისო სამართალში არ მოიპოვება ნორმა, რომელიც ოკუპანტ ძალას უკრძალავს ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკის რეგულირებას. ოკუპაციის წესები არც რაიმე სახის შემზღვეველ დებულებებს შეიცავს, რომელსაც დაეჭვემდებარებოდა ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკის რეგულირება, აქედან გამომდინარე ერთადერთი ნორმა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიყენება არის სწორედ ოკუპანტი ძალის ვალდებულება უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა ისე რომ დაიკმაყოფილოს საკუთარი სამხედრო ინტერესებიც. შესაბამისად, როგორც წესი, ყოველთვის მოსალოდნელია, რომ ამ მიზნის მისაღწევად ოკუპანტი ძალა შეცვლის მოქმედ ეკონომიკურ სისტემას და შემოიღებს ახალ წესებს, რომელსაც, თავის მხრივ, ახალი ინვესტიციები და ოკუპირებული ტერიტორიის ბაზარზე ახალი ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა მოყვება. რადგან ოკუპირებული ტერიტორია მოკლებულია ლეგიტიმური სუვერენის მიერ სამთავრობო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, ამიტომ იქ განხორციელებულ ინვესტირებისა თუ სხვა კომერციულ საქმიანობაში მიღწეული შეთანხმების მხარეები ყოველთვის იქნებიან ერთის მხრივ ოკუპანტი ძალა, ხოლო მეორეს მხრივ კერძო კორპორაცია.

ეფექტიანი სამთავრობო კონტროლის არარსებობის პირობებში ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების რისკი უფრო მაღალია, რადგან სამოქალაქო პირთა არასაკმარისი სამართლებრივი დაცვის დროს კომპანიებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებაც ნაკლებ სავარაუდოა. ასეთი რისკი განსაკუთრებულად იზრდება კონფლიქტურ რეგიონებში, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზეც.<sup>515</sup>

კომპანიების დაფუძნების სახელმწიფოს მიერ კონტროლის გამოყენება უნდა მოხდეს ამ სახელმწიფოზე პოზიტიური ვალდებულების დაკისრებით, რომ

<sup>513</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.262-263.

<sup>514</sup>Clapham, *supra*, n.505, p.193.

<sup>515</sup>UN Human Rights Office of the High Commissioner “The Corporate Responsibility to Respect Human Rights: An Interpretive Guide” Geneva, 2012, p.80.

მოახდინოს მის იურისდიქციაში დაფუძნებული კორპორაციის მიერ ადამიანის უფლებათა თუ გარემოს დაცვის სფეროში *jus cogens* ნორმების დარღვევის პრევენცია ეროვნული ტერიტორიის მიღმა. ამგვარი ნორმების იმპერატიული ხასიათიდან გამომდინარე, მისი დაცვა სავალდებულოა სახელმწიფოსათვის როგორც ნეგატიურად ისე პოზიტიურად, რაც გულისხმობს ამ სახელმწიფოს მიერ ყველა ზომის მიღებას, რათა თავისი ფიზიკური თუ იურიდიული პირების კონტროლის ხარისხი გაავრცელოს ასევე მათ მიერ საზღვარგარეთ *jus cogens* ნორმების დარღვევის პრევენციაზეც. ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.<sup>516</sup> გარდა სახელმწიფოს აღმასრულებელი ინსტიტუტებისა, ასევე დაფუძნების სახელმწიფოს სასამართლო სისტემასაც აქვს კონტროლის საშუალება, კერძოდ მათ უნდა უზრუნველყონ საკუთარი იურისდიქციის გავრცელება ტრანსაციონალურ კორპორაციებზე ეროვნულობის პრინციპიდან გამომდინარე და ამით შეძლონ ამ კორპორაციების საზღვარგარეთ (ოკუპირებულ ტერიტორიებზე) აქტივობების შედეგად უფლება დარღვეულ პირთავის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება.<sup>517</sup>

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოები არ არიან ვალდებული არეგულირონ თავიანთ იურისდიქციაში დაფუძნებული კორპორაციების ექსტრატერიტორიული აქტივობები, თუმცა მათ ამის გაკეთებას არც არაფერი უკრძალავთ.<sup>518</sup> თუმცა, ამგვარი ნებაყოფლობითი მიღვომა არ გამოიყენება ისეთი კომპანიების მიმართ, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ოპერირებენ და სავარაუდო *jus cogens* ნორმებს ან *erga omnes* ვალდებულებებს არღვევენ. იმდენად რამდენადაც ეს უკანასკნელი მისი დარღვევის შედეგების მასშტაბებიდან გამომდინარე მთელი საერთაშორისო საზოგადოების ზრუნვის საგანია, კომპანიის დაფუძნების სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დადგება მისი პოზიტიური ვალდებულების (პრევენცია) შეუსრულებლობისათვის.

ამას გარდა, კომპანიის პასუხისმგებლობაც შესაძლოა დადგეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციით, რომელიც გულისხმობს კომპანიის კერძო სამართლებრივ პასუხისმგებლობასა და ასევე მისი მმართველების ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სისხლის სამართლით გათვალისწინებული იმ დანაშაულებისათვის, რაც კომპანიამ ჩაიდინა ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქმიანობისას.

რაც შეეხება ოკუპანტი ძალის პასუხისმგებლობას, პირველ რიგში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მისი ვალდებულება რომ ოკუპირებულ

<sup>516</sup>Scott, *supra*, n.487, chapter 18, pp.491-495.

<sup>517</sup>Ibid, p.495.

<sup>518</sup>Deva, S., Bilchitz, D. (eds.) *Human Rights Obligations of Business: Beyond the Corporate Responsibility to Respect?*, Cambridge, 2013, p.276.

ტერიტორიაზე უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება და მისი უფლება მიიღოს ისეთი რეგულაციები, რაც საჭირო იქნება ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.<sup>519</sup> ოკუპირებული ტერიტორიის საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებისას სამხედრო ოკუპანტმა არ უნდა გააჩაროს თავისი ქვეყნის ეროვნული, ეკონომიკური ან სოციალური ინტერესები. მაგალითისთვის, ოკუპანტს არ შეუძლია ოკუპირებულ ტერიტორიაზე გზების იმგვარი სისტემის მოწყობა, რაც საჭიროა თავისი ქვეყნის “მომსახურების გზის” გასაყვანად და არა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა ან საკუთარი სამხედრო საჭიროებისათვის.<sup>520</sup> იგივე წესი მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ კომპანიებთან მიმართებაში, რომლებიც დაფუძნებულია ან სხვაგვარადაა აფილირებული ოკუპანტ სახელმწიფოსთან და როდესაც ეს უკანასკნელი ახალისებს ამ კომპანიის დაშვებას ოკუპირებული ტერიტორიის ადგილობრივ ბაზარზე მკვიდრი მოსახლეობის კეთილდღეობისა და საჯარო წესრიგის შენარჩუნების მიზანზე მითითებით.

თავისი ქვეყნის ადმინისტრირების გავრცელება ოკუპირებულ ტერიტორიაზე განიხილება “მცოცავ ანექსიად” და ასეთ შემთხვევაში საფრთხის შემცველია იმ ოფიციალური პირების ქმედება, რომელიც ოკუპანტი ძალის ადმინისტრაციაშია დასაქმებული და პასუხისმგებელია, მაგალითად, ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკაზე და რეალურად ის იმოქმედებს ოკუპანტი ძალის ქვეყნის ეკონომიკის ინტერესების სასარგებლოდ და არა ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკის განვითარებისათვის.<sup>521</sup>

აქედან გამომდინარე, ოკუპანტი ძალა არაა უფლებამოსილი ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკა იმგვარად გარდაქმნას, რომ ის საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის ნაწილად აქციოს. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულების მხედველობაში მიღებით, მას შეუძლია ახალი წესების შემოღება ადგილობრივ ბაზარზე უცხოური კომპანიების დასაშვებად. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტრანსნაციონალური კომპანიების კომერციული აქტივობები, როგორც ასეთი, არ განიხილება სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის დარღვევად. თუმცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საგარაუდო დარღვევის საკითხი დგება, როდესაც ასეთი კომპანიები ოკუპანტ ძალასთან ისეთ შეთანხმებებს დებენ, რომელიც საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის უშიშროებას, ადამიანის უფლებათა დაცვას ან ზოგადი საერთაშორისო სამართლის ვალდებულებების შესრულებას.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობისათვის სამნაწილიანი პასუხისმგებლობის ცნება მოიცავს როგორც ოკუპანტი ძალის, ასევე კომპანიის დაფუძნების სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ამავდროულად თვითონ კომპანიის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასაც.

<sup>519</sup>Feilchenfeld, *supra*, n.7, p.86.

<sup>520</sup>HCJ 390/79 Dweikat (*Elon Moreh*) Case, in IYHR, vol.9, 1979, p.345.

<sup>521</sup>Greenwood, *supra*, n.450, p.375.

თუკი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიების მიერ შრომითი ან სხვა სამოქალაქო თუ სოციალური უფლებების დარღვევის აღმოფხვრის მოთხოვნა შესაძლოა ადგილობრივი კანონმდებლობის დონეზე კერძო სამართლებრივი დავის გზით, *erga omnes* ვალდებულებების სავარაუდო დარღვევის შესახებ ფაქტებმა შესაძლოა წარმოშვას სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მართლაც, თუკი საერთაშორისო კორპორაცია ეჭვმიტანილია ამგვარი ვალდებულების დარღვევაში თავისი დაფუძნების სახელმწიფოს გარეთ, სადაც ლეგიტიმური სუვერენის კონტროლიც არ ხორციელდება (როგორიცაა ოკუპირებული ტერიტორიები), მაშინ დაფუძნების სახელმწიფოს ეკისრება პრევენციის ვალდებულება, რისი შეუსრულებლობაც მის საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმოშობს.

ამას გარდა, კომპანიის პასუხისმგებლობაც შესაძლოა დადგეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციით, რომელიც გულისხმობს კომპანიის პასუხისმგებელ პირთა ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სისხლის სამართლით გათვალისწინებული იმ დანაშაულებისათვის, რაც კომპანიამ ჩაიდინა ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქმიანობისას.

ამავდროულად ოკუპანტი ძალის პასუხისმგებლობა არ წყდება. მისი უპირველესი ვალდებულებაა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რაც გამორიცხავს კერძო კომპანიასთან ნებისმიერი სახის შეთანხმებას, რაც პოტენციურად საფრთხეს შეუქმნის მკვიდრი სამოქალაქო მოსახლეობის კოლექტიურ უფლებებს. აქედან გამომდინარე, ოკუპანტი ძალა, ოკუპაციის სამართლის მიხედვით, მაინც აგებს პასუხს მისი ძირითადი მოვალეობის – ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის – შეუსრულებლობისათვის.

თუკი ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობის კოლექტიური უფლებები ირღვევა, ამისათვის უნდა დადგეს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ყველა შესაძლო ალტერნატივით. ამიტომაც, სამნაწილიანი პასუხისმგებლობის კონცეფცია მოიცავს როგორც სახელმწიფოების, ასევე უშუალოდ კორპორაციების პასუხისმგებლობასაც იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს საერთაშორიო სამართლის იმპერატიული ნორმებისა ან საყოველთაო ვალდებულებების დარღვევას. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ოკუპანტი და თავად კომპანიაც კეთილსინდისიერად მოქმედებენ და კომპანიის კომერციული საქმიანობა რეალურად მიმართულია ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკის აყვავებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობისაკენ, მაშინ საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს კერძო თუ საერთაშორისო პასუხისმგებლობის დაყენებას მხოლოდ იმ ფაქტისათვის, რომ რომელიმე ტრანსნაციონალურმა კომპანიამ დაიწყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოპერირება და ეს სანქცირებულია ოკუპანტი ძალის მიერ.

## **7. ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხები**

მოცემული თავი ეხება ისეთ საკითხებს, რომელიც პირდაპირ არაა დაკავშირებული ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების წესებთან, მაგრამ მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამართლებრივი რეჟიმის დადგენის კუთხით. კერძოდ, პირველი ქვეთავი განისილავს ტერიტორიის კონტროლის სხვადასხვა სტანდარტს. ტერიტორიული კონტროლის საკითხი იყენება ფაქტის დადგენისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტერიტორიის ადმინისტრირებისათვის, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ამ ნაშრომის მიზანია ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლების დადგენა, საჭიროა ამავე თემაში განისილებოდეს ტერიტორიული კონტროლის საკითხი, რადგან მკაფიოდ განისაზღვროს როდის ეძლევა ოკუპანტ ძალას ტერიტორიის ადმინისტრირების ის უფლებამოსილება, რომლის ფარგლების დადგენაც მოცემული თემის უმთავრესი მიზანია.

მეორე ქვეთავი დეტალურად მიმოიხილავს ერთ კონკრეტულ საკითხს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი სამოქალაქო დასახლებების კანონიერებასა და მათ მომავალ ბედს. ქვეთავის მიზანია, ზუსტად იქნეს გაწერილი ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების ეს ასპექტი, კერძოდ რა აკრძალვა მოქმედებს დასახლებებთან მიმართებაში, შესაძლებელია თუ არა რაიმე გამონაკლისის დაშვება, რა ბედი შეიძლება ეწიოთ ამ დასახლებებს ოკუპაციის დასრულების შემდეგ და ა.შ.

თემის ბოლო ქვეთავი კი ცალკე საკითხად განისილავს გაერთიანებული ერების ფარგლებში ავტორიზებულ ოკუპაციას და case study-ის სახით აანალიზებს ერაყის ოკუპაციას, როგორც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, ასევე ოკუპაციის საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჭრილში.

### **7.1. ტერიტორიის კონტროლის სხვადასხვა სტანდარტი**

#### **7.1.1. უფექტური კონტროლის ტესტი და დისტანციური კონტროლი**

ოკუპაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია სადაცო ტერიტორია მოქადაგდება მხარის ეფექტური კონტროლის ქვეშ. თუმცა მეორე საკითხია რა ხარისხის კონტროლს უნდა ახორციელებდეს ოკუპანტი ძალა დაკავებულ ტერიტორიაზე იმისათვის, რომ ეს კონტროლი ჩაითვალოს სამხედრო ოკუპაციად პააგის რეგულაციების 42-ე მუხლის გაბებით. აღნიშნული მუხლის მე-2 პარაგრაფი მიუთითებს, რომ ოკუპაცია მხოლოდ ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ასეთი მმართველობა დამყარდა და შესაძლებელია მისი [მმართველობის] განხორციელება. ამ დებულებიდან ცხადია, რომ ოკუპაციის ფაქტის არსებობისათვის საჭიროა სახეზე იყოს ორი კუმულატიური პირობა: (1) ოკუპანტი ძალის მიერ მმართველობის

დამყარება, როგორც ფაქტი და (2) ოკუპანტი ძალის მიერ ამ მმართველობის განხორციელების შესაძლებლობა. ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ ისეთ ტერიტორიაზე, რომელზეც ოკუპანტი ძალა ახორციელებს ეფექტიან მმართველობას და რეალურადაც შეუძლია ასეთი მმართველობის განხორციელება.<sup>522</sup> იმავე მიღვომას მიჰყვა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო შეიარაღებული მოქმედებების საქმეში, სადაც მან მიიჩნია, რომ რომელიმე მხარის ოკუპანტ ძალად მიჩნევისათვის საჭიროა დადგინდეს დამყარა თუ არა ამ ძალამ მმართველობა კონკრეტულ ტერიტორიაზე და ახორციელებს თუ არა ამ მმართველობას.<sup>523</sup>

განისილავდა რა, იუგოსლავიისა და საბერძნეთის სტატუსს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მძევლების საქმეში ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალმა განაცხადა რომ ოკუპაციის დასადგენად საქმარისი იყო იმის დადასტურება რომ ოკუპანტ ძალას მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს შეეძლო სადავო ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილზე კონტროლის დამყარება და ოკუპაციის ფაქტი არ იცვლება იმით რომ პარტიზანებმა გამოავლინეს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის კონტროლის შესაძლებლობა.<sup>524</sup> ტრიბუნალმა ერთმანეთისაგან განასხვავა შემოსევა და ოკუპაცია:

გადაიზარდა თუ არა შემოსევა ოკუპაციად ეს ფაქტობრივ გარემოებებზეა დამოუკიდებული. ტერმინი შემოსევა გულისხმობს სამხედრო მოქმედებებს, ხოლო ოკუპაცია კი – სამთავრობო ფუნქციების შესრულებასა და არსებული მთავრობის განდევნას. ეს წინ უსწრებს ორგანიზებული წინააღმდეგობის ჩახშობასა და ადმინისტრაციის დამყარებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო წესრიგი და სამართალი. იმდენად რამდენადაც ოკუპანტი ძალის კონტროლი შენარჩუნებულია და ადგილობრივი სამოქალაქო მთავრობა არ ფუნქციონირებს, ტერიტორია ჩაითვლება ოკუპირებულად.<sup>525</sup>

როგორც ირკვევა, ტრიბუნალმა მიიჩნია რომ არაა აუცილებელი ოკუპანტი ძალა აბსოლუტურ ეფექტიან კონტროლს ფლობდეს დაკავებული ტერიტორიის ყველა ნაწილზე, მთავარი ამოსავალი წერტილია, რომ ოკუპანტი ძალა უნდა ახორციელებდეს ამ ტერიტორიის ეფექტიან ადმინისტრირებას და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ორგანიზებულმა წინააღმდეგობრივმა მოძრაობებმა შეიძლება პერიოდულად გააკონტროლონ ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილი ეს ზოგად სურათს არ ცვლის და ოკუპაცია ამით არ წყდება, რადგან ოკუპაციისთვის საჭირო ეფექტიანი კონტროლის მთავარი განმსაზღვრელია ტერიტორიაზე სამხედრო ადმინისტრაციის დამყარება და ადგილობრივი სუვერენის განდევნა.

თუკი შემოტევა მხოლოდ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრით შემოფარგლება, ოკუპაცია მოიცავს ასევე სადავო ტერიტორიის

<sup>522</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.42.

<sup>523</sup>Armed Activities case, *supra*, n.323, para.173.

<sup>524</sup>Arai-Takashi, *supra*, n.6, p.6.

<sup>525</sup>Hostages Trial, *supra*, n.140.

განსაზღვრულ კონტროლსაც. დამპურობელი ძალები არ არიან იმ მდგომარეობაში რომ შეძლონ შეჭრილ ტერიტორიაზე ადმინისტრირების დამყარება და მთავრობის დაფუძნება, რაც ოკუპაციის დასადგენად აუცილებელია.<sup>526</sup>

ზემოთ აღნიშნული მიდგომის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება რომ ეფექტიანი კონტროლის დროებითი ხანგრძლივობა არ ცვლის ოკუპაციის იურიდიულ შინაარსს. ეს პოზიცია გაუდერდა ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიერ აზხარის ბანაკის საქმეში, რომელიც ეხებოდა 1982 წელს ისრაელის მიერ ლიბანში შეჭრის დროს დაფუძნებულ სამხედრო ბანაკში სამოქალაქო პირთა ინტერნირებას. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ტერიტორია იყო ოკუპირებული და მასზე ვრცელდებოდა ომის წესები, კერძოდ კი უქევის მე-4 კონვენციით დადგენილი ნორმები მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის თავდაცვით ძალებს ბანაკში სამხედრო მთავრობა არ ქონდა დაფუძნებული და არც ადმინისტრირება იყო დამყარებული. მოსამართლე შამგარმა მიუთითა, რომ ოკუპაციის სამართლის გამოყენებისათვის საჭირო არ იყო განგრძობითი სამხედრო კონტროლი ან სამხედრო ადმინისტრაცია.<sup>527</sup>

ოკუპანტი ძალის მიერ მოკლევადიანი და მცირე მასშტაბის კონტროლის დაკარგვა გავლენას ვერ იქონიებს ოკუპაციის სტატუსზე.<sup>528</sup> თუმცა თუკი შეიარაღებული მოქმედებების განახლება ოკუპანტ ძალასა და ადგილობრივ ძალებს შორის იმდენად ფართომასშტაბიანი და განგრძობითი ხასიათისაა რომ ოკუპაციის სტატუსის ერთიანი შეცვლას გამოიწვევს, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ოკუპაცია შეწყდეს. როგორც ნიურნბერგის ტრიბუნალმა განაცხადა

გერმანიის გასამხედროებული ჯგუფების ოპერირების ბევრ ადგილზე გერმენ წოდებულმა პარტიანებმა მოახერხეს გერმანიის საოჯახპაციო ძალისათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის წარმუშვა ... და გარკვეული სამხედრო მოქმედებების ხელახლი წარმართვა გახდა საჭირო ამ ტერიტორიების ახლიდან ოკუპაციისათვის. სამხედრო ოკუპაციისას, ოკუპანტ ძალას არ უკავია მოწინააღმდეგის ტერიტორია რაიმე სამართლებრივი უფლების საფუძვლებზე, ის მხოლოდ დროებით რეალურ კონტროლს ახორციელებს. ეს ნათლად ჩანს პააგის რეგულაციების 42-ე მუხლიდანაც, რომელიც ოკუპანტ ძალას ანიჭებს გარკვეულ შეზღუდულ უფლებებს მხოლოდ მოწინააღმდეგის იმ ტერიტორიაზე, რომელიც “რეალურად მისი კონტროლის ქვეშ მიევა.”<sup>529</sup>

<sup>526</sup>von Glahn, *supra*, n.94, p.28.

<sup>527</sup>HCJ 593/82 *Tzemel Adv. Et al. v. (a) Minister of Defence, (b) Commander of the Antzar Prison ("Antzar Prison Case")* in IYHR, vol.13, 1983, p.363.

<sup>528</sup>Roberts, A. *The End of Occupation: Iraq 2004* in The International and Comparative Law Quarterly, vol.54, no.1, 2005, p.34.

<sup>529</sup>IMT, USA v. Otto Ohlendorf et al. (*Einsatzgruppen Trial*), 10 April 1948, (1948) in Substantive and Procedural Aspects of International Criminal Law: The Experience of International and National Courts, vol.2-2, 2000.

ზოგადი წესის მიხედვით, ოკუპაცია გვაქვს სახეზე, როდესაც ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები შეიქრებიან და კონტროლს დაამყარებენ ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც ამ სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების მიღმაა.<sup>530</sup> ამასთანავე ამგარი სამხედრო კონტროლის დამყარება არ უნდა იყოს ნებადართული ტერიტორიული სახელმწიფოს მიერ.<sup>531</sup> ზოგიერთი მეცნიერი<sup>532</sup> გამოყოფს ოთხ დამახასიათებელ ნიშანს, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ უნდა დადგინდეს ოკუპაციის ფაქტის არსებობა, არამედ განისაზღვროს ოკუპაციის სამართლის მოქმედების არეალიც: (i) ტერიტორიაზე იმყოფება უცხოელი სამხედრო ძალა, რომლის ამ ტერიტორიაზე განთავსებაც არ არის ნებადართული ან რეგულირებული მოქმედი შეთანხმებით, ან რომლის ქმედებებიც აჭარბებს შეთანხმებულ პირობებს; (ii) აღნიშნულმა სამხედრო ძალამ განდევნა ტერიტორიაზე არსებული საჯარო მართვისა და ადმინისტრირების სისტემა და ჩანაცვლა იგი თავისი სამხედრო მმართველობით; (iii) სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი ერთის მხრივ დაკავებული ტერიტორიის მოსახლეობასა და მეორეს მხრივ იმ სამხედრო ძალას შორის, რომელიც აკონტროლებს ამ ტერიტორიას; (iv) არსებობს საგანგებო წესრიგის შემოდების აშკარა პრაქტიკული საჭიროება იმისათვის რომ შემცირდეს სამხედრო ძალასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონფლიქტის ესკალაციის საფრთხე.

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ნიშანი არის კლასიკური ოკუპაციისათვის დამახასიათებელი, როდესაც ოკუპანტი ძალა ახორციელებს ეფექტიან კონტროლს დაკავებულ ტერიტორიაზე და იქ მაცხოველებელ მოსახლეობაზე. თუკი აღნიშნული ტესტის პირობები კმაყოფილდება ოკუპაციის ფაქტი სადაც ადარაა და ოკუპაციის საერთაშორისო სამართალიც სრულად მოქმედებს დაკავებულ ტერიტორიაზე.

ეფექტიანი კონტროლის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება,<sup>533</sup> რომ ოკუპანტი ძალის მიერ დაკავებული ტერიტორიის ყველა ნაწილში სამხედრო ძალის განთავსება არარეალისტურია და “ეფექტური კონტროლის” დოქტრინა არ მოიაზრებს ოკუპანტი ძალის მიერ სადაც ტერიტორიის ყველა კუთხის სრულად გაკონტროლებას. ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილმა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სასამართლო პალატამ, ნალექილის საქმეში, განიხილა თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა რომელიმე ძალა ოკუპანტად და შეიმუშავა პირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭიროა კონკრეტული მხარის ოკუპანტ ძალად აღიარებისათვის. აღნიშნული პირობები ტრიბუნალმა ჩამოაყალიბა შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპების სახით: (1) ოკუპანტ

<sup>530</sup>Roberts, A. *What is a Military Occupation?* in British Yearbook of International Law, no.55, 1984, p.300.

<sup>531</sup>Kolb, R. *Etude sur l'occupation et sur l'article 47 de la IVeme Convention de Genève du 12 aout 1949 relative à la protection des personnes civiles en temps de guerre: le degré d'intangibilité des droits en territoire occupé* in African Yearbook of International Law, vol.10, 2002, p.279.

<sup>532</sup>Roberts, *supra*, n.530, pp.300-301.

<sup>533</sup>Gerson, A. *Off-Shore Oil Exploration by a Belligerent Occupying Power: The Gulf of Suez Dispute* in AJIL, vol.71, 1977, p.728.

ძალას უნდა შეეძლოს ადგილობრივი მმართველობის ჩანაცვლება; (2) მოწინააღმდეგის ძალები დანებდნენ, დამარცხდნენ ან უკან დაიხიეს, შესაბამისად უშუალოდ ბრძოლის პერიოდში დაკავებული ტერიტორიები არ ჩაითვლება ოკუპირებულად, ამასთანავე უკვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე სპორადული წინააღმდეგობრივი მოძრაობები გავლენას არ ახდენს ოკუპაციის სტატუსზე; (3) ოკუპანტ ძალას ჰყავს საკმარისი სამხედრო ძალა განლაგებული ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან აქვს შესაბამისი შესაძლებლობა რომ ამ ტერიტორიაზე გონივრულ ვადაში გაგზავნოს ჯარები რათა იგრძნობოდეს ოკუპანტის მმართველობა; (4) ტერიტორიაზე უნდა იყოს შექმნილი დროებითი ადმინისტრაცია; (5) ოკუპანტმა ძალამ გამოსცა და ადასრულა სპეციალური ინსტრუქციები ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობასთან მიმართებაში.<sup>534</sup>

ტრიბუნალის მიერ მოცემულ სახელმძღვანელო პრინციპებში სიახლეა მესამე პუნქტი, რომლის მიხედვითაც ოკუპაციისათვის აუცილებელი არაა დაკავებულ ტერიტორიაზე განთავსებული იყოს სამხედრო ძალა, არამედ ოკუპანტი ძალის შესაძლებლობა – გონივრულ ვადაში განათავსოს ასეთი ძალა – უკვე საკმარისად არის მიჩნეული იმისათვის, რომ ოკუპაციის ფაქტი დადგინდეს. ეს პოზიცია ეყრდნობა დებულებას, რომელიც რამდენიმე ქვეყნის სამხედრო სახელმძღვანელოებშია<sup>535</sup> გადმოცემული, რომელიც ამბობს, რომ სამხედრო ოკუპაციისათვის ფიქსირებული გარნიზონის ყოლა საჭირო არაა, თუკი ოკუპანტს შეუძლია გონივრულ ვადაში გაგზავნოს ჯარები ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმისათვის რომ იქ იგრძნობოდეს ოკუპანტი ძალის მმართველობა. შესაბამისად “ეფექტიანი კონტროლი” შეიძლება კონკრეტულ შემთხვევებში გამოიხატებოდეს გ.წ. “დისტანციური კონტროლის” გზითაც.<sup>536</sup>

როგორც ჩანს, დისტანციური კონტროლი არ გამორიცხავს ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადმინისტრაციის დაფუძნებას, პირიქით ის კუმულატიურად მოქმედებს ოკუპანტის მიერ “ძალაუფლების განხორციელების” პრინციპის პარალელურად, შესაბამისად დისტანციური კონტროლი მოიაზრებს ისეთ სიტუაციას, როდესაც ოკუპანტი ძალა აკონტროლებს სამოქალაქო მოსახლეობას და ახდენს დაკავებული ტერიტორიის ადმინისტრირებას, მაგრამ სამხედრო ძალა არ ჰყავს განლაგებული ტერიტორიის ყველა ნაწილზე, ან საერთოდ არც-ერთ ნაწილზე, თუმცა აქვს შესაძლებლობა რომ ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში, გონივრულ ვადაში განათავსოს ჯარები აღნიშნულ ტერიტორიაზე, რათა იგრძნობოდეს ოკუპანტი ძალის მმართველობა.

<sup>534</sup>ICTY, *Prosecutor v. Naletilic and Martinovic*, judgment of trial chamber (2003), para.217.

<sup>535</sup>Manual of Military Law of War on Land, United Kingdom, Part III, 1958, paras.502, 506; *The Law of Land Warfare*, Field Manual No. 27-10, US Department of the Army, 18 July 1956, chapter 6, para.356; *Interim Law of Armed Conflict Manual*, New Zealand Defence Force, 26 November 1992, paras.1302.2, 1302.3 and 1302.5.

<sup>536</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.44.

ზოგიერთი მუცნიერი<sup>537</sup> ასევე გამოყოფს ე.წ. “პოტენციური კონტროლის” ტესტს, რომელიც დისტანციური კონტროლის ერთ-ერთი სახეცვლილებაა. ამ მიღებობის მიხედვით, აუცილებელი არაა ოკუპანტი ძალა ფაქტობივ კონტროლს ახორციელებდეს დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ სამოქალაქო მოსახლეობაზე, არამედ ოკუპაციის ფაქტის დასადგენად საქმარისია ისიც, რომ ოკუპანტი ძალა ტერიტორიას აკონტროლებს და მას აქვს პოტენციალი რომ გააკონტროლოს მოსახლეობაც ნებისმიერ დროს. მაგალითისთვის, ევროკავშირის ეგიდით შექმნილმა საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის საგამოძიებო კომისიამ არ მიიღო რუსეთის ფედერაციის მტკიცება, რომ ის არ იყო საქართველოს ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილების ოკუპანტი ძალა.<sup>538</sup> კომისიამ უკუაგდო რუსეთის არგუმენტი, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ოკუპაციის დასადგენად აუცილებელი ფაქტორია მხარე ახორციელებს თუ არა ეფექტიან კონტროლს სადაც ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიის მოსახლეობაზე. კომისიამ დაადგინა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში რუსეთის ფედერაციას შეეძლო უზრუნველეყო საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება იმ ტერიტორიებზე, სადაც მისი ჯარები იყო განლაგებული და მისი უმოქმედობა რომ თავიდან აეცილებინა დარღვევები და დაცვა ეთნიკური ქართველები ვერ მოუხსნის მას იმ ვალდებულებებს, რაც ოკუპანტ ძალას ეკისრება.<sup>539</sup>

ოკუპაციის კლასიკური შემთხვევაა, როდესაც ოკუპანტი მხარე სამხედრო ძალით ეფექტიან კონტროლს ამყარებს როგორც ტერიტორიაზე, ისე იქ მაცხოვრებელ სამოქალაქო მოსახლეობაზე, რაც გამოიხატება ამ ტერიტორიისა და მოსახლეობის ადმინისტრირებაში. თუმცა, ბოლო დროინდელი პრაქტიკის კვალდაკვალ ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის კონცეფციებიც განვითარდა და ეფექტიანი კონტროლის ტესტს დაემატა ე.წ. დისტანციური და პოტენციური კონტროლის ტესტები, რომელთა მიხედვითაც ოკუპაციის ფაქტის დასადგენად კლასიკური ორწეროვანი ტესტი, რომელიც ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლშია გადმოცემული, ადარაა საჭირო და კონტროლის სტანდარტიც დაბლა დაიწია. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ოკუპაციის ფაქტის დადგენა საჭიროა იმდენად, რამდენადაც აუცილებელია რომელიმე ძალამ აიღოს პასუხისმგებლობა სადაც ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობაზე, ლოგიკას მოკლებული იქნებოდა მხოლოდ დისტანციური ან მხოლოდ პოტენციური კონტროლის ტესტის საფუძველზე გამოვლენილიყო ოკუპანტი ძალა, რადგან თუკი მხარე არ ახორციელებს ტერიტორიის ეფექტიან ადმინისტრირებას ნაკლებად სავარაუდო მას დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, რაც გათვალისწინებულია ოკუპაციის საერთაშორისო სამართლით. შესაბამისად, დისტანციური და პოტენციური კონტროლის ცნებები კვლავ სადაც საერთაშორისო სამართალში, ხოლო ეფექტიანი კონტროლის ტესტი კვლავ ინარჩუნებს

<sup>537</sup> Benvenisti, *supra*, n.26, chapter 3.1.1.

<sup>538</sup> Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia Part I, p. 308.

<sup>539</sup> *Ibid.*, p. 373.

აქტუალობას და გამოიყენება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერაც.<sup>540</sup>

საერთაშორისო პრაქტიკაში ეფექტიანი კონტროლის სტანდარტის შეცვლის ყველაზე ცნობადი მცდელობაა დაზას სექტორი, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ საკითხზე მსჯელობისას დაზას სავარაუდო ოკუპაცია განხილულ იყოს როგორც ყველაზე თვალსაჩინო პრაქტიკული მაგალითი.

### 7.1.2. დაზას სექტორიდან “გამოხვდის გეგმა” და კონტროლის საკითხი

ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიხედვით როდესაც ერთ-ერთი მეომარი მხარე მოიპოვებს უპირატესობას მეორე მხარესთან შედარებით, საერთაშორისო შეიარაღებულმა კონფლიქტმა შესაძლოა მიიღოს ოკუპაციის სახე.<sup>541</sup> ოკუპაციის დასადგენად საჭიროა ორი კრიტერიუმი იყოს სახეზე: (1) ოკუპანტს უნდა შეეძლოს ეფექტიანი კონტროლის განხორციელება იმ ტერიტორიაზე რომელიც მას არ ეკუთვნის და (2) მის მიერ ტერიტორიის დაპყრობა არ უნდა იყოს აღიარებული ამ ტერიტორიის ლეგიტიმური სუვერენის მიერ.<sup>542</sup> ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი ოკუპაციის ძირითადი განმსაზღვრული ფაქტორია და გულისხმობს იმას, რომ არსებული ხელისუფლება ჩანაცვლებული უნდა იყოს ოკუპანტი ძალის მიერ, რომელიც საკუთარ მმართველობას უნდა ავრცელებდეს დაკავებულ ტერიტორიაზე.<sup>543</sup> ზოგიერთ შემთხვევაში ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი არ ხორციელდება უშუალოდ ოკუპანტი ძალის მიერ, არამედ მარიონეგრული მთავრობის ან აღგილობრივი ხელისუფლების სხვაგვარად დაქვემდებარების გზით.<sup>544</sup> ამგვარი მიდგომა ერთგვარად ასუსტებს ოკუპაციის დადგენისას მანამდე არსებულ „ეფექტიანი კონტროლის“ ტესტს და აწესებს ე.წ. „ზოგადი კონტროლის“ ტესტს, რომლის მიხედვითაც ოკუპაცია მაშინაც არსებობს, როდესაც ოკუპანტ ძალას აქვს ზოგადი კონტროლი ადგილობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე,

<sup>540</sup>მაგ. „ეფექტიანი კონტროლის“ ტესტი ბოლოდორინდებულ პრაქტიკაში გამოიყენებული იყო შეიარაღებული მოქმედებების საქმეში. *Armed Activities case, supra*, n.323.

<sup>541</sup>ოკუპაციის ცნებისა და ოკუპაციის სამართალოან დაკავშირებით დეტალურად იხ. Dinstein, *supra*, n.8; Arai-Takahashi, *supra*, n.6.

<sup>542</sup>Bothe, M. *Beginning and End of Occupation, Current Challenges to the Law of Occupation*, Proceedings of the Bruges Colloquium, 20–21 October 2005, No. 34, Autumn 2004, pp. 28–32. *ob. ასევე:* Benvenisti, E. *The International Law of Occupation*, Princeton, 1993, p.4. ავტორი ოკუპაციას განმარტავს, როგორც: ‘the effective control of power (be it one or more states or an international organisation, such as the United Nations) over a territory to which that power has no sovereign title, without the volition of the sovereign of that territory’.

<sup>543</sup>United Kingdom Ministry of Defence, *The Manual of the Law of Armed Conflict*, Oxford University Press, Oxford, 2004, para 11.3; *Armed Activities case, supra*, n.323, para.173; Naletilic, *supra*, n.534, para. 217; Roberts, *supra*, n.530, pp.249, 300.

<sup>544</sup>“the relationship of de facto organs or agents to the foreign Power includes those circumstances in which the foreign Power “occupies” or operates in certain territory solely through the acts of local *de facto* organs or agents” (*Tadic (I)* trial chamber, *supra*, n.45, para.584).

რომლებსაც აქვთ უფლებიანი კონტროლი თკუპირებულ ტერიტორიაზე.<sup>545</sup> ამ საკითხს უფრო დეტალურად ეხება შემდეგი ქვეთავი.

2005 წლის 12 სექტემბერს ისრაელის უკანასკნელმა შეიარაღებულმა დანაყოფმაც დატოვა დაზას სექტორი, რომელსაც ისრაელი 1967 წლის 6-დღიანი ომის შემდეგ აკონტროლებდა. ჯარების გამოყვანის ეს ოპერაცია იყო ბოლო ფაზა ე.წ. „გამოსვლის გეგმისა“, რომელიც ისრაელის მთავრობამ 2004 წელს მიიღო და პარლამენტმა მიავა წელს დაამტკიცა.<sup>546</sup> ამ გეგმის მეშვეობით ისრაელის მთავრობის მიზანი იყო რომ სახელმწიფოს მოეხსნა პასუხისმგებლობა vis-à-vis დაზას სექტორში მცხოვრები მოქალაქეების მიმართ.<sup>547</sup> ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ აღნიშნული ზომების გატარებით დასრულდა დაზას რეგიონის ოკუპაცია? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერიტორიაზე სამხედრო ძალის ფიზიკური ყოფნის დასრულება მოასწავებდა თუ არა იმას, რომ დაზას სექტორის ეფექტიანი კონტროლის ნიშნები აღარ იყო სახეზე? არსებობს მოსაზრება,<sup>548</sup> რომ ეს ასე არ არის, რადგან ისრაელი მაინც ინარჩუნებს კონტროლის მექანიზმებს დაზას სექტორშე მიუხედავად იმისა, რომ მისი სამხედრო ძალები ფიზიკურად აღარ არიან განლაგებულნი სექტორის ტერიტორიაზე. „გამოსვლის გეგმის“ მიხედვით ისრაელი ინარჩუნებს კონტროლს დაზას სექტორის სასაზღვრო ზოლზე, ისევე როგორც სექტორის საპატიო და საზღვაო სივრცეზე. გარდა ამისა, ისრაელს აქვს უფლება ნებისმიერ დროს შევიდეს დაზაში საჯარო წესრიგის დასამყარებლად.<sup>549</sup> ამიტომაც მიიჩნევა რომ დაზასთან მიმართებაში ისრაელის თავდაცვითი ძალების ქმედებები ცხადყოფენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ოკუპანტ ძალას შეუძლია ტერიტორია ისე აკონტროლოს ეფექტიანად, რომ ფიზიკურად არც იყოს წარმოდგენილი ამ ტერიტორიაზე.<sup>550</sup> დუგარდი დამატებით აღნიშნავს, რომ ისრაელის მიერ დაზას სექტორის შიგნით მდებარე ბუფერული ზონის მუდმივი კონტროლი, დაზელი პატიმრების გათავისუფლების დაყოვნება, დაზის მოსახლეობის დაბადების რეესტრის წარმოება და პირადობის მოწმობის გაცემა ისრაელის მიერ, გამშვები პუნქტების ჩაკეტვა და IDF-ის გამუდმებული რეიდები სექტორის შიგნით

<sup>545</sup>ICTY, *Prosecutor v. Blaskic*, judgment of trial chamber, (2000), no.IT-95-14-T, para.149; *Naletilic, supra*, n.534, paras.181–188, 197–202.

<sup>546</sup>Israeli Prime Minister's Office, Cabinet Resolution Regarding the Disengagement Plan: Addendum A – Revised Disengagement Plan – Main Principles, 6 June 2004, available at <http://www.mfa.gov.il/MFA/Peace+Process/Reference+Documents/Revised+Disengagement+Plan+6-June-2004.htm#A> [ბოლოს ნანახია 07.04.2016].

<sup>547</sup>Vite, S. *Typology of Armed Conflicts in International Humanitarian Law: Legal Concepts and Actual Situations* in IRRC, vol.91, no.873, 2009, p.83.

<sup>548</sup>Note by the United Nations Secretary-General: Situation of human rights in the Palestinian territories occupied since 1967, UN Doc. A/61/470, 27 September 2006, para.6. See also: Report on the situation of human rights in the Palestinian Territories occupied by Israel since 1967, J. Dugard, Special Rapporteur, E/CN.4/2006/29, 17 January 2006, paras.6ff.

<sup>549</sup>Vite, *supra*, n.547, p.84.

<sup>550</sup>Bruderlein, C. *Legal Aspects of Israel's Disengagement Plan Under International Humanitarian Law*, Legal and Policy Brief, Harvard University Program on Humanitarian Policy and Conflict Research, November 2004, pp. 10-11; Scobbie, I. *Is Gaza Still Occupied Territory?* in Forced Migration Review, vol. 26, 2006, p.18.

უფრო ამჟარებს პოზიციას, რომ დაზას სექტორი რჩება ისრაელის ზოგადი ოკუპაციის ქვეშ.<sup>551</sup>

ამგვარი მიღებომით ოკუპაციის საერთაშორისო სამართალში კიდევ უფრო ნაკლები ინტენსივობის, ახალი ტესტი შემოდის, რომლის მიხედვითაც „ეფექტიანი კონტოლის“ მსგავსი „დისტანციური ძალაუფლების“ განხორციელება ტერიტორიის ოკუპაციის კვალიფიკაციას მოგვცემს.<sup>552</sup>

თუმცა, მკვლევარების მეორე ჯგუფი<sup>553</sup> არ იზიარებს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას და მიიჩნევს რომ ოკუპანტის მიერ ეფექტიანი მმართველობის განხორციელება არ შეიძლება გამოიყოს მისი ჯარების მიერ ტერიტორიაზე ფიზიკური ყოფნისაგან. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ აღიარებულია, რომ ოკუპაციის დადგენისათვის საჭიროა პირველ რიგში ხელისუფლება დაფუძნდეს, რომელმაც უნდა შეცვალოს არსებული მთავრობა და შემდეგ ეს ხელისუფლება უნდა განხორციელდეს.<sup>554</sup> ცხადია ახალი ტესტების შემოდებით წესდება ახალი ზღვარი ოკუპაციის დადგენისათვის, რაც წინააღმდეგობაში მოდის ოკუპაციის საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ მიღებასთან, რომლის მიხედვითაც ტერიტორიაზე სამხედრო ძალების ყოფნა აუცილებელია ამ ტერიტორიის ოკუპირებულად აღიარებისათვის. ადსანიშნავია, რომ ისრაელი არათუ ეფექტიან, არამედ ზოგად კონტროლსაც კი არ ახორციელებს დაზას სექტორის როგორც ტერიტორიაზე, ასევე მის მმართველ ძალაზე, ხოლო ხელისუფლების ჩანაცვლება და ტერიტორიაზე სამხედრო ძალების განლაგება კი ოკუპაციის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად მხოლოდ ის ფაქტი, რომ ისრაელს უფლება აქვს დაზას სექტორში საჯარო წესრიგის შენარჩუნების მიზნით შევიდეს, კლასიკური ოკუპაციის სამართლის გაგებით, არ არის საქმარისი იმისათვის რომ დაზა ისრაელის მიერ ოკუპირებულად ჩაითვალოს.

ვინაიდან ჰამასი თავად მართავს პოლიციას, ციხეებს, სასამართლოებს, სკოლებს, მედიასა და სოციალურ სამსახურებს, არეგულირებს ბანკების საქმიანობას, მიწისა და ქონების რეგისტრაციას, აგროვებს გადასახადებს და აკონტროლებს თავის შიდა საზღვრებს მიუთითებს იმაზე, რომ ფუნქციონალურად ჰამასი აკონტროლებს დაზას სექტორს და იქ დაწესებული აქვს სრული მმართველობა.<sup>555</sup> უნდა ისრაელის კონვენციების თუ სხვა

<sup>551</sup>Koutoulis, V. *Of Occupation, Jus ad Bellum and Jus in Bello: A Reply to Solon Solomon's "The Great Oxymoron: Jus In Bello Violations as Legitimate Non-Forcible Measures of Self-Defense: The Post-Disengagement Israeli Measures towards Gaza as a Case Study"* in Chinese Journal of International Law, vol.10, 2011, p.904.

<sup>552</sup>Supra, n.549.

<sup>553</sup>Faraway, Y.Sh. *The Legal Status of Gaza after Israel's Disengagement*, The Hebrew University of Jerusalem International Law Forum, Research Paper No. 12-06, August 2006, p. 19; Gasser, H.P. *Belligerent Occupation in Fleck*, supra, n.197, p.243; Bothe, M. *Occupation, Belligerent* in Encyclopedia of Public International Law, vol. 3, Elsevier, Amsterdam, 1997, p.764.

<sup>554</sup>Armed Activities case, supra n.323, para.173.

<sup>555</sup>Kontorovich, E., Kwaskin, P. *Is Gaza Still Occupied?* in Jerusalem Post, June 2, 2011, p.15; სტატიის ავტორები მიიჩნევენ რომ ოკუპაციის დასადგენად აუცილებელია ქვეითი ჯარი იდგას

საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, ისრაელი ვეღარ ჩაითვლება დაზაზე „ეფექტიანი კონტროლის“ განმახორციელებელ ძალად, რადგან მის მიერ კონკრეტული მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტს რაც დაწესებულია ოკუპაციის საერთაშორისო სამართლით. იგივე მიდგომა აქვს ისრაელის უზენაეს სასამართლოსაც.<sup>556</sup>

თუმცა, დაზაზე მსჯელობისას, *კოუტრულის*<sup>557</sup> დავობს, რომ სამხედრო ოკუპაციის დასადგენად საჭიროა მხოლოდ ოკუპანტი ძალის შესაძლებლობა რომ განახორციელოს ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე და არა უშუალოდ ოკუპანტი ძალის მიერ ადგილობრივი მთავრობის ჩანაცვლება ან ადგილობრივი ადმინისტრაციის დაფუძნება *per se*. ამიტომაც, ამ ელემენტზე დაყრდნობით ისრაელის მიერ დაზას სექტორის ოკუპაციის ფაქტი ეჭვგარეშეა.

აქედან გამომდინარე, დაზას სექტორის ოკუპაციისა და ზოგადად ეფექტიანი კონტროლის ტესტის სტანდარტის შეცვლასთან დაკავშირებით მეცნიერებში აზრთა სხვადასხვაობაა,<sup>558</sup> შესაბამისად ოკუპაციის სამართლის განვითარების მოცემულ ეტაპზე ვერ იძებნება გადამწყვეტი პასუხი ამ საკითხზე, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია მკაფიო საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების არარსებობით, ხოლო მეორეს მხრივ იმ დაბატულობით, რომელიც ამ პოზიციის მომხრე და მოწინააღმდეგ სახელმწიფოებსა თუ სხვა აქტორებს შორის არსებობს.

### 7.1.3. ოკუპაცია *de facto* მარიონეტული რეჟიმების შემცველი

ზოგიერთ შემთხვევაში, ტერიტორიული კონტროლი საოკუპაციო ძალის მიერ უშუალოდ არ ხორციელდება, არამედ მარიონეტული მთავრობის ან სხვაგვარად დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით. თუმცა, როგორია იმის განსაზღვრა თუ რა ხარისხის კონტროლი უნდა იყოს დაქვემდებარული სუბიექტის იმისათვის რომ დადგინდეს

ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მხოლოდ საპარო კონტროლი არ არის საკმარისი იმისათვის რომ ტერიტორია ოკუპირებულად იქნეს მიჩნეული. ამის დასამტკიცებლად ავტორებს მოყავთ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1973 რომლითაც ლიბიის ტერიტორია არასავრენ ზონად გამოცხადდა. რეზოლუციის მიღების პროცესში იყო მოსაზრება რომ ეს ლიბიის ტერიტორიის ოკუპაცია იყო, რაც უარყოფილი იქნა, რადგან საპარო კონტროლი და ეპონომიკური ებბარგო არ იქნა მიჩნეული „ეფექტიანი კონტროლის“ ტესტის დასაკმაყოფილებლად ლიბიაში, სტატიის ავტორების აზრით იგივე სტანდარტით ისრაელიც ვერ დააკმაყოფილებს დაზას სექტორში „ეფექტიანი კონტროლის“ ტესტს და შესაბამისად ეს ტერიტორია აღარ უნდა ჩაითვალოს ისრაელის მიერ ოკუპირებულად.

<sup>556</sup>Neuer, H.C. *Hamas Says Gaza Strip 'not occupied'; UN Disagrees* in Jerusalem Post, January 5, 2012, p.13.

<sup>557</sup>Koutroulis, *supra*, n.551, p.905.

<sup>558</sup>Solomon, S. *The Great Oxymoron: Jus In Bello Violations as Legitimate Non-Forcible Measures of Self-Defense: The Post-Disengagement Israeli Measures towards Gaza as a Case Study* in Chinese Journal of International Law, vol.9, 2010, pp.501–536, გვ. 502. Koutroulis, *supra*, n.551.

ოკუპაცია, რადგან სხვა სახელმწიფოს საქმეებში ნებისმიერი სახის ჩარევა ავტომატურად არ გულისხმობს ოკუპაციას.<sup>559</sup> ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი ტრიბუნალი თავის გადაწყვეტილებებში აწესებს ე.წ. “ზოგადი კონტროლის” ტესტს ოკუპაციის დასაღენად, კერძოდ ტრიბუნალის იურისდიქციის მიხედვით, ოკუპაცია სახეზეა მაშინაც კი, როდესაც ერთი სახელმწიფო ახორციელებს “ზოგად” კონტროლს ადგილობრივ ძალებზე, რომლებიც რეალურად ახორციელებენ “ეფექტიან” კონტროლს სადაც ტერიტორიაზე.<sup>560</sup> მსგავსი სიტუაციის მაგალითად იყენებენ ხოლმე მთიანი ყარაბაღის ოკუპაციას, რომელიც *de jure* აზერბაიჯანის საზღვრებში ითვლება, მაგრამ აზერბაიჯანი მოკლებულია შესაძლებლობას გაავრცელოს სახელმწიფო სუვერენიტეტი ამ ტერიტორიაზე ყარაბაღის სეპარატისტულ ჯარებთან შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ, რომელიც აზერბაიჯანის დამარცხებით დასრულდა 1994 წელს. მთიანი ყარაბაღის ტერიტორია ფაქტობრივად იმართება თვითგამოცხადებული სეპარატისტული მთავრობის მიერ, რომელიც თავს არწახის რესპუბლიკის მთავრობად მიიჩნევს<sup>561</sup>, ანუ ამ ტერიტორიაზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებს *defacto* მთავრობა. თუმცა რამდენიმე ასპექტიდან იკვეთება, რომ მთიანი ყარაბაღის მთავრობა იმყოფება სომხეთის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში, ანუ ზოგადი კონტროლის ქვეშ. რეგიონის სომხეთი ძალებში ასევე შედიან სომხეთის სახელმწიფო არმიის ოფიცერები, რაც მიუთითებს რომ სომხეთი არა მხოლოდ ლოჯისტიკურ მხარდაჭერას უჩენს სეპარატისტულ რეჟიმს, არამედ ჩართულია ოპერაციების დაგეგმვასა და კოორდინირებაში. სომხეთის ცენტრალური მთავრობის გავლენა ასევე აღიარა გაერო-ს უშიშროების საბჭომ შესაბამის რეზოლუციაში, რომლითაც მოუწოდებდა სომხეთს რომ უზრუნველევო მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით საბჭოს წინა რეზოლუციებს შესრულება.<sup>562</sup> აღნიშნულზე დაყრდნობით, მთიანი ყარაბაღის ტერიტორია არის *defacto* ოკუპირებული. ოკუპანტ სახელმწიფოდ კი სომხეთი მიიჩნევა, რაც გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაადასტურეს შესაბამისი რეზოლუციების მიღებით.<sup>563</sup>

როგორც წესი, ოკუპაცია მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შედეგი შეიძლება იყოს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია გაიგივებულია სახელმწიფოთა შორის ომთან.<sup>564</sup> თუმცა არის შემთხვევები, როდესაც არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს რომელიმე შეიარაღებული დაჯგუფება მოიპოვებს უპირატესობას და კონკრეტულ ტერიტორიაზე დაამყარებს ეფექტიან კონტროლს, შემდეგ ჩამოყალიბდება სეპარატისტულ მთავრობად და ამ

<sup>559</sup>Vite, *supra*, n.547, p.74.

<sup>560</sup>Blaskic, *supra*, n.545, para.149; Naletilic, *supra*, n.534, paras.181–188, 197–202.

<sup>561</sup>არწახის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა ცალმხრივად გამოაცხადა 1992 წელს რევერენდუმის გზით, თუმცა მისი შედეგები არც-ერთ სახელმწიფოს არ უცნია.

<sup>562</sup>UN SC res.884, 12 November 1993, operative clause 2.

<sup>563</sup>UN GA res.62/243, 14 March 2008; Council of Europe Parliamentary Assembly, Res.1416 (2005).

<sup>564</sup>GC IV, *supra*, n.11, art.2, commentaries (1958).

ტერიტორიაზე გაავრცელებს საკუთარ *defacto* საკანონმდებლო სისტემას. ამის ნათელი მაგალითია, საქართველოს ფაქტობრივი კონტროლიდან გასული ტერიტორიები აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი.<sup>565</sup> თუმცა, ასეთი შემთხვევა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამხედრო ოკუპაციად, თუკი აღნიშნულ *defacto* რეჟიმს “ზოგადად” აკონტროლებს რომელიმე სახელმწიფო. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში ასეთ სახელმწიფოდ გვევლინება რუსეთის ფედერაცია. ადსანიშნავია, რომ ოკუპანტ ძალად ითვლება ის სახელმწიფო, რომელიც ზოგადი კონტროლის განმახორციელებელია მარიონეტულ მთავრობაზე, თუმცა ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით; ეს სიტუაცია დეტალურად თემის მეოთხე თავშია განხილული.

ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის) ოკუპანტი ძალა ცდილობს ხელოვნურად შექმნილი მთავრობების ლეგიტიმაციით მიიღოს მათგან ფორმალური თანხმობა ტერიტორიის ადმინისტრირებისათვის და შემდეგ გათავისუფლდეს ოკუპანტის ვალდებულებებისაგან. რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ცალმხრივად გამოცხადებული დამოუკიდებლობა<sup>566</sup> და განიხილავს მათ როგორც სუვერენულ სახელმწიფოებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს მათ ტერიტორიაზე რუსეთის რეგულარული ჯარის განთავსებაზე. თუმცა ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის მიხედვით, სამხედრო ოკუპაციის მარეგულირებელი ნორმების (კერძოდ უენევის მე-4 კონვენციის შესაბამისი დებულებების) მოქმედება გრძელდება მიუხედავად ნებისმიერი სახის ცვლილებისა, რაც გამოწვეულია ოკუპანტ ძალასა და ოკუპირებული ტერიტორიის *defacto* მმართველს შორის მიღწეული შეთანხმებით.<sup>567</sup> ყოველი ასეთი შემთხვევის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს მმართველსა და მართულს შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი და არა სამართლებრივი მახასიათებლები.<sup>568</sup> ანუ ყურადღება უნდა მიექცეს სავარაუდო ოკუპანტი ძალა ახორციელებს თუ არა ზოგად კონტროლს მარიონეტულ რეჟიმზე, რომელიც თავის მხრივ ეფაქტუანად აკონტროლებს მშობელი სახელმწიფოსაგან *defacto* გამოყოფილ ტერიტორიის ნაწილს; შესაბამისად ის ფაქტი, რომ ამ ორ სუბიექტს შორის რაიმე შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს *defacto* მმართველის სამართლებრივი სტატუსი არარელევანტურია ოკუპაციის სამართლის გავრცელების მხრივ, რადგან ოკუპანტი ძალის უკანონო აქტები ბათილია და არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგს საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

<sup>565</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.62.

<sup>566</sup>აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივად გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღიარების სამართლებრივი ანალიზი იხ. Slomanson, W.R. *Palestinian Statehood: a Secessionist Dialogue* in Miskolc Journal of International Law, vol.8, no.1, 2011. შეად. Grammatikas, V. *Kosovo v. South Ossetia? Modern politics of Secession and International Law* in Tbilisi State University Journal of International Law, vol. 1, 2009.

<sup>567</sup>GC IV, *supra*, n.11, art.47.

<sup>568</sup>Tadic (I) trial chamber, *supra*, n.45, para.168.

ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალმა ბლასკიჩის საქმეში მიიჩნია, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინაში დაჯგუფება “ხორვატის თავდაცვითი ძალების” (HVO) მიერ დაკავებული ანკლავები იყო ხორვატის ოკუპაციის ქვეშ “იმ ზოგადი კონტროლის გამო, რომელსაც ხორვატია ახორციელებდა HVO-ზე, მხარდაჭერისა და ახლო კავშირების გზით.”<sup>569</sup> თუმცა მოგვიანებით ტრიბუნალმა გაზარდა თავისივე დაწესებული სტანდარტი და ნატურალის საქმეში დაადგინა, რომ:

შეიარაღებული კონფლიქტის დადგენა და ხამხედრო ოკუპაციის დადგენა არსებითად განხევავდება ერთმანეთისაგან. ზოგადი კონტროლის ტესტი გამოიყენება პირველ შემთხვევაში, ხოლო ოკუპაციის დასადგენად კონტროლის უფრო მაღალი ხარისხია საჭირო.<sup>570</sup>

სავარაუდო სასამართლო პალატა კონტროლის “უფრო მაღალ ხარისხში” ეფექტიანი კონტროლის ტესტს გულისხმობდა. სწორედ ეფექტიანი კონტროლის ტესტი გამოიყენა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ შეიარაღებული მოქმედებების საქმეში, რომელშიც ვერ დადგინდა უგანდის მიერ კონგოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია, სწორედ იმიტომ რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა უგანდის მიერ აჯანყებული ჯგუფების მხოლოდ ზოგადი სახის კონტროლი, რაც გამოიხატებოდა იარაღის მიწოდებასა და გაწროვნაში.<sup>571</sup>

მესამე სახელმწიფოს მიერ მარიონეტული რეჟიმის კონტროლის ხარისხი განმსაზღვრელია ოკუპაციის არსებობის დასადგენად, რადგან თუკი ამ სახელმწიფოს სამხედრო ძალა არაა წარმოდგენილი სადავო ტერიტორიაზე, მისი ოფიციალური პირები არ არიან ჩართული ამ ტერიტორიის ადმინისტრირებაში და უშუალოდ არ გეგმავენ სამხედრო ოპერაციებს, მაშინ ლოგიკურია რომ მარიონეტული ადგილობრივი დაჯგუფების ქმედებებზე ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ქუთხით პასუხისმგებლობაც ამ სახელმწიფოს არ დაეკისრება, რადგან სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების მიხედვით, კერძო პირთა ქმედებებისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დადგენისათვის საჭიროა ეფექტიანი კონტროლის არსებობა.<sup>572</sup>

ეროვნული უნდა განვასხვავოთ ეფექტიანი კონტროლისა და ეფექტიანი მმართველობის (*effective authority*) სტანდარტი. ეს უკანასკნელი გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფოს მიერ არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნის კონტროლის ხარისხის დასადგენად.<sup>573</sup> თუმცა, აღნიშნული სტანდარტი განხილული იყო ადამიანის უფლებათა სამართლის ჭრილში და არა ოკუპაციის

<sup>569</sup> Blaskic, *supra*, n.545, paras.149-150.

<sup>570</sup> Naletilic, *supra*, n.534, para.214.

<sup>571</sup> Armed Activities case, *supra*, n.323, paras.160-177.

<sup>572</sup> Articles on state responsibility, *supra*, n.344, art.8; see: Nicaragua case, Genocide case, *supra*. n.345.

<sup>573</sup> ECtHR, *Iascu and Others v. Moldova and Russia*, no.48787/99, 2004, para.329.

საერთაშორისო სამართლის კუთხით,<sup>574</sup> შესაბამისად ეფექტიანი მმართველობის პირობებში სახელმწიფოს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა სადაც ტერიტორიაზე მარიონეტული რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის, მაგრამ ეს საკმარისი არაა იმისათვის რომ აღნიშნული სახელმწიფო მივიჩნიოთ ოკუპანტი ძალად და მასზე გავავრცელოთ ოკუპაციის სამართლით დადგენილი ვალდებულებები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოკუპაცია მარიონეტული სამთავრობო რეჟიმის მეშვეობით არ არის სტანდარტული ოკუპაციის მაგალითი, შესაბამისად მისი დადგენა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, ამიტომ ყოველი სავარაუდო ოკუპაციის შემთხვევა განხილული უნდა იყოს კონტექსტუალურად, კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირველ რიგში მარიონეტული მთავრობა ეფექტიანად აკონტროლებს თუ არა მშობელი სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივ ტერიტორიას, შემდეგ უნდა დადგინდეს სავარაუდო ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი *defacto* მთავრობის კონტროლის ხარისხი. იმ შემთხვევაში თუკი სახეზეა ეფექტიანი კონტროლი, მაშინ კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო იქნება ოკუპანტი ძალა, რომელზეც სრულად გავრცელდება ოკუპაციის სამართლით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, ხოლო *defacto* რეჟიმი კი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საკუპაციო მმართველობის ერთ-ერთი ფრთა. ხოლო თუკი დადგინდა, რომ სავარაუდო ოკუპანტი სახელმწიფო მარიონეტულ რეჟიმს ზოგადად აკონტროლებს, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული სახელმწიფო მოკლებულია სადაც ტერიტორიაზე მმართველობის განხორციელებას, რაც პააგის რეგულაციების მიხედვით ოკუპაციის დადგენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.<sup>575</sup> თუმცა ზოგადი კონტროლის პირობებშიც შესაძლოა ოკუპაცია გვქონდეს სახეზე, თუკი სადაც ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს ჯარი არის განლაგებული ადგილობრივი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, და ამ ჯარს აქვს საშუალება *defacto* მთავრობის გვერდის ავლით განახორციელოს მმართველობა და კონტროლი დაკავებულ ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარაა იმის დადგენა ადგილობრივი *defacto* რეჟიმი არის თუ არა ოკუპანტი სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, რადგან ადგილზე განლაგებულ სამხედროებს ისედაც შეუძლიათ ხელისუფლების განხორციელება, შესაბამისად სადაც ტერიტორია ჩაითვლება ოკუპირებულად, ხოლო ჯარების წარმგზავნი სახელმწიფო კი ოკუპანტად.

როგორც გამოჩნდა, ტერიტორიული კონტროლის საკითხი პირდაპირაა მიბმული ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებთან, რადგან ხშირ

<sup>574</sup> ეფექტიანი მმართველობის სტანდარტი დადგინდა მოლდოვის სეპარატისტულ რეგიონ დნესტრისპირეთთან მიმართებით, თუმცა ვინაიდან დნესტრისპირეთში ოკუპაციის ნიშნები არ იკვეთება და არც მშობელი სახელმწიფო (მოლდოვა) არ დავობს რეგიონის ოკუპაციას, ამიტომ მოცემული ნაშრომის მიზნებისათვის ამ მაგალითის განხილვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

<sup>575</sup> Hague Regulations, reg. 42.

შემთხვევაში სწორედ ტერიტორიული კონტროლის უარყოფითა და აქედან გამომდინარე ოკუპაციის ფაქტის არარსებობის მოტივით, სავარაუდო ოკუპანტი ძალა ცდილობს გავიდეს ოკუპაციის სამართლის ფარგლებიდან და შესაბამისად თავისი უფლებამოსილება არ დაუქვემდებაროს იმ შეზღუდვებს, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით ან გაექცეს იმ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რაც მას ოკუპაციის საერთაშორისო სამართლით ეკისრება. ქვეთავში განხილულ ასეთ ნებისმიერ შემთხვევაში, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის კეთილდღეობა და ოკუპირებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირება. ამავდროულად, ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის დადგენისას არ არის მიზანშეწონილი ოკუპაციის სამართლის ნორმების ფართოდ განმარტება და ახალი კონცეფციებისა და მიღომების შემოღება მკაფიო სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის პირობებში.

## 7.2. ოკუპანტი ძალის მიერ შექმნილი დასახლებები და მათი ბეჭი

### 7.2.1. დასახლებებში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი

ენეგის მე-4 კონვენციის 49(6) მუხლი ოკუპანტ ძალას უკრძალავს თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის ჩამოსახლებას ან ტრანსფერს ოკუპირებულ ტერიტორიაზე.<sup>576</sup> წითელი ჯვრის საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის კვლევის მიხედვით, ოკუპანტი ძალის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ჩამოსახლების აკრძალვა ჩვეულებითი სამართლის ნორმაა.<sup>577</sup> ამას გარდა, ენეგის კონვენციების 1-ლი დამატებითი ოქმი ამგვარ ჩამოსახლებას ოქმის მძიმე დარღვევად მიიჩნევს.<sup>578</sup> ხოლო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი), რომელიც აწესებს ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ამგვარ ქმედებას ომის დანაშაულად აცხადებს.<sup>579</sup> ადსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტის სამოქალაქო მოსახლეობის ჩამოსახლების ამკრძალავი ნორმის ჩასმა რომის სტატუტში წინააღმდეგობრივი საკითხი იყო, იმდენად რამდენადაც არსებობდა კითხვის ნიშნები ამ ნორმის საერთაშორისო ჩვეულებით სამართლებრივ ხასიათთან დაკავშირებით.<sup>580</sup>

ასევე სადაც 49-ე მუხლის მოქმედების სფეროც: აღნიშნული დებულება კრძალავს მხოლოდ ძალისმიერ ტრანსფერს, თუ ის მოიცავს სამოქალაქო პირთა ყოველგვარ გადმოადგილებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელიც

<sup>576</sup>GC IV, *supra*, n.11, art.49(6).

<sup>577</sup>Heckaerts, J.M., Doswald-Beck, L. (eds.) *Customary International Humanitarian Law vol. 1: rules*, Geneva, 2005, rule 130, pp.462-463.

<sup>578</sup>AP I, *supra*, n.12, art.85(4)(a).

<sup>579</sup>Rome Statute, *supra*, n.168, art.8(2)(b)(viii).

<sup>580</sup>ძაგ. რომის კონფერენციაზე ისრაელი მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ამ დებულების ჩასმას “ომის დანაშაულებში”, რადგან სადაც ხდიდა მის ჩვეულებით სამართლებრივ ხასიათს.

მხარდაჭერილია, ორგანიზებულია ან წაქეზებულია ოკუპანტი ძალის მიერ?! მუხლის გონივრული განმარტების მიხედვით სამოქალაქო მოსახლეობის გადმოსახლების ბლანკებური აკრძალვა ეხება მოსახლეთა ყველანაირ (როგორც ძალისმიერს ისე ნებაყოფლობითს) ტრანსფერს, რომელიც მართულია ან მიეწერება ოკუპანტ ძალას.<sup>581</sup>

49-ე მუხლის ტექსტი გარკვეულ ბუნდოვანებას შეიცავს, რადგან ის ოკუპანტს უკრძალავს მხოლოდ მის სამოქალაქო მოსახლეობის გადმოსახლებას და არ ეხება ოკუპანტის მიერ თანამებრძოლი ან მესამე სახელმწიფოს მოქალაქეთა გადმოსახლებას. წესით, ოკუპანტი ძალის მიერ დაკავებული ტერიტორიის ძირითადი დემოგრაფიული შემადგენლობის ცვლილებისაკენ მიმართული ნებისმიერი მცდელობა, თავისი თუ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ძალით, თანაბრად აკრძალული უნდა იყოს, თუმცადა მუხლის ტექსტი ამას პირდაპირ არ მიუთითებს.<sup>582</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 49-ე მუხლი არ ეხება კერძო მაცხოვრებლებს ოკუპანტი ქვეყნის მოსახლეობიდან. ისეთი სიტუაციები, როდესაც ოკუპანტი ძალის მოქალაქეები ოკუპირებული ტერიტორიის ადგილობრივ მოსახლეობასთან კანონიერი კერძო კონტრაქტით იძენენ უძრავ ქონებაზე საკუთრებას და იქ სახლდებიან არ მიიჩნევა "ტრანსფერად" 49-ე მუხლის გაგებით და შესაბამისად არ იკრძალება ზემოთ აღნიშნული ინსტრუმენტებით.<sup>583</sup>

არც-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ხელშეკრულება თუ კონვენცია არ ეხება ამგვარი დასახლებების სტატუსსა და მათ ბედს ოკუპაციის დასრულების შემდგომ. სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალიც არ აწესრიგებს მოცემულ საკითხს. საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის მიხედვით, ოკუპანტი ძალის მიერ თავისი მოსახლეობის გადმოსახლება (ქმედება, როგორც ასეთი) მიიჩნევა უკანონოდ და არა თავად დასახლებები ან მასში მცხოვრები მოსახლეები.<sup>584</sup> ამგვარი მიდგომის მიხედვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ ქმედების ჩამდენი პირები საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე შეიძლება წარსდგნენ და დაისაჯონ ომის დანაშაულებისათვის, ეს პირდაპირ არ იმოქმედებს საოკუპაციო რეჟიმის მიერ გადმოსახლებული მოსახლეობის სტატუსზე. ეს სიცარიელე, რომელიც არსებობს სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალში უკანონოდ შექმნილი დასახლებების სტატუსისა და მათი მომავალი ბედის კუთხით შესაძლოა შეივსოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, ამ

<sup>581</sup>Kretzmer, D. *The Advisory Opinion: The Light Treatment of International Humanitarian Law in AJIL*, vol.99, 2005, pp.88-91.

<sup>582</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.239.

<sup>583</sup>Ibid, p.240.

<sup>584</sup>ხოგადი საერთაშორისო სამართლის მიხედვით ოკუპანტის უკანონო ქმედებები ბათილია და არანაირ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს და საერთაშორისო სამართალი ამგვარი უკანონო ქმედების შედეგების არაღიარების *erga omnes partes* ვალდებულებას აწესებს. იხ. მაგ, *Wall case*, *supra*, n.29, para.159.

უკანასკნელის კომპლემენტარული გამოყენებისა და მასთან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის *lex specialis* ხასიათის მხედველობაში მიღებით.<sup>585</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი წყვეტს მოქმედებას, როგორც კი აქტიური საომარი მოქმედებები ან სამხედრო ოკუპაცია სრულდება,<sup>586</sup> დასახლებების საკითხი, როგორც ოკუპაციის პერიოდში აღმოცენებული, შესაძლოა კვლავ რეგულირდებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, იმდენად რამდენადაც პოსტ-ოკუპაციურ გარდამავალ პერიოდს დიდი ალბათობით შეიარაღებული კონფლიქტის დროსთან აქვს კავშირი. თუმცა, თუკი დადგინდება, რომ ამგვარ გარდამავალ პერიოდში მშვიდობიანობის დროს მოქმედი სამართლი უნდა გამოიყენებოდეს, ასეთ შემთხვევაშიც ადამიანის უფლებათა სამართლის გავრცელება შეუქცევადია ამ უკანასკნელის საყოველთაო გამოყენების ბუნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ბუნდოვანება თუ როგორი სამართლებრივი ნორმები უნდა გამოიყენებოდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი დასახლებების საკითხის განხილვისას რეალურად არც არსებობს, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი საკითხის მარეგულირებელ პირველად წყაროდ გვევლინება.

ნაშრომის მოცემული ნაწილი აანალიზებს ოკუპაციისა და მის შემდგომ პერიოდში დასახლებებში მოქმედ სამართლებრივ რეჟიმს. კერძოდ, ის განიხილავს დასახლებების კანონიურებას სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან და ასევე ეხება დეოკუპაციის შემდგომ ამგვარი დასახლებების შესაძლო განადგურებისა და მოსახლეების გაძევების შესაბამისობას ადამიანის უფლებათა დამცავ ნორმებთან. მოცემული ქვეთავი ფოკუსირებულია ზოგად მიღომებზე, რომელიც გამოიყენება მსოფლიო მასშტაბით ყველა ოკუპაციისას, თუმცა სპეციალური ხაზგასმა კეთდება ყველაზე ცნობილ ისრაელის პრაქტიკაზე დასავლეთ სანაპიროზე.

### 7.2.1. ოკუპაციის სამართლი

მუშაობა ცხელი ხაზის მნიშვნელოვან საქმეში, ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიღომა იყო, რომ სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლი ზოგადად ვრცელდება ოკუპანტის მიერ დაკავებულ მთელს

<sup>585</sup> საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთქმედების შესახებ დებალურად იხ. Arnold, R., Quenivett, N. (eds.) *International Humanitarian Law and Human Rights Law: Towards a New Merger in International Law*, Leiden, Boston, 2008; Provost, R. *International Human Rights and Humanitarian Law*, Cambridge, 2004; Martin, F.F., et. al. (eds.) *International Human Rights and Humanitarian Law: Treaties, Cases and Analysis*, Cambridge, 2006.

<sup>586</sup> თუმცა ოკუპირებული ტერიტორიების შემთხვევაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედება გაგრძელდება საომარი მოქმედების დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში, იხ. GC IV, *supra*, n.11, art.6.

ტერიტორიაზე,<sup>587</sup> მაგრამ ისრაელის დასახლებებში მოქმედ კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ანკლავებზე მცხოვრებ მოსახლეთა (როგორც ისრაელელთა ისევე პალესტინელთა) მიმართ გამოსაყენებელი სამართლებრივი სისტემა მართლაც უნიკალური და კომპლექსური ხასიათისაა.<sup>588</sup>

ოკუპაციის სამართლის მიხედვით, ოკუპაციამდე მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობა ინარჩუნებს მოქმედების ძალას თუკი ის არ შეიცვალა სამხედრო მეთაურობის აქტებით. ასეთი ცვლილება კი უნდა დაექვემდებაროს აბსოლუტური აუცილებლობის კრიტერიუმს, რომ არ მოვიდეს წინააღმდეგობაში საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან.<sup>589</sup>

ჟენევის მე-4 კონვენციის, 1-ლი დამატებითი ოქმისა და რომის სტატუტის გარდა, არსებობს მოსაზრება რომ პააგის რეგულაციებიც არაპირდაპირ ზღუდავს ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებას, რომ ჩამოასახლოს საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. პააგის სამართლის არც-ერთი წესიდან არ ჩანს თუ საიდან შეიძლება ოკუპანტს ჰქონდეს უფლებამოსილება რომ განახორციელოს მასობრივი დასახლებების პროექტები, ან შეცვალოს ადგილობრივი კანონმდებლობა ისე რომ თავის სამოქალაქო მოსახლეობას შეეძლოს ოკუპირებულ მიწაზე საკუთრების შეძენა, თუკი ეს მანამდე არ შეიძლებოდა. ამგვარი ცვლილება არ ჩაითვლება "საჯარო წესრიგისა და საზოგადო ცხოვრების უზრუნველყოფად" პააგის რეგულაციების 43-ე მუხლის გაგებით და ამგვარი პროექტები *prima facie* სამხედრო აუცილებლობადაც არ განიხილება.<sup>590</sup>

მიუხედავად იმისა რომ ოკუპაციის სამართლებრივი რეჟიმი მთლიანად ვრცელდება დასახლებებზე, ოკუპაციის სამართლის დაცვით მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობა ისარგებლებს და არა დასახლებების უკანონოდ გადმოსახლებული მაცხოვრებლები, რადგან ჟენევის მე-4 კონვენციის ძირითადი მოტივია პირთა დაცვა იმ მთავრობის ქმედებებისაგან, რომელიც არაა მათი მთავრობა, შესაბამისად კონვენციის მიზანია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის ინტერესთა დაცვა და არა ოკუპანტი ძალის მოქალაქეებისა.<sup>591</sup> ჟენევის მე-4 კონვენციის მე-4 მუხლი პირდაპირ აცხადებს რომ კონვენციის დაცვით სარგებლობებს მხოლოდ ის პირები, რომლებიც ისეთი ოკუპანტი ძალის ხელში აღმოჩნდებიან, "რომლის მოქალაქეებიც ისინი არ არიან."<sup>592</sup>

სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიხედვით, გადმოსახლებული მოსახლეები არ იღებენ საკუთრების უფლებას იმ მიწაზე, რომელზეც ისინი სახლდებიან. ისინი ყველა უფლებას იღებენ ან სამხედრო მეთაურობისაგან ან ოკუპანტის სახელით მოქმედი სხვა პირისა

<sup>587</sup>HCJ 5666/03 *Kav la Oved and others v. National Labour Court of Jerusalem and others* (2007), para.11.

<sup>588</sup>*Ibid.*

<sup>589</sup>Hage Regulations, *supra*, n.10, art.43.

<sup>590</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.241.

<sup>591</sup>*Ibid.*, p.240.

<sup>592</sup>GC IV, *supra*, n.11, art.4.

ან დაწესებულებებისაგან, თუმცა არც ოკუპანტი და არც მისი სახელით მოქმედი სხვა პირი არაა ოკუპირებული მიწის მესაკუთრე და შესაბამისად მათ არ შეუძლიათ იმაზე მეტი უფლების გადაცემა, რაც მათ გააჩნიათ. ოკუპანტის ძალაუფლება გადმოცემულია პააგის რეგულაციებში, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალიცაა.<sup>593</sup> რადგანაც ოკუპანტ ძალას არ შეუძლია იმის გადაცემა, რაც მას არ აქვს, ამიტომაც ჩამოსახლებული მოსახლეობა ვერ მიიღებს რაიმე სახის სტატუსს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპაციის განმავლობაში.<sup>594</sup> ამ მიდგომის არსი ოკუპაციის დროებით ბუნებაშია. დროებითი მდგომარეობა გამორიცხავს გადმოსახლებული მოსახლეობისათვის რაიმე სახის მუდმივი სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას.<sup>595</sup>

თუმცადა, განსხვავება უნდა დავინახოთ ოკუპანტის პროექტის ფარგლებში გადმოსახლებული მოსახლეობისათვის სტატუსის მიღების შეუძლებლობასა და საკუთარი ინიციატივით დასახლებულ პირთა სტატუსს შორის. 49-ე მუხლის სულისკვეთება მიანიშნებს, რომ დასახლებების ის ნაწილი, რომელიც ოკუპანტის სამოქალაქო მოსახლეობის მიერ იქნა შექმნილი ინდივიდუალურად იმ კერძო მიწაზე, რომელიც სრული საბაზრო ფასით იქნა შესყიდული ამ მიწის კანონიერი მესაკუთრეებსაგან და არ იყო წაქეზებული ან სხვაგვარად ხელშეწყობილი ოკუპანტი ძალის მიერ, არ მოიაზრება ამ მუხლით დაწესებული აკრძალვის ქვეშ.<sup>596</sup> როგორც სამხედრო ტრიბუნალმა განაცხადა *I.G. Farben* საქმეში, პააგის რეგულაციებში არ მოიძებნება დებულება, რომელიც "გაამართლებდა ფართო განმარტებას რომ სამხედრო ოკუპანტის მოსახლეობის კერძო პირებს არ შეუძლიათ დადონ საკუთრებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როდესაც კანონიერი მესაკუთრის თავისუფალი თანხმობა სახეზეა."<sup>597</sup> აქედან გამომდინარე, როდესაც განიხილება უკანონოდ შექმნილი დასახლებების პოსტ-ოკუპაციის ბედი, კერძო პირები, რომლებიც თავისით დასახლდნენ კანონიერად მიღებული უფლების საფუძველზე არამც და არამც არ მოიაზრებიან ნებისმიერი სახის შეთანხმების მონაწილედ, რომელიც შეეხება დასახლებების რელოკაციას, რადგან მათ კანონიერად აქვთ მოპოვებული საკუთრების უფლება და 49-ე მუხლის მიზნებისთვის არ უთანაბრდებიან უკანონოდ გადმოსახლებულ დასახლებების მკვიდრებს.

#### 7.2.1.2. ისრაელის პრაქტიკა

ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებები საერთაშორისო საზოგადოებაში მძაფრი დისკუსიის საგნად იქცა. ჯერ კიდევ 1980 წელს გაერო-ს უშიშროების საბჭომ დაადგინა, რომ:

<sup>593</sup>HCJ 1661/05 *Gaza Coast Local council case*, in IYHR, vol.37, 2007, p.358..

<sup>594</sup>Ronen. Y. *Status of Settlers Implanted by Illegal Territorial Regimes* in British Yearbook of International Law, vol.79, no.1, 2008, p.321.

<sup>595</sup>HCJ 7918/05 *Nango et. al. v. Government of Israel et. al.* (2005) para.59(2).

<sup>596</sup>Dinstein, *supra*, n.8, p.241.

<sup>597</sup>*I.G. Farben trial*, *supra*, n.199.

ისრაელის მიერ მიღებული [ყველა] ზომა, რომელიც მიზნად ისახავს 1967 წლიდან ოკუპირებული პალესტინური და სხვა არაბული ტერიტორიების, მათ შორის იერუსალიმისა და მისი ნებისმიერი ნაწილის ფიზიკური ხასიათის, დემოგრაფიული შემადგენლობის, ინსტიტუციური სტრუქტურისა და სტატუსის ცვლილებას მოქლებულია სამართლებრივ ვალიდურობას და ისრაელის მიერ თავისი მოსახლეობისა და ახალი იმიგრანტების ამ ტერიტორიაზე ჩასახლების პოლიტიკა და პრაქტიკა ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ უკნევის მე-4 კონვენციის აღმაშვროებული დარღვევაა.<sup>598</sup>

საბჭომ ასევე მოუწოდა ისრაელის მთავრობასა და ხალხს რომ გაეუქმებინათ ეს ზომები, დაეშალათ არსებული დასახლებები და შეეწყვიტათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასახლებების დაარსება, შენება და დაგეგმვა.<sup>599</sup>

ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების კანონიერება რამდენიმეჯერ განიხილა ისრაელის უზენაესმა სასამართლომ. ყველა საქმეში სასამართლომ თავი აარიდა უკნევის მე-4 კონვენციის გამოყენებას დასახლებებთან მიმართებაში და საკითხი მხოლოდ საერთაშორისო ჩვეულებით სამართლზე, კერძოდ კი პააგის რეგულაციების შესაბამისი დებულებებზე დაყრდნობით გადაწყვიტა. სასამართლომ დასახლებების კანონიერება განიხილა პააგის რეგულაციებით დაშვებულ მიწის კანონიერი დაყადაღების პრინციპის მხედველობაში მიღებით და შესაბამისად ერთმანეთისაგან განასხვავა დასახლებები, რომელიც საოკუპაციო ჯარის სამსედრო საჭიროებებს ემსახურებოდა<sup>600</sup> და წმინდა სამოქალაქო დასახლებები.<sup>601</sup> სასამართლომ დააღვინა რომ სამსედრო საჭიროებით განპირობებული დასახლებები, რომელიც თუნდაც კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე იყოს აშენებული, მათი ხასიათისა და მიზნის გამო დაშვებულია ოკუპაციის სამართლის მიხედვით, თუმცა სამოქალაქო დასახლებებთან მიმართებაში სასამართლომ განაცხადა რომ ამგვარი დასახლებების შექმნა მიუთითებდა მათ მუდმივ ბუნებაზე, რაც საერთაშორისო სამართლს ეწინააღმდეგება და ამიტომ უნდა დაშლილიყო.<sup>602</sup>

მაალეი ადუმიმის საქმეში ისრაელის უზენაესმა სასამართლომ თავიდან აირიდა სადაც დასახლებების კანონიერების განხილვა და განაცხადა, რომ დასახლებების საკითხი არა სამართლებრივი დავის, არამედ პოლიტიკური დისკუსიის საგანია, რომელიც უნდა განიხილებოდეს ისრაელსა და PLO-ს შორის მოლაპარაკებებისას და მოგვარდეს მხარეებს შორის საბოლოო

<sup>598</sup>UN SC res. 465, (1980), para.5.

<sup>599</sup>Ibid, para.6.

<sup>600</sup>HCJ 606/78 *Ayub et. al v. Minister of Defence et. al* (1978) in ICRC case data base, available at: <https://www.icrc.org/casebook/doc/case-study/israel-ayub-defence-case-study.htm>; HCJ 258/79 *Amira et. al v. Minister of Defense et. al* (1979) in Pishei Dan, vol.34(1), 1979, p.90.

<sup>601</sup>HCJ 390/79 *Dweikat et al., v. Government of Israel et al., (Elon Moreh case)* in Pishei Dan, vol.34(1), 1979, p.1.

<sup>602</sup>Dinstein, *supra*, n.8, pp.242-245.

სტატუსის შესახებ შეთანხმების მიღწევისას.<sup>603</sup> სასამათლოს მოგივაცია აღნიშნული პეტიციის დაუშვებლად ცნობის დროს იყო შემდეგი, რომ სადაც მიწაზე ისრაელის დასახლებების სტატუსი უნდა განისაზღვროს პოლიტიკური შეთანხმების შედეგად და სასამართლო ვერ ჩაერევა იმ დისკუსიებსა და მოლაპარაკებებში, რომელთა წარმართვის უპირველესი უფლებამოსილება მთავრობის სხვადასხვა შტოზეა დაკისრებული. მართლაც, ოსლოს შეთანხმების მიხედვით, დასახლებები, არის ერთ-ერთი საკითხი, რომელიც საბოლოო სტატუსის შესახებ შეთანხმებით უნდა მოგვარდეს.<sup>604</sup>

ზოგადად, დასავლეთ სანაპიროს სამხედრო მეთაურობა დასახლებებზე სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს ავრცელებს. აღნიშნული სამართლებრივი წესრიგი ხშირად მოიხსენიება, როგორც "ანკლავთა სამართლი" ან "ექსკლავთა (ანუ გარე ტერიტორიების) სამართლი" და მოიცავს სამართლებრივ ხორმათა რამდენიმე ფენას.<sup>605</sup> ერთ-ერთ ასეთ ფენას გადმოაქვს ისრაელის კონკრეტული კანონები დასახლებების ტერიტორიაზე,<sup>606</sup> ხოლო სხვა ფენის კანონები დასახლებების მოსახლეობაზე, როგორც ისრაელის მოქალაქეებზე, ვრცელდება პერსონალური იურისდიქციის საფუძველზე.<sup>607</sup> ამ სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის მიზანია ისრაელელი მოსახლეებისათვის ისეთი სამართლებრივი წესრიგის შექმნა, როგორიც მათ ისრაელის კანონმდებლობის ქვეშ ექნებოდათ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ფორმალურად ისინი სხვა სამართლებრივ სისტემას ექვემდებარებიან.<sup>608</sup> ისრაელის კანონმდებლობის ეს ნაწილი, რომელსაც მუნიციპალური საბჭოების კოდექსის სახელითაც იხსენიერენ,<sup>609</sup> ავტომატურად ვრცელდება მხოლოდ დასახლებების მაცხოვრებლებზე. შესაბამისად სამხედრო ბრძანების (რომელიც აწესებს მუნიციპალური საბჭოების კოდექსს) მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ისრაელის მოქალაქეებსა და დასახლებების ებრაელ მაცხოვრებლებს შორის ურთიერთობებზე და არ

<sup>603</sup>HCJ 3125/98 *Ayad et al. v. IDF Commander of Judea and Samaria et al.* (1999), para.55(1).

<sup>604</sup>Oslo I Accord, (1993) Declaration of Principles on Interim Self Government (DOP) Art. V (3) other unresolved issues reserved for further negotiations are: Jerusalem, refugees, security arrangements, borders, relations and co-operation with other neighbours, and other issues of common interest.

<sup>605</sup>Paz-Fuchs, A., Ronen, Y. *Occupational Hazards* in Berkley Journal of International Law, vol.30, no.2, 2012, p.599.

<sup>606</sup>Military Commander's Order on Administration of Municipal Councils (Judea and Samaria) 5741-198, no.892.

<sup>607</sup>Law for Extension of the Emergency Regulations (Judea and Samaria – Criminal Adjudication and judicial Assistance), 5767-1967 S.H. 517, art.6B and the Annex (as extended and amended).

<sup>608</sup>პაგის რეგულაციების მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კანონმდებლობა აგრძელებს მოქმედებას სანამ მისი შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელი არა. ისრაელის მიერ დასავლეთ სანაპიროს დაკავებისას ამ ტერიტორიაზე მოქმედებდა იორდანის კანონმდებლობა, შესაბამისად ფორმალურად იორდანის სამართლებრივი სისტემა აგრძელებს მოქმედებას, თუკი ის არ შეიცვალა ოკუპანტი ძალის მიერ. ამგვარი ცვლილება უნდა იყოს აუცილებელი ან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ან ოკუპანტი ჯარის სამხედრო საჭიროებისათვის.

<sup>609</sup>Order on Administration of Municipal Councils (Judea and Samaria), 5741-1981, no.892.

მოიცავს დასახლებებში ებრაელებსა და პალესტინელებს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

გარდა ზემოთ მოცემული ფორმალური საფუძვლებისა, ისრაელის პრაქტიკაში ვხვდებით სხვადასხვა სამართლებრივი კონსტრუქციებითა და ფართო განმარტებით ისრაელის კანონმდებლობის დასახლებებზე გავრცელების მცდელობებსაც. მაგალითად, *KPA Steel* საქმეში, უზენაესმა სასამართლომ განიხილა საკითხი რამდენად ვრცელდებოდა ისრაელის მოქალაქეებზე დაკისრებული საშემოსავლო გადასახადი *mutatis mutandis* ებრაელებზე, რომლებიც ცხოვრობენ დასახლებებში. სასამართლომ დაადგინა, რომ ფართო ინტერპრეტაციით გადასახადის გავრცელება დასახლებებში კანონიერია, რადგან იქ მაცხოვრებლებს აქვთ მოლოდინი რომ საგადასახადო კანონმდებლობა მათზე, როგორც ისრაელის მოქალაქეებზე ყველა ასპექტით გავრცელდება.<sup>610</sup> ისრაელის კანონმდებლობის დასახლებებში ექსტრატერიტორიულად გავრცელების შესახებ, იერუსალიმის საოლქო სასამართლომ, *inter alia*, პირდაპირ განაცხადა, რომ დასავლეთ სანაპიროზე მოქმედ ბიზნესებზე ისრაელის კანონმდებლობის გავრცელება თანხვედრაშია პრეცედენტულ სამართლითან, რომლის მიხედვითაც სასამართლო "[...] წლების განმავლობაში ყველაფერს აკეთებს რომ იუდეასა და სამარიაში მაცხოვრებლები ისრაელის მოქალაქეების მიმართ გამოიყენოს ისრაელის კანონმდებლობა, რათა ისინი ყველა განზრახვითა და მიზნით მიიჩნეოდნენ ისრაელებად."<sup>611</sup>

ოკუპანტის შიდა კანონმდებლობის პირდაპირ თუ სხვაგვარი ინტერპრეტაციით ოკუპირებულ ტერიტორიაზე გავრცელება სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალთან შეუსაბამობასთან დაკავშირებულ საკითხს წამოჭრის. ზოგადად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტს საკანონმდებლო საქმიანობა შეზღუდული აქვს, თუკი მისი განხორციელება აბსოლუტურად საჭიროა და გამართლებულია ოკუპანტის სამხედრო საჭიროებების ან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის მიზნიდან გამომდინარე. ისრაელის კანონების დასახლებებზე გადმოტანა შესაძლოა განიხილებოდეს ცალმხრივ ანექსიად, თუმცა *KPA Steel* საქმეში სასამართლო მიუთითებდა რომ ისრაელის კანონმდებლობის ექსტრატერიტორიული გამოყენება დასახლებებში მცხოვრებ ისრაელის მოქალაქეებზე აუცილებლად არ ეწინააღმდეგება სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალს. მართლაც, პააგის რეგულაციების ობიექტი და მიზანია ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობისათვის კონკრეტული დაცვის უზრუნველყოფა. 43-ე მუხლის მიხედვით, ასეთი დაცვა მოიცავს ადგილობრივი კანონმდებლობის მოქმედების შენარჩუნებას რათა შეიზღუდოს ოკუპაციის გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო მეთაურობის ქვეშ აღმოჩნდა. დასავლეთ სანაპიროზე არსებულ ებრაულ დასახლებებში მცხოვრები პირები რეალურად არ მოხვედრილან "მოწინააღმდეგე არმიის" ხელში, შესაბამისად

<sup>610</sup>HCJ 123/83 *KPA Steel v. State of Israel*, Criminal Appeal, in Piskei Dan, vol.38(1), 1984, p.813, para.8.

<sup>611</sup>Jerusalem District Court 6718/05 *Bitton v. Helman* (2006) in Fuchs, Ronen, *supra*, n.605, p.603.

ისინი ოკუპანტის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკანონმდებლო საქმიანობის შემზღვდავი დებულების მოქმედების მიღმა არიან.

## 7.2.2. დახახლებების დაშლის შესაძლებლობა დეოუპაციის შემდგომ პერიოდში

### 7.2.2.1. ნამიბიის გამონაკლისის ტეხნიკის გამოყენება

უკანონო ქმედებების გამო სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების<sup>612</sup> მიხედვით ყველა სახელმწიფო ვალდებულია არ აღიაროს კანონიერად სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის სერიოზული დარღვევის შედეგად და არ გაწიოს რაიმე სახის მხარდაჭერა ან დახმარება ამ სიტუაციის შესანარჩუნებლად.<sup>613</sup> მაშინ როდესაც ოკუპანტის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის გადმოსახლების აკრძალვის *jus cogens* ხასიათი<sup>614</sup> და შესაბამისად მისი არ აღიარების ვალდებულების *erga omnes* გავრცელება შეიძლება საკამათო იყოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ [პალესტინის] გამუოფი კედელი და მისი თანმდევი რეჟიმი (რომელიც მოიცავს დასახლებებსაც) ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქმნიდა უკანონო სიტუაციას და მთელი საერთაშორისო საზოგადოება ვალდებული იყო არ ედიარებინა ეს ზომები კანონიერად და არ დაეჭირა მხარი ან არ გაეწია სხვაგვარი დახმარება ისრაელისათვის ამ ზომების შემდგომ გატარებაში.<sup>615</sup>

ზოგადად, სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიხედვით ოკუპანტი ძალის ყველა ქმედება *a fortiori* უკანონოდ არ მიიჩნევა. თუკი ოკუპანტი მოქმედებს პააგის რეგულაციებისა და უენევის მე-4 კონვენციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამგვარი ქმედება ნამდვილია და მისი შედეგების აღიარება საერთაშორისო სამართალს არ ეწინააღმდეგება. *Ex injuria ius non oritur* პრინციპის მიხედვით რეჟიმის უკანონო ქმედებები ბათილია და არანაირ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. თუმცა, *ex factis ius ortiuit* პრინციპის მიხედვით უკანონო რეჟიმის ზოგიერთ ქმედებას შეიძლება მიეცეს სამართლებრივი ძალა მიუხედავად ამ რეჟიმის სტატუსისა.<sup>616</sup> მაგალითისთვის, თუკი სამხედრო ოკუპაცია უკანონოა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ მკვეთრადაა დაგმობილი,

<sup>612</sup> *Articles on State Responsibility*, *supra*, n.344. *Articles on State Responsibility* are already adopted by UN GA res. A/RES/65/19, 6 December, 2010.

<sup>613</sup> *Ibid*, art.41(2).

<sup>614</sup> საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების *jus cogens*-ის აღმოცენებისა და იდენტიფიცირების შესახებ დებალურად იხ. Alexidze, L. *The Legal Nature of jus cogens in Contemporary International Law* in Recueil des Cours, The Hague Academy of International Law, vol.172(III), 1981, pp.223-270; Orakhelashvili, A. *Peremptory Norms in International Law*, Oxford, 2006. Chapter 2.

<sup>615</sup> *Wall case*, *supra*, n.29, para.159.

<sup>616</sup> Crawford, J. *The Creation of States*, Oxford, 2006, pp.166-167; Jennings, R.Y. *Nullity and Effectiveness in International Law*, Cambridge Essays in International Law (essays in honour of Lord McNair) London, 1965, p.75.

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან არ აღიარონ თკუპანტის უკანონო ქმედებები გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ამგარი აღიარება საჭიროა ოკუპაციის ქვეშ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ეს მიღომა ვრცლად განიხილა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ნამიბიის საკონსულტაციო დასკვნაში, რომელშიც განაცხადა, რომ:

ზოგადად, სამხრეთ აფრიკის მიერ განხორციელებული ტერიტორიის აღმინისტრირების არაღიარებამ ნამიბიის ხალხს არ უნდა შეუზღოს ის უპირატესობები, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო თანამშრომლობისგან. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მანდატის დახულების შემდეგ სამხრეთ აფრიკის მთავრობის მიერ ნამიბიის სახელით ან ნამიბიასთან დაკავშირებით განხორციელებული ყველა თვიციალური ქმედება უკანონო და ბათილია, ეს ბათილობა არ შეიძლება გავრცელდეს ისეთ ქმედებებზე, მაგალითად როგორიცაა დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების რეგისტრაცია, რომლის შედეგების იგნორირებაც მხოლოდ ზიანის მომტანი იქნება ტერიტორიის მოსახლეობისათვის.<sup>617</sup>

ეს გადაწყვეტილება ცნობილია ნამიბიის გამონაკლისის სახით, რომლის მიხედვითაც უკანონო საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედება შეიძლება ნამდვილი იუს თუკი ის არ იწვევს მკვიდრი მოსახლეობის დაზარალებას. სასამართლოს მიერ ამგვარი ქმედებების ჩამონთვალი ამომწურავი არაა და მხოლოდ სახელმძღვანელო პრინციპად შეიძლება იქნას გამოყენებული; თუმცა აშკარაა, რომ ოკუპანტის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც არღვევს *jus cogens* ნორმას არც-ერთ შემთხვევაში არ იქნება ნამდვილი, მაშინაც კი როდესაც ის არ ვნებს ადგილობრივ მოსახლეობას. "ტერიტორიის მოსახლეობაზე" მითითება ცალსახად ნამიბიის მკვიდრ მოსახლეობას მოიცავს, რადგან იმ დროს ნამიბიაში არ იყო ჩამოსახლებული მოსახლეობა, რომელზეც შეიძლება სასამართლოს ემსჯელა.<sup>618</sup>

ნამიბიის გამონაკლისის ტესტის გამოყენება ოკუპანტი ძალის მიერ შექმნილ დასახლებებთან მიმართებით შეუსაბამოა, რადგან პირველ რიგში გამონაკლისიდან გამომდინარე უპირატესობის მიმღები სამიზნე ჯგუფი სრულიად განსხვავებულია სასამართლოს მიერ განხილული საქმისა და ამას გარდა დასახლებების შექმნა საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევაა, რაც გამორიცხავს ნამიბიის გამონაკლისის წესის გამოყენებას. ამ გამონაკლისის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაცვის უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, თუკი ისინი ცდილობენ საერთაშორისო დონეზე სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას. იმდენად რამდენადაც, გადმოსახლებული მოსახლეები არ შეადგენენ "ადგილობრივ მოსახლეობას" და რჩებიან

<sup>617</sup> *Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) notwithstanding Security Council Resolution 276 (1970), Advisory Opinion, I.C.J. Reports 1971, p. 16, para.125.*

<sup>618</sup> Ronen, *supra*, n.594, p.232-233.

სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის დაცვის მიღმა, გამონაკლისი მათზე ვერ გავრცელდება. გარდა ამისა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მსხვილი დასახლებების შექმნა იწვევს ტერიტორიაზე დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლას, რაც ზუსტად რომ “ზიანის მომტანი იქნება ტერიტორიის მოსახლეობისათვის” და შესაბამისად ბათილად უნდა მიიჩნეოდეს.

#### 7.2.2.2. არსებითი შეუძლებლობის გამონაკლისის ტეხი

ზოგადი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, უკანონო ქმედებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს რესტიტუცია, ანუ ადადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, რაც უკანონო ქმედების ჩადენამდე არსებობდა.<sup>619</sup> თუმცა ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისიც არსებობს, კერძოდ, რესტიტუცია სავალდებლო არაა როდესაც პირვანდელი მდგომარეობის ადგგნა “არსებითად შეუძლებელია.” ეს წესი გამოიყენება როდესაც, მაგალითად საკუთრება, რომელიც უნდა დაბრუნდეს, სამუდამოდ დაიკარგა ან განადგურდა ან იმგვარად დაზიანდა რომ ლირებულება დაეკარგა. მატერიალური შეუძლებლობა არ მოიცავს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სადაც ნივთი განადგურდა ან დაზიანდა, არამედ უფრო კომპლექსურ სიტუაციასაც. ზოგიერთ შემთხვევაში, მესამე მხარეთა პოზიციაც შეიძლება იქნეს მხედველობაში მიღებული იმის დადგენისას რესტიტუცია მატერიალურად შესაძლებელია თუ არა.<sup>620</sup> ამას ჰქვია “არსებითი შეუძლებლობის გამონაკლისი”.

ამ საგამონაკლისო წესის დასახლებებთან მისადაგებისას შესაძლოა დადგინდეს, რომ როდესაც ოკუპაცია ათწლეულების განმავლობაში გრძელდება და გადმოსახლებული მაცხოვრებლები უკვე ადგილობრივი საზოგადოების ნაწილი გახდნენ, ოკუპაციის დასრულებისას მათი გასახლება და საცხოვრებელი ადგილების დაშლა შესაძლოა არსებითად შეუძლებელი იყოს. ეს საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დემოკულოს საქმეში, რომელშიც სასამართლომ იმსჯელა ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსში თურქი მოსახლეების თემაზე და განაცხადა, რომ:

სასამართლო შორსაა იმ მოსაზრებისგან, რომ სამხედრო ოკუპაცია განიხილებოდეს მოწინააღმდეგებ მხარის მიერ მფლობელობის ფორმად, რომლის დროსაც უფლება კანონიერად გადაეცემა დამპურობ ძალას. მაგრამ, არარეალისტური იქნებოდა მოლოდინი, რომ წარმოდგენილი საქმეების შედეგად სასამართლო პირდაპირ დაავალებს თურქთის მთავრობას რომ ეს განმცხადებლები შევიდნენ და სრული მფლობელობა მიიღონ თავიანთ საკუთრებაზე იმისდა მიუხდავად თუ

<sup>619</sup> Articles on State Responsibility, supra, n.344, art.35.

<sup>620</sup> Ibid, Commentaries, p.98.

ეს ცხოვრობს იქ ამჟამად და ომდენად გამოიყენება ეს საქუთრება სამხედრო თუ წმინდა საჯარო მიზნებისათვის.<sup>621</sup>

სასამართლომ გაიხსენა, რომ განმცხადებლების მიერ ჩრდილოეთ კვიპროსში საკუთრების დაკარგვიდან ოცდათხუტმეტი წელია გასული და რომ თაობები შეიცვალნენ, ადგილობრივი მოსახლეობა სტატიკურად უცვლელი არ დარჩენილა და თურქი ხალხი დასახლდა ჩრდილოეთი და რომ მათ ააშენეს საკუთარი სახლები.<sup>622</sup> ამ რელობის გათვალისწინებით სასამართლომ “არარეალისტურად” მიიჩნია ის მოლოდინი, რომ მას დაევალებინა თურქეთისთვის უზრუნველეყო განმცხადებლებისათვის თავიანთი საკუთრების ხელახლა მფლობელობაში მიღება მიუხედავად იმისა თუ ვინ ცხოვრობს იქ ამჟამად.<sup>623</sup>

გარდა ამისა, სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ:

განმცხადებლების მიერ თავიანთი ქონების დაკარგვიდან ოცდათხუტმეტი წლის გასვლის შემდეგ, სარისკო და დაუხაბუთებელი იქნებოდა [სასამართლოს] მცდელობა თურქეთისათვის უველავ საქმეზე რესტიტუციის განხორციელების ვალდებულების დაკისრების შესახებ, თუნდაც მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელზეც არსებითად შესაძლებელია რესტიტუცია. [სასამართლო] ვერ დაუთანხმება მოსაზრებას რომ მოპასუხე მხარეს უნდა აეკრძალოს სხვა გარემოებების მხედველობაში მიღება, კერძოდ კი მესამე მხარეთა პოზიციების. კონვენციის დებულებათა გამოყენებისა და განმარტებისას სასამართლოს ფუნქცია ვერ იქნება მთავრობისათვის უპირობო ვალდებულების დაკისრება, რომ მან ძალისმიერად გამოასახლოს და სხვაგან ჩაასახლოს პოტენციურად დიდი რაოდენობის მამაკაცები, ქალები და ბავშვები კონვენციის დარღვევის მსხვერპლთა შელახული უფლებების აღდგენის მიზნით.<sup>624</sup>

ECtHR-ის გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ თუკი დარღვევამდე არსებული *status quo*-ს რესტიტუცია სხვათა ცხოვრებას უშლის ხელს, ამგვარი დარღვევის სამართლებრივი შედეგები უნდა დაექვემდებაროს რესტიტუციის განხორციელების საგამონაკლისო წესს, კერძოდ კი “არსებითი შეუძლებლობის გამონაკლის”.<sup>625</sup>

ადსანიშნავია, რომ კედლის საკონსულტაციო დასკვნაში ICJ-ის არ განუხილავს ისრაელის დასახლებების დაშლის არსებითი შესაძლებლობის საკითხი, მან მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე კედლის სტრუქტურის დაშლის ვალდებულება დადგინა.<sup>626</sup> გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია კი, რომელიც ისრაელს პირდაპირ მოუწოდებს დასახლებების მობინადრეთა გამოსახლებისაკენ დათარიღებულია 1980

<sup>621</sup>Demopoulos and others v. Turkey, *supra*, n.299, para.112.

<sup>622</sup>Ibid, para.84.

<sup>623</sup>Zemach, A. *Frog in the Milk Vat: International Law and the Future of Israeli Settlements in the Occupied Palestinian Territories* in The American University International Law Review, no.30, 2015, p.64.

<sup>624</sup>Demopoulos and others v. Turkey, *supra*, n.299, para.116.

<sup>625</sup>Zemach, *supra*, n.623, p.68.

<sup>626</sup>Wall case, *supra*, n.29, para.151.

წლით,<sup>627</sup> ხოლო საკონსულტაციო დასკვნა გამოტანილია 2004 წელს, ზემოთ აღნიშნული რეზოლუციის მიღებიდან ოცდასამი წლის შემდეგ. რამდენად არის შესაძლებელი რომ დროის გასვლა მიიჩნეოდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი დასახლებების შესაძლო დაშლის განხილვისას ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული?! ცალსახაა, რომ ECtHR-ის მიერ ოცდათხუმებ წლიან პერიოდზე აპელირება დემოპულოს საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. სასამართლომ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი დროის სვლასა და ოკუპირებულ მიწაზე მომხდარ დემოგრაფიულ ცვლილებას შორის, რამაც თურქეთისათვის სრული რესტიტუციის მოთხოვნა “არსებითად შეუძლებელი” გახადა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუკი რესტიტუცია და პირვანდელი *status quo*-ს ადდგენა არსებითად შეუძლებელია, პასუხისმგებელ სახელმწიფოს მაინც აქვს ვალდებულება მოახდინოს სხვა სახის რეპარაცია საერთაშორისო ვალდებულების დარღვევისათვის.<sup>628</sup>

### 7.2.3. დასახლებების დაშლის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდვა

ნაშრომის ეს ნაწილი მიმოიხილავს იმ სავარაუდო სამართლებრივ შედეგებს, რაც შეიძლება წარმოიშვას პოსტ-ოკუპაციის პერიოდში, თუკი გარდამავალი მთავრობა, რომელიც შეცვლის სამხედრო მმართველობას, გადაწყვეტს რომ დაშალოს არსებული დასახლებები და იქ მცხოვრები მოსახლეობა გააძვოს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის გადმოსახლების უკანონო ხასიათის მიუხედავად, მათი სახლების დანგრევისა და გამოძევებისას ადამიანის სხვადასხვა საერთაშორისო უფლებათა სავარაუდო დარღვევამ შეიძლება იჩინოს თავი. ეს უფლებები, *inter alia*, შეიძლება იყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა და შეიძლება უფრო მეტიც, მაგრამ არა საკუთრების უფლება, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონო შექმნილი დასახლებების მაცხოვრებლები არ იღებენ საკუთრების უფლებას იმ ქონებაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.<sup>629</sup> უკანონოდ ჩასახლებული მაცხოვრებლების მიმართ შეიძლება სხვადასხვაგვარი მიღორგა იქნეს გამოყენებული ადამიანის უფლებათა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში. ქვემოთ განხილულია დასახლებების მომავალი ბედი დეოკუპაციის შემდეგ გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ქვეშ არსებული ინსტრუმენტების მიხედვით, რომელთაც საყოველთაო გამოყენება აქვს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში მოცემული სამართლებრივი ჩარჩოც.

<sup>627</sup>UN SC res. 465, (1980) para.5.

<sup>628</sup>Articles on State Responsibility, *supra*, n.344, commentaries, p.97.

<sup>629</sup>Ronen, *supra*, n.594.

### 7.2.3.1. გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ქვეშ არსებული შეზღუდვა

დასახლებების საკითხთან დაკავშირებული უპირველესი ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტია საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, რომლის მე-12(4) მუხლი აცხადებს, რომ “უკანონოდ არავის არ უნდა შეეზღუდოს საკუთარ ქვეყანაში შესვლის უფლება”<sup>630</sup>. რამდენადაც ეს დებულება ერთი შეხედვით კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებს ეხება, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გააფართოვა “საკუთარი ქვეყნის” ცნება საქმეში ნისტრომი აგეტრალიის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ:

ეს [კონცეფცია] უფრო ფართოა ვიდრე “თავისი მოქალაქეობის სახელმწიფოს” ცნება. ის შეზღუდული არაა მოქალაქეობის ფორმალური გაგებით. ის მოიცავს, როგორც მინიმუმ, ინდივიდს, რომელიც მოცემულ სახელმწიფოსთან თავისი საეციალური კავშირებით ან მოთხოვნებით არ შეიძლება უბრალო უცხოელად განიხილებოდეს. ტერმინი “საკუთარი ქვეყნა” მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როგორიცაა ხანგრძლივი ბინადრობა ამ ქვეყნაში, ახლო პირადი თუ უჯახური კავშირები და ამ ქვეყნაში დარჩენის განზრახვა.<sup>631</sup>

გარდა ამისა, HRC ითხოვს ასევე იმიგრანტის მნიშვნელოვანი მასშტაბის ინტეგრაციას იმ საზოგადოებაში, რომელშიც ის ჩასახლდა. სადაც სახელმწიფოსთან ნამდვილი კავშირი (*genuine link*) იმდენად დამარტიმუნებელი უნდა იყოს რომ მოქალაქეობის ფორმალური საფუძვლის არარსებობა ჩაანაცვლოს.<sup>632</sup> ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეობის გარდა სხვა ფაქტორებმაც შეიძლება წარმოშვას პირისა და სახელმწიფოს სიახლოვე და მტკიცე კავშირები.<sup>633</sup> ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ პირთა ზოგიერთი კატეგორია, რომელიც ფორმალურად არ არიან სახელმწიფო მოქალაქეები არც “უცხოელებად” არ განიხილებიან მე-13 მუხლის გაგებით.<sup>634</sup> ასე რომ, ოუკი ოკუპაციის დასრულების შემდეგ, დასახლებების მაცხოვრებლები გადაწყვეტენ რომ სურთ ახალი დროშის ქვეშ ცხოვრება და დარჩებიან თავიანთ *de facto* საცხოვრებელ ადგილზე, განდევნილი სუვერენი, რომელიც დაბრუნდება ხელისუფლებაში შესაძლოა ვალდებულიც იყოს რომ განიხილოს მათი კავშირები იმ საზოგადოებასთან რომელშიც ცხოვრობენ, სანამ მიიღებდეს მათ გაძევების შესახებ გადაწყვეტილებას. ოუკი დადგინდება, რომ უკანონოდ გადმოსახლებული მაცხოვრებლები ოკუპაციის მიმდინარეობის პერიოდში უკვე შეერწყნენ ადგილობრივ თემს და ყოფილ ოკუპირებულ ტერიტორიას საკუთარ ქვეყნად მიიჩნევენ, მხოლოდ ის ფაქტი რომ მათ არ ექნებათ მოქალაქეობა არ იქნება

<sup>630</sup>ICCPR, *supra*, n.317, art.12(4).

<sup>631</sup>Human Rights Committee, *Nystrom v. Australia*, comm. No. 1557/2007, para.7.4. UN Doc. CCPR/C/102/D/1557/2007 (2011).

<sup>632</sup>*Ibid*, para.7.5.

<sup>633</sup>HRC General Comment 27: Freedom of Movement (Article 12), UN Doc. CCPR/C/21/Rev.1/Add.9 (1999), para.20.

<sup>634</sup>*Stewart v. Canada*, communication No. 538/1993 UN Doc. CCPR/C/58/D/538/1993 (1996), para.12.3.

საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ გამართლდეს მათი ამ ქვეყანაში შემოსვლის უფლების უარყოფა.

პაქტის მე-17 მუხლი, რომელიც კრძალავს ინდივიდის პირად და ოჯახურ ცხოვრებში, სახლსა და კორესპონდენციაში უკანონო ჩარევას<sup>635</sup> შესაძლოა ასევე რელევანტური იყოს დასახლებების საკითხის განხილვისას, კერძოდ, ოჯახური ცხოვრების კონტექსტში. ტერმინი “ოჯახი” ყოველთვის ვიწროდ განიმარტებოდა და მოიცავს მყისიერ ფორმალურ ურთიერთობებს და არა სოციალურ კავშირს.<sup>636</sup> თუმცა HRC-მა გააფართოვა ამგვარი განმარტება და განაცხადა, რომ “ხანგრძლივ თანაცხოვრების შედეგად შექმნილ ოჯახში არსებითი ცვლილებები, რომელიც მოყვება[...]” არალეგალი იმიგრანტების გაძევებას განიხილება, როგორც ოჯახურ ცხოვრებაში უკანონო “ჩარევა”<sup>637</sup>.

გარდამავალი ან მის შემდგომი სამთავრობო რეემის მიერ დასახლებებში მცხოვრებ პირთა კოლექტური და არადისკრიმინაციული გაძევება ასევე წარმოშობს ჯგუფური კუთვნილების საფუძველზე დისკრიმინაციული მიდგომის საკითხს. ICCPR-ის მიხედვით პირთა განსხვავებული მოპყრობა გამართლებულია თუკი გამოყენებული კრიტერიუმები გრივრული და ობიექტურია და მათი შედეგი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.<sup>638</sup> ამასთანავე რასობრივი, ეთნიკური ან ეროვნული დისკრიმინაციის აკრძალვა აბსოლუტური ხასიათისაა და მისი გამართლება ნებისმიერი საფუძვლით შეუძლებელია. ამ სახის დისკრიმინაციის აკრძალვა *erga omnes* ვალდებულებაა და ვრცელდება არა მხოლოდ *vis-a-vis* კონკრეტული ხელშეკრულების მხარეებს შორის, არამედ ზოგადად ყველაზე<sup>639</sup> აქედან გამომდინარე, პოსტ-ოპუბაციურ მთავრობას, რომელიც უკანონოდ ჩამოსახლებული მაცხოვრებლების განურჩეველი გაძევების მიზნით რაიმე ზომას მიიღებს, დაეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ ამგვარი ზომები არ არის სადაც ჯგუფის ეთნიკური, რასობრივი ან ეროვნული კუთვნილებით ნაკარნახევი. თუკი უკანონოდ ჩასახლებული პირები ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქეებად დარჩებიან, მაშინ ისინი უნდა განიხილებოდნენ, როგორც ეროვნული უმცირესობა გათავისუფლებულ ქვეყანაში და შესაბამისად მათი გაძევება წარმოშობს ეროვნულობაზე დაფუძნებულ სავარაუდო დისკრიმინაციული მიდგომის შესახებ პრეტენზიებს. მაგრამ, თუკი ასეთი მოსახლეობა მიიღებს ოკუპაციისაგან გამოსხილი სახელმწიფოს მოქალაქეობას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,<sup>640</sup> ისინი უკვე მოქალაქეებად განიხილებიან და მათი გაძევება ან

<sup>635</sup> ICCPR, *supra*, n.317, art.17(1).

<sup>636</sup> Ronen, *supra*, n.594, pp.242-243.

<sup>637</sup> *Winata v. Australia* Communication no. 930-2000, UN Doc. CCPR/C/72/D/930/2000, para.7.2.

<sup>638</sup> HRC General Comment 18: Non-Discrimination (9 November 1989), para.13.

<sup>639</sup> *Barcelona traction, Light and Power company, Limited, Judgement, (Second Phase)* I.C.J. Reports 1970, p.3. paras.33-34.

<sup>640</sup> რეალურად ებრაელი მოსახლეების ნაწილი ამჯობინებს ოკუპაციის დასრულების შემდეგ პალესტინური მოქალაქეობა მიიღოს, ვიდრე დაბრუნდეს უბან ისრაელში, იხ. *The Jewish Settlers Who Would Stay in West Bank Under Palestinian Rule*, by Nathan Jeffay, available at:

<http://forward.com/news/192272/the-jewish-settlers-who-would-stay-in-west-bank-un/> [ბოლოს ნანახია 07.04.2016]

ქონების განადგურება წარმოშობს ბრალდებებს ეთნიკურობაზე დაფუძნებული დისკრიმინაციული მიღებომის შესახებ და შესაძლოა ეთნიკურ წმენდასაც კი გაუთანაბრდეს, თუმცა ეს დამოკიდებულია აღდგენილი სუვერენის სამომავლო ქმედებების სიმძიმის ხარისხზე. ნებისმიერ შემთხვევაში ერთმანეთის საკირწონედ იქნება ორი სამართლებრივი დირექტორის დასახლებებში მცხოვრებ პირთა უკანონოდ ჩამოსახლების ფაქტის არაღიარება კანონიერად და ადამიანის უფლებები, რომლითაც მოსახლეობა მაინც ისარგებლებს მიუხედავად მათი ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასახლების უკანონო ხასიათისა.

#### *7.2.3.2. უკანასკნელი ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ქვეყნის არსებული უწყებები*

ECHR-ის მე-8 მუხლი იცავს ინდივიდის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, სახლსა და კორესპონდენციას.<sup>641</sup>

“პირადი ცხოვრება” ფართო ცნებაა და *inter alia*, მოიცავს პირის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ იდენტობას, როგორიცაა პერსონალური ავტონომია და პიროვნული განვითარება.<sup>642</sup> პირადი ცხოვრების ცნების ელემენტების ამომწურავი ჩამონათვალი არ არსებობს, ამიტომ ეს ტერმინი საქმაოდ ფართოა<sup>643</sup> და შესაძლოა ვრცელდებოდეს ასევე პირის უფლებაზე სხვა ინდივიდებთან ან გარე სამყაროსთან დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები,<sup>644</sup> დასახლებულ მაცხოვრებლებსა და იმ თემს შორის სოციალური კავშირებზე, რომელშიც ეს პირები ცხოვრობენ<sup>645</sup> და პერსონალურობის სხვა მსგავს ასპექტებზე. სახლზე უფლება ასევე პირადი ცხოვრების ნაწილად განიხილება. სახლი ავტონომიური ცნებაა და ესა თუ ის საცხოვრებელი მიიჩნევდეს თუ არა “სახლად“ მე-8 მუხლის გაგებით, დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ სპეციფიკურ ადგილთან პირის საქმარისად მჭიდრო კავშირის არსებობა<sup>646</sup> და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სახლის ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონიერად შექმნილი საცხოვრისით.<sup>647</sup>

მიუხედავად იმისა, რომ უკანონოდ ჩასახლებული მაცხოვრებელები ვერ მიიღებენ რაიმე სახის სტატუსს ან საცხოვრებელ ქონებაზე საკუთრების უფლებას, ხანგრძლივად მცხოვრები მოსახლეობისათვის მაინც შესაძლოა

<sup>641</sup>Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Rome, 4.XI.1950 (ECHR), art.8(1).

<sup>642</sup>ECtHR, *Evans v. the United Kingdom* [GC], no.6339/05, 2006, para.71; *E.B. v. France* [GC], no.43546/02, 2008, para.43.

<sup>643</sup>ECtHR, *Peck v. the United Kingdom*, no.44647/98, 2003, para.57; *Pretty v. the United Kingdom*, no.2346/02, 2002, para.61.

<sup>644</sup>ECtHR, *Niemietz v. Germany*, no.13710/88, 1992, para.29.

<sup>645</sup>ECtHR, *Üner v. the Netherlands* [GC], no.46410/99, 2006, para.59.

<sup>646</sup>ECtHR, *Prokopovich v. Russia*, no.58255/00, 2005, para.36; *Gillow v. the United Kingdom*, no.9063/80, 1986, para.46.

<sup>647</sup>ECtHR, *Buckley v. the United Kingdom*, no.20348/92, 1996, para.54; *Prokopovich v. Russia*, *ibid.*

გარკვეული სამართლებრივი შედეგები დადგეს. როდესაც ოკუპაცია გრძელდება ორ ათეულ წელიწადზე მეტ ხანს, დიდი ალბათობით დასახლებებში მცხოვრებ პირთათვის მათი საცხოვრებელი ტერიტორია გეოგრაფიული თუ სოციალური გაგებით “სახლად“ მიიჩნევა, რომელშიც მათ თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარეს, ხოლო მეორე და შემდგომი თაობის შემთხვევაში მთელი განვლილი ცხოვრებაც კი.<sup>648</sup>

ეს მიღებობა გამოყენებულ იქნა ECtHR-ის მოსამართლე შემერის მიერ თავის განსხვავებულ მოსაზრებაში საქმეზე კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ, რომელშიც მან განაცხადა, რომ:

იმდენად რამდენადაც მე-8 მუხლი უზრუნველყოფს სახლის უფლების პატივისცემას ყველასათვის, ახალი მფლობელის უფლებებიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, მიუხედავად იმ ფაქტისა რომ მფლობელობის შეძენა არარსებული უფლების საფუძველზე მოხდა. დიდი ხნის გასვლის შემდეგ status quo ante-b აღდგენა მე-8 მუხლის დარღვევა იქნება უკვე ახალ მფლობელებთან მიმართებით. რთულია იმის განსაზღვრა თუ რა პერიოდის გასვლის შემდეგ დადგება ამგვარი შედეგი, რადგან ეს მიმდინარე პროცესი... ამ სახლებში ბავშვები დაიბადებიან, რომელთაც სხვა ადგილი არ ვააჩნიათ, რომელსაც სახლად მიიჩნევენ... მე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას რომ, ძველი მესაკუთრების დაბრუნების მიზნით ახალი მფლობელების სახლებიდან გამოყრა ერთადერთი უფლების დაცვის ეფექტური საშუალებაა, რომლის შესრულებაც თურქეთს უნდა დაეკისროს.<sup>649</sup>

საქმეში ხლივენჯო ლატვიის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა საბჭოთა ოკუპაციის დროს ლატვიაში უკანონოდ გადმოსახლებული რუსეთის მოქალაქის გამოძევების საკითხს, სასამართლომ ფართოდ განმარტა პირადი ცხოვრების უფლება და მიუთითა რომ ეს უფლება იცავს “პიროვნული, სოციალური და კონომიკური ურთიერთობების მთელს ქსელს, რომელიც ყველა ადამიანის პირადი ცხოვრების ნაწილია.”<sup>650</sup> ამ უფლების გამოყენება მოიცავს დასახლებულ იმიგრანტთა<sup>651</sup> და უკანონოდ ჩამოსახლებული მოსახლეების იძულებითი რეპატრიაციის წინააღმდეგ მოთხოვნასაც.<sup>652</sup>

პირადი ცხოვრების უფლებით ეფექტიანად სარგებლობის განუყოფელი ნაწილია ინდივიდის ჩართულობა იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მისი პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ რომელიმე სიკეთეზე სავარაუდო გავლენას ახდენს.<sup>653</sup> შესაბამისად ოკუპაციის დროს უკანონოდ შექმნილი დასახლებების პირდაპირ განადგურება და იქ მაცხოვრებელი ხალხის განზრახ გაძვენება ყოველგვარი გარანტიისა და მათი ჩართულობის გარეშე, შესაძლოა პირადი ცხოვრების უხეშ დარღვევად ჩაითვალოს

<sup>648</sup>Ronen, *supra*, n.594, p.239.

<sup>649</sup>European Commission of Human Rights, *Cyprus v. Turkey*, no.8007/77, separate opinion of the Judge Schermers.

<sup>650</sup>ECtHR, *Slivenko v. Latvia*, no.48321/99, 2003, para.96.

<sup>651</sup>ECtHR, *Maslov v. Austria*, no.1638/03, 2008, para.63.

<sup>652</sup>*Slivenko v. Latvia*, *supra*, n.650.

<sup>653</sup>ECtHR, *Airey v. Ireland*, no.6289/73, 1979, para.32; *Tysiagc v. Poland*, no.5410/03, 2007, paras.107-113.

ევროპის კონვენციის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ეს პირები საერთაშორისო სამართლის დარღვევის შედეგად ჩამოსახლდნენ სადაც ტერიტორიაზე. მოსახლეთა სახლზე უფლების შეზღუდვა პოტენციურად შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც მათი სახლების განადგურებაში,<sup>654</sup> ასევე მათვის სახლებში დაბრუნების აკრძალვაში.<sup>655</sup>

მე-8 მუხლის მიხედვით, ინდივიდის პირად ცხოვრებაში ნებისმიერი სახის ჩარევა გამართლებულია თუკი ეს “კანონის შესაბამისად“ ხდება და “საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. აუცილებლობის კრიტერიუმი გულისხმობს, რომ ჩარევა გამოწვეული უნდა იყოს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და იყოს პროპორციული იმ კანონიერი მიზნისა, რის მისაღწევადაც ჩარევის ზომა იქნა გამოყენებული.<sup>656</sup> იავლ რონენი ჩამოთვლის დასახლებებიდან პირთა იძულებითი დეპორტაციის უქს სავარაუდო ლეგიტიმურ მიზანს: (1) არეულობის პრევენცია, (2) ოკუპირებული ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლების პატივისცემა, (3) ეროვნული უშიშროება, რომელიც საფრთხეში იქნება ყოფილი ოკუპანტი ძალის მიერ დასახლებებში მცხოვრები პირების მეშვეობით მუდმივი წნევის განხორციელებით, (4) ეროვნული ინტერესები, რომელსაც შეიძლება საფრთხე შეექმნას მოსახლეების, როგორც “მეხუთე კოლონია“, მიერ, (5) ისტორიული უსამართლობის გამოსწორება და (6) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლების დაცვა.<sup>657</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზოგიერთი მოსამართლე<sup>658</sup> მიიჩნევს, რომ ხანგრძლივი მიგრანტების განზრას გაძვება შეიძლება კონვენციით აკრძალულ არაადამიანურ მოპყრობად განიხილებოდეს.<sup>659</sup> მათი მტკიცებით, არაადამიანური მოპყრობა მეორე თაობის ემიგრანტთა დეპორტაცია, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ მასპინძელ ქვეყანაში. თუმცა კონვენცია არ იცავს უკანონო რეჟიმის მიერ ჩასახლებული მოსახლეობის მეორე თაობის ყველა მიგრანტს. მათ ამგვარი დაცვა შეიძლება მოქმედნას იმის გათვალისწინებით რომ მათი ტრანსფერი განხორციელდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით. აქედან გამომდინარე, საკითხის გადაწყვეტისას ინდივიდუალური გარემოებები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, მაგალითად როგორიცაა: კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ თუ არა მოსახლეები ან აქვთ თუ არა მათ თავიანთ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას შესაბამისი ინტეგრაციის პერსპექტივა. ანუ ყველა ასეთი მოსახლის გარემოებები ცალ-ცალკე უნდა იქნას განხილული შესაბამისი

<sup>654</sup> ECtHR, *Selçuk and Asker v. Turkey*, no.12/1997/796/998-999, 1988, para.86.

<sup>655</sup> *Practical Guide on Admissibility Criteria*, European Court of Human Rights, Council of Europe, 2011, p.64.

<sup>656</sup> e.g. ECtHR, *A, B and C v. Ireland* [GC], no.25579/05, 2010, paras.218-241.

<sup>657</sup> Ronen, *supra*, n.594, pp. 247-259.

<sup>658</sup> ECtHR, *Nasri v France*, no.19465/92, 1995, partly dissenting opinion of Judge de Meyer and partly dissenting opinion of Judge Morenilla.

<sup>659</sup> ECHR, *supra*, n.641, art.3.

გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან არაადამიანური მოპურობის აკრძალვა *per se* არ გულისხმობს უკანონო რეჟიმის დროს ჩამოსახლებულ პირთა გაძევების ბლანკეტურ პრევენციას.<sup>660</sup> ასევე საგულისხმოა ის ზომები და საშუალებები, რომელსაც პოტენციური [ახალი] სუვერენი გამოიყენებს უკანონო დასახლებების დასაშლელად და იქ მცხოვრებ პირთა გასაძევებლად, ამიტომ წინასწარ არასათანადო მოპურობის მტკიცება ცოტა როგორია, რადგან უკელა ასეთი მოსახლის ინდივიდუალური გარემოებები და მათი დეპორტაციისას გამოყენებული პრაქტიკა ერთობლიობაში გამოაჩენს პქონდა თუ არა ადგილი კონვენციით დაცული არაადამიანური მოპურობის აკრძალვის დარღვევას.

#### 7.2.4. დასახლებების დეოკუპაციის შემდგომი ბეჭო

რადგანაც სამხედრო ოკუპაცია ბუნებით დროებითია, ოკუპანტის მიერ მუდმივ შედეგებზე გათვლილი ქმედებები ყველა შემთხვევაში *ultra vires* ჩაითვლება. ოკუპირებული არეალის არსებითი დემოგრაფიული ცვლილების პრევენცია უკენევის მე-4 კონვენციის 49-ე მუხლის უპირველის მიზანია,<sup>661</sup> თუმცა პრაქტიკაში, ძალაუფლებაში დაბრუნებული სუვერენის მიერ უკანონოდ ჩამოსახლებული მოსახლეობის იძულებითი რეპატრიაციის პოლიტიკა ხშირად კრიტიკის საგნად ქცეულა და მაგალითად ბალტისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში საოკუპაციო რეჟიმის მიერ მინიჭებული სტატუსი ავტომატურად გაგრძელდა და უკანონოდ ჩამოსახლებული მაცხოვრებლები დეოკუპაციის შემდეგ დარჩენ დაკავებულ ტერიტორიაზე.<sup>662</sup>

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ოკუპანტი, როგორც წესი, მოითხოვს უკანონოდ ჩამოსახლებულ პირთა რეპატრიაციის აკრძალვას ოკუპაციის დასასრულებლად მიმდინარე მოლაპარაკებებში,<sup>663</sup> თუმცა ადსანიშნავია რომ არც ოკუპაციის და არც არადიარების სამართლი არ ავალდებულებს გარდამავალ მთავრობას რომ სცნოს ოკუპანტის მიერ უკანონოდ ჩამოსახლებულ პირთათვის მინიჭებული სტატუსი და მისცეს მათ დარჩენის ნება. რიგ შემთხვევებში, ასეთ მოსახლეობას მაინც მიეცა შესაძლებლობა რომ დარჩენილიყვნენ დაკავებულ ტერიტორიებზე. ამგვარი პოლიტიკის გატარება აიხსნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების მოქმედებით.<sup>664</sup>

<sup>660</sup>Ronen, *supra*, n.594, p.247.

<sup>661</sup>GC IV, *supra*, n.11, art.49(6), Commentary (1958).

<sup>662</sup>მაგ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ესტონეთსა და ლატვიაში უკანონოდ გადმოსახლებული რუსი ეროვნების პირები დარჩენ ამ ტერიტორიებზე და ორივე ქვეყანას მოუწია მათვების შეეთავაზებინა გარკვეული სტატუსი. დეტალურად იხ. Ronen, Y. *Transition from Illegal Regimes under International Law*, Cambridge, 2011, pp.222-223.

<sup>663</sup>Zemach, *supra*, n.623, p.99.

<sup>664</sup>Ronen, *supra*, n.594, pp.235-236.

ადსანიშნავია რომ დასახლებების დაშლა და პირთა რეპატრიაცია დასაშვებია უშუალოდ ოკუპაციის პერიოდში თავად ოკუპანტი ძალის მიერ და ამგავრი პრაქტიკა არ განიხილება ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევად, რადგან ამ მოსახლეთა წარმოშობის ქვეყანა უკან იღებს საკუთარ მოქალაქეებს და ივარაუდება რომ ის უზრუნველყოფს მათვის დასასახლებლად შესაბამისი პირობების შექმნასაც.<sup>665</sup> აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სამართალი ითხოვს ოკუპანტი ძალისაგან ჩასახლებულ პირთა რეპატრიაციას, როგორც დარღვევის შეწყვეტის აბსოლუტურ ვალდებულებას. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა უდერდეს, ოკუპაციის დასრულების შემდეგ ოკუპანტის ეს ვალდებულება შესაძლოა ჩანაცვლდეს ოკუპირებული ტერიტორიების აღდგენილი სუვერენის ადამიანის უფლებათა სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებით რომ არ გააძევოს ეს მოსახლეობა.<sup>666</sup>

ზემოთ განხილული თეორიისა და პრაქტიკის შესაბამისად, ზოგადი წესის მიხედვით, უკანონოდ გადმოსახლებულ მაცხოვრებლებს არც-ერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ გაამართლონ პოსტ-ოკუპაციის პერიოდში თავისი დარჩენა ნამიბიის გამონაკლისზე მითითებით, რადგან მათი გადმოსახლება არსოდეს იქნება კანონიერად აღიარებული, იმის გამო, რომ ეს ოკუპაციის დროს დაცულ პირთა ინტერესებს არ ემსახურება. თუმცა მათ შეუძლიათ თავიანთი მოთხოვნა დაამყარონ “არსებითი შეუძლებლობის” გამონაკლისზე, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ოკუპაცია სანგრძლივ ხასიათს ატარებს, მაგრამ არსებითი შეუძლებლობის ტესტიც კი ვერ დაიცავს მოსახლეებს რეპატრიაციისგან ოკუპაციის დასრულების შემდეგ, თუკი ამგვარი რეპატრიაცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით აკრძალული არა.<sup>667</sup> აქედან გამომდინარე ადამიანის უფლებების დაცვა არის ერთადერთი ღირებულება, რომელმაც შეიძლება გადასწონოს პირთა ჩამოსახლების უკანონო ხასიათი და მისცეს მათ უფლება დარჩენებ დაკავებულ მიწაზე მიუხედავად მათი გადმოსახლების უკანონო ბუნებისა. თუმცა ძალაუფლებაში დაბრუნებულმა სუვერენიმა მხედველობაში უნდა მიიღოს ინდივიდუალური ფაქტორები იმისათვის რომ დაადგინოს კონკრეტული მოსახლის გაძევება დარღვევს თუ არა მათ ძირითად უფლებებს. ეს ფაქტორები ზემოთ დეტალურადაა განხილული.

რაც შეეხება აღნიშნული ზოგადი წესის გამოყენებას მოცემულ ქვეთავში განხილულ მაგალითებში (ჩრდილოეთ კვიპროსი, პალესტინა, ბალტიისპირეთი) იმდენად რამდენადაც თითოეულ ამ შემთხვევაში ოკუპანტი ძალის სამოქალაქო მოსახლეობის ტრანსფერი განსხვავებულ გარემოებებში განხორციელდა, შესაბამისად შეუძლებელია ზოგადი წესის უნიფიცირებულად გამოყენება თითოეულ მათგანზე. მაგალითისთვის, ისრაელის მიერ ოკუპირებულ დასაკლეთ სანაპიროზე შექმნილი

<sup>665</sup>მაგ. 2005 წელს როდესაც ისრაელმა ცალმხრივად დატოვა დაზას სექტორი მან მოახდინა ათასობით ებრაელი მოსახლის იძულებითი ევაკუაცია უკან ისრაელში და ეს ქმედება არ ყოფილა დაგმობილი საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

<sup>666</sup>Zemach, *supra*, n.623, p.69.

<sup>667</sup>*Ibid*, p.95.

დასახლებები აბსოლუტურად იზოლირებულია ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისაგან და ორგორც ზემოთ აღინიშნა, ფაქტობრივად ისრაელის ანკლავს წარმოადგენს, შესაბამისად გაუმართლებელი იქნებოდა ამ დასახლებების დაშლის აკრძალვა ადამიანის პირადი ცხოვრებისა და სახლის უფლებაზე აპელირებით. ჩრდილოეთ კვიპროსის შემთხვევაში, მკვიდრი მოსახლეობა იძულებით გადაადგილდა კუნძულის სამხრეთ ნაწილში, ხოლო სამხრეთის მაცხოვრებელი თურქები კი გადავიდნენ ჩრდილოეთში, რამაც შესაძლოა არსებითად შეუძლებელი გახადოს *status quo*-ს ადდგენა. ბალტიის ქვეყნებში კი ოუსი ეროვნების მოსახლეობის გაძევება ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით ფაქტიურად გამორიცხულად მიიჩნია ორგორც საერთაშორისო საზოგადოებამ, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების ეს სპეციფიკური ასპექტი, როგორც წესი, დეოკუპაციის მოლაპარაკებების ნაწილი უნდა გახდეს და დასახლებების მომავალ ბედზე სწორედ ოკუპანტმა ძალამ და განდევნილმა სუვერენიმა უნდა იმსჯელონ, მაგრამ ამ ქვეთავში მოყვანილი მსჯელობა ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც დეოკუპაცია მყისიერად ხდება პოლიტიკური თუ სამხედრო ცვლილებების შედეგად და ოკუპანტი ძალა ისე ტოვებს დაკავებულ ტერიტორიას, რომ დასახლებების საკითხის მოლაპარაკებებზე გადაჭრის შესაძლებლობა არ ეძლევა. აქედან გამომდინარე, თუ რა ბედი შეიძლება ეწიოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ შექმნილ დასახლებებს უფრო მეტად ძალაუფლებაში დაბრუნებული სუვერენის მიერ ტერიტორიის ადმინისტრირების სფეროში ექცევა, ვიდრე ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების, ალბათ ამიტომაც არის რომ სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი არ აწესრიგებს დასახლებების მომავალი ბედის საკითხს და დიად ტოვებს მას, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით “შევსებას” საჭიროებს.

### 7.3. ოკუპაცია გაერო-ს მანდატის ქვეშ

ბოლო დროს შეიარადებული კონფლიქტის დასრულების ან აღკვეთის მიზნით გაერო-ს ჩარევა ხშირად სრულდებოდა გაერო-ს მიერ სანქცირებული ტერიტორიული კონტროლით. ზოგ შემთხვევაში ასეთი კონტროლი მასპინძელი სახელმწიფოს მთავრობის ნებართვით მოხდა და შესაბამისად სცდება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ფარგლებს, მაგრამ როდესაც გაერო-ს უშიშროების საბჭო ტერიტორიული კონტროლისა და ადმინისტრირების მანდატს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებართვის გარეშე წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე აწესებს,<sup>668</sup> იბადება კითხვა, გაერო-ს მიერ ტერიტორიის ადმინისტრირება ექცევა თუ არა ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მოქმედების არეალში? ზოგიერთი მეცნიერი<sup>669</sup>

<sup>668</sup>e.g. Kosovo (UNMIK, 1999); East Timor (UNTAET, 1999)

<sup>669</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.62.

მიიჩნევს, რომ ამგვარი ტერიტორიულ კონტროლის დროს უნდა იმოქმედოს ოკუპაციის საერთაშორისო სამართალმა, რადგან გაერო-ს ჩარევა იგივდება კონფლიქტთან *vis-à-vis* ადგილობრივ მოსახლეობასა ან განდევნილ მთავრობასთან. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს რომ გაერო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, არაა წევრი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის კონვენციებისა შესაბამისად მასზე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციაზე, გრი გავრცელდება ოკუპაციის სახელშეკრულებო თუ ჩვეულებითი სამართლის ნორმები.<sup>670</sup> ასევე თავად უშიშროების საბჭო განასხვავებს ერთმანეთისაგან ტერიტორიის აღმინისტრირებას, როგორც მშვიდობის უზრუნველყოფის დონისძიებას და ტერიტორიის ოკუპაციას.<sup>671</sup> გაერო-ს შექმნიდან დღემდე უშიშროების საბჭომ ოკუპაციის სანქცირება<sup>672</sup> მხოლოდ ერაყის შემთხვევაში მოახდინა 2003 წელს და ეს პირდაპირ მიუთითა შესაბამის რეზოლუციაში და იმავე რეზოლუციით გაიწერა რომ ოკუპანტი ძალა შეზღუდული იქნებოდა საერთაშორისო სამართლითა და ჩვეულებებით, ხოლო სხვა ტერიტორიული აღმინისტრირების შესახებ რეზოლუციებში ეს არ იყო მითითებული. აქედან გამოდინარე სავარაუდოა, რომ როდესაც უშიშროების საბჭო კონკრეტულ ოპერაციას მიიჩნევს ოკუპაციად ამას ის პირდაპირ განსაზღვრავს შესაბამის რეზოლუციაში, ხოლო თუ ეს მანდატის საღამოუმნებლო რეზოლუციაში არ იკითხება, მაშინ სახეზე იქნება გაერო-ს მიერ ტერიტორიის აღმინისტრირება და არა მანდატის მონაწილე სახელმწიფოების მიერ განსახილველი ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია. ვინაიდან სამშვიდობო მისიის მიერ ტერიტორიის აღმინისტრირების საერთაშორისო სამართალი ჯერ საერთაშორისო სამართლის განვითარებული დარგი არ არის, უნდა ვივარაუდოთ რომ ასეთ დროს იმოქმედებს ადამიანის უფლებათა სამართალი, თუკი სხვა რაიმე სპეციფიკური სამართლებრივი რეჟიმი არ დაადგინა თავად უშიშროების საბჭომ. აქედან გამოდინარე, ამ ქვეთავში განხილულია მხოლოდ ერაყის ოკუპაცია, როგორც უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებული და თემა არ მოიცავს გაერო-ს მიერ ტერიტორიების აღმინისტრირებას.<sup>673</sup>

### 7.3.1. გაერო-ს უშიშროების საბჭოს უფლებამოსილების ფარგლები

2003 წელს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ერაყის ოკუპაცია მანამდე არსებული ოკუპაციებისაგან არსებითად იმით განსხვავდებოდა, რომ ის გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ იყო სანქცირებული. საბჭოს 1483 რეზოლუცია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს პირდაპირ აცხადებდა ოკუპანტ ძალად, რომელთა მანდატიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ოკუპაციის

<sup>670</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, pp.583-607.

<sup>671</sup>მხოლოდ UNSC res. 1483 შეიცავს მითითებას ოკუპაციაზე.

<sup>672</sup>არსებობს მოსაზრება, რომ უშიშროების საბჭომ ოკუპაციის სანქცირება კი არ მოახდინა, არამედ ოკუპაცია უკვე მომხდარი იყო და უშიშროების საბჭომ ეს ფაქტი ცნობად მიიღო და შესაბამისად ასახა თავის რეზოლუციაში.

<sup>673</sup>გაერო-ს მიერ ტერიტორიის აღმინისტრირების შესახებ დეტალურად იხ. Benvenisti, *supra*, n.26, Chapter 10, pp.276-298.

საერთაშორისო სამართალთან.<sup>674</sup> რეზოლუციის სამართალი წინა პლანზე წამოსწია და გაერო-ს სამშვიდობო მანდატის ათწლეულების მანძილზე პირველად უშიშროების საბჭომ ოკუპაციის ცნება პირდაპირ რეზოლუციაში გამოიყენა.<sup>675</sup> რეზოლუციის ტექსტში ამ ორი ქვეყნის ოკუპანტ ძალად მოხსენიებამ წარმოშვა ბუნდოვანება, რადგან ცხადად არ ჩანდა აღნიშნული დებულება უბრალოდ ფაქტობრივ მოცემულობას ასახავდა თუ ოკუპაციის ლეგიტიმაციას ახდენდა.<sup>676</sup> ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს რომ უშიშროების საბჭოს მიერ ოკუპაციის სამართლის გამოყენების აღიარებით გაბათილდა ყველანაირი არგუმენტი იმის შესახებ, რომ ოკუპაცია, როგორც ასეთი, უკანონოა და შესაბამისად ოკუპაციის დოქტრინას ნეიტრალური მნიშვნელობა მიეცა, როგორც მინიმუმ სამართლებრივი გადმოსახედიდან.<sup>677</sup>

უშიშროების საბჭოს ამ უპრეცედენტო გადაწყვეტილებით ერაყში დაწესდა სპეციალური საოკუპაციო რეჟიმი. ერთის მხრივ, რეზოლუცია ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში აქცევდა, რაც მოიცავდა ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის სახელშეკრულებო და ჩვეულებით ნორმებს,<sup>678</sup> ხოლო მეორეს მხრივ რეზოლუცია ფართო დისკრეციას იძლეოდა საოკუპაციო მმართველობისთვის დელეგირებულ უფლებამოსილების კუთხით, რაც აშკარად სცდებოდა ოკუპანტი ძალის კომპეტენციას, როგორც ეს მოცემულია ოკუპაციის სამართლის ნორმებში.<sup>679</sup> რეზოლუციის პროექტის მომზადების ეტაპზე ზოგიერთი მომლაპარაკებელი ცდილობდა ისეთი ფორმულირების შეთავაზებას, რომელიც ოკუპანტი ძალის უფლებამოსილებას შეზღუდავდა ოკუპაციის სამართლის ნორმებით, ასეთ შემთხვევაში ოკუპანტი ძალა გალდებული იქნებოდა ერაყში მოქმედი კანონმდებლობა შეენარჩუნებინა, რაც ტრანსფორმაციის პერიოდისათვის მიუღებელი იქნებოდა, ამიტომ საბჭომ უფრო ორაზროვანი ტექსტი მიიღო, რომლის ძალითაც გარდამავალ კოალიციურ მმართველობას მოქმედების ფართო არეალი ეძლეოდა.<sup>680</sup> თუმცა ზოგიერთი ავტორი<sup>681</sup> მიიჩნევს, რომ კოალიციური მთავრობისათვის გადაცემული უფლებამოსილებები არ იყო შეუზღუდავი და ამ უფლებამოსილების შესრულებისას ოკუპანტი ძალა მაინც შეზღუდული რჩებოდა უენევის კონვენციებითა და ჰააგის რეგულაციებით. უშეალოდ კოალიციის მიერ მიღებული პირველი სამხედრო

<sup>674</sup>UN SC res. #1483 (2003), preambular para.13.

<sup>675</sup>Benvenisti, E. *The Security Council and the Law on Occupation: Resolution 1483 on Iraq in Historical Perspective* in IDF Law Review, vol.1, 2003, p.36.

<sup>676</sup>Lijnzaad, L. *How Not to Be an Occupying Power: Some Reflections on UN Security Council Resolution 1483 and the Contemporary Law of Occupation* in Lijnzaad, L., van Sambeek, J., Tahzib-lie, B. (eds.) *Making the Voice of Humanity Heard* (Essays on humanitarian assistance and international humanitarian law in honour of HRH Princess Margriet of the Netherlands), Leiden, Boston, 2004, p. 296.

<sup>677</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.274.

<sup>678</sup>Scheffer, D.J. *Beyond Occupation Law* in AJIL, vol.97, 2003, p.844.

<sup>679</sup>Hmoud, M. *The Use of Force against Iraq: Occupation and Security Council Resolution 1483* in Cornell International Law Journal, no.36, 2003-2004, p.448.

<sup>680</sup>Ibid, p.449.

<sup>681</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.271.

რეგულაცია აცხადებდა, რომ CPA-ს ძალაუფლება მომდინარეობს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციებისა და ომის სამართლისა და ჩვეულებებისაგან.<sup>682</sup> ცხადია რომ კოალიციური მმართველობა მხლოდ ოკუპაციის სამართალს ვერ დაეყრდნობოდა თავის ქმედებებში, რადგან ის გეგმავდა ერაყის ტრანსფორმაციას და ამ მისისათვის მას გაერო-ს მანდატი სჭირდებოდა, სწორედ ამიტომ ზემოთ ნახსენები სამხედრო რეგულაცია ცალკე მოიხსენიებდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს ომის სამართალსა და ჩვეულებებისაგან დამოუკიდებლად, რაც უკვე მიანიშნებდა იმაზე, რომ რეზოლუცია, რომლის მიღებასაც უშიშროების საბჭო აპირებდა არ იქნებოდა აპსოლუტურ თანხვედრაში ოკუპაციის სამართლით დადგენილ რეჟიმთან. გარდა ამ ბუნდოვანებისა, რეზოლუცია ასევე დავას იწვევდა იმის შესახებ, თუ რა სტატუსი ექნებოდათ სხვა მოკავშირე სახელმწიფოებს, რომელთაც ჯარები განალაგეს ერაყის ტერიტორიაზე. რადგან უშიშროების საბჭომ მხოლოდ აშშ და დიდი ბრიტანეთი მიიჩნია ოკუპანტ ძალად, სხვა “არაოკუპანტი” სახელმწიფოები რეზოლუციის მიხედვით ერთიანი მმართველობის ქვეშ შემავალ მოკავშირებად გვევლინებოდნენ.<sup>683</sup> ფაქტობრივი რეალობა კი სხვა იყო, რადგან ერაყის ზოგიერთ რეგიონს მთლიანად აკონტროლებდა არა აშშ ან დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარი, არამედ სხვა მესამე მოკავშირე სახელმწიფო.<sup>684</sup>

ამგვარად, უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციით მოხდა არსებითი გადახვევა ოკუპაციის საერთაშორისო სამართლიდან ორ ძირითად ასკექტში. პირველ რიგში რეზოლუციით CPA-ს მიენიჭა უფრო მეტი უფლებამოსილება, ვიდრე ეს ოკუპაციის სამართლის ნორმებით იყო გათვალისწინებული და შესაბამისად კოალიციურმა მმართველობამ გამოიყენა ეს მანდატი ერაყის ინსტიტუციური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციისათვის, მაშინ როდესაც ზოგადად ოკუპაციის სამართალი ეფუძნება დაკავებულ ტერიტორიაზე *status quo-b* შენარჩუნებას, მანამ სანამ მასზე არ აღდგება ლეგიტიმური სუვერენის მმართველობა.<sup>685</sup> გარდა ამისა, უშიშროების საბჭომ ხელოვნურად შეცვალა ოკუპანტი ძალის ზოგადი სტატუსი და რეზოლუციაში პირდაპირ გაწერა თუ რომელ ქვეყნებს ექნებოდათ ოკუპანტის სტატუსი, ხოლო სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ერთიან მმართველობაში შეიტანდნენ წვლილს “არაოკუპანტ” სახელმწიფოებად მოიხსენია იმის მიუხედავად დააკმაყოფილებდნენ თუ არა ეს ქვეყნები ოკუპანტ ძალად ცნობის კრიტერიუმს, პერძოდ ექნებოდათ თუ არა ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლი და განახორციელებდნენ თუ არა დაკავებული ტერიტორიის

<sup>682</sup>CPA Regulation #1, May 16, 2003.

<sup>683</sup>UN SC res. 1483, preambular para.14.

<sup>684</sup> ერაყის ოკუპაციის დროს მოკავშირე სახელმწიფოების სტატუსის შესახებ დებალურად იხ. Lijnzaad, *supra*, n.676.

<sup>685</sup>Kolb, R. *Occupation in Iraq Since 2003 and the Powers of the UN Security Council* in IRRC, vol.90, no.869, 2008, p.29.

უშიშროების საბჭოს აღნიშნული რეზოლუცია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ოკუპაციის სამართლის რამდენიმე ძირეული პრინციპის განმტკიცების ან ზოგიერთი ახალი პრინციპის შემოღების საფუძველი. ეს პრინციპებია: ოკუპაცია, როგორც ასეთი ავტომატურად არ გულისხმობს უცხოელთა უკანონ ბატონობას, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მის წინააღმდეგ ბრძოლის უფლებას აძლევს; სუვერენიტეტის მფლობელია ხალხი და შესაბამისად მმართველობის ჩამოშლა არ გულისხმობს სუვერენიტეტის გაქრობას; ოკუპანტმა ძალამ უნდა იმოქმედოს “ეფექტიანად” რომ მოახდინოს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის კეთილდღეობისა და ადამიანის უფლებების დაცვის წახალისება და უზრუნველყოს ისეთი პირობების შექმნა, როგორშიც ხალხს შეეძლება საკუთარი ხების თავისუფლად გამოვლენა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ამ გზით ახალი პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა. ამ მიზნების მისაღწევად კი ოკუპანტს შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს ადგილობრივი საჯარო რესურსი, თუმცა მისი ქმედებები შეიძლება დაექვემდებაროს პერიოდულ კონტროლსა და შემოწმებას.<sup>687</sup> რეზოლუციის მიხედვით ასევე ჩამოყალიბდა პრინციპი რომ ტრანსფორმაციული ოკუპაციისას რეფორმები უნდა გატარდეს პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართვით.<sup>688</sup>

ერაყის ოკუპაციამ იმ ფორმითა და საფუძვლით, რაც უშიშროების საბჭოს რეზოლუციამ დაადგინა, საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან შემდეგი საკითხები დააყენა დღის წესრიგში: არის თუ არა შესაძლებელი ოკუპაციის სამართლით მოთხოვნილი ოკუპირებული ტერიტორიის *status quo*-ს დარღვევა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით და ზოგადად, შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს გადაუხვიოს ოკუპაციის სამართლით დადგენილი ნორმებისაგან სრულად ან ნაწილობრივ და დააწეოს ოკუპაციის განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი.<sup>689</sup>

გაერო-ს წესდების ობიექტისა და მიზნებიდან გამომდინარე, ასევე საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის სულისკვეთების მხედველობაში მიღებით ზოგიერთი ავტორი<sup>690</sup> ამტკიცებს, რომ (1) უშიშროების საბჭოს შეუძლია გადაუხვიოს საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის და ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი ნორმიდან, მაგრამ არ შეუძლია გადაუხვიოს სამართლის ამ სისტემიდან მთლიანად და (2) ნორმები, რომლიდანაც უშიშროების საბჭოს გადახვევა შეუძლია არ უნდა იყოს ფუნდამენტური პუმანიტარული ხასიათის.

<sup>686</sup>Scheffer, *supra*, n.678, p.846.

<sup>687</sup>Benvenisti, *supra*, n.675, p.37-38.

<sup>688</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.272.

<sup>689</sup>ამ თემაზე ასევე იხ. მოცემული ნაშრომის 1.3.2. ქვეთავი.

<sup>690</sup>Kolb, *supra*, n.685, p.33.

ნახსენები ძირითადი ჰუმანიტარული ნორმები ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნაწილიცაა, ამიტომ ზემოთ დასმული შეკითხვის უფრო ფართოდ ფორმულირებაც შესაძლებელია – შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს გადაუხვიოს ზოგადი საერთაშორისო სამართლისაგან, მათ შორის *jus cogens* ნორმებისგანაც? პრაქტიკა ცხადყოფს რომ როდესაც უშიშროების საბჭო მოქმედებს გაერო-ს წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე ის მთლიანად ზოგადი საერთაშორისო სამართლისაგან გადახვევა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება; ამავდროულად, საბჭოს არ შეუძლია გადაუხვიოს ისეთი სახელშეკრულებო თუ ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმისაგან, რომელიც *jus cogens*-ია, რადგან ამ ნორმებთან მიმართებით იმოქმედებს “გადახვევის დაუშვებლობის” ბარიერი, რომელსაც თვით უშიშროების საბჭომაც არ უნდა გადააბიჯოს.<sup>691</sup> თუმცა, ზოგიერთი მეცნიერი<sup>692</sup> არ ახდენს კატეგორიზაციას იმ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა, რომელთაგანაც უშიშროების საბჭო შეუძლია გადაუხვიოს. ამ მიღგომის მქონე ავტორები მიიჩნევენ, რომ საბჭოს საგანგებო მდგომარეობისას თავად შეუძლია განსაზღვროს რომელი ნორმისაგან გადაუხვიოს, მთავარია რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იყოს მეშვიდე თავის საფუძველზე და გადახვევა იყოს დროებითი ხასიათის მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის განსამუხტავად, მაგრამ ამ მოსაზრების მიმდევარი მეცნიერებიც მიიჩნევენ რომ ფუნდამენტური გარანტის შემცველი ნორმებისაგან (მაგ. როგორიცაა ქენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი) გადახვევა უშიშროების საბჭოსაც კი არ შეუძლია.

სხვა მოსაზრებით,<sup>693</sup> უშიშროების საბჭოს შეუძლია დამარცხებულ სახელმწიფოს დააკისროს გარკვეული მკაცრი ზომები და ამ პროცესში გადაუხვიოს კიდეც საერთაშორისო სამართლისაგან, მაგრამ მისი გადაწყვეტილებები ყველა შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს გაერო-ს წესდების პრინციპება და მიზნებს, რაც მოიცავს საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს მაგ. როგორიცაა ტერიტორიის ძალისმიერი მეთოდით შეძენის აკრძალვა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი. აქედან გამომდინარე უშიშროების საბჭო თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მაინც ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვაში, რაც გულისხმობს *jus cogens* ნორმების პატივისცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილებები ბათილი იქნება.<sup>694</sup>

<sup>691</sup>Ibid, pp.34-36.

<sup>692</sup>Tittemore, B.D. *Belligerents in blue helmets: applying international humanitarian law to United Nations peace operations* in Stanford Journal of International Law, vol.33, 1997, pp.105–106.

<sup>693</sup>Gill, T.D. *Legal and Some Political Limitations on the Power of the UN Security Council to Exercise its Enforcement Powers under Chapter VII of the Charter* in Netherland Yearbook of International Law, vol.26, 1995, p.89.

<sup>694</sup>Zemanek, K. *The Legal Foundations of the International System* in Recueil des Cours, vol.266, 1998, p.231.

მართალია, გაერო-ს წესდების 103-ე მულის მიხედვით, გაერო-ს ფარგლებში აღებული/დაკისრებული ვალდებულება უპირატესია სახელმწიფოს სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან, თუმცა, ეს არ უნდა განიმარტოს თითქოს კრცელდებოდეს ვალდებულებზე, რომელიც უშიშროების საბჭომ დაადგინა *jus cogens* ნორმის დარღვევით.<sup>695</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უშიშროების საბჭოს შეუძლია დაადგინოს ოკუპაციის სამართალში მოცემული წესებისაგან განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი და გადაუხვიოს ოკუპაციის სამართლის იმ ნორმებისაგან, რომელიც არ არის დამცავი ხასიათის და დაკავშირებულია მაგ. ოკუპირებული ტერიტორიის აღმინისტრირებასთან, მაგრამ ამავდროულად საბჭო ვერ გადაუხვევს ოკუპაციის სამართლის იმ პუმანიტარული დებულებებისაგან, რომელიც მოცემულია მაგ. უენევის მე-4 კონვენციაში და ითვალისწინებს სამოქალაქო მოსახლეობისა და ინდივიდუალურად სამოქალაქო პირის დაცვას ოკუპაციის უარყოფითი ეფექტისაგან.

დავას იწვევს საკითხი ოკუპაციის სამართლის რომელი კონკრეტული დებულებებია *jus cogens* ნორმები. კედლის საკონსულტაციო დასკვნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა რომ საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ძირითადი პუმანიტარული დებულებებისაგან წარმოშობილი ვალდებულებები არ ხებითად *erga omnes* ხასიათისაა<sup>696</sup> და მათი დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება ყველა სახელმწიფოს აქვს.<sup>697</sup> ზოგიერთი მეცნიერი<sup>698</sup> მიიჩნევს, რომ სასამართლოს ასეთი მიღვომა არაპირდაპირ მიანიშნებს, რომ პუმანიტარული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპები სწორედ *jus cogens* ნორმებია. ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილმა საერთაშორისო ტრიბუნალმა კი კუპრეშკიჩის საქმეში განაცხადა, რომ საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ძირითადი ნორმები, კერძოდ ომის დანაშაულების, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და გენოციდის ჩადენის ამკრძალავი დებულებები საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმებია, რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია.<sup>699</sup> თუმცა არც ICJ-ის და არც ICTY-ის არ დაუსახელებია საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის დეტალური ნორმები რომლებიც *jus cogens* ხასიათისაა. ეს საკითხი პრობლემატურია ასევე ოკუპაციის სამართლის კონტექსტში, რადგან როგორც პააგის რეგულაციები ასევე უენევის მე-4 კონვენციაც შეიცავს დეტალურ მუხლებს, რომელიც აწესრიგებს მაგ. საზოგადო ჯანდაცვის ზომებს, სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის წესებს, რომლებიც

<sup>695</sup>Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, Bosnia and Herzegovina v. Yugoslavia (Serbia and Montenegro), Further Requests for the Indication of Provisional Measures, Order of 13 September 1993, ICJ Rep. 1993, p.325, Separate Opinion of Judge Lauterpacht, ICJ Reports 4, at 440 ff., paras.100 *et seq.*

<sup>696</sup>Wall case, *supra*, n.29, para.157.

<sup>697</sup>Ibid, para.159.

<sup>698</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.84.

<sup>699</sup>ICTY, Prosecutor v. Zoran Kupreškić et al., Judgment of trial chamber (2000), no.IT-95-16-T, para.520.

ნაკლებ სავარაუდოა რომ საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებად მიიჩნეოდეს.<sup>700</sup> ამიტომ ამოსავალი წერტილი უნდა იყოს კონკრეტული წესის პუმანიტარული ხასიათი, თუკი ოკუპაციის სამართლის რაიმე დებულება ტექნიკური ხასიათისაა და არ უკავშირდება ინდივიდის დაცვას დიდი ალბათობით ამ ნორმიდან გადახვევა დაიშვება უშიშროების საბჭოს რეზოლუციით, ხოლო ფუნდამენტურად პუმანიტარული ხასიათის წესებიდან გადახვევა საბჭოს გადაწყვეტილებითაც მიუღებელი იქნება.

ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების არსებობის დადგენის შემთხვევაშიც, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემა არ ითვალისწინებს რაიმე ხასის ფორუმის არსებობას, რომელზეც პოტენციურად განიხილება უშიშროების საბჭოს ქმედების კანონიერება და იმის განსაზღვრა გადაუხვია თუ არა საბჭომ *jus cogens* ნორმებიდან ან ზოგადი საერთაშორისო სამართლიდან.<sup>701</sup>

უშიშროების საბჭოს უფლებამოსილების ფარგლების საკითხი წამოიჭრა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ლოკურბის საქმის განხილვისას, სადაც სასამართლომ გვერდი აუარა უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების კანონიერების შეფასების საკითხს, თუმცა მოსამართლებმა საქმეს დაურთეს განსხვავებული მოსაზრებები, რომლებშიც საკმაოდ ფართოდ განიხილეს ეს საკითხი. მაგ. მოსამართლე ვერამანტრიმ თავის განსხვავებულ აზრში დააფიქსირა, რომ უშიშროების საბჭო ერთადერთი ორგანოა, რომელსაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გაერო-ს წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე და სასამართლო ამაში ვერანაირად ვერ ჩაერევა. ამავდროულად, თუკი, უშიშროების საბჭო გადაწყვეტს მეშვიდე თავის საფუძველზე მოქმედებას მას ეძლევა აბსოლუტური დისკრეცია თუ რა ზომებსა და საშუალებებს მიიღებს დასახული მიზნების მისაღწევად. სასამართლო ამ საკითხშიც ვერ განიხილავს საბჭოს გადაწყვეტილებების კანონიერებას.<sup>702</sup> პრეზიდენტ შვებელის განსხვავებული აზრი კი ალბათ ყველაზე საყურადღებოა, რადგან მან პირდაპირ აღნიშნა, რომ

გაერო-ს წესდების მოსამზადებელი სამუშაოები და მასში გამოყენებული ტერმინები ცხადყოფს, რომ უშიშროების საბჭო სამართლის უზენაესობის ნაწილია და ამავდროულად ის უფლებამოსილიცაა გადაუხვიოს საერთაშორისო სამართლებს, თუ საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნება ამას მოიხვევს. საბჭომ თავად უნდა შეაფახოს არის თუ არა სახეზე მშვიდობის მუქარა და მიიღოს აღეჭვატური ზომები, სასამართლო ამაში ვერ ჩაერევა, რადგან ეს იმას ნიშავს რომ სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოქმედებდა თუ არა

<sup>700</sup>Arai-Takahashi, *supra*, n.6, p.85.

<sup>701</sup>*Ibid*, p.83.

<sup>702</sup>*Questions of Interpretation and Application of the 1971 Montreal Convention arising from the Aerial Incident at Lockerbie (Libyan Arab Jamahiriya v. United States of America), Provisional Measures, Order of 14 April 1992, I.C.J. Reports 1992*, p.114, dissenting opinion of Judge Weeramantry, p. 176.

უშიშროების საბჭო *ultra vires*, რომლის შემოწმებაც თავის მხრივ აჩენს კითხვას სასამართლოს *ultra vires* ქმედების შესახებ.<sup>703</sup>

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის კანონიერების შემოწმების მცდელობა პქონდა ასევე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კადის საქმეში, რომელშიც მოსარჩელე დავობდა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის ევროკავშირის კანონმდებლობაში გადმოტანით მას დაერღვა საკუთრებისა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რადგან მას ყოველგვარი პროცედურების გარეშე გაუყინეს საბანკო ანგარიშები მხოლოდ იმიტომ რომ უშიშროების საბჭომ იგი შეიყვანა ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიაში.<sup>704</sup> სასამართლომ საკმაოდ ჰქვიანური მეთოდით შეძლო თავი აერიდებინა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისაგან და განიხილა მხოლოდ ევროკავშირის ის რეგულაცია, რომელიც მიღებული იყო საბჭოს რეზოლუციის იმპლიმენტაციისათვის. ამავდროულად სასამართლომ განაცხადა, რომ:

გადაწყვეტილების კანონიერების განხილვა შეეხება მხოლოდ გაერთიანების [ევროკავშირის] სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულ იქნა საერთაშორისო შეთანხმების [რეზოლუციის] განსახორციელებლად და არამც და არამც არ განიხილავს ამ უკანასკნელის [რეზოლუციის] კანონიერების საკითხს.

[...] სასამართლოს ექსკლუზიური იურისდიქცია არ მოიცავს გაერთ-ხელების მეშვიდე თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის კანონიერების შემოწმებას, იმ შემთხვევაშიც კი თუკი ასეთი შემოწმება შემოიფარგლებოდა მხოლოდ რეზოლუციის *jus cogens*-თან შესაბამისობის საკითხის დადგენით.

[...] სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დადგინდება რომ [ევრო] გაერთიანების მიერ ასეთი [უშიშროების საბჭოს] რეზოლუციის განსახორციელებლად მიღებული ზომა ეწინააღმდეგება გაერთიანების სამართლებრივი წესრიგში არსებულ კანონის უზენააღმდებარების არ გულისხმობს ამ რეზოლუციის უპირატესობის საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაუკავშირდება საერთაშორისო სამართალში.<sup>705</sup>

ECJ-ის გადაწყვეტილებაც ცხადყოფს, რომ არც-ერთი საერთაშორისო სასამართლო არაა უფლებამოსილი განიხილოს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების კანონიერების საკითხი, შესაბამისად ის პრინციპი რომ საბჭო შეუზღუდულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და ერთადერთი წინაღობა, რომელსაც ის ვერ გადააბიჯებს საერთაშორისო

<sup>703</sup> *Questions of Interpretation and Application of the 1971 Montreal Convention arising from the Aerial Incident at Lockerbie (Libyan Arab Jamahiriya v. United States of America), Preliminary Objections, Judgment, I.C.J. Reports 1998, p.115*, dissenting opinion of pres. Shwebel, p. 172.

<sup>704</sup> Kokott, J., Sobotta, C. *The Kadi Case – Constitutional Core Values and International Law – Finding the Balance?* in European Journal of International Law, vol.23, no.4, 2012, p.1016.

<sup>705</sup> Joined Cases C-402/05 P and C-415/05 P *Yassin Abdullah Kadi and Al Barakaat International Foundation v. Council of the European Union and Commission of the European Communities*, Judgment of the Court (Grand Chamber) 3 September 2008, paras.286-288.

სამართლის იმპერატიული ნორმებია, მხოლოდ დოქტრინალურ მიღებომად რჩება, რადგან პრაქტიკაში არ არსებობს ფორუმი/ორგანო, რომელიც ამ საკითხს განიხილავდა სამართლებრივი კუთხით.

აქედან გამომდინარე ერაყის ოკუპაციის რეზოლუციის მიღებისას შეუძლებელია დადგენილიყო საბჭოს მიერ ოკუპაციის სამართლისაგან გადახვევა არღვევდა თუ არა *jus cogens* ნორმებს. ცხადია, რომ ის საინვესტიციო და ეკონომიკური რეფორმები, რომელიც CPA-მ გაატარა სწორედ საბჭოსაგან მიღებული მანდატით, არ იყო არც საოკუპაციო ჯარის საჭიროებებით, არც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი მიზნით გამოწვეული და წინააღმდეგობაში მოდიოდა პარაგის რეგულაციებთან, მაგრამ იმდენად რამდენადაც კოალიციურ მთავრობას ნებართვა უშიშროების საბჭოსგან პქონდა მიღებული, ოკუპაციის სამართლისაგან ამგვარი გადახვევა დარღვევად არ ჩაითვალა.<sup>706</sup>

აქვე ადსანიშნავია, რომ რეფორმები ადამიანის უფლებათა სფეროში, რომელიც ფუნდამენტურ ცვლილებებს ითვალისწინებდა ერაყის კანონმდებლობაში, რაც ასევე არ იყო გამოწვეული საოკუპაციო ჯარის საჭიროების, სამხედრო აუცილებლობის ან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობით, არ ჩაითვლება დარღვევად, რადგან მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული ჩამოყალიბდა დოქტრინა, რომ ოკუპანტმა ძალამ არ უნდა დატოვოს უცვლელად შემავიწროებელი და მჩაგვრელი კანონდმდებლობა.<sup>707</sup> ამიტომაც უშიშროების საბჭოს მიერ CPA-სათვის ამგვარი მანდატის გადაცემა არ განიხილება ოკუპაციის სამართლიდან გადახვევად.

### 7.3.2. ტრანსფორმაციული ოკუპაცია

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით წარმართული სამხედრო ინტერვენციის – “ოპერაცია ერაყის მშვიდობა” – შედეგად სადამ პუსეინის რეჟიმის დამხობის შემდგომ ოკუპაციის პერიოდში დადგა საკითხი თუ როგორ მოწესრიგებულიყო ერაყის რეკონსტრუქციისა და ტერიტორიის ადმინისტრირების პროცესში. ერაყის ოკუპაცია იმითაც არის უნიკალური, რომ ის გაერო-ს უშიშროების საბჭოს ავტორიზაციით დაიწყო და დასრულდა.<sup>709</sup> ოკუპაცია იმთავითვე დროებითად მიიჩნეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტ ძალას ერაყის გარდაქმნის მანდატი პქონდა დაკისრებული, უშიშროების საბჭო ცალსახად მიუთითებდა რომ საოკუპაციო მთავრობა მხოლოდ გარდამავალი და დროებითია და მას ნიადაგი უნდა მოემზადებინა ერაყელი ხალხის ნების თავისუფალი

<sup>706</sup>Kolb, *supra*, n.685, pp.39-40.

<sup>707</sup>von Glahn, *supra*, n.94, p.95.

<sup>708</sup>Brabandere, E. *Post-Conflict Administrations in International Law: International Territorial Administration, Transitional Authority and Foreign Occupation in Theory and Practice*, Leiden, 2009, p.45.

<sup>709</sup>UN SC res. 1546, (2004).

გამოვლინებისათვის, რათა მათ შესძლებოდათ საკუთარი სუვერენიტეტის დაუბრკოლებლად განხორციელება და მთავრობის ფორმირება.<sup>710</sup>

ერაყის ოკუპაციის მაგალითზე შეიძლება გამოვყოთ ტრანსფორმაციული ოკუპაციის შემდეგი მახასიათებელი ნიშნები: (1) ოკუპანტი ძალა არსებულ პოლიტიკურ და სამხედრო ინსტიტუტებს სრულად აუქმებს; (2) ტრანსფორმაციული ოკუპაციისას გარდაუვალია მოქმედ სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, თუნდაც ეს არ იყოს გამოწვეული უქნევის მე-4 კონვენციის 64-ე მუხლში ჩამოთვლილი წინაპირობებით; (3) მთლიანად იცვლება სასამართლო სისტემა, რაც ოკუპაციის სამართლის მიხედვით, როგორც წესი, არ არის დაშვებული; (4) ფართომასშტაბიანი რეფორმა ადამიანის უფლებათა სფეროში რათა მოხდეს მჩაგვრელი და დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმება; (5) ეკონომიკის სრული რეფორმაცია და ლია ბაზრის პრინციპების შემოღება, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წახალისება; (6) საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; (7) ბუნებრივი რესურსების მართვა ისე რომ მათი გამოყენებისაგან მიღებული სარგებელი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობამ მიიღოს; (8) საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაცია ისე რომ უზრუნველყოფილი იყოს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის ნების თავისუფალი გამოვლინება და მათ მიერ ახალი მმართველობის არჩევა.<sup>711</sup>

ოკუპანტი ძალის სამართლებრივ ბუნებასა და სტატუსის შესახებ აუცილებელია ითქვას, რომ CPA არ ყოფილი უშიშროების საბჭოს რეზოლუციით შექმნილი ორგანო. რეზოლუცია მიუთითებდა ერთიანი მმართველობის დაფუძნებაზე, ხოლო უშუალოდ CPA კი აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელშეკრულებით შეიქმნა და უშიშროების საბჭომ უბრალოდ ცნობად მიიღო ამგვარი მმართველი ორგანოს შექმნა. ოკუპანტი ძალის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მმართველობის დაფუძნება გათვალისწინებულია ჰააგის რეგულაციებით, შესაბამისად CPA-ს შექმნის სამართლებრივი საფუძველი ჰააგის 43-ე რეგულაციაა და არა უშიშროების საბჭოს 1483 რეზოლუცია.<sup>712</sup>

CPA-ს მიერ რეალურად მოხდა ერაყის სოციალისტურ-ცენტრისტული სისტემიდან თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებულ სისტემაზე გადაყვანა.<sup>713</sup> ამგვარი ცვლილებების ხასიათიდან გამომდინარე მომავალი დემოკრატიულად არჩეული მთავრობისთვის ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა ტრანსფორმირებული სისტემის მოდიფიკაცია. ამიტომ ოკუპაციაშ წარმოშვა ერთგვარი *fait accompli*.<sup>714</sup> ასეთი ეკონომიკური და სოციალური

<sup>710</sup>Rostow, N. *Gaza, Iraq, Lebanon: Three Occupations Under International Law* in Israel Yearbook on Human Rights, vol.37, 2007, pp.226-228.

<sup>711</sup>Benvenisti, *supra*, n.26, Chapters: 9.2.1 – 9.2.8. pp.259-267.

<sup>712</sup>Wolfrum, R. *Iraq – from Belligerent Occupation to Iraqi Exercise of Sovereignty: Foreign Power Versus International Community Interference* in Max Planck Yearbook of United Nations Law, vol.9, 2005, p.21.

<sup>713</sup>McCarthy, C. *The Paradox of the International Law of Military Occupation: Sovereignty and the Reformation of Iraq* in Journal of Conflict & Security Law, vol.10, 2005, p.55.

<sup>714</sup>Fox, G.H. *Transformative Occupation and the Unilateralist Impulse* in IRRC, vol.94, no.885, 2012, p.253.

რეფორმები საკმაოდ ფართოდ სცდებოდა ჰაგის რეგულაციებითა და ჟენევის მე-4 კონვენციით დადგენილ საჯარო წესრიგისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აღდგენისა და შენარჩუნების ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო გონივრულ ზომებს.<sup>715</sup> თუმცა მეორეს მხრივ თუკი ჩავთვლით რომ ერაყის დემოკრატიული და ეკონომიკური ტრანსფორმაცია საჭირო იყო ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის და ეს იყო ერაყის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ნორმალურად გაგრძელების ერთადერთი საშუალება, მაშინ CPA-ს ტრანსფორმაციული რეფორმები ოკუპაციის სამართლის ჩარჩოებში მოექცევა.

CPA-ს ქმედებების ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ჭრილში შეფასებისას საჭიროა ითქვას რომ ერაყის ტრანსფორმაციული ოკუპაციისას მოქმედებდა საერთაშორისო სამართლის სამი რეჟიმი: (1) ოკუპაციის საერთაშორისო სამართლი; (2) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი და (3) უშიშროების საბჭოს 1483 რეზოლუციით დადგენილი რეჟიმი.<sup>716</sup> აქედან გამომდინარე, ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული თითოეული საკანონმდებლო აქტის კანონიერება უნდა შეფასდეს ზემოთ ჩამოთვლილი სამი სამართლებრივი შრის საფუძველზე. ზოგიერთი მეცნიერი<sup>717</sup> მიიჩნევს რომ CPA-ს ქმედებები გამართლებულია ოკუპაციის სამართლით, ხოლო ის ქმედებები, რომლებიც სცდებოდა ოკუპაციის სამართლით გათვალსწინებულ მანდატს, საჭირო იყო იმ პრინციპებისა და მიზნების მიღწევისათვის, რაც მოცემულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ CPA-ს რეფორმები მთლიანად ექცევა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოში, კერძოდ ზოგიერთი რეფორმა (მაგ. როგორიცაა მმართველობითი და საკუთრებასთან დაკავშირებული) შეესაბამება ოკუპაციის სამართლის სტანდარტს, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეფორმები თანხვედრაშია ოკუპაციის სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის მოხსენენით, ხოლო ეკონომიკური რეფორმაცია კი გამართლებულია უშიშროების საბჭოს 1483 რეზოლუციით დაწესებული სამართლებრივი რეჟიმით.<sup>718</sup>

ზოგადად, თუკი ოკუპანტი ძალის ქმედებები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და უსაფრთხოების სფეროში მეტნაკლებად შეესაბამებოდა ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის სულისკვეთებას, ყველაზე პრობლემურად მიიჩნევა CPA-ს მიერ გატარებული დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმები რადგან (1) ამ ორივე სფეროში მოხდა ინსტიტუციური ცვლილებები, რაც ოკუპაციის სამართლით აღიარებულ *status quo*-ს

<sup>715</sup>Wolfrum, *supra*, n.712, p.23.

<sup>716</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.268.

<sup>717</sup>Roberts, A. *Transformative Military Occupation: Applying the Laws of War and Human Rights in AJIL*, vol.100, 2006, p.620.

<sup>718</sup>Benvenisti, *supra*, n.26, p.269.

შენარჩუნების პრინციპს ეწინააღმდეგება<sup>719</sup> და (2) ორივე სფეროში გატარებული რეფორმები გათვლილი იყო მუდმივ და განგრძობად შედეგებზე, რითაც ოკუპაციის დროებითი ხასიათის პრინციპთან შეუსაბამობის საკითხი წამოიჭრა.<sup>720</sup> ამიტომ, ერაყის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის კანონიერება მხოლოდ და მხოლოდ უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე დაყრდნობით შეიძლება დადგინდეს. ამავდროულად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უშიშროების საბჭოს 1483 რეზოლუცია არის კონტექსტუალური ხასიათის, რაც გულისხმობს მისი დებულებების გავრცელებას მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაზე – ერაყის ოკუპაციაზე და ავტომატურად გამორიცხავს ამ დებულებების განზოგადებას, შესაბამისად CPA-ს ტრანსფორმაციული რეფორმების გამართლება უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე არ უნდა აღიქმებოდეს იმგვარად, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციით მოხდა ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მოდიფიკაცია და ყველა ოკუპანტისას შეუძლია ამგვარი ტრანსფორმაციული რეფორმების გატარება და მათი გამართლება უკვე “მოდიფიცირებულ” ოკუპაციის სამართლზე მითითებით.

არსებობს მოსაზრება,<sup>721</sup> რომ როდესაც შეიარაღებული კონფლიქტი პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მიზნით მიმდინარეობს (მაგ. როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომი) სამხედრო ოკუპანტს არ ეკისრება იმ რეჟიმის პოლიტიკური *status quo*-ს შენარჩუნების ვალდებულება, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდა. ეს დებულება უფრო დამაჯერებელია მაშინ, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი მხაგრელი პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა. ამგვარი მიდგომა შეიძლება გამართლდეს პააგის 43-ე რეგულაციის ფართო განმარტების საფუძველზე. თუმცა ამ მოსაზრების პარალელურად, ზოგიერთი ავტორი<sup>722</sup> მიიჩნევს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, უნევის მე-4 კონვენციამ აამაღლა პააგის სამართლით დადგენილი სტანდარტი და თანამედროვე ოკუპაციის სამართლის არანაირი განმარტება არ უშვებს ოკუპანტის ძალის მიერ ცალმხრივად ოკუპირებული ქვეყნის სტრუქტურისა და პოლიტიკური სისტემის შეცვლას, თუნდაც ეს პოსტ-კონფლიქტური მშვიდობის შენების პროცესისათვის იყოს საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პრაქტიკა და სასამართლოს გადაწყვეტილებებიც მიუთითებენ ოკუპაციის სამართლის ახალი ჩვეულებების ჩამოყალიბებაზე, ამგვარი ახალი ჩვეულებები მაინც არ ამართლებენ ტრანსფორმაციული ოკუპაციის იდეას ოკუპაციის სამართლის ჭრილში, რადგან საერთაშორისო სამართლის ეს დარგი მეტწილად

<sup>719</sup>Status quo-b შენარჩუნებასთან დაკავშირებით იხ. Fox, G.H. *The Occupation of Iraq in Georgetown Journal of International Law*, vol.36, 2004-2005, p.230.

<sup>720</sup> ოკუპაციის დროებით ბუნებასთან დაკავშირებით იხ. Power, S. *The 2003-2004 Occupation of Iraq: Between Social Transformation and Transformative Belligerent Occupation* in *Journal of Conflict and Security Law*, Oxford, 2014, pp.351-352.

<sup>721</sup> Greenspan, *supra*, n.23, p.213.

<sup>722</sup> Wolfrum, *supra*, n.712, p.14-15.

კონსერვატისტული მიდგომების გავლენის ქვეშაა, რომლის შეცვლა ან მოდიფიცირება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ტრანსფორმაციული ოკუპაცია შეიძლება კანონიერი იყოს მხოლოდ და მხოლოდ *ad hoc* შემთხვევაში, როდესაც ის სანქცირებულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ.<sup>723</sup> არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით შეიძლება ტრანსფორმაციული ოკუპაციის გამართლება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის ჭრილში,<sup>724</sup> თუმცა ცალსახაა რომ არც ჰააგის და არც უენევის სამართლებრივი სისტემა ამგვარი ოკუპაციის დასაშვებობას არ ითვალისწინებს, შესაბამისად კონვენციებში ცვლილებების შეტანის გარეშე ამ იდეის დოქტრინალური განვითარება აზრს მოკლებული იქნება.

### 7.3.3. ადამიანის უფლებათა რეჟიმი გაერო-ს მიერ სანქცირებული ოკუპაციისას

ადამიანის უფლებათა დაცვა ერაყის ოკუპაციის ერთ-ერთ მიზნად იყო დასახული გაერო-ს უშიშროების საბჭოს ორივე რეზოლუციით, რომელიც ერაყის ტრანსფორმაციას ეხებოდა.<sup>725</sup> მაგრამ ოკუპაციის პერიოდში წამოიჭრა სადაც საკითხი თუ რა მასშტაბით უნდა ყოფილიყო თავად კოალიციური მმართველობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებით შეზღუდული და ამავდროულად მოქცეულიყო სამხედრო ოკუპაციის სამართლის ფარგლებშიც.<sup>726</sup> ასევე წამოიჭრა პასუხისმგებლობის საკითხიც, კერძოდ, რამდენადაც ერაყის ტრანსფორმაციული ოკუპაცია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ იყო სანქცირებული, ადამიანის უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებელი გაერო იქნებოდა თუ ოკუპანტი ძალა, ანუ დიდი ბრიტანეთი და აშშ. ერთი რამ ცხადია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაო გამოყენებიდან და საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის *lex specialis* წესით გამოყენებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებები შეზღუდული მასშტაბით, მაგრამ მაინც კრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე,<sup>727</sup> თუნდაც ოკუპაცია ტრანსფორმაციული ხასიათისა იყოს და გაერო-ს ნებართვით ხორციელდებოდეს.

საკითხი იმის შესახებ თუ ადამიანის უფლებათა დაცვის რომელი რეჟიმი ვრცელდებოდა ერაყის ოკუპაციისას, წამოიჭრა საქმეში ალ-ხაჯინი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ექვსი ერაყის მოქალაქის სიკვდილს ერაყის იმ ზონაში, სადაც დიდი ბრიტანეთი,

<sup>723</sup> Roberts, A. *Transformative Military Occupation: Applying the Laws of War and Human Rights in Schmitt, M.N., Pejic, J. (eds.) International Law and Armed Conflict: Exploring the Faultlines (Essays in Honour of Yoram Dinstein)* Leiden, Boston, 2007, p. 494.

<sup>724</sup> *Ibid*, p.494-495.

<sup>725</sup> UN SC res. 1483 (22 May, 2003) and 1546 (8 June, 2004).

<sup>726</sup> Roberts, *supra*, n.723, p. 463.

<sup>727</sup> ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ ადამიანის უფლებათა რეჟიმზე დეტალურ იხილეთ ამ ნაშრომის მე-4 თავი.

როგორც ოკუპანტი ძალა, ახორციელებდა მმართველობას. ხუთი მათგანი მოკლული იქნა ბრიტანეთის საპატრულო ძალების მიერ განხორციელებული რეიდისას, ხოლო მექქვე კი ბრიტანეთის სამხედრო ბაზაზე დაკავებიდან სამ დღეში დაიდუპა. განმცხადებლები დავობდნენ, რომ მათ ნათესავებს დაერღვათ სიცოცხლის უფლება, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.<sup>728</sup> ერთი შეხედვით უცნაური დავა იმის შესახებ ვრცელდებოდა თუ არა ევროპული კონვენცია ერაყში დიდი ბრიტანეთის შიდა სასამართლოსა და ლორდთა პალატის განსახილველი გახდა. სააპელაციო განხილვაში დადგინდა, რომ:

[...] შეუძლებელია დადგინდეს, რომ დიდი ბრიტანეთი, როგორც ოკუპანტი ძალა ჰააგის რეგულაციებისა და უეგვის მე-4 კონვენციის მხილეებით, ახორციელებდა უფაქტიან კონტროლს ქალაქ ბასრაზე ECHR-ის გაგებით.<sup>729</sup>

ხოლო ლორდთა პალატის გადაწყვეტილების მიხედვით, კი ბრიტანეთის ბაზაზე დადუპული პირის სიკვდილი ხვდებოდა გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციის ქვეშ, ხოლო დანარჩენი ხუთი პირის მკვლელობაზე არ დადგინდა დიდი ბრიტანეთის იურისდიქცია, რადგან ბანჯოვიჩის<sup>730</sup> საქმეში შემუშავებული სტანდარტის საფუძველზე პატრულირების ოპერაციების დროს ბრიტანეთის სამართალდამცავები არ იყვნენ ამ ზონაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელების პირობებში.<sup>731</sup>

ეროვნული სასამართლო განხილვის შემდეგ საქმე ასევე განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ. ECtHR-ში განხილვების დროს დიდმა ბრიტანეთმა წამოაექნა ახალი არგუმენტი, რომ ექვსიდან ორი პირის მკვლელობა მიეწერებოდა არა დიდ ბრიტანეთს, არამედ გაერო-ს, რადგან ეს მკვლელობები მოხდა უშიშროების საბჭოს მიერ 1511 რეზოლუციის მიღების შემდეგ, რომლითაც გაერო-ს წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე მოხდა მრავალმხრივი ძალების მიერ ერაყში უსაფრთხოებისა და სტანდურობის შენარჩუნებისათვის ყველა საჭირო ზომის მიღების ავტორიზაციის.<sup>732</sup> ბრიტანეთის მთავრობა მიიჩნევდა რომ, აღნიშნული რეზოლუციის შემდეგ საპოლიციო ოპერაციების ჩატარებისას, რომლის დროსაც ორი პირი იქნა მოკლული, საოკუპაციო ჯარი არ ახორციელებდა დიდი ბრიტანეთის სუერენულ ძალაუფლებას, არამედ მრავალმხრივი ძალების საერთაშორისო მანდატს, რომელიც დაწესდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილების საფუძველზე.<sup>733</sup> სასამართლოს მიერ ამ არგუმენტის განხილვა საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა და თავისთავად ეს წამოჭრიდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის

<sup>728</sup>Thienel, T. *The ECHR in Iraq* in Journal of International Criminal Justice vol.6, 2008, pp.115-116.

<sup>729</sup>Case of *Al-Skeini and others*, Court of Appeal, Civil Division, Decision of 21 Dec. 2005, para.124.

<sup>730</sup>*Bankovic v. Belgium*, *supra*, n.321, para.82.

<sup>731</sup>R (on the application of Al-Skeini) v. Secretary of State for Defence (Redress Trust Intervening) [2007] UKHL, 26 [2007] All E.R. 106, paras. 83, 97, 132.

<sup>732</sup>UNSC res. 1511 (16 Oct. 2003), para.13.

<sup>733</sup>*Al-Skeini and others v. UK*, *supra*, n.340, para.97.

საკითხს, კერძოდ ვის ეგისრება პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის ტრანსფორმაციული ოკუპაციისას მაშინ, როდესაც საოკუპაციო ჯარები მოქმედებენ უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის მანდატით. თუმცა, რა თქმა უნდა სასამართლო ყველანაირად ეცდებოდა ამ საკითხის განხილვა თავიდან აერიდებინა და მართლაც იმ მოტივით, რომ დიდ ბრიტანეთს ეს საკითხი ეროვნულ სასამართლოებში საქმის განხილვის ეტაპზე არ დაუყენებია, არგუმენტი დაუშვებლად გამოაცხადა მისი შემდგომი განხილვის გარეშე.<sup>734</sup>

ამის შემდეგ სასამართლომ, არსებული პრეცედენტული სამართლის კვალდაკვალ, იმსჯელა ECHR-ის ექსტრატერიტორიულ გამოყენებაზე<sup>735</sup> და დაადგინა, რომ:

[...] დიდი ბრიტანეთი განსახილვები პერიოდის განმავლობაში, ქალაქ ბასრაში ჩატარებული უსაფრთხოების ოპერაციებში ჩართული თავისი ჯარისკაცების მეშვეობით, ახორციელებდა მმართველობასა და კონტროლს იმ პირებზე, რომლებიც მოკლულ იქნენ ასეთი მართვებისას; რითაც დგინდება იურისდიქციული კავშირი გარდაცვლილ პირთა და დიდ ბრიტანეთს შორის კონფენციის I-ლი მუხლის გაგებით.<sup>736</sup>

ადსანიშნავია, რომ სასამართლოს რომ არ დაედგინა დიდი ბრიტანეთის მიერ ერაყში საჯარო ძალაუფლების განხორციელების ფაქტი, სამოტივაციო ნაწილიდან ჩანს, რომ მაშინ ის [სასამართლო] ვერ დაადგენდა კონვენციის ექსტრატერიტორიულ გამოყენებასაც. შესაბამისად აღ-ხევინის საქმის მიხედვით იურისდიქციული კავშირის დადგენა გამოირიცხება ისეთ სიტუაციებში, როდესაც სახელმწიფო სადავო ტერიტორიაზე ჩართულია სამხედრო მოქმედებებში რაიმე მასშტაბის საჯარო ძალაუფლების განხორციელების გარეშე.<sup>737</sup>

<sup>734</sup>Ibid, paras.98-100.

<sup>735</sup>The court went as follows:

[...] A State's jurisdictional competence under Article 1 is primarily territorial (see *Soering*, cited above, § 86; *Banković and Others*, cited above, §§ 61 and 67; and *Ilaşcu and Others*, cited above, § 312). Jurisdiction is presumed to be exercised normally throughout the State's territory (see *Ilaşcu and Others*, cited above, § 312, and *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, § 139, ECHR 2004-II). Conversely, acts of the Contracting States performed, or producing effects, outside their territories can constitute an exercise of jurisdiction within the meaning of Article 1 only in exceptional cases (see *Banković and Others*, cited above, § 67). (para. 131)

[the] Court has recognised the exercise of extraterritorial jurisdiction by a Contracting State when, through the consent, invitation or acquiescence of the Government of that territory, it exercises all or some of the public powers normally to be exercised by that Government (see *Banković and Others*, cited above, § 71). Thus, where, in accordance with custom, treaty or other agreement, authorities of the Contracting State carry out executive or judicial functions on the territory of another State, the Contracting State may be responsible for breaches of the Convention thereby incurred, as long as the acts in question are attributable to it rather than to the territorial State (see: *Drozd and Janousek*, cited above; *Gentilhomme and Others v. France*, nos. 48205/99, 48207/99 and 48209/99, 14 May 2002; and *X. and Y. v. Switzerland*, nos. 7289/75 and 7349/76, Commission decision of 14 July 1977, DR 9, p. 57). (para. 135).

<sup>736</sup>*Al-Skeini and others v. UK*, supra, n.340, para.149.

<sup>737</sup>Zgonec-Rozej, M. *International decisions, (Al Skeini v. UK) in AJIL*, vol.106, 2012, p.137.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღ-სკეინის საქმეს მოყვა აღ-ჯედას საქმის განხილვა, რომელ შიც უკვე დიდმა პალატამ ვეღარ აუარა გვერდი სადაცო ქმედების გაერო-ს უშიშროების საბჭოსადმი სავარაუდო მიკუთვნების საკითხებს. განმცხადებელი, რომელიც არაგონივრული ვადით იქნა ინტერნირებული ერაყში, დიდი ბრიტანეთის სამხედრო ბაზაზე, დავობდა რომ მას დაერღვა ECHR-ის მე-5 მუხლით<sup>738</sup> გარანტირებული უფლება. საქმემ გაიარა იგივე ინსტანციები, რაც აღ-სკეინის საქმემ და საბოლოოდ ECtHR-ის დიდ პალატამდე მივიდა.<sup>739</sup> დიდმა ბრიტანეთმა წამოაყენა შემდეგი არგუმენტები, რომ: (1) განმცხადებლის ინტერნირება ავტორიზებული იყო უშიშროების საბჭოს 1546 რეზოლუციით,<sup>740</sup> რომელსაც უპირატესი მოქმედების ძალა ჰქონდა ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, გაერო-ს წესდების 103-ე მუხლის საფუძველზე; (2) განმცხადებლის დაკავების ფაქტზე პასუხისმგებელი იყო გაერო და არა დიდი ბრიტანეთი, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ გაერო-ს მანდატის ქვეშ მოქმედებდა უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე.<sup>741</sup> შესაბამისად სასამართლოს წინაშე იდგა საკითხი – ვრცელდებოდა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რეები მიეცირებულ ერაყშე, თუ აღნიშნული რეების მოქმედება შეჩერდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციით, ასევე სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა თუ ვის მიეკუთვნებოდა სადაცო ქმედების ჩადენა, დიდ ბრიტანეთს, როგორც ოკუპანტ ძალას, თუ გაერო-ს, რომელმაც მრავალმხრივ ძალებზე არაპირდაპირი ნებართვა გასცა აღნიშნული ქმედების ჩასადენად. სასამართლომ ვრცლად იმსჯელა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განმარტების საკითხზე და დაადგინა, რომ:

[...] სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს გაერო-ს შექმნის მიზანი. [...] გაერო-ს წესდების I(3) მუხლი ითვალისწინებს, რომ გაერო შეიქმნა [inter alia] “ადამიანის უფლებებისა და მირითადი თავისუფლებების წახალისებისა და დაცვის სვეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მიხადვებად.” ამავდროულად წესდების 24(2) მუხლი უშიშროების საბჭოს, თავისი უპირველეს მოვალეობის – მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების – შესრულებისას ავალდებულებებს, რომ “იმოქმედოს გაერო-ს მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.” ამ სამართლებრივი ჩარჩოს ფონზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საბჭოს რეზოლუციების განმარტებისას მოქმედებს პრეზუმაცია, რომ უშიშროების საბჭოს განხრახვა არა დააკისროს წევრ-სახელმწიფოებს ისეთი ვალდებულება, რომელიც დაარღვევს ადამიანის უფლებათა მირითად პრინციპებს. უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ტერმინებში რაიმე ბუნდოვანების არსებობისას, სასამართლო უნდა შეარჩიოს ისეთი განმარტება, რომელიც კველაზე უფრო შეესაბამება კონვენციის მოთხოვებსა და თავიდან იცილებს ვალდებულებებს შორის კონფლიქტს. ადამიანის უფლებების წახალისებისა და პატივისცემის

<sup>738</sup>ECHR, *supra*, n. 641, art.5 (Right to Liberty and Security).

<sup>739</sup>Milanovic, M. *Al-Skeini and Al-Jedda in Strasbourg* in The European Journal of International Law, vol.23, no.1, 2012, pp.133-136.

<sup>740</sup>UN SC res. 1546 (June 8, 2004) para.10.

<sup>741</sup>Zgonec-Roziej, M. *International Decisions (Al-Jedda v. UK)* in AJIL, vol.106, no.4, 2012, p.831.

საკითხში გაერო-ს მნიშვნელოვანი როლის ფონზე, მოსალოდნელია რომ ნათელი და პირდაპირი ტექსტი იქნება გამოყენებული მაშინ, თუკი უშიშროების საბჭო განიზრახავს რომ სახელმწიფოებმა მიიღონ სპეციფიკური ზომები, რაც წინააღმდეგობაშია აღამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მათ მიერ აღებულ გალდებულებებთან.<sup>742</sup>

სასამართლოს მოტივაციის სამნაწილიანი ლოგიკა საკმაოდ საინტერესოა, კერძოდ (i) მითითება იმაზე, რომ უშიშროების საბჭომ თავისი უფლებამოსილება უნდა განახორციელოს გაერო-ს მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად; (ii) რომ ეს პრინციპები და მიზნები არ მოიცავს მხოლოდ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, არამედ ადამიანის უფლებებისა და მირითად თავისუფლებათა პატივისცემასაც და (iii) ჩამოთვლილი ორი ელემენტის კომბინაციის საფუძველზე საბჭოს რეზოლუციები უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლთან მაქსიმალური შესაბამისობის მიღებით. ამ მეთოდით სასამართლომ მოხერხებულად აუარა გვერდი გაერო-ს წესდების 103-ე მუხლის გამოყენების საკითხს, იმდენად რამდენადაც მან არ დაადგინა წინააღმდეგობა უშიშროების საბჭოს 1546 რეზოლუციასა და ადამიანის უფლებათა ეგროჟულ კონვენციაში გადმოცემულ გალდებულებებს შორის.<sup>743</sup>

რადგან, სასამართლომ არ დაადგინა ზოგადად ვალდებულებათა შორის კონფლიქტი, ამიტომ მას აღარ უმსჯელია იმ მირეჟულ საკითხზე ექნებოდა თუ არა უპირატესი ძალა 1546 რეზოლუციას ECHR-თან მიმართებით, თუკი ის დააკმაყოფილებდა პრეზუმფციას და პირდაპირ და ღიად მიუთითებდა სპეციფიკური ზომების გამოყენებაზე. სასამართლომ ასევე თავიდან აირიდა მსჯელობა იმ საკითხზე, რამდენად არის შესაძლებელი უშიშროების საბჭოს მიერ რაიმე ქმედებაზე გაცემული ნებართვა ჩაითვალოს “ვალდებულებად” გაერო-ს წესდების 103-ე მუხლის მნიშვნელობით.<sup>744</sup>

ზემოთ მოყვანილი პრეცედენტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა რეჟიმი არ იცვლება ოკუპაციის ხასიათთან ერთად. ზოგადი წესი, რომ ოკუპანტი ძალა არის იურისდიქციის განმახორციელებელი მმართველი ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ადამიანის უფლებათა დარღვევაზე პასუხისმგებელიც სწორედ ისაა, უცვლელია მაშინაც კი, როდესაც ოკუპაცია გაერო-ს მიერად სანქცირებული და ტრანსფორმაციული მიზნებით ხდება. თავის მხრივ, აღ-სკეინისა და აღ-ჯედას გადაწყვეტილებები პროგრესულია იმ თვალსაზრისითაც, რომ სამომავლოდ, გაერო-ს სანქცირებული ოკუპაციის შემთხვევაში, უფლებაშელახულ ინდივიდს შეუძლია საქმის აღმდრა რეგიონულ ან საერთაშორისო სასამართლოებში<sup>745</sup> ოკუპანტი სახელმწიფოს წინააღმდეგ

<sup>742</sup>ECtHR, *Al-Jedda v. United Kingdom*, no.27021/08, 2011, para.102.

<sup>743</sup>Conte, A. *Human Rights Beyond Borders: a New Era in Human Rights Accountability for Transnational Counter-Terrorism Operations?* in Journal of Conflict and Security Law, vol.18, no.2, 2013, p.253.

<sup>744</sup>Milanovich, *supra*, n.739, p.138.

<sup>745</sup>Roberts, *supra*, n.723, p.491.

და არა გაერო-ს წინააღმდეგ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ზოგიერთ მხარეში არ არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული სისტემა, ან ის არ მიყვება იმავე იურისპრუდენციას, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გაჲყვა ზემოთ აღნიშნულ საქმეებზე მსჯელობისას. ნებისმიერ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს პასუხისმგებლობის მიკუთვნება ოკუპანტი ძალისათვის – სახელმწიფოსათვის და არა გაეროსათვის. აქვე ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ გაერო-ს მიერ ტერიტორიის ადმინისტრირება და ოკუპაცია, რადგან ტერიტორიული ადმინისტრირებისას შესაძლოა არ იყოს კონკრეტული სახელმწიფო, რომელიც ევაქინან კონტროლს განახორციელებს დაკავებულ ტერიტორიაზე, შესაბამისად კოალიციური ძალების მიერ განახორციელებული ყველა ქმედება გაერო-ს სახელით ხდებოდეს, ასეთ დროს ადამიანის უფლებების დარღვევისათვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის დადგენა აქამდე საკმაოდ წინააღმდეგობრივი და რთული აღმოჩნდა.<sup>746</sup> თუმცა, როდესაც საქმე გაერო-ს მიერ სანქცირებულ ოკუპაციას ეხება, რომლის თვალსაჩინო მაგალითიც ერაყია, ოკუპანტი ძალა მკაფიოდ არის გამოკვეთილი, შესაბამისად ის მოქმედებს დამოუკიდებლად ომის სამართლის ფარგლებში და ადამიანის უფლებების დარღვევისათვისაც პასუხისმგებლობა მას დაეკისრება.

## დასკვნა

დასკვნითი დებულებებისა და შესაბამისი შეფასებების გაკეთებამდე უპრიანია, ერთ მნიშვნელოვან ფაქტს კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი. ეს ფაქტი კი ასეთა: ოკუპაციის საერთაშორისო სამართლი, როგორც საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ქვედარგი, მიუხედავად მისი განვითარების ხანგრძლივი ეტაპებისა, კვლავ არაა სრულყოფილი და საჭიროებს შემდგომ კვლევასა და განვითარებას. შესაბამისად, მისი რეგულირების საგანსა თუ მის ფარგლებში განვითარებული მოვლენების ანალიზისას იბადება ბევრი კითხვა, რომელზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლის, ზოგადად და, კონკრეტულად კი ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის შემდგომ დახვეწას, განვითარებას და ადაპტირებას თანამედროვე რეალობაზე, ხოლო მეორე მხრივ, მრავალი პრაქტიკული უზუსტობისა და შეუსაბამობის გამჩენია.

ნაშრომში გამოვლენილი საკითხების ანალიზისას გადაკვეთის წერტილი ერთია: ოკუპირებული ტერიტორების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები ამომწურავად არ აწესრიგებს ადმინისტრირების ყველა ასპექტს და მკაფიოდ არ განსაზღვრავს ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს.

<sup>746</sup> ი. მაგ. *Bankovic v. Belgium*, *supra*, n.321; ECtHR, *Behrami and Behrami v. France*, no.71412/01 and *Saramati v. France, Germany and Norway*, no.78166/01, 2007, decision on admissibility.

ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და სხვა მომიჯნავე დარგების შესაბამისი ნორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. გარდა ტრადიციული სახელშეკრულებო და ჩვეულებითი სამართლის ნორმებისა, ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას გამოსაყენებელი სამართალი შეიძლება იყოს ასევე სამართლის ზოგადი პრინციპები და საერთაშორისო სამართლის მეორადი წყაროები, როგორიცაა მაგ. სასამართლო გადაწყვეტილებები. დამატებით, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ასევე განიხილება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის წყაროდ, თუკი ის აწესრიგებს კონკრეტულ ოკუპაციასთან და ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
2. საერთაშორისო სამართალი არ ახდენს განსხვავებას კანონიერ და უკანონო ოკუპანტს შორის და ოკუპაციის სამართლით გათვალისწინებული ტერიტორიის ადმინისტრირების უფლებამოსილება სრულად გადაეცემა ოკუპანტ ძალას მიუხედავად იმისა ოკუპაცია კანონიერი ძალის გამოყენების შედეგად მოხდა თუ უკანონო აგრესის აქტის შედეგად;
3. პაგის რეგულაციებში გამოყენებული ტერმინ “საჯარო წესრიგსა და უსაფრთხოებას” აქვს ფართო განმარტება და ოკუპანტ ძალას ეკისრება არა მხოლოდ საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გალდებულება, არამედ იგი მოვალეა განახორციელოს ოკუპირებული ტერიტორიების იმგვარი ადმინისტრირება, რომლითაც უზრუნველყოფს დაკავებულ ტერიტორიაზე ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას;
4. ამავდროულად ოკუპანტი ძალის ვალდებულება მოიცავს მის მიერ ყველა შესაძლო და საჭირო ზომის მიღებას, რათა უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამართული საზოგადოებრივი ცხოვრება და არა უშუალოდ ამგვარი ცხოვრების უზრუნველყოფას, შესაბამისად ტერიტორიის ადმინისტრირებისას მომხდარი არეულობისას, ოკუპანტმა უნდა დაამტკიცოს რომ მან ყველა შესაძლო ღონე იხმარა რათა დაეცვა და შეენარჩუნებინა საჯარო წესრიგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე;
5. ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას, ტერიტორიაზე საჯარო წესირგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მოტივით ოკუპანტი ძალის მიერ *status quo*-ს შეცვლა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ ორი მიზნით: (1) ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისათვის და (2) საოკუპაციო ჯარის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისად ოკუპანტი ძალის ქმედების კანონიერების შემოწმებისას მხოლოდ ეს ორი მიზეზი უნდა იქნას მხედველობაში მიღებული;
6. ოკუპანტი ძალის მიერ ძირეული ცვლილებების განხორციელება, რომელიც არაა ნაკარნახევი წინა აბზაცში მოცემული მიზეზებით, შეიძლება გამართლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი

ცვლილებები მიმართულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დასაცავად და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისათვის;

7. ოკუპანტი ძალა არავითარ შემთხვევაში არ ახორციელებს მის მიერ დაკავებული ტერიტორიის “სუვერენულ” კონტროლს, არამედ მისი ძალაუფლება არის დროებითი და ამ დროის განმავლობაში ის ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის იქ არსებული ქონების დაცვის კუთხითაც. ამავდროულად, ოკუპანტ ძალას შეუძლია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებისა თუ სასოფლო სამეურნეო მოსავლის გონივრულ ფარგლებში გამოყენება, ისე რომ ამგარ რესურსს განადგურების საფრთხე არ დაემუქროს;
8. საჯარო წესრიგის აღსადგენად მიღებული საპოლიციო ზომები არ რეგულირდება საერთაშორისო პუმანიტარული სამართლით დადგენილი სამხედრო მოქმედებების წარმოების წესებით, არამედ შიდა კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, რადგან საომარი მოქმედებები მიმართულია მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობების დასუსტებისაკენ, ხოლო საპოლიციო ოპერაციების მიზანია კანონის აღსრულება და საჯარო წესრიგის შენარჩუნება. საპოლიციო ზომების მიღებისას უფრო მეტი შეზღუდვები მოქმედებს, ვიდრე ომის წარმოებისას;
9. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტსა და ადგილობრივ წინააღმდეგობრივ მოძრაობებს შორის ყელანაირი დაპირისპირება, რომელიც სისტემატიურ ხასიათს მიიღებს დაკვალიფიცირდება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად;
10. ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებლებს აქვთ უფლება გააპროტესტონ ოკუპაცია და ეს შესაძლებელია შეიარაღებული მეთოდითაც მოხდეს. ამას მოწმობს უნივერსიტეტების 1-ლი დამატებითი ოქმი, რომელიც უშვებს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ქვეშ ერთ-ერთი ქვეკატეგორიის კონფლიქტის შესაძლებლობას, რომლის დროსაც ხალხი იბრძვის უცხოელთა ოკუპაციის წინააღმდეგ საკუთარი თვითგამორკვევის უფლების რეალიზებისათვის. მაგრამ მეორეს მხრივ, ოკუპაცია რადგან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგია (თუმცა შეიძლება შეიარაღებული წინააღმდეგობის გარეშეც განხორციელდეს) ნაკლებად სასურველია რომ ოკუპაციის პერიოდში კვლავ ადგილი ჰქონდეს შეიარაღებულ დაპირისპირებას. ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრების მეტნაკლებად ჩვეულებრივი რიტმის შენარჩუნება და ამ ტერიტორიის ადმინისტრირება, ისე რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ ჰქონდეს იმის შეგრძება რომ შევიწროვებული ან დევნილია უცხოელი დროებითი მმართველის ხელში; შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ოკუპაციის სამართლის სულისკვეთება არ გადაიხრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიარაღებული წინააღმდეგობის დასაშვებობის შესაძლებლობისკენ, პირიქით, ოკუპაციის სამართალი

განმსჭვალულია მშვიდობიანობის დროს მოქმედი სამართლის მსგავსი ნორმებით;

11. ოკუპანტი ძალის ქმედებების კანონიერების შეფასებისას განმსაზღვრელი როლი ენიჭება სამხედრო აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპს. აღსანიშნავია, რომ ოკუპაციის საერთაშორისო სამართლი პროპორციულობის პრინციპს ცალკე არ არეგულირებს, შესაბამისად ოკუპაციის დროსაც მოქმედებს იგივე სტანდარტი, რაც ზოგადად საერთაშორისო პუმანიტარულ სამართალშია მოცემული;
12. ოკუპაციის სამართლით დაცული სამოქალაქო მოსახლეობა უნდა განისაზღვროს არა მისი ეროვნულობის (*genuine link of nationality*) არამედ კუთვნილების (*allegience*) მიხედვით, აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია პირის ლოიალურობა და მიკუთვნება კონფლიქტის მხარის თუ ოკუპანტი ძალისადმი. შესაბამისად, დაცულ პირთა კატეგორიიდან პირველ რიგში გამოირიცხებიან ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ოკუპაციის დროს, აქედან გამომდინარე ოკუპანტი ძალის მიერ უკანონოდ შექმნილი სამოქალაქო დასახლებების მაცხოვებლები ვერ ისარგებლებენ უნევის მე-4 კონვენციის დაცვით. გარდა ამისა, დაცულ პირებად არ ჩაითვლებიან ის ინდივიდები, რომლებიც თუმცა ფორმალურად ფლობენ ოკუპირებული სახელმწიფოს მოქალაქეობას, მაგრამ ეთნიკური თუ სხვა სოციალური ნიშნით ლოიალურები არიან ოკუპანტი სახელმწიფოსადმი და თავს მიაკუთვნებენ ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქეებს;
13. ოკუპანტი ძალის ვალდებულებები ორ განზომილებიანია: (1) ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებული დაკავებული ტერიტორიის სტატუსთან და (2) ოკუპანტის ვალდებულებები დაკავებული ტერიტორიის მაცხოვებლების მიმართ, ამიტომ დაცულ პირთა არყოფნა ტერიტორიაზე არ ამცირებს ოკუპანტი ძალის ვალდებულებას მოახდინოს ტერიტორიის ადმინისტრირება ოკუპაციის სამართლით დადგენილი წესების შესაბამისად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე, როგორც ოკუპანტზე, საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებები;
14. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი საკანონმდებლო სისტემის ნებისმიერი ცვლილების კანონიერება უნდა შემოწმდეს სწორედ იმ ტესტის მიხედვით, რითაც მოწმდება ოკუპანტის ქმედება სამოქალაქო მოსახლეობასთან მოპყრობის თვალსაზრისით, რადგან ორივე შემთხვევაში ოკუპანტის უფლებამოსილება მომდინარეობს ერთი და იმავე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმიდან, კერძოდ პააგის 43-ე რეგულაციიდან და უნევის მე-4 კონვენციის 64-ე მუხლიდან, შესაბამისად შეფასების ზღვარი, რომელიც ოკუპანტს აქვს ადგილობრივი კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით იდენტურია იმ დისკრეციისა, რასაც ის ფლობს სამოქალაქო მოსახლეობასთან მოპყრობის კუთხით ქმედებების თავისუფლებაში.

ორივე შემთხვევაში ოკუპანტ ძალას აქვს მოქმედების საკმაოდ ფართო არეალი და მისი ნებისმიერი ნაბიჯის კანონიერება ეფუძნება რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებს იგი და რა მიზანი ამოძრავებს – ოკუპირებული ტერიტორიის ჯეროვანი ადმინისტრირება და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა თუ თავისი ქვეყნის პირადი პოლიტიკური მისწრაფებები;

15. ოკუპაციის დროს მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას შესაძლოა გამოიკვეთოს რამდენიმე პარალელურად მოქმედი სასამართლო სისტემები, რომლებიც იურისდიქციულად სხვადასხვა საკითხებს განიხილავენ და მთლიანობაში ავსებენ ერთმანეთს, რათა მოიცან ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი;
16. ოკუპირებულ ტერიტორიაზე არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დარღვევისათვის უნდა დადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ წარმონაქმნს აქვს სათანადო შესაძლებლობა უზრუნველყოს თავის კონტროლს დაქვემდებარებულ საზღვრებში მოქცეული მოსახლეობისათვის უფლებების გარანტირება და დაცვა. ეს შესაძლებლობა სახეზეა მაშინ, როდესაც არასახელმწიფოებრივი დაჯგუფება ეფექტიანად აკონტროლებს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს, აქვს ორგანიზებული აპარატი და სტრუქტურა და მოქმედებს დამოუკიდებლად;
17. ისეთი ოკუპაციის, დროს, როდესაც დაკავებულ ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი “გაზიარებულია” ოკუპანტ ძალასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, რომლის მიხედვითაც ოკუპანტი სახელმწიფო მთელს ტერიტორიაზე ახორციელებს სამხედრო ოკუპაციას ეფექტიანი და ზოგ შემთხვევაში ზოგადი კონტროლის მეშვეობით. ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელშიც ოკუპანტი ეფექტიან კონტროლს ახორციელებს მას, როგორც ოკუპანტ ძალას, ეკისრება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლით და ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები, ხოლო იმ ზონებში, სადაც ოკუპანტი ძალის კონტროლი მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა, მას ოკუპაციის სამართლის ნორმების დაცვა ევალება, ხოლო ადამიანის უფლებათა სამართლის მოქმედებაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივ ხელისუფლებაზე გადადის;
18. სამხედრო ოკუპაციის დროს კერძო საკუთრება დაცვის საკმაოდ მაღალი სტანდარტით სარგებლობს, რაც მარტივად შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით - საკუთრების უფლება დაცულია თვითხებური ჩარევისაგან, მისი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ ოკუპანტი ძალის სამხედრო საჭიროებებიდან გამომდინარე და შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ;
19. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საკუთრების უფლების შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ საკუთრების დაკარგვით, არამედ მესაკუთრის მიერ საკუთარი ქონებრივი უფლებების აღსრულების ხელის შეშლითაც;

20. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კომერციული კომპანიების საქმიანობა არ განიხილება ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის დარღვევად *per se*, იმდენად რამდენადაც ასეთი საქმიანობა არ არღვევს ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის კოლექტურ უფლებებს, რაც ჩამოყალიბებულია *erga omnes* ვალდებულებების სახით;
21. იმ შემთხვევაში თუკი ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძო კომპანიების მიერ განხორციელებული აქტივობებით ირღვევა საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმები ან სახელმწიფოთა *erga omnes* ვალდებულებები, სართაშორისო სამართლი ითვალისწინებს სამნაწილიანი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რომლის დროსაც აღნიშნული დარღვევისთვის პასუხს აგებს, როგორც ოკუპანტი ძალა, ასევე კომპანიის დაფუძნების სახელმწიფო და თავად კომპანიაც, მისი მმართველ პირთა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციაზე დაყრდნობით;
22. ოკუპაციის კლასიკური გაგება მოიაზრებს ოკუპანტი ძალის მიერ ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლს, თუმცა თანამედროვე პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ოკუპაცია განხორციელდეს დისტანციური კონტროლის მეშვეობითაც, მაგრამ ვინაიდან ეს მიღვომა პირდაპირ არაა გაზიარებული ოკუპაციის საერთაშორისო სამართლის წყაროებში, შესაბამისად გადაჭრით იმის მტკიცება რომ ოკუპაციის დასადგენად საჭირო ტერიტორიული კონტროლის ტესტის სტანდარტი შეიცვალა არა ლოგიკური იქნება;
23. ოკუპაცია შესაძლოა განხორციელდეს მარიონეტული რეჟიმების მეშვეობით, როდესაც ოკუპანტი ძალა ფიზიკურად არაა წარმოდგენილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მაგრამ ის ზოგადად აკონტროლებს რეჟიმს, რომელიც ეფექტიანად აკონტროლებს ოკუპირებულ ტერიტორიას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვერ დგინდება ოკუპანტი ძალის მიერ სხვა სახელმწიფოში მარიონეტული რეჟიმის ზოგადი კონტროლის საკითხი, მაგრამ ოკუპანტი სახელმწიფოს ჯარები განლაგებულნი არიან სადაც ტერიტორიაზე მარიონეტული რეჟიმის თანხმობით და ამ ჯარებს აქვთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს განახორციელონ ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლი, ტერიტორია მაინც ჩაითვლება ოკუპირებულად, ხოლო ჯარების წარმგზავნი სახელმწიფო კი ოკუპანტ ძალად (მაგ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი);
24. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი სამოქალაქო დასახლებების კანონიერების აღიარების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს არც ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი, არც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, თუმცა ამ უკანასკნელზე დაყრდნობით შესაძლოა შეიზღუდოს დე-ოკუპაციის პერიოდში ამგვარი უკანონოდ შექმნილი სამოქალაქო დასახლებების დაშლა და იქ მაცხოვრებელი მოსახლეობის გაძევება, მაგრამ ამგვარი აკრძალვა დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე, უპირველესად კი, ოკუპანტის მიერ ჩამოსახლებული სამოქალაქო მოსახლეობის ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციასა და ასიმილაციაზე, შესაბამისად

თითოეული ასეთი დავა უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურ კონტექსტზე დაფუძნებული მიღვომით, რადგან ამ საკითხში საერთაშორისო სამართალი არ გვთავაზობს ერთიან და ზოგად მიღვომას;

25. ოკუპაციის ფაქტი შეიძლება აღიარებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი სავალდებულო რეზოლუციის მიღებით, რაც თავის მხრივ შესაძლოა გულისხმობდეს საბჭოს მიერ ამ ოკუპაციის “ავტორიზაციასაც”. ასეთ შემთხვევას ადგილი პქონდა 2003-2004 წელს ერაყის ოკუპაციისას. გაერო-ს მიერ მანდატირებული ოკუპაციისას დასაშვებია ოკუპაციის საერთაშორისო სამართლით დადგენილი ნორმებისაგან გადახვევა და განსხვავებული საოკუპაციო რეჟიმის დაფუძნება, თუკი უშიშროების საბჭო ამას საჭიროდ მიიჩნევს, მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას მისი უფლებამოსილება *iust cogens* ნორმებით. აქვე, ადსანიშნავია, რომ ტრანსფორმაციული მიზნებისათვის გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ ნება დართული ერაყის ოკუპაცია არ შეიძლება განიხილებოდეს ზოგად პრეცედენტად, რომლის გამეორებაც პოტენციურად შესაძლებელია სახელმწიფოთა პრაქტიკაში. პირიქით, ერაყის შემთხვევა იყო *sui generis*, რომლის მსგავსი ოკუპაციაც დასაშვებია ისევ და ისევ უშიშროების საბჭოს მანდატის ქვეშ და არა ცალმხრივად რომელიმე სახელმწიფოს პრაქტიკაში;
26. გაერთიანებული ერების მიერ ავტორიზებული ოკუპაციის პირობებში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ოკუპანტ ძალას (სახელმწიფოს) და არა გაერო-ს, შესაბამისად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლების დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერი პრეტენზია უნდა წაეყენოს ოკუპანტ სახელმწიფოს და არა გაერო-ს უშიშროების საბჭოს.

დაბოლოს, პასუხს გავცემთ ნაშრომისათვის უმთავრეს შეკითხვებს: დღესდღეობით არსებული ოკუპაციის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა აწესრიგებს თუ არა ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს და ამ მხრივ დეტალურად განსაზღვრავს თუ არა ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს? რამდენად ადეკვატურად ასახავს ოკუპაციის საერთაშორისო სამართალი თანამედროვე საოკუპაციო პრაქტიკას და საჭიროებს თუ არა მოდიფიკაციას?

ოკუპაციის სამართალი არ აწესრიგებს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, შესაბამისად ის საკითხები, რომელიც არაა დაფარული ოკუპაციის სამართლით უნდა დარეგულირდეს საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებისა და ოკუპაციის სამართლის ურთიერთქმედებით. ამგვარი დარგებია: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სისხლის სამართალი.

ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი მკაფიოდ არ განსაზღვრავს ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლებს, მეტიც, ოკუპაციის სამართლი ოკუპანტს საქმაოდ ფართო დისკრეციას სთავაზობს, რაც ამ უკანასკნელს მოქმედების თავისუფლებას აძლევს და პრინციპში, ოკუპანტი ძალის ბევრი ქმედება, რომელიც შეიძლება მორალურად გაუმართლებლად მიიჩნეოდეს, ოკუპაციის სამართლით შესაძლოა კანონიერადაც კი ჩაითვალოს. ამრიგად, ოკუპაციის სამართლის სულისკვეთება უფრო მეტად “დამთმობი” და “ნება დამრთველია” (*permissive*) ოკუპანტი ძალისადმი, ვიდრე პირიქით, ოკუპანტი ძალა არის “მორჩილი” (*submissive*) ოკუპაციის სამართლისა. ეს მეტწილად გამოწვეულია იმ ეპოქით, რა ეპოქაშიც ოკუპაციის სამართლი ჩამოყალიბდა და იმ კონტექსტით, რა კონტექსტშიც ის განვითარდა.

რაც შეეხება, ოკუპაციის სამართლის ადეკვატურობას, მიუხედავად მისი ჩამოყალიბების ადრინდელი პერიოდისა, არ გვაქვს საფუძველი დაგუშვათ რომ თანამედროვე ოკუპაციის სამართლი ადეკვატურად არ ასახავს რეალობას. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირების კონკრეტული ასპექტები (მაგ. როგორიცაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბიზნეს საქმიანობის რეგულირება) არაა მოწესრიგებული ოკუპაციის სამართლით, არასაკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ დავადგინოთ ოკუპაციის სამართლის არაადეკვატური ხასიათი თანამედროვე საოკუპაციო პრაქტიკასთან მიმართებით. ოკუპაციის სამართლის ნორმები იმდენად მოქნილია, რომ ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც როგორც მთავრობებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ სასამართლო ორგანოებს ამ ნორმების განმარტებისა და შეფარდებისათვის მოქმედების თავისუფლებას აძლევს, რის შედეგადაც თანამედროვე პრაქტიკაზე ხდება საუკუნის წინ მიღებული დებულებების ადეკვატური მორგება.

